კვირის პალიტრა

ფეხი

N45 (283) 10/XI.-16/XI.2005. ფასი 60 თ.

ადსარება – „აზარტისგა
მონასტერ
განვიკურნე..

ახალი კლიპი და
„გაზრდილი" კონტრაქტი
გათხოვების უფლებით...

1168
2005

„ჩემი ყოფილი ქმარი
ჩემი დეკანი იყო..."

ბუბერი

„პირველი კონფლიქტი
ჩემსა და ჟვანია-სააკაშვილს
შორის „რუსთავი-2"-ს
უკავშირდება..."

ტრანსპლანტაცია – რა უპირატესობა აქვთ მელოტ მამაკაცებს

არ გამოგრჩეთ ნოემბრის ნომერი

ლიტერატურული პალიტრა

პროზა

- ოლია ოთხვრიანი
- ნუგზარ შესტაკოვი
- ირინა ბარბუნაშვილი

ცვილის კაცი და მეწამული მონასტრის საიდუმლოება (მძაფრსიუჟეტიანი დეტექტივი)

პოეზია

- ინგა შოთაძეშვილი
- ნიკა ჭანჭალიანი

მონატრება

- ალექსე ბაგინსკოთინ-გინუზინსკი
- ჭე

№45 (283)
10 — 16 ნოემბერი
2005
ფასი 60 თეთრი

მინიატურები
„როგორც ჩემი მეზობელი იტანჯება, მეც ისე უნდა დავიტანჯო“ ანუ საპარლამენტო არჩევნები აგერბაიჯანში 3
ერთი კითხვა 4
ჭრელი მსოფლიო 5, 6
აქტუალური ინტერვიუ
ბზარი — „პირველი კონფლიქტი ჩემსა და ქვანია-სააკაშვილს შორის „რუსთავი 2“-ს უკავშირდება...“ 7
შოუბიზნესი
ახალი კლიპი, საახალწლო სამგზადისი და „გაზრდილი“ კონტრაქტი, გათხოვების უფლებით 10
ემიგრანტები
„27 წელი არ ვყოფილვარ აქ... გაჭირვება ყველა კუთხე-კუნჭულში იგრძნობა, მაგრამ ხალხი არ შეცვლილა...“ 11
კრიმინალი
● ცოლისა და დედის მკვლელობისთვის ნასამართლევი ახლა სიმამრის მკვლელობის მცდელობისათვის გაასამართლეს 13
● გვარებს შორის უთანხმოებას სისხლის ღვრა მოჰყვა 16
აღსარება
„მათაც მიმართონ მონასტერს... უფალი აუცილებლად დაეხმარება“ 17
ტესტი
ერთგული მკითხველი 18
გზავნილები
„ეს გოგო ჩემი შეყვარებულია“ ანუ როგორ დააწყებინა „გზავნილებმა“ ქურნალის კითხვა მაგარ ბიჭებს 19
დეკლარანტები
მევენახე მამის პარლამენტარი შვილი 26-ტონიანი მოსავლის „ჰონორარს“ ელოდება 23
დაბრუნება
გააუხაზებული ქართველი ბიჭის დაბრუნებამ, შვილდაკარგულ დედებს იმედი ჩაუსახა... 25
ტრანსპლანტაცია
სიკეთე, რომელსაც ამერიკელები გარდაცვალების შემდეგ თესენ და რა უპარიტესობა აქვს მელოტ მამაკაცს 30

ბზარი: „პირველი კონფლიქტი ჩემსა და ქვანია-სააკაშვილს შორის „რუსთავი 2“-ს უკავშირდება...“

„მაჟორიტარები გაურიგდნენ რევოლუციონერებს. მივხვდი, რომ რევოლუციის ავტორებს მხოლოდ ძალაუფლების ხელში ჩაგდების სურვილი ამოძრავებდათ. დღეისათვის, ხელისუფლება კონსტიტუციური მოწყობის თურქმენულ მოდელს იყენებს. პარლამენტს წიხლი ჩააზილეს“...

7

ახალი კლიპი, წინასაახალწლო სამზადისი და „გაზრდილი“ კონტრაქტი, გათხოვების უფლებით

ახალგაზრდა მომღერალი ქეთა თოფურია, რომელიც უკვე თითქმის ერთი წელია, ჯგუფ „ა სტუდიოს“ სოლისტია, მოსკოვში გამგზავრების შემდეგ, არცთუ ისე იშვიათად ჩამოდის საქართველოში. აქამდე ის კონცერტების ჩასატარებლად ჩამოდიოდა, ამ დღეებში კი, პირადი საქმის მოსაგვარებლად ეწვია მშობლიურ ქალაქს.

10

სიკეთე, რომელსაც ამერიკელები გარდაცვალების შემდეგ თესენ

თმის ცვენას სამედიცინო ენაზე ალოპაცია ჰქვია. ის შესაძლოა, სხვადასხვა მიზეზით იყოს გამოწვეული, მაგრამ მსოფლიოში ყველაზე გავრცელებული, ანდროგენული (ბუნებრივი, მამაკაცური თმის ცვენა) ყოფილა გავრცელებული და თურმე, ამ მოვლენას მამაკაცების მესამედი განიცდის, თანაც — ძალზე მწვავედ.

30

მევენახე მამის პარლამენტარი შვილი 26-ტონიანი მოსავლის „ჰონორარს“ ელოდება

„დავიფიცე, რომ აღარასდროს ვიტირებდი და გადავწყვიტე, ახალი ცხოვრება დამეწყო. მაშინ იურიდიულზე, მეოთხე კურსზე ვიყავი, ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე მესამეზე. ჩემი ყოფილი ქმარი ჩემი დეკანი იყო და ამიტომ, დაუსწრებელზე გადავიტანე საბუთები“.

23

ჯანმრთელობა
როცა წნევა ზღვარს სცილდება 33
საკითხავი ქალებისთვის 34
ტაძარი
დავით გარეჯელის მადლის ქვა 36
წმინდანები
● თბილისის მფარველი ასი ათასი მოწამე 37
● საიდან გაჩნდა კოსმოსური ხომალდი 37
ასპარეზი
„ლივერპული“ მანუჩარ მაჩაიძეში 5 მილიონ ბირვანქა სტერლინგს იხდიდა 38
რომანი
რუსუდან ბერიძე. თქეში (გაგრძელება) 42
ვარსკვლავები
რას მალავს ბრიუს უილისი ანუ კომპრომატები ჰოლივუდის ვარსკვლავების შესახებ 46
შეჩერებული წამი
იური მეჩითოვს ფუჭი გადაღებისთვის კაზაკები მოსაკლავად დასდევდნენ და რა სურათებს მალავს საკუთარ სიკვდილამდე ფოტოოსტატი 49
ანტიდეპრესანტი
ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი გოჩა დვალის უბის წიგნაკიდან 50
შემოქმედი
რუსა მოჩილაძე: „პროექტორის ქვეშ ცხოვრება“, პოპულარობა არ მხიბლავს...“ 52
ბომონდი 53
ავტოგიგანტი
„მერსედესის“ მკიმე დღეები – რამ „გააიაფა“ ამერიკული კორპორაცია 54
ლიდერი
„ცისფერთვალება ქალბატონი“, „რკინის ლედი“, „პირველი“... 56
ასტროლოგია
რატომ არის ორშაბათი მკიმე დღე? 59
სკანვორდი 61
იუმორი 62
ტესტი ქალებისთვის
ვინ ხართ თქვენ მისთვის? 63
...და ბოლოს 64

გარეკანზე: ირმა ლიპარტელიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
რედაქტორი: გოჩა ტყეშელაშვილი
მენეჯერი: მათე კბილაძე
მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8
ტელ: 33-50-32 email: gza@kvirispalitra.com
ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

იური მეჩითოვს კაზაკები მოსაკლავად დასდევდნენ...

„ჩემმა მენატურემ რატომღაც დაიმორცხვა, სისულელე მომივიდა და შევთავაზე, თუ უხერხულობას გიქმნით ის, რომ თქვენ შიშველი ხართ, ხოლო მე – ჩაცმული, შემიძლია გავიხადო-მეთქი. ისეთი თავხედი აღმოჩნდა, გაიხადეო, – მითხრა. არ უნდა მექნა? მეც გავიხადე და...“

49

რუსა მოჩილაძე: „პროექტორის ქვეშ ცხოვრება“, პოპულარობა არ მხიბლავს...“

„სიმღერა პირველად 15 წლის ასაკში დავწერე. თავიდან, ეს ჩემთვის არასერიოზული გართობა იყო. მაგრამ მერე, როცა ჩემი სიმღერების შესრულება დაიწყეს და ხალხს მოეწონა, მივხვდი, რომ სიმღერისთვის სერიოზულად უნდა მომეკიდა ხელი“.

52

რას მალავს ბრიუს უილისი ანუ კომპრომატები ჰოლივუდის ვარსკვლავთა შესახებ

ახალგაზრდობაში დემი მური ფრიად პიკანტურ პოზებში პოზირებდა. ახლა მზადაა ყველაფერი გაიღოს იმისათვის, რომ ძველი ფოტოები პრესაში არ გამოქვეყნდეს (1981).

46

თქეში

– რას გეტყვი, იცი?.. – მიუბრუნდა გივის გიზო და თან, ხმას დაუწია. – ამ გოგოს არაფერი აწყენინო, თორემ...

– თორემ – რა?.. ყურებზე ხახვი ალყა-ალყა არ დამაჭრა!..

– ხახვს არა – პირდაპირ ყურებს დაგაჭრი!.. – ოთახიდან სწრაფად გავიდა საქციელწამხდარი გიზო.

42

„როგორც ჩემი მეზობელი იცვნება, მეც ისე უნდა დავიცვნეთ" ანუ საპრეზიდენტო არჩევნები აზერბაიჯანში

ბევრ სხვა უნიკალურ თვისებათა შორის, რომელიც ქართველებს გვახასიათებს, „მარგალიტივით ბრწყინავს" ერთი განსაკუთრებული თვისება — კარგი მეზობლობის უნარი. ქართულ სუფრაზე ხომ, რაც ოჯახში მოიძებნება, ყველაზე დიდი სასმისით „ვხაპავთ" მეზობლების სადღეგრძელოს და იმხელა ხმაზე ვღრიალებთ, — შორეულ ნათესავს ახლო მეზობელი სჯობიაო, რომ მეზობელ ოჯახებში ბავშვები ტირილში ათენებენ ღამეს.

მარტო სიტყვით კი არა, საქმითაც ვამტკიცებთ ამას და რითიც შეგვიძლია, იმით ვპასუხობთ მეზობლის სიკეთეს: თუ ზედა მეზობელმა წყალი ჩამოგვიშვა, არ ვიბნევით — ავდივართ იმის ზედა მეზობელთან და წყალს იქიდან ვუშვებთ; ხოლო თუ ქვედა მეზობლის „ფეჩის ტრუბამ" ჩვენი სარეცხი გაჭვარტლა, ჩვენ საღებავით სავსე ქილას ვდგამთ ღია ფანჯრის რაფაზე, ამოგვყავს მეზობლის ბავშვი სტუმრად, რომელიც შემთხვევით ხელს ჰკრავს ამ ქილას და ამოუშლელი მხიარული ტონებით ვალამაზებთ იმ მეზობლის ახალნაყიდ „ოპელ-ვექტრას"...

განსაკუთრებით თბილი ურთიერთობა გვერდით მცხოვრებ მეზობლებთან გვაქვს, რადგან მათი არც წყალი გვაწუხებს და არც კვამლი. დიდი-დიდი, გთხოვოს, სტუმრები მეწვივნენ და ოთხი ცალი სკამი მათხოვეო... შენც, რა თქმა უნდა, სიამოვნებით „თხოვნი" ოთხ სკამს და ოჯახის ოთხივე წევრიც ემატებათ მათ სტუმრად (აბა, სკამები აღარ გაქვს და სახლში რაღა გინდა?!.)...

სწორედ იგივე ხდება პოლიტიკურ მეზობლობაშიც და რადგან ჩვენს კარის მეზობელ აზერბაიჯანში ახლა არჩევნები და დიდი სტუმრიანობაა, რა თქმა უნდა, გვერდით დავუდექით: განსაკუთრებული აქტიურობა პარლამენტს მიღმა დარჩენილმა პარტიებმა გამოიჩინეს — თუ დეპუტატობის კანდიდატების ნაკლებობა გაქვთ, ჩვენ დაგემატებით, იქნებ, თქვენს პარლამენტში მაინც მოვხვდეთო...

საქართველოს სახელისუფლო პარტიამ აზერბაიჯანის სახელისუფლო პარტიას აღუთქვა დახმარება და მადლობაც მიიღო პასუხად; ჩვენი ოპოზიცია კი იქაურ ოპოზიციას დაჰპირდა, გამოცდილებას გაგიზიარებთო, მაგრამ უარი მიიღო — არ გვინდა, ბატონო, ნუ შეწუხდებითო. თქვენ რომ მაგდენი გცოდნოდათ, ახლა ხელისუფლებაში იქნებოდითო...

რაც შეეხება თვითონ საარჩევნო პროცესის დემოკრატიულობას, ეს ხომ მთლიანად ქართულმა მხარემ უზრუნველყო: მარკირების ხსნარი და ულტრაიისფერი დასანათებელი აპარატები ჩაზიდა აზერბაიჯანში. ისე, ყოჩაღ ძმაო, რაც ჩვენ ეგ ხსნარი ვისხით თითებზე არჩევნების დროს თითომ ათ-ათჯერ, კიდევ თუ იყო დარჩენილი, არც მეგონა!..

მეზობელმა საქართველომ არც დამკვირვებლების გაგზავნა დაიზარა და თან დაუბარა, ყველაფერს დააკვირდით, იქნებ, რაღაც მოგვეწონოს და ჩვენც გადმოვიღოთო. გადმოსაღები და მისაბაძი მართლაც ბევრია აზერბაიჯანულ პოლიტიკაში. თუნდაც ის, რომ ჯერ პრეზიდენტობა გადაეცა მემკვიდრეობით მამისაგან შვილს; ახლაა და, ქვეყნის პირველმა ლედიმ იყარა კენჭი არჩევნებში. მალე პარლამენტის თავმჯდომარეობაზეც იყრის კენჭს და რას მივიღებთ? მივიღებთ იმას, რომ ქმარი პრეზიდენტი იქნება, ცოლი — პარლამენტის თავმჯდომარე, შვილს პრემიერ-მინისტრად დანიშნავენ და ქვეყანას ეყოლება მთავრობის ისეთი ერთიანი, ოჯახური და უღალატო გუნდი, როგორზეც ჩვენ დღემდე ვოცნებობთ.

აუცილებლად უნდა შევიტანოთ ცვლილებები ჩვენს კონსტიტუციაში ან პარლამენტის თავმჯდომარის ქმარი გავხადოთ პრეზიდენტი, ან პრეზიდენტის ცოლი — პარლამენტის თავმჯდომარე. სამომავლოდ კი ვნახავთ, რამდენ მილიონ ლარს დავზოგავთ, რაც ტყუილად იხარჯება ათასი ტიპის არჩევნებზე; მარტო პრეზიდენტს ავირჩევთ, დანარჩენი კი თვითონ დალაგდება: ცოლი — პარლამენტის თავმჯდომარე, შვილი — პრემიერ-მინისტრი, ძმისშვილები და დისშვილები — მინისტრები და დეპუტატები, ბიძაშვილები — გუბერნატორები, დეიდაშვილები — მერები და ა.შ.

***P.S.** პარლამენტის სხდომაზე დეპუტატი მიმართავს თავმჯდომარეს:*

— ბიცოლა, მინდა, კატეგორიულად განვაცხადო, რომ ფრაქცია „ძმისშვილები" მოვითხოვთ შს მინისტრის დაბარებას პარლამენტში.

— ცოტა მოითმინე, ბიცოლა გენაცვალოს, ბიძაშენი მძახლების სამიტიდან დაბრუნდება და ყველაფერს მოვახსენებ...

პროვოკატორი

„მსხვილ ობიექტებს საბავშვილის ნათესავები ყიდულობენ“

— ოპოზიცია აცხადებს, რომ „მადნეული“ პრეზიდენტის ბიძამ შეისყიდა, საბავშვო ქალაქ „მზიურის“ ტერიტორიით კი, მისი ბაბუაა დაინტერესებული. რას ეყრდნობა თქვენი ბრალდებები?

გიორგი გუგავა, *ლეიბორისტული პარტია:*

— საქართველოს პარლამენტის 1999 წლის დადგენილების შესაბამისად, როგორც ზოოპარკი, ასევე „მზიური“, მწვანე ზოლში მოქცეული ტერიტორიებია და კანონით, იქ არა მარტო მშენებლობა იკრძალება, არამედ აშენებულიც კი დანგრევას ექვემდებარება. ახალი დადგენილებით, ამ ზონას სტატუსი შეეცვალა და საზოგადოებრივი საქმიანობის ზონად გამოცხადდა. ქალაქის მთავრობის ეს გადაწყვეტილება მიანიშნებს იმაზე, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე მშენებლობების დაწყებას გეგმავენ. იმის მაგივრად, რომ ასეთ ადგილებს ვუფრთხილდებოდეთ, რათა ქალაქმა ისუნთქოს, ყველაფერს ვსპობთ. ეს არის იმ ჯაჭვის გაგრძელება, რომელსაც ხელისუფლება ახორციელებს და რის უკანაც პრეზიდენტის ოჯახის ინტერესები იმალება. „მადნეული“ თემურ ალასანიამ შეისყიდა, ზოოპარკის მიმდებარე ტერიტორიით კი, სააკაშვილის ბაბუა, გივი ალასანიაა დაინტერესებული. ის მუნიციპალურ საწარმოთა სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ სწორედ ამ მიზნით დაინიშნა. საინტერესო ფაქტია: შევარდნაძის დროს, მის ყველა ახლო ნათესავს საოცარი „ბიზნესგამჭრიახობა“ აღმოაჩნდა, ახლა სააკაშვილ-ალასანიებს გადაედოთ ექსპრეზიდენტის ნათესავების „გონებაგახსნილობა“ და პრივატიზაციის პროცესში ყურებამდე ჩაეფლნენ. როგორც ამბობენ, სააკაშვილის ძმები ფოთის პორტითა და აეროპორტით არიან დაინტერესებულნი. ალბათ, პრივატიზაციის პროცესის გასაკონტროლებლად ზის თემურ ალასანია უშიშროების საბჭოს სხდომებზე და რაიმე რომ არ გამოეპაროთ, მალე, სააკაშვილის ბებია-ბაბუასაც მიიწვევენ კანცელარიაში...

■

„კრიმინალების დაკავება მასკარადად აქცია“

— პარლამენტი შს მინისტრის დასახვედრად ემზადება, თუმცა, დეპუტატებს აქვთ ეჭვი, რომ ვანო მერაბიშვილი ბოლო მომენტში, გადაუდებელ საქმეს მოიმიზეზებს და სამთავრობო საათზე არ გამოცხადდება. თქვენც იზიარებთ ამ პროგნოზს?

მამუკა კაციტაძე, *„მემარჯვენე ოპოზიცია“:*

— ეს ძალოვანი უწყების მინისტრების მუშაობის სტილია. მაგრამ მე იმედს ვიტოვებ, რომ საქართველოს პარლამენტს შს მინისტრის მობრძანება ეღირსება. ჩვენ მას წინასწარ მომზადებული კითხვები გავუგზავნეთ. თუმცა, სამთავრობო საათზე დამატებითი კითხვებიც წარმოიშვება. მთავარი, რაც გვაინტერესებს, შს სამინისტროში არსებული ფონდების შევსების წყაროებია: გვაქვს ინფორმაცია, რომ ამ ფონდებში ფული კანონიერი გზით არ მიედინება. საინტერესოა, ხანგრძლივი ინტერვალის შემდეგ, მერაბიშვილის დამოკიდებულება გახმაურებულ ფაქტებთან დაკავშირებით — ვგულისხმობ, ზურაბ ჟვანიას გარდაცვალებას და თავდასხმებს დეპუტატებზე, სადაც მხოლოდ კრიმინალური ქმედებები არ იკვეთება. მე მაინტერესებს, რატომ აქცია ხელისუფლებამ პატრული „სერიალად“, შინაგან საქმეთა სამინისტრომ კი, კრიმინალების დაკავება — მასკარადული ტიპის ღონისძიებად. ხელისუფლებას მიაჩნია, რომ პატრულის პროექტი წარმატებულია, ჩვენ ამ საკითხზე სრულიად განსხვავებული ინფორმაცია გვაქვს. კიდევ ერთი საკითხი, საქართველოში კრიმინოგენური ვითარების გამწვავებაა. ოფიციალური მონაცემებით, ქვეყანაში სტაბილური სიტუაციაა, მაგრამ ფაქტია, რომ ქურდობისა და ყაჩაღობის ფაქტი კატასტროფულად გახშირდა.

■

აშშ კონფლიქტის ზონებში აქტიურდება

— აშშ-ის კონგრესმა აფხაზეთში სამშვიდობო პროცესის განვითარებისთვის 67 მილიონი გამოყო. რა საპასუხო ნაბიჯს გადადგამს რუსეთი „მთავარი მოთამაშის“ როლის შესანარჩუნებლად?

გია ნოლია, *კავკასიის ინსტიტუტი:*

— ამერიკას სურს, კონფლიქტის მოგვარების პროცესში უფრო აქტიური მონაწილეობა მიიღოს. შესაძლებელია, 67 მილიონი სხვადასხვა ფორმატის შეხვედრებს და ერთობლივ ეკონომიკურ პროექტებს მოხმარდეს. ამერიკელების მთავარი მიზანია, დაანახვონ აფხაზებს, რომ რუსეთი რეგიონში ერთადერთი „მოთამაშე“ არ არის. აშშ-ის უპირატესობა რუსეთთან შედარებით, გამოიხატება ფინანსურ მხარდაჭერასა და მიმზიდველ პროექტებში, რომლებიც შესაძლოა, აფხაზებს შევთავაზოთ. მიიღებენ თუ არა ამ ინიციატივას თავად აფხაზები, ეს დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რა დონის ზეწოლას განახორციელებს რუსეთი აფხაზეთზე. ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი სავარაუდოდ, შეეცდება სეპარატისტებს შესთავაზოს უფრო მიმზიდველი პროექტები. რუსეთს აფხაზეთის საკუთარ მარწუხებში დატოვება გაცილებით ძვირი უღირს, ვიდრე 67 მილიონია. თანაც, რუსეთი დღემდე, სიტუაციის გასაკონტროლებლად სერიოზულ ბერკეტებს ფლობს აფხაზეთშიც და სამხრეთ ოსეთშიც; თუ ივლისიდან, აფხაზეთში განლაგებული სამშვიდობოები იქიდან გასვლის რეჟიმზე გადავლენ, ეს ძალზე პრინციპული ცვლილება იქნება და კონფლიქტურ ზონაში სამშვიდობო პროცესის სასიკეთოდ განვითარებისთვის ხელსაყრელი პირობები შეიქმნება. თუმცა, შესაძლებელია, ეს ასე არც მოხდეს.

■

ჭრელი მსოფლიო

ნელსონ მანდელა კომიქსების გმირად იქცევა

სამხრეთაფრიკულმა გამომცემლობამ ნელსონ მანდელას ცხოვრების ამსახველი კომიქსი გამოუშვა. ამ გამოცემის ამოცანაა, მოუთხროს სკოლის მოსწავლეებს დემოკრატიულად არჩეული პირველი პრეზიდენტის პოლიტიკური ბრძოლით სავსე ცხოვრების შესახებ. სერიის პირველი წიგნი — „აღმოსავლეთ კეიპის შვილი“ — მანდელას ბავშვობასა და სიყმაწვილეს ეძღვნება. მასში ასახულია ისეთი ეგზოტიკური ეპიზოდებიც კი, როგორიცაა ჩვილი ნელსონის ჭიპლარის მიწაში ჩამარხვა... იმისათვის, რომ პერსონაჟი რეალურ ადამიანად წარმოეჩინათ, ავტორებმა წიგნში შეიტანეს ისეთი ფაქტებიც, როგორიცაა პირუტყვის ქურდობა ან სიცრუე, რომელსაც მოზარდი მანდელა ტომის უხუცესებთან ურთიერთობისას მიმართავდა ხოლმე. სერიაზე, რომელიც სულ 9 წიგნისგან შედგება, ხუთი ახალგაზრდა მხატვარი მუშობდა. პირველი ტომი 1,5-მილიონიანი ტირაჟით გამოიცა. წიგნს უფასოდ მიაწვდიან ქვეყნის სკოლებს. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში, სადაც მოსახლეობის 14%-მა წერა-კითხვა არ იცის, კომიქსები დიდი პოპულარობით სარგებლობს.

■

„სხდომებს დახურავენ, მოსამართლეებს კი, „სანდო პირთა“ ინფორმაციის საფუძველზე გაათავისუფლებენ“

— „პატიმრობის შესახებ“ კანონში ცვლილებებს, „ჩეკისტურ-რეპრესიული“ უწოდეს. თქვენი ასოციაციისთვის რა პუნქტებია მიუღებელი?

ანა დოლიძე, *ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია:*

— სისხლის სამართლის კოდექსის მთავარი პრინციპი ის არის, რომ ისჯება ქმედება, შესაბამისად — აზრი დასჯადი არ არის. რაზე ფიქრობდა პარლამენტი, როცა პირველი მოსმენით დაამტკიცა კანონპროექტი „კანონიერი ქურდების“ შესახებ, გაუგებარია. ვიღაცა ვიღაცას კრიმინალური სამყაროს წევრად მიიჩნევს, დაასმენს და ციხეში გაუშვებს, მიუხედავად იმისა, ჩადენილი აქვს თუ არა დანაშაულებრივი ქმედება. ეს იგივეა, რაც აზრის დასჯა, რაც კონსტიტუციის დარღვევას წარმოადგენს. გარდა ამისა, კანონპროექტის თანახმად, უქმდება პოლიციის ზედამხედველობა, რჩება მხოლოდ თავდებობა, გირაო და წინასწარი პატიმრობა. რამდენად სერიოზულია ის არგუმენტი, რომ პოლიციის ზედამხედველობა არაეფექტურია?.. ჩემი აზრით, ამ ცვლილებებით ყურადღებას ვამახვილებთ ფულზე, რადგან თავდებობის, გირაოსა და წინასწარი პატიმრობის შემთხვევებში, ფულთან გვაქვს შეხება. როგორც ჩანს, ხელისუფლებას სურს, ამ გზით მოქალაქეებისგან ფული ამოიღოს. გარდა ამისა, საგანგაშოა მოსამართლეების დათხოვნის პროცესი. თურმე, საქართველო პატარა ქვეყანაა, აქ ყველამ იცის, ვინ რას წარმოადგენს, ამიტომ „სანდო პირთა“ წრე მიაწვდის ინფორმაციას ხელისუფლებას მოსამართლეების საქმიანობის შესახებ. მე არ მესმის, ამ „ჩეკისტურ“ მოქმედებებს რა საერთო აქვს კანონთან. მოსამართლე სამართალდარღვევის შედეგად უნდა გაათავისუფლონ და არა კულუარული ინფორმაციის საფუძველზე. და ბოლოს: ალბათ, ყველაზე საგანგაშო ისაა, რომ იზღუდება მასმედიის როლი. პროცესზე საერთოდ აღარ დაგვასწრებენ. ის საქმეები, რომელთა მიმართაც საზოგადოების ინტერესი მაღალია, 20-კაციან დარბაზში გაირჩევა, ვიდეოკამერებს არ დაუშვებენ და ვეღარავინ გაიგებს, მართლმსაჯულება როგორ აღსრულდება. ■

რაში იხარჯება ბიუჯეტი?

— ფინანსთა სამინისტრომ მიმდინარე წლის ბიუჯეტის შესრულებისა და ხარჯების მაჩვენებლები პარლამენტში წარმოადგინა, მაგრამ დეპუტატები მაინც ვერ გარკვეულან, თუ რა თანხა რაში დაიხარჯა. რა არის ამის მიზეზი?

დემურ გიორხელიძე, *ეკონომიკური ექსპერტი:*

— საქართველოს ბიუჯეტში სრული განუკითხაობაა. წლების განმავლობაში, საკუთარ ხარჯებს დონორები აკონტროლებდნენ, ნოღაიდელმა მოახერხა და დონორები ამ პროცესს ჩამოაშორა. კონსტიტუციურად, შემოსავლებისა და ხარჯვითი ნაწილის გაკონტროლება, კონტროლის პალატას ევალება, მაგრამ ეს უწყება მხოლოდ პოლიტიკური ანგარიშსწორების კუთხით მუშაობს და ზედამხედველის ფუნქცია აღარც ახსენდება. ამ პროცესში უარყოფით როლს ასრულებს საერთაშორისო სავალუტო ფონდიც: შევარდნაძის მმართველობის პერიოდისგან განსხვავებით, დღეს დადებით დასკვნებს წერს იმ შემთხვევაშიც, როცა ხელისუფლება ვერ ხსნის, თუ რის ხარჯზე გაზარდა შემოსავლები და რა თანხა რაში იხარჯება. წლის დასაწყისში, ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე შეგვეძლო გვენახა მცირე მონაცემები საბიუჯეტო ხარჯებისა და შემოსავლების შესახებ. დღეს ინტერნეტში ამ ინფორმაციის ჩადებითაც თავს აღარავინ იწუხებს. ამ ეტაპზე, საბიუჯეტო პროცესს არავინ აკონტროლებს. პარლამენტმა უკან დაიხია, როცა 2005 წლის ბიუჯეტი ზედმეტი შეკითხვების გარეშე დაამტკიცა. მასში არ იყო მოცემული მუხლების დეტალიზაცია. მაგრამ დასუსტებული საკანონმდებლო ორგანო ხმის ამოღებას ვერ ბედავს. იგივე გამეორდება 2006 წლის ბიუჯეტის დამტკიცების დროსაც და საზოგადოებისთვის კვლავ ბუნდოვანი იქნება პასუხი კითხვაზე, თუ რატომ არ ხდება გაზრდილი ბიუჯეტის პირობებში ეკონომიკური წინსვლა. ■

ჭრელი მსოფლიო

ვენესუელის პრეზიდენტს ჰელოუინის ეშინია

ამ ცოტა ხნის წინ, ძალზე მოულოდნელი განცხადება გააკეთა უგო ჩავესმა: მან მშობლებს მიმართა მოწოდებით, დაიცვან შვილები ჰელოუინის უძველესი დღესასწაულისგან. ვენესუელის პრეზიდენტის აზრით, აშშ ტერორიზმის ჭაობშია ჩაფლული და ისეთ ღირებულებებს ქადაგებს, რომლებიც ბოროტებისა და ძალადობის გავრცელებას უწყობს ხელს. „ჯადოქრების, ქაჯებისა და მსგავსი არსებების განსახიერება ჩვენს კულტურას ეწინააღმდეგება“, — ასე ასაბუთებს თავის შეხედულებას ჩავესი, რომელსაც ძალზე აწუხებს აშშ-ში ესოდენ პოპულარული, მისი აზრით კი — მისტიკური, ჰელოუინის დღესასწაული. სწორედ ამიტომ მოუწოდა მან მშობლებს, არ უყიდონ ბავშვებს ჯადოქრებისა და ვამპირების კოსტიუმები, რომლებშიც მასკარადის მონაწილენი იმოსებიან ხოლმე. ■

მე-13 შვილი – 55 წლის ასაკში

ცხოვრება ზოგჯერ, მოულოდნელ საჩუქარს გვიმზადებს. მაგალითად, 55 წლის გერმანელმა ქალბატონმა, რომელსაც უკვე 12 შვილი ჰყავდა და მეტის გაჩენას არ აპირებდა, დაორსულებიდან მხოლოდ 11 კვირის შემდეგ შეიტყო, რომ კიდევ ერთხელ მოუწევდა, განეცადა დედობის სიხარული. პირველად ეს სიხარული ინგლისური და რუსული ენის ბერლინელ მასწავლებელს, ქ-ნ რაუგნიკს 19 წლის ასაკში ეწვია. ის ირწმუნება, რომ მაშინ, ერთ შვილზე მეტის გაჩენას აღარც აპირებდა, მაგრამ ყველაფერი სულ სხვაგვარად წარიმართა: „ეს რაღაცნაირად, თავისთავად მოხდა, — უთხრა ჟურნალისტებს 13 შვილის დედამ. — ცხოვრებაში მართლაც, ბევრი რამ ჩვენზე როდია დამოკიდებული... სამაგიეროდ, შვილები იმაში მიწყობენ ხელს, რომ დიდხანს დავრჩე ახალგაზრდა“, — დასძინა მან. ■

„საკრებულო ფუნქციას კარგავს“

— საკრებულოში შექმნილ 3-კაციან ოპოზიციურ ფრაქციას, უმრავლესობა სერიოზულად ვერ აღიქვამს, თქვენ თუ გჯერათ საკუთარი ძალის?

ვაჟა იმნაიშვილი, *საკრებულოს წევრი:*

— ფრაქციის ფორმატით მუშაობა უფრო წარმატებული იქნება. ფრაქციას შეუძლია, ჰქონდეს საკანონმდებლო ინიციატივები. უფრო ადვილად მიგვიწვდება ხელი არსებულ ინფორმაციაზე. ჩვენი გაერთიანების შემდეგ, იმედი გვაქვს, რომ ოპოზიცია უფრო მონოლითური გახდება. არც იმას გამოვრიცხავთ, უმრავლესობის წევრებთან კონსულტაციების შემდეგ, გარკვეულ საკითხებზე ჩვენს სასარგებლოდ ხმათა თანაფარდობა მივიღოთ. საზოგადოება შეამჩნევდა, რომ საკრებულო ნელ-ნელა თავის ფუნქციას კარგავს. უკანასკნელი ოთხი თვის განმავლობაში, საკითხების განხილვაც აღარ მიმდინარეობს. მსჯელობენ მხოლოდ სარეზერვო ფონდიდან თანხების უაზრო გადარიცხვებზე, სად და რისთვის — მხოლოდ თავად იციან. პრივატიზაციის, საცხოვრებელი სახლების, შენობა-ნაგებობების და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები, საკრებულოს მიღმა რჩება. თბილისის თვითმმართველობის ორგანოს, რესპუბლიკის მოედანთან დაკავშირებულ პრობლემებზეც კი არ უმსჯელია — მაშინ, როცა თბილისის ერთ-ერთი ქუჩისთვის ბუშის სახელის დარქმევას 3 სხდომა შევალიეთ. შესაძლოა, სამწევრიანი ფრაქცია უმრავლესობას ღიმილს ჰგვრის, მაგრამ მათ დავურღვევთ იმ კომფორტის შეგრძნებას, რომელიც აქამდე ჰქონდათ. მე დარწმუნებული ვარ, თბილისელებს დაავიწყდათ, რომ საკრებულო ფუნქციონირებს და ეს უწყება ვალდებულია, დაპირებების შესრულებასა და ქალაქის კეთილმოწყობაზე იზრუნოს. გზაზე კარაქივით ასფალტის გადასმა და შენობების შეღებვა საკმარისი არ არის, მით უმეტეს მაშინ, თუ ამ თემის წამოტივტივება სოლიდური თანხების „მოსაჭრელად“ ხდება. ■

ნოღაიდელს პრემიერ-მინისტრი ჰქვია, მაგრამ მერაბიშვილი და ოქრუაშვილი მის უფროსობას რომ აღიარებდნენ, გამორიცხულია

— ვარაუდობენ, რომ მთავრობაში მორიგი კარუსელი დატრიალდება. თქვენი ვარაუდით, პრეზიდენტი ე.წ. გავლენიან მინისტრებსაც ახლებს ხელს?

დავით ზურაბიშვილი, *პარლამენტის წევრი:*

— ჩვენი პრეზიდენტის ტემპერამენტიდან გამომდინარე, სამთავრობო ცვლილებები მოსალოდნელია. მორიგი კარუსელი იქნება, რაც აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელთა არაეფექტური მუშაობის შედეგია. თუმცა, პოსტებს კვლავ ისეთი ადამიანები დაიკავებენ, რომელთა საქმიანობაც ასევე არაეფექტური იქნება. პრეზიდენტს კარუსელის დატრიალებამდე, ყველაზე მნიშვნელოვანი ავიწყდება — რომ ქვეყანას სისტემური ცვლილებები სჭირდება. დღეს ხელისუფლებაში რამდენიმე კაცი ზის და თავში რაც მოუვა, ის ხორციელდება. უფრო კონკრეტულად თუ ვიტყვით, სააკაშვილს, ოქრუაშვილს, მერაბიშვილს, ადეიშვილს, პარლამენტში — ბოკერიას და მერიაში — უგულავას კონკრეტულ სფეროებში აქვთ სრული ძალაუფლება. მათ, ცუდ ხასიათზე გამოღვიძებულებს, უგუნურებაც რომ წამოსცდეთ, ქვეშევრდომები თავებს მოიკლავენ, ოღონდ ეს ნათქვამი შესრულდეს. ნოღაიდელს პრემიერ-მინისტრი ჰქვია, მაგრამ მერაბიშვილი და ოქრუაშვილი მის უფროსობას რომ აღიარებდნენ, გამორიცხულია. ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი მინისტრია კოტე კემულარიაც. ნოღაიდელმა იცის, რომ მას მბრძანებლური ტონით არ უნდა ელაპარაკოს, რადგან კემულარია, სააკაშვილის მეგობარია, ნოღაიდელი კი, პრეზიდენტის ძმაკაცების სიაში არ მოიხსენიება. ბოლოს და ბოლოს, გამოდის, რომ ქვეყნის ბედი და პერსპექტივა პრეზიდენტის ძმაკაცობით წყდება. ასეთ შემთხვევაში, რა მნიშვნელობა აქვს, ასტემიროვას სახლში გაუშვებენ თუ არა, ალექსიშვილს მოხსნიან და ბარამიძეს კიდევ ერთ უფუნქციო უწყებაში გადაიყვანენ თუ არა?!. ეს ამბავი კრილოვის ცნობილ იგავს მაგონებს, ქვეყნის პირველი პირები ფიქრობენ, რომ საქმე კეთდება. ■

მოამგეადა ხათუნა მაღრაძემ

ხელისუფლების ერთ-ერთი ყველაზე მძიმეწონიანი ოპოზიციონერი, კობა დავითაშვილი დიდ პოლიტიკაში მოსვლამდე, როგორც თავად აღნიშნავს, საქართველოში საკმაოდ ცნობილი და წარმატებული ვექილი გახლდათ. თუმცა, პოლიტიკურ საქმიანობას ის ერთხანს, ადვოკატობასაც უთავსებდა. ვარდების რევოლუციამდე, ოპოზიციის ერთ-ერთი აქტიური მხარდამჭერი, ხელისუფლებაში ხავერდოვანი გზით მოსული ხელმძღვანელობით იმედგაცრუებულია. თუმცა, „ყვავილოვანი რევოლუციის“ შედეგად მომხდარ სახელმწიფო გადატრიალებას შეცდომად მაინც არ მიიჩნევს და ამბობს, რომ თუ ახლანდელმა ხელისუფლებამ ხალხისთვის მიცემული დანაპირები არ შეასრულა, ისევე მშვიდობიანად „გააცილებს“, როგორც ეს ორიოდე წლის წინ, ვარდებით მოხდა...

ბზარი: „პირველი კონფლიქტი ჩემსა და ჟვანია-სააკაშვილს შორის „რუსთავი 2“-ს უკავშირდება...“

თამარ როსტიაშვილი

ბატონ კობას საკუთარ პერსონაზე საუბარი უჭირს და ამბობს, რომ ჯობს, სხვამ ილაპარაკოს, ვიდრე თავად შეაფასოს. „მოუსვენარი პარლამენტარი“ ცხოვრებაში ყველაზე დიდ მონაპოვრად თავის ოთხ ვაჟიშვილს მიიჩნევს და ამბობს — რომ არა მეუღლის აქტიური მხარდაჭერა, ამდენად წარმატებული პოლიტიკოსი ვერ გახდებოდა.

კობა დავითაშვილის პოლიტიკური კარიერა თითქმის მის სტუდენტობასთან ერთად დაიწყო. გასული საუკუნის 90-იან წლებში, ახალგაზრდა იურისტთა ჯგუფის — „დასის“ („დემოკრატიული არჩევანი საქართველოსთვის“) მიერ მომზადებული კანონპროექტები ქვეყნის იმდროინდელი უმაღლესი საბჭოს წევრს — რომან დავითაშვილს (კობას მამას) საბჭოს სხდომებზე გაჰქონდა. ამგვარად დაიწყო კონსერვატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერის, გლდანის მაჟორიტარი დეპუტატისა და „დემოკრატული ფრონტის“ წევრის პოლიტიკური კარიერა.

— 1988 წელს, მაშინ, როდესაც პირველი კურსის სტუდენტი ვიყავი, უნივერსიტეტში საზოგადოებრივი ორგანიზაცია „დასი“ დაფუძნდა. ორგანიზაციის წევრები ჩემთან ერთად იყვნენ: რეზო შავიშვილი, ვახტანგ ხმალაძე, დავით უსუფაშვილი და ა.შ. „დასის“ მიზანი გახლდათ დემოკრატიული არჩევნებისთვის საჭირო კანონმდებლობის მომზადება. იმ დროს, მამაჩემი უმაღლესი საბჭოს წევრი გახლდათ და „დასის“ მიერ მომზადებული კანონპროექტი უმაღლეს საბჭოში შეჰქონდა. მოკლედ რომ ვთქვათ, მამის თანაშემწე ვიყავი. პარლამენტის წევრის, პოლიტიკოსის საქმიანობა ახლოს დგას ადვოკატის პროფესიასთან, ამდენად, პოლიტიკოსობასა და ადვოკატობას ერთმანეთს ძალზე მარტივად ვუთავსებდი. შემთხვევითი არ არის, რომ პარლამენტში ყველაზე მრავლად, დეპუტატებს შორის, პროფესიით ადვოკატია. ერთხანს, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრიც გახლდით. როდესაც საზოგადოებრივი მოძრაობა „დასი“ პოლიტიკურ ორგანიზაციად გარდაიქმნა, დავტოვე სოციალ-დემოკრატიული პარტია და „დასში“ გადავედი. მოგვიანებით, „დასი“ გაერთიანდა რესპუბლიკურ პარტიასთან, რომელსაც 1994-95 წლებში, პარლამენტში მნიშვნელოვანი წარმომადგენლობა ჰყავდა. მას შემდეგ, რაც გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია დაიშალა, სახალხო ფრონტი ერთი მიმართულებით წავიდა, რესპუბლიკური პარტია კი — სხვა მიმართულებით, რის შედეგადაც, პარტიის გარეშე აღმოვჩნდი. დიდი ხნის განმავლობაში უპარტიო ვიყავი. შემდეგ, ზურაბ ჟვანიამ და მიხეილ სააკაშვილმა მთხოვეს, საკრებულოს არჩევნებში მეყარა კენჭი. მოქალაქეთა კავშირის სიით საკრებულოს წევრი გავხდი. თბილისის სათათბიროს წევრად გახდომისთანავე, საკრებულოში წარვადგინე კანონპროექტი — „ქალაქის ადვოკატის შესახებ“. ქალაქის ბიუჯეტის ხარჯზე, პოლიციის განყოფილებებისთვის გამოვყავით ადვოკატები, რათა მათ დაეცვათ, როგორც თავისუფალი ადამიანების, აგრეთვე დაკავებულთა უფლებები. პროექტი წარმატებული აღმოჩნდა. თვე-ნახევრის განმავლობაში, 47 უკანონოდ დაკავებული ადამიანი გავათავისუფლეთ. პოლიციამ ამ კანონპროექტის წინააღმდეგ გაილაშქრა და ჩვენი ადვოკატები სოსო ალავიძის (თბილისის პოლიციის მაშინდელი უფროსის) მმართველობის პერიოდში, კინწისკვრით გამოყარეს.

— როგორც თავად აღნიშნეთ, თბილისის საკრებულოში წარმატებით მოღვაწეობდით. საკანონმდებლო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში რატომ გადაინაცვლეთ?

— მიუხედავად იმისა, რომ თბილისის საკრებულოში მართლაც, წარმატებით ვმოღვაწეობდი, მიმაჩნდა, რომ პარლამენტიდან ხალხისთვის უფრო მეტის გაკეთება შემეძლო. ამდენად, უკვე 1999 წელს, მოქალაქეთა კავშირის სიით პარლამენტის დეპუტატი გავხდი. სწორედ ამ დროს დაიწყო ჩემსა და კახა თარგამაძეს (იმდროინდელ შსს-ს მინისტრს) შორის კონფლიქტი, რაც ქალაქის ადვოკატის შესახებ კანონს უკავშირდებოდა.

— ბატონო კობა, პარლამენტის სხდომების ვიდეოარქივს რომ გადავხედოთ, ჭარბად ვიხილავთ თქვენ მონაწილეობით გამართულ მუშტიკრივს. ბოლო დროს, ასეთმა ფაქტებმა იკლო. ასაკის მატებას მივაწეროთ თუ ოპონენტების მიმართ ლოიალური გახდით?

— მართლაც, ძალიან მოუსვენარი პარლამენტარი ვიყავი... ვერ გეტყვით, რომ ლოიალური გავხდი, ალბათ უფრო, ჩემი ოპონენტები გახდნენ ლოიალურები. კანონპროექტებში ცვლილებების შესატანად ხშირად, ხელმოწერებს ვაგროვებდი. მახსოვს, ბიუჯეტის გარღვევის თაობაზე საგამოძიებო კომისია რომ შექმნილიყო, 120 ხელმოწერა შევაგროვე. ედუარდ შევარდნაძემ ჩათვალა, რომ ჟვანია და სააკაშვილი იმპიჩმენტს უწყობდნენ, რადგან ისინი ამ დროს საქართველოში არ იმყოფებოდნენ და ინიციატივა მხოლოდ ჩემგან მოდიოდა. ამის შემდეგ შეიქმნა „ახალი ფრაქცია“, რომლის პოლიტიკური მოსაზრებები ჩემსას არ დაემთხვა და ამდენად, ფრაქციაში არ გავერთიანდი. უმრავლესობის წევრი კი გახლდით, მაგრამ იმავდროულად, ხელმოწერებს ოპოზიციაში ვაგროვებდი, რათა საკონსტიტუციო სარჩელზე ნულოვანი ვარიანტის რატიფიცირება არ მომხდარიყო. 2001 წლის აგვისტოში, დავტოვე მოქალაქეთა კავშირი და ვიყავი „პირველი მერცხალი“, რომელმაც ღიად დაადანაშაულა შევარდნაძე ანტისახელმწიფოებრივ ქმედებებში.

— როდის გაჩნდა ბზარი ერთი გუნდის წევრებს — კობა დავითაშვილსა და მიხეილ სააკაშვილს შორის?

— პირველი კონფლიქტი ჩემსა და

ჟვანია-სააკაშვილს შორის, „რუსთავი 2“-ს უკავშირდება. როდესაც ფრიდონ ინჯიამ ტელეკომპანიის დახურვა განიზრახა, ტელევიზიიდან მომივიდა წერილი თხოვნით, რომ დავხმარებოდი. ჩვენში მოქმედებდა ჯერ კიდევ ზვიად გამსახ-

ეს იმას ნიშნავდა, რომ მაჟორიტარები გაურიგდნენ რევოლუციონერებს — ოღონდ, პარლამენტში დაგვტოვეთ და თქვენი ერთგულები ვიქნებითო, — რაც ჩემთვის მიუღებელი იყო...

ურდიას პრეზიდენტობის დროს მიღებული კანონი — „მასობრივი ინფორმაციის საშუალებების შესახებ“, რომლის თანახმადაც, საინფორმაციო საშუალებების დახურვა მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით იყო შესაძლებელი. ამდენად, მინისტრ ინჯიას, ტელეკომპანიის დახურვის არავითარი უფლება არ ჰქონდა. მოვამზადე დასკვნა და შევუტანე მიხეილ სააკაშვილს *(ის მაშინ, იურიდიულ საკითხთა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე გახლდათ. — ავტ.)*. მან კი ინჯიას გადაწყვეტილების წინააღმდეგ წასვლა ამიკრძალა და მირჩია, თავი დამენებებინა. როდესაც ის უცხოეთში გაემგზავრა, ვისარგებლე შემთხვევით და აღნიშნული დოკუმენტი ნინო ბურჯანაძეს შევუტანე, რომელიც მაშინ სააკაშვილის პირველი მოადგილე იყო. ქალბატონი ნინო იურისტია და იოლად დავარწმუნე იმაში, რომ ჩემი გადაწყვეტილება სამართლიანი იყო და მან დასკვნაზე ხელი მომიწერა. სწორედ ეს დასკვნა დაედო საფუძვლად უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომლის ძალითაც, ტელეკომპანია „რუსთავი 2“ დახურვას გადაურჩა. განაწყენებულმა ჟვანიამ და სააკაშვილმა სამსახურიდან დამითხოვეს. თუმცა, გული მალევე მოულბათ და 1998 წლის არჩევნებზე კვლავ დამიძახეს.

— თქვენ იყავით ვარდების რევოლუციის ორგანიზატორთა აქტიური მხარდამჭერი. რატომ გაემიჯნეთ სულ მოკლე ხანში ხავერდოვნად მოსულ ხელისუფლებას?

— თუ რატომ ვიყავი ვარდების რევოლუციის ორგანიზატორთა მხარდამჭერი, პასუხი მარტივია: ყელში ამომივიდა შევარდნაძის არასწორი პოლიტიკა, არჩევნების გაყალბება და მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. ვფიქრობდი, რომ მშვიდობიანი გზით განხორციელებული რევოლუციით ქვეყნის მდგომარეობა უკეთესობისკენ შეიცვლებოდა. მაგრამ სამწუხაროდ, რევოლუციის შემდეგ, ძალიან მალე მივხვდი, რომ სააკაშვილი-ჟვანიას გუნდს სხვა ინტერესები ამოძრავებდა. კერძოდ, 2003 წლის 23 ნოემბრიდან მესამე დღეს, რევოლუციის ლიდერებმა კონტრრევოლუციური გადატრიალება მოაწყვეს: უზენაესმა სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, 2 ნოემბერს პროპორციული წესით ჩატარებული არჩევნები გაუქმებულიყო და მაჟორიტარები დარჩენილიყვნენ. ეს იმას ნიშნავდა, რომ მაჟორიტარები გაურიგდნენ რევოლუციონერებს — ოღონდ, პარლამენტში დაგვტოვეთ და თქვენი ერთგულები ვიქნებითო, — რაც ჩემთვის მიუღებელი იყო. მივხვდი, რომ რევოლუციის ავტორებს მხოლოდ ძალაუფლების ხელში ჩაგდების სურვილი ამოძრავებდათ. დღეისათვის, ხელისუფლება კონსტიტუციური მოწყობის თურქმენულ მოდელს იყენებს. პარლამენტს წიხლი ჩაეზილეს, სასამართლო ხელისუფლება არ არსებობს და თითქმის მთელი ძალაუფლება აღმასრულებელი ხელისუფლების ხელშია.

— როგორც ვიცით, რევოლუციური ტრიუმვირატი საკმაოდ სოლიდურ თანამდებობებსაც გთავაზობდათ. მართალია?

— პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის პოსტზე ყოფნისას, ნინო ბურჯანაძე კონტროლის პალატის თავმჯდომარის პოსტს, სააკაშვილი კი — თავდაცვის მინისტრობას მთავაზობდა. სამაგიეროდ, საკონსტიტუციო ცვლილებების განხილვის დროს, მე უნდა გავჩუმებულიყავი... გარიგებაზე არ წავედი და თანამდებობებზე უარი ვთქვი, იმიტომ, რომ მირჩევნია, ხალხის ნდობა და სიყვარული მქონდეს, ვიდრე თანამდებობა.

— ხალხის ნდობისა და სიყვარულის მოპოვება მინისტრის ამპლუადან გაგიჭირდებოდათ თუ სხვისი მითითებების შესრულებას აარიდეთ თავი?

— დავკარგავდი ხალხის ნდობას, რადგან იმის საპირისპირო ნაბიჯების გადადგმა მომიწევდა, რასაც ვარდების რევოლუციამდე ვქადაგებდი. ვერ შევძელი „ფირფიტის გადატრიალება“ და სხვა „მუსიკის დაკვრა“, რაც სხვებმა ასე მარტივად მოახერხეს. შემდგომში განვითარებულმა მოვლენებმა დამარწმუნა, რომ ვარდებით მოსული ხელისუფლება ცრუპენტელების ჯგუფი აღმოჩნდა. დაივიწყეს დაპირებები: ანაბრების, სამუშაო ადგილების, პენსიების, ქალაქის მერის არჩევითობის, მცირე მეწარმის გადასახადებისგან გათავისუფლების და ა.შ. თაობაზე. რევოლუციამდე გამოთქმული ყველა ეს დაპირება დაივიწყეს და შეუდგნენ სავარძლების განაწილებას. კონსერვატიული პარტიის შექმნის მიზანი, სწორედ ხელისუფლების ქმედებების შეჩერებაა.

— თუ არსებობს საკითხი, რომელშიც ხელისუფლების პოზიციას იზიარებთ?

— ვეთანხმებოდი და მხარს ვუჭერდი პრეზიდენტის კურსს ასლან აბაშიძისგან აჭარის გათავისუფლების საკითხში. ეს ვარდების რევოლუციის გზით მოსული ხელისუფლების ერთადერთი მნიშვნელოვანი წარმატებაა. თუმცა ეს საკითხი დასრულებული არ არის და მე კიდეც დავდიოდი და ვაგროვებდი ხელმოწერებს — რომ აჭარა, როგორც ავტონომიური რესპუბლიკა გაუქმებულიყო და შექმნილიყო თვითმმართველობის ორგანოები აჭარის სხვადასხვა რაიონში. ხელმოწ-

ვერ შევძელი „ფირფიტის გადატრიალება“ და სხვა „მუსიკის დაკვრა“, რაც სხვებმა ასე მარტივად მოახერხეს. შემდგომში განვითარებულმა მოვლენებმა დამარწმუნა, რომ ვარდებით მოსული ხელისუფლება ცრუპენტელების ჯგუფი აღმოჩნდა

ერებით დადგინდა, რომ 70 ათასი აჭარელი ავტონომიის არსებობის წინააღმდეგია. სამწუხაროდ, პრეზიდენტმა ეს ხელმოწერები ნაგვის ყუთში მოისროლა. პრეზიდენტი თავად არღვევს კანონს, როდესაც მისი სარეზერვო ფონდიდან 10 მილიონის ნაცვლად, 64 მილიონს ხარჯავს. 4 ათასი ლარი სტიქიით დაზარალებულთათვის გამოყო, ათეულობით მილიონ ლარს კი, რუსლანას კონცერტზე, სეირნობებსა და გართობებზე ხარჯავს. სააკაშვილმა კანონი დაარღვია, როდესაც თბილისის მერი (და არა მხოლოდ თბილისის) არჩევნების გარეშე დანიშნა. არადა, შევარდნაძის დროს, მე, მიხეილ სააკაშვილმა, ზურაბ ადეიშვილმა, ნოდარ გრიგალაშვილმა, ვანო მერაბიშვილმა და პეტრე ცისკარიშვილმა შევიტანეთ კანონპროექტი, რომ თბილისის მერის არჩევნები ჩატარებულიყო. მერის არჩევითობა სააკაშვილს სჭირდებოდა, როგორც ტრამპლინი საპრეზიდენტო არჩევნებისთვის. ახლა მერის არჩევითობის საკითხი მას აღარ აღელვებს.

— არ ფიქრობთ, რომ სადღეისოდ, ხელისუფლების ოპოზიცია იმდენად სუსტია, რომ საბოლოო ჯამში, მაინც უმრავლესობა იღებს გადაწყვეტილებებს?

— ბოლო დროს, ოპოზიცია თანდათანობით ძლიერდება. ამის მაგალითია ის, რომ შეიქმნა „დემოკრატიული ფრონტი". სწორედ ოპოზიციის ძალისხმევით, მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლე არ გასხვისდა. ბევრს აბრახუნებდა უგულავა მუშტს და ამბობდა, უკან არ დავიხევო, მაგრამ როგორც ხედავთ, უკან დახევა მაინც მოუხდა. სწორედ ოპოზიციამ დიდი ძალისხმევით შეაჩერა იპოდრომზე ხეების ჩეხა, კორპუსების წამოჭიმვა რომ სურდათ. ამრიგად, თუ ხალხი დაგვიდგა გვერდზე, ოპოზიცია თანდათანობით უფრო მეტად გააქტიურდება.

—„დემოკრატიული ფრონტის" შექმნის მიზანი რა არის?

— აიძულოს ხელისუფლება, შეასრულოს ის დანაპირები, რომლებსაც რევოლუციამდე და რევოლუციის შემდეგაც ქადაგებდნენ. ვითხოვთ სამუშაო ადგილების შექმნის ხელშეწყობას. მიგვაჩნია, რომ პენსია მოქალაქეებს დამსახურების მიხედვით უნდა ენიშნებოდეს და ხელისუფლებამ მეანაბრეები უნდა დააკმაყოფილოს. მთელ ქონებას რომ ყიდის ბატონი ბენდუქიძე, ეს იმ მეანაბრეების ქონებით არის შექმნილი, რომლებიც ხელისუფლებისგან ანაბრების გასტუმრებას ითხოვენ. სახელმწიფომ მეანაბრეს პრივატიზაციაში სალაროს წიგნაკის საფუძველზე უნდა მიაღებინოს მონაწილეობა, რათა ვალი დაუბრუნოს. ეს ჩემი მოფიქრებული კი არ არის — ლიტვამ და ესტონეთმა სწორედ ამგვარი გზით გაუსტუმრა მეანაბრეებს ანაბრების 80%. გვაქვს აგრეთვე კონკრეტული გეგმა: კანონპროექტის მხარდასაჭერად, ხალხში ვაგროვებთ 300 ათას ხელმოწერას, რის შემდეგაც, სახელმწიფო მოვალე იქნება, მეანაბრეებს ვალი ეტაპობრივად დაუბრუნოს.

— თუ ხელისუფლებამ დანაპირები არ შეასრულა, ოპოზიცია ვარდების რევოლუცია-2-ის მოწყობას ხომ არ გეგმავს?..

— არ ვიცი, რა დაერქმევა — ვარდების რევოლუცია-2 თუ სხვა რამ, მაგრამ ნამდვილად ვიცი, რომ თუ ხელისუფლებამ დანაპირები არ შეასრულა, მოსახლეობის მხარდაჭერით კიდევ ერთი მშვიდობიანი რევოლუციის მომსწრენი გავხდებით. არათუ პენსიები და ანაბრები, ამ ხელისუფლების პირობებში, დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებაზეც ზედმეტია ლაპარაკი. ამჟამად ვმუშაობთ პროექტზე — „ბიუჯეტი — ხალხს". მხოლოდ ცენტრალურ უბნებში რომ დააგეს ასფალტი და შეაკეთეს წყალგაყვანილობა, გლდანის რაიონი ზანგების კვარტალია?! მტკვრის მარცხენა სანაპიროს მოსახლეობას თუ აქამდე ბულაჩაურის წყლით ამარაგებდნენ, ახლა უკვე თბილისის ზღვის მღვრიე წყალს ასმევენ... მოსახლეობა სერიოზულად აპროტესტებს ხელიხუფლების ქმედებებს და სულ მალე, კონსერვატიული პარტიის ორგანიზებით, თბილისის მერიის წინ მრავალრიცხოვანი საპროტესტო აქცია გაიმართება.

— მერიის წინ მრავალრიცხოვან საპროტესტო აქციას ვარდების რევოლუციის ორი წლისთავის აღსანიშნავად ხომ არ ამზადებთ?

— რევოლუციის ორი წლისთავისთვის ალბათ, ვერ მოესწრება, რადგან მრავალრიცხოვან აქციას სერიოზული ორგანიზება სჭირდება. აქციაზე მხოლოდ 100 და 200 კაცი კი არ იქნება, არამედ რამდენიმე ათასი ადამიანი. პარლამენტის წინ რომ შადრევანი გაკეთდა, 6 მილიონი ლარი დაიხარჯა. ეს თანხა გლდანი-ნაძალადევის რაიონის გზებს მთლიანად შეაკეთებდა. ათასობით ადამიანს რომ მოვუყვანა მერიის წინ უგულავას და და გლდანის ტალახს დავუყრი, ნახეთ, როგორ შეფუცხუნდება და დაინტერესდება პერიფერიულ უბნებში არსებული პრობლემებით.

— თქვენ კერძო ინვესტორისთვის წინანდლის სახლ-მუზეუმის იჯარით გაცემასაც აპროტესტებთ. როგორ ფიქრობთ — მიაღწევთ შედეგს?

— 49-წლიანი იჯარა მთავრდება საკუთრებაში გადაცემის უფლებით. როგორ შეიძლება, მუზეუმი, კულტურული საგანძური გაიყიდოს?! კონსერვატიულმა პარტიამ ეკონომიკის სამინისტროს წინააღმდეგ თბილისის საქალაქო სასამართლოში სარჩელი შეიტანა. ამდენად, მუზეუმის იჯარით გაცემის პროცესი შეჩერდა. არსებობს კანონი, რომლის მიხედვითაც, აკრძალულია კულტურული მემკვიდრეობის იჯარით გაცემა ან გაჩუქება. მიგვაჩნია, რომ პროცესს მოვიგებთ.

— თქვენს ყველაზე დიდ წარმატებად რას მიიჩნევთ და როგორია ოჯახის დამოკიდებულება თქვენი საქმიანობის მიმართ?

— ყველაზე დიდი წარმატება და მონაპოვარი, ჩემი ოთხი ბიჭია. რაც შეეხება ოჯახის დახმარებას, მინდა აღვნიშნო, რომ ცოლი იმ დროს მოვიყვანე, როდესაც ადვოკატურაშიც და პოლიტიკაშიც პირველ ნაბიჯებს ვდგამდი. ყოველთვის აღვნიშნავ, რომ დაოჯახების შემდეგ „გამეხსნა ბედი": ფულიც მაშინ ვიშოვე და პოლიტიკაში წარმატებით გავიკვლიე გზა. ამდენად, მეუღლის მხარდაჭერა ადრეც ძალიან მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის და ახლაც მნიშვნელოვანია. მეხმარებიან მშობლებიც: სოფლიდან საკვები პროდუქტებით მამარაგებენ და არჩევნებში ყოველთვის მხარს მიჭერენ. ■

თმის გადანერგვის კლინიკა
«თალიზი»
თმის გადანერგვის პირველი სპეციალიზებული კლინიკა ამერიკავკასიაში

მრავალნლიანი გამოცდილება, ხარისხი, გარანტირებული შედეგები
უახლესი ამერიკული მეთოდები - მხოლოდ ჩვენთან!
ფოლიკულური გაერთიანებების მასშტაბური ტრანსპლანტაციები,
სტერეომიკროსკოპული ტექნოლოგია, FOX-პროცედურები
თმის გადანერგვა ხორციელდება 2-3 საათში უმტკივნეულოდ
გადანერგილი თმა ბუნებრივად იზრდება და არ ცვივა.
კონსულტაციები უფასოა და ანონიმური.
ბულაკეშტის ქ. 22, მესაზღვრეების ჰოსპიტალი, III სართული
ტელ.: 25-37-39; 37-50-89; 899-53-07-10 www.talizi.ge

ახალი კლიპი, წინასაახალწლო საშზადისი და „გაზრდილი“ კონტრაქტი, გათხოვების უფლებით

ახალგაზრდა მომღერალი ქეთა თოფურია, რომელიც უკვე თითქმის ერთი წელია, ჯგუფ „ა სტუდიოს“ სოლისტია, მოსკოვში გამგზავრების შემდეგ, არცთუ ისე იშვიათად ჩამოდის საქართველოში. აქამდე ის კონცერტების ჩასატარებლად ჩამოდიოდა, ამ დღეებში კი, პირადი საქმის მოსაგვარებლად ეწვია მშობლიურ ქალაქს. ჩამოსვლისთანავე, მას იმდენი რამ ჰქონდა მოსაგვარებელი, რომ გამგზავრების წინ, სულ რაღაც 15 წუთით მოვიხელთეთ ინტერვიუს ჩასაწერად.

ნათია ქივიძე

— ქეთა, როგორ ხარ?

— გმადლობ, არაჩვეულებრივად! იმედი მაქვს, საქართველოშიც ყველა კარგად ხართ.

— ამჯერად რა ქარმა შემოგაგდო თბილისში? როგორც ვიცი, მარტო ხარ ჩამოსული...

— მართალია, მარტო ჩამოვედი. ჩემს პასპორტს ვადა გასდიოდა და ორი კვირით ადრე ჩამოვედი ვადის გასაგრძელებლად, რომ მომავალში, რუსეთში პრობლემები არ შემქმნოდა. ზუსტად ორი დღე ვიყავი თბილისში.

— რა არის შენკენ ახალი? გავიგეთ, ახალი კლიპი გადაგიღია...

— მართალია, ახალი კლიპი გადავიღეთ, რომლის პრეზენტაციაც ქართველი მაყურებლისთვის ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ეთერში იყო. კლიპის რეჟისორი არის სერგეი გუსევი. გადაღებები სანქტ-პეტერბურგში მიმდინარეობდა. კლიპში ესპანური ელემენტებია ჩართული, რაც პირადად მე, ძალიან მომწონს. იმედი მაქვს, ქართველ მსმენელსა და მაყურებელსაც ძალიან მოეწონება.

— რა შეიცვალა შენს ცხოვრებაში, რაც „ა სტუდიოს“ სოლისტი გახდი?

— ხასიათით, როგორიც ვიყავი, ისევ ისეთი დავრჩი. შეიცვალა ის, რომ სულ სხვა გარემოში ვარ. მატერიალური მდგომარეობაც გამიუმჯობესდა, უფრო პოპულარულიც გავხდი, უფრო მეტმა ხალხმა გამიცნო. ცოტა მარტოობასაც მივეჩვიე, რადგან როცა გასტროლებზე ვართ, სასტუმროს ნომერში ყოველთვის მარტო ვარ და უფრო დამოუკიდებელიც გავხდი. სხვა ისეთი არაფერი.

— ხასიათი ცოტათი მაინც არ შეგცვლია? ისევ ისეთი ცელქი ხარ?

— არა, ხასიათი არ მეცვლება.

— მახსოვს, ადრე, შენი უფროსი მეგობარი გირჩევდა — ასაკი მოგეტა და ცოტა უნდა დასერიოზულდეო...

— მართალი ხარ. მაგრამ იმავე მეგობარმა რამდენჯერმე დასერიოზულებული რომ მნახა, თვითონვე მითხრა — ჯობს, ისევ ისეთი გიჟქალა იყო, ვიდრე ასეთი სერიოზული, — ვერ გეგუებით ასეთსო.

— ამ კლიპის გადაღების შემდეგ, კიდევ რა გეგმები აქვს „ა სტუდიოს“?

— რა თქმა უნდა, ახლავე კლიპზე მუშაობას აღარ დავიწყებთ. უკვე იწყება საახალწლო ტელეგადაცემების ჩაწერა, სადაც ჩვენ ყველანი მივიღებთ მონაწილეობას. დავიწყეთ საახალწლო სიმღერების ჩაწერა, გასტროლებზე დავდივართ და ა.შ.

— ალბათ ახლა, გაცილებით საინტერესო ცხოვრებით ცხოვრობ, ხომ?

— რა თქმა უნდა. საინტერესო რაღაცების გარდა, პერსპექტიულიც არის. ჩემთვის ასეთი ცხოვრება გაცილებით მისაღებია, ვიდრე ისეთი, როგორითაც საქართველოში ვცხოვრობდი.

— ხომ არ აპირებ, ისე წარმართო საქმიანობა, რომ შენი პოპულარობა უფრო ფართომასშტაბიანი გახდეს და რუსეთის საზღვრებსაც გასცდეს?

— რომ გითხრა, ვაპირებ-მეთქი, ეს ცოტა ხმამაღლა ნათქვამი იქნება. თუ რაიმე შემოთავაზება იქნება, ჩვენ რა თქმა უნდა, დავთანხმდებით. ამ ეტაპზე, რაღაც მოლაპარაკებები ნამდვილად მიმდინარეობს, მაგრამ რამდენად რეალურია, ვერ გეტყვი.

— ჯგუფში, შენ გარდა, სულ ბიჭები არიან. თავს როგორ გრძნობ მათ გარემოცვაში?

— თავს მართლა ძალიან კარგად ვგრძნობ, ყველანი ძალიან დადებითი, თბილი და კარგი ადამიანები არიან. ყველა მათგანი ხელისგულზე მატარებს და ძალზე მიფრთხილდება. მათთვის მადლობის მეტი არაფერი მეთქმის.

— ადრე თითქოს, შენი იმიჯის შეცვლაზე იყო ლაპარაკი. ახლა ამის შესახებ არაფერს ამბობენ?

— არა. მათ აკმაყოფილებთ ჩემი იმიჯი.

— შენს პირად ცხოვრებაში ხომ არ არის რაიმე სიახლე?

— ჩემს პირად ცხოვრებაში არანაირი სიახლე არ არის, რადგან სიმღერით იმდენად დაკავებული ვარ, რომ აღარაფრის დრო აღარ მრჩება.

— ალბათ, თაყვანისმცემლების რიცხვი გაგეზარდა...

— კი, ეგ თავისთავად მოხდა..

— საერთოდ, თუ მოგწონს რუსი მამაკაცები?

— რა მნიშვნელობა აქვს, კაცი რუსია თუ ქართველი?! მთავარია, მამაკაცური, სიმპათიური და კარგი ადამიანი იყოს, ჩემთვის მის ეროვნებას მნიშვნელობა არა აქვს. თუნდაც, იტალიელი იყოს.

— ეი. არ არის გამორიცხული, რომ ცხოვრების თანამგზავრად უცხოელი მამაკაცი ამოირჩიო?

— ნამდვილად არ არის გამორიცხული. ვნახოთ.

რა მნიშვნელობა აქვს, კაცი რუსია თუ ქართველი?! მთავარია, მამაკაცური, სიმპათიური და კარგი ადამიანი იყოს

— თავიდან, შენ „ა სტუდიოსთან“ სამწლიანი კონტრაქტი დადე. ხომ არ შეცვლილა თქვენი მოლაპარაკება?

— შეიცვალა. ის კონტრაქტი ოთხწლიანი გახდა. თანაც გათხოვებისა და შვილის გაჩენის უფლებაც მომცეს. მოკლედ, სრული თავისუფლება მაქვს. მთავარია, ვინმე შემიყვარდეს, მაგრამ როგორც ზემოთ აღვნიშნე, ჯერ ამისთვის ნამდვილად არ მცალია.

— ნატო დუმბაძეზე რას გვეტყვი?

— რა უნდა გითხრათ, გარდა ერთისა: დიდი მადლობა, ნატო, დიდი მადლობა!..

— მოსკოვში ხშირად გსტუმრობს?

— არა. მოგეხსენება, რომ ნატო საქმიანი ქალია, ამიტომ ჩემთან სტუმრად ჩამოსასვლელად ხშირად ვერ იცლის.

— იქაური შოუბიზნესის წარმომადგენლებთან როგორი ურთიერთობა გაქვს?

— არაჩვეულებრივი. თითქმის ყველა მათგანთან მეგობრული ურთიერთობა მაქვს. მათაც ვუყვარვარ და პატივს მცემენ. უკმაყოფილო ნამდვილად არ ვარ.

— უფრო გამორჩეულად ვისთან მეგობრობ?

— ეგრე გამორჩეული არავინ მყავს, ისევ და ისევ — დროის უქონლობის გამო. მაგრამ როცა ვხვდები, ყველასთან კარგი დამოკიდებულება მაქვს. დათო ხუჯაძესთან რომ ახლო მეგობრობა მაკავშირებს, ეს ალბათ, ყველამ კარგად იცის.

ქეთას გამგზავრების შემდეგ, ორიოდე კითხვით ***ნატო დუმბაძესაც*** *გავესაუბრეთ:*

— ნატო, ქეთამ აღნიშნა, რომ მის პირად ცხოვრებაში ახალი არაფერია, თუმცა შევიტყვე, რომ არსებობს მამაკაცი, რომელზეც ქეთა ფიქრობს. რას იტყვი ამის შესახებ?

— არა, ამ ეტაპზე ქეთას ცხოვრებაში მართლა არავინ არსებობს. უბრალოდ, გასულ ზაფხულს ქეთა თურქეთში ისვენებდა, სადაც გაიცნო თურქი მამაკაცი, რომელიც ამერიკაში ცხოვრობს. ეს იყო ჩვეულებრივი საკურორტო გატაცება, რომელსაც არანაირი გაგრძელება არ მოჰყოლია.

— თქვენ თუ გაქვთ ჩაფიქრებული რაიმე ერთობლივი პროექტი?

— რა თქმა უნდა. გეგმაში უამრავი პროექტი გვაქვს, მაგრამ წლეულს ვერც ერთი მათგანის განხორციელებას ვეღარ მოვასწრებთ. მომავალში კი, თავად შეიტყობთ ყველაფერს. ახლა მეც და ქეთაც ვფიქრობთ ამ ყველაფერზე და ვნახოთ, რა იქნება.

— თბილისში „ა სტუდიოს“ აღარ მოიწვევთ?

— იცი, რა... რაც ქეთა ამ ჯგუფის სოლისტია, უკვე სამჯერ გვყავდა აქ მოწვეული. მართალია, სამჯერვე დიდი ფურორი მოახდინა, მაგრამ ცოტა უნდა დავასვენოთ „ა სტუდიოც“ და ქართველი მსმენელიც. ქეთას წინ კიდევ დიდი კარიერა ელოდება. ■

ზინა ბოქერაშვილი საქართველოდან 27 წლის წინ წავიდა. ბევრი ებრაელის მსგავსად, ისიც თავის სამშობლოს — ისრაელს დაუბრუნდა. მაგრამ სიყვარული, რომელიც აქედან გაჰყვა, არასდროს განელებია... საქართველოში რამდენიმე დღით ჩამოსულმა, ჩვეულებრივ ქართულ ოჯახში ღამის გატარება მოისურვა, სასტუმროს თანამშრომელს სთხოვა — იქნებ, ვინმემ ჩემი მასპინძლობა ისურვოსო. მერე კი, ერთ ქალბატონს სიამოვნებით გაჰყვა მის ღარიბულ, მაგრამ სტუმართმოყვარე ოჯახში.

„27 წელი არ ვყოფილვარ აქ...

გაჭირვება ყველა კუთხე-კუნჭულში იგრძნობა, მაგრამ ხალხი არ შეცვლილა...“

ლელა ჭანკოტაძე

— მამაჩემს ისაკი ერქვა. თბილისში ცხოვრობდა, მაგრამ რადგან ვანელი ქალი შეირთო, აქაურობა მიატოვა და

საცხოვრებლად დასავლეთ საქართველოში გადავიდა. ისინი ფოთში დასახლდნენ. მამა მშრომელი, პატიოსანი კაცი იყო. ორივე ვაჟიშვილი ქართულ ჯარში გაუშვა, რაც ებრაელობაში უიშვიათესი შემთხვევა იყო. მე, 16 წლის ასაკში გამათხოვა. ჩემს ქმარს 10 და-ძმა ჰყავდა. მოგეხსენებათ, მრავალშვილიან ოჯახებში როგორი განსაკუთრებული სითბო და სიყვარული სუფევს. მაგრამ ცალკე დასახლება მაინც აუცილებელი იყო... მე და ჩემმა ქმარმა გეზი სოხუმისკენ ავიღეთ. ძალიან კარგად ვცხოვრობდით. გემით თუ რამე კარგი საქონელი შემოდიოდა, ვყიდულობდი და მერე, ვვაჭრობდი. ეს იყო 1965-78 წლებში; კუიბიშევის ქუჩაზე კოხტა ბინა მქონდა. ორი მოსამსახურე მყავდა. მაშინ არც ვიცოდით, ვინ — ქართველი იყო, ვინ კიდევ — აფხაზი ან ებრაელი. ყველანი ვმეზობლობდით და ვმეგობრობდით... 8 წელი შვილი არ მყავდა. ბოლოს, როგორც იქნა, შვილი გვეღირსა. მეზობლებმა, სანამ სამშობიარო სახლიდან გამომწერდნენ, აკვანი მიყიდეს, გააწყვეს და დამახვედრეს. ისეთი სითბო მაგრძნობინეს, მეგონა, დედაჩემი ჩამოვიდა და ის ზრუნავდა ჩემზე. მერე, მეორე შვილიც შემეძინა. 13 დღე, უფროსი გოგონა მეზობლებმა შეინახეს, არც კი მიფიქრია, რომ ოდესმე ასეთ სითბოსა და მეგობრობას მტრობა გადასძალავდა...

— აფხაზეთის ომის დროს, უკვე ისრაელში ცხოვრობდით?

— სოხუმი 1978 წელს დავტოვე. ჩემი მშობლები და და-ძმანი უკვე 9 წლის წასულები იყვნენ საქართველოდან. ჩემი ქმრის ოჯახიც ისრაელში გადავიდა საცხოვრებლად. მახსოვს, დედა რომ მიდიოდა, მთელი მისი სამეზობლო ტიროდა... მერე, ჩვენც წავედით. მეზობლებმა და მეგობრებმა დიდი სუფრა გააწყვეს. ყველანი ვტიროდით. რკინიგზის სადგური ხალხით იყო სავსე. რამდენიმე მეზობელმა მოსკოვამდე გაგვაცილა. აქედან ცრემლის ზღვა გამატანეს. წლების შემდეგ, როცა აფხაზეთში ომი დაიწყო, ქართველი ებრაელები ტელევიზორებს არ მოვცილებივართ. ტირილი მაშინ უნდა გენახათ, სოხუმი რომ დაეცა...

— სოხუმში ჩასვლა არ გიცდიათ?

— არა. მეშინია, რომ იქიდან ცოცხალი ვეღარ გამოვაღწევ. თუმცა, ოცნე-

ბად მექცა ამ უმშვენიერესი ქალაქის ხილვა. ახლა, როგორც კი ჩამოვედი, ბევრი სახლი მოვინახულე, სადაც კი სოხუმელი ლტოლვილები ჩამოასახლეს. ჩემი ნაცნობების ნახვა მინდოდა, მაგრამ ვერ-ავინ ვნახე. ერთი მეზობლის კვალსაც კი ვერ მივაგენი.

აჟდოთი ქართველ ებრაელთა „დედაქალაქია“. იქ თუ ჩახვალთ, თავი საქართველოში გეგონებათ (ბინა ბოქერაშვილი მარცხნივ)

— ისევ იმ პერიოდს დავუბრუნდეთ, როცა სოხუმი დატოვეთ და ისრაელში წახვედით. ალბათ, ძნელი იყო ცხოვრების თავიდან დაწყება, ხომ?

— ჩემი შვილები ფუფუნებაში ცხოვრებას იყვნენ მიჩვეულნი. სოხუმში მათ ყველაფერი ჰქონდათ. ისრაელში თავიდან, ცოტა გაგვიჭირდა. მთავრობამ მეოთხე სართულზე დიდი ბინა მოგვცა. ქალაქ ლუდში დავსახლდით. ლუდი ისტორიული ქალაქია, იქ ანტიკური ხანის ნაგებობებიც კი არის შემორჩენილი. ყველას შეგვეძლო „ურპანის“ დამთავრება: „ურპანი“ — წერა-კითხვის შემსწავლელ კურსებს ნიშნავს. პატარა ბავშვები მყავდა. დრო არ მრჩებოდა, ამიტომ ეს შანსი დღემდე ვერ გამოვიყენე. ახლა საკუთარი ბიზნესი მაქვს, ისრაელში დაფასებული და პატივსაცემი ქალი ვარ, მაგრამ წერა-კითხვა მაინც ვერ ვისწავლე. ისრაელში ჩასვლის პირველსავე დღიდან, ყველას სურვილი იყო, რომ ყველაფერი, რაც საქართველოსთან გვაკავშირებდა, შეგვენარჩუნებინა. ამიტომ შვილები მაშინვე, ქართული ხალხური ცეკვების შემსწავლელ წრეზე შევიყვანე. ასე იქცეოდა ყველა ქართველი ებრაელი. სახელგანთქმულია გურამ მიხელაშვილის მოცეკვავეთა ჯგუფი. ბატონი გურამი სუხიშვილების ყოფილი მოცეკვავეა. კარგი მოცეკვავეები ჰყავთ მიხო სეფიაშვილსა და სიმონ ჯანაშვილსაც. ქართული კერძები ისრაელში ყოველთვის პოპულარული იქნება... როცა იქ ჩავედით, მაშინვე შევნიშნე ქართული სახინკლე. მერე, მეც გავხსენი ქართული სასადილო. აჟდოთში არსებობს სახინკლე „ნანა“. იქ უგემრიელეს ხინკალს აკეთებენ; ხაჭაპური, ლობიო, ცხელი მჭადი ხალხს ისე მოსწონს, რომ იმ სასადილოში მოსახვედრად რიგი უნდა დაიკავო. აჟდოთი ქართველ ებრაელთა „დედაქალაქია“. იქ თუ ჩახვალთ, თავი საქართველოში გეგონებათ.

— ამჟამად რა საქმიანობას ეწევით?

— მაქვს ტურისტული სააგენტო. მსოფლიოს ცნობილ საკურორტო ქალაქებში ჩამყავს დამსვენებლები. ასევე მაქვს გაცნობის კლუბი, სადაც ახალგაზრდების შესახებ ყველანაირი ინფორმაციის მოძიება შეგიძლიათ. მოდის დაოჯახების მსურველი, ვეცნობით მას, ვესაუბრებით, მერე ვეძებთ მისთვის შესაფერის საცოლეს ან საქმროს. ეს კლუბი ისრაელში ძალზე პოპულარულია. იქაურ ტელევიზიაშიც კი ვიყავი მიწვეული. მთელი მსოფლიოდან გვიკავშირდებიან. მაგალითად, აშშ-ში მცხოვრებ ებრაელ ყმაწვილს თუ სურს ისრაელში მცხოვრები გოგონას შერთვა, დაგვიკავშირდება და თავის მოთხოვნებს გაგვაცნობს. ვეხმარებით ებრაელ ხალხს ოჯახების შექმნაში. სამწუხაროდ, საქართველოში ებრაელები თითქმის აღარ ცხოვრობენ, თორემ, სიამოვნებით გავათხოვებდით ან დავაქორწინებდით.

— რა მოთხოვნები აქვთ ებრაელ გოგონებს? ვინ ითვლება ისრაელში კარგ სასიძოდ?

— მთავარია, ვაჟი მუშაობდეს და პატიოსანი ოჯახი ჰქონდეს. დიდი მნიშვნელობა აქვს ეროვნებას. ებრაელს ძირითადად, ებრაელზე დაოჯახება სურს. თუმცა, არის იშვიათი გამონაკლისებიც. ამასთან, განათლებულ გოგონებს მხოლოდ განათლებულ ვაჟებთან სურთ ოჯახის შექმნა, ვაჟების უმეტესობას კი — ლამაზი ცოლი. ადრე გადამწყვეტი, მატერიალური მდგომარეობა იყო. ახლა დიდი მნიშვნელობა აღარ ექცევა იმას, მდიდარია თუ არა ვაჟი. ახალგაზრდების მშობლები თანაბრად დებენ ფულს და მათთვის ბინას ყიდულობენ. ახალდაქორწინებულებმა ცალკე უნდა იცხოვრონ — ეს უკვე წესად იქცა.

— მშობლები თუ ერევიან შვილების არჩევანში?

— ჯერ კიდევ დიდი მნიშვნელობა ენიჭება მშობლების აზრს. ამიტომ ხშირად, ჩვენთან დედები მოდიან, შვილების ფოტოსურათებით ხელში; ისინი მიხსნიან, როგორი სარძლო ან სასიძო სურთ. ამ გზით შექმნილი ოჯახები უფრო მყარია. სამწუხაროდ, ბოლო პერიოდში, უფრო ხშირი გახდა განქორწინება. ებრაული ოჯახები ინგრევა, რაც წლების წინ წარმოუდგენელი იყო. მეც დასაქორწინებელი ბიჭი მყავს. კარგ გოგოს ვეძებ. აუცილებლად ქართველი რძალი მინდა. ძალიან მიყვარს ქართული ენა, სამზარეულო, ცეკვები, სიმღერები. ჩემი სიძე ქართველი ებრაელი არ არის, მაგრამ ძალიან კარგი ბიჭია. მეც მინდა, სტუმრად ქართველი მოყვრები მომივიდნენ და ერთმანეთი ქართული სტუმართმოყვარეობით გავაოცოთ ხოლმე...

— თქვენმა შვილებმა ქართული ენა იციან?

— რა თქმა უნდა. ისრაელში ყოველი ქართველი ებრაელი ერთმანეთს ქართულად ელაპარაკება. ვერ ნახავთ ბავშვს, ქართული რომ არ იცოდეს. ჩემი შვილიშვილი მხოლოდ 2 წლის არის და უკვე დავაწყებინეთ ქართულის შესწავლა. ნებისმიერმა ქართველმა ებრაელმა იცის ქართული წერა-კითხვა, ივრითული წერა-კითხვა კი — არა.

— რამდენი წელია, რაც საქართველოში არ ყოფილხართ?

— 27 წელია, რაც აქედან წავედი. მას შემდეგ, არ ჩამოვსულვარ. პირველად მოვინახულე აქაურობა. ჩვიდმეტნი ჩამოვედით ერთად. აქაური ეკლესიამონასტრები დავათვალიერეთ. ფეხით იმდენი ვიარე, ალბათ, ადამიანურ შესაძლებლობებს აღემატება... იცით, რა დამემართა, ტრაპზე რომ დავდგი ფეხი?.. კანკალი დამაწყებინა! თქვენ ვერ გაიგებთ, რას ნიშნავს იმ ქვეყანაში ჩასვლა, სადაც ყველას უყვარხარ და ყველა გიყვარს. ქართველებსა და ებრაელებს შორის განსაკუთრებული სიყვარული იყო, არის და ყოველთვის იქნება.

— როგორი გახსოვდათ საქართველო და როგორი დაგხვდათ?

— ისეთივეა, როგორიც იყო. თუმცა, გაჭირვება ყველა კუთხე-კუნჭულში იგრძნობა. ისრაელში ფუფუნებაა, აქ — სიდუხჭირე... მაგრამ ხალხი მაინც არ შეცვლილა. ის კეთილი და თბილი ხალხი, რომელმაც აქედან უზარმაზარი სიყვარული გაგვატანა, სიდუხჭირის გამო როგორ შეიცვლებოდა?!. გული მტკივა, რომ სოხუმი ვერ ვნახე. ჩემი სიზმრების ქალაქი გაპარტახებულია. მოვა კი ის დრო, როცა სოხუმის მიწაზე ფეხს დავადგამ?..

■

გვარებს შორის უთანხმოებას სისხლის ღვრა მოჰყვა

შვილი მძიმე ჭრილობას გადაურჩა, მამა ორ ადგილზე გარდაიცვალა

ქობულეთის რაიონის ერთ-ერთ სოფელში ორი გვარის წარმომადგენელთა შორის უთანხმოებას საშინელი სისხლის ღვრა მოჰყვა. მამა-შვილი მეზობლად მცხოვრებ ორ ძმას დაუპირისპირდა. წლების მანძილზე, დაუსრულებელმა ჩხუბმა ისინი შემზარავ დანაშაულამდე მიიყვანა. ურთიერთშელაპარაკების დროს, მკვლელობა მოხდა. მამა სანადირო თოფიდან გასროლილმა ტყვიამ იმსხვეპლა, შვილი კი მძიმედ დაიჭრა. მან სიცოცხლისთვის სახიფათო, მძიმე ხარისხის სხეულის დაზიანება მიიღო.

ცივაძეებსა და აფაქიძეებს (ყველა მოქმედი პირის გვარ-სახელი შეცვლილია) შორის დაპირისპირება დაახლოებით 2000 წლიდან დაიწყო. დავა მათ, როგორც ამბობენ, კაკლის ხეებით გაშენებული მიწის ნაკვეთის გამო წამოიწყეს. ამ სადავო საკითხის გარკვევა სოფელში მცხოვრებმა ზემოთ აღნიშნული გვარების წარმომადგენლებმა რამდენჯერმე გადაწყვიტეს. არაერთხელ შედგა მოლაპარაკება, მაგრამ როგორც ჩანს, მოწინააღმდეგე მხარეებს შორის ამან კონფლიქტი მაინც ვერ ჩაცხრო. ერთ-ერთი ასეთი მოლაპარაკების დროს, სადავო საკითხი აფაქიძეების სასარგებლოდ გადაწყდა. ამის თაობაზე სპეციალური ხელწერილიც გააფორმეს, რასაც 13 დამსწრესთან ერთად, ცივაძეებმაც მოაწერეს ხელი.

ამ ფაქტიდან ორი წლის შემდეგ, სექტემბერში, დაახლოებით დღის 12-ის ნახევრისთვის უბანში, თავიანთ მიწის ნაკვეთზე კაკლის საკრეფად იმყოფებოდნენ ძმები ცივაძეები. ცოტა ხანში, მათ მომიჯნავე სადავო მიწის ნაკვეთში მივიდნენ აფაქიძეებიც. აფაქიძეები რომ დაინახა, ერთ-ერთმა ძმამ — რევაზ ცივაძემ, როგორც თავად აღნიშნა, გადაწყვიტა, მისალმებოდა და ამ მიზნით მიუახლოვდა მათ. სწორედ ამ მომენტში ნაკვეთს უახლოვდებოდა აფაქიძის მამა, ავთანდილ აფაქიძე. გზად მიმავალს, ცივაძეების ძაღლმა შეუღრინა. ამით გაღიზიანებულმა ავთანდილ აფაქიძემ თავის ნაკვეთში ცივაძე რომ დაინახა, გაღიზიანება ვერ დაფარა და უხეშად მიმართა მას, ისე, რომ არც გაურკვევია ცივაძის იქ ყოფნის მიზეზი. თავის მხრივ, არც რევაზ ცივაძემ დატოვა ავთანდილ აფაქიძე უპასუხოდ და შეელაპარაკა მას. შელაპარაკებაში იქვე მყოფი აფაქიძეებიც ჩაერთვნენ და რამდენიმე წამში ყველაფერი ხელჩართულ ბრძოლაში გადაიზარდა. როგორც საქმის მასალებშია აღნიშნული, აფაქიძეებმა რევაზ ცივაძეს ხელებითა და ფეხებით დაუწყეს ცემა. ამ ჩხუბს თვალს ადევნებდა ცივაძის ძმა — თამაზ ცივაძე, რომელიც მოშორებით, თავის ნაკვეთში იმყოფებოდა. როცა დაინახა, რომ მის ძმას სცემდნენ, თოფი აფაქიძეებს დაუმიზნა და იყვირა — გაეთრიეთ აქედან, თორემ მოგკლავთო. მუქარა მან რამდენჯერმე გაიმეორა. აფაქიძეები მიხვდნენ, რომ ცივაძე თავის სიტყვებს აასრულებდა და ავთანდილ აფაქიძის შვილმა — დავით აფაქიძემ გადაწყვიტა, მისთვის იარაღი წაერთმია. ამ მიზნით მივარდა ცივაძეს, თოფი გამოსტაცა, რის შემდეგაც მამამისთან ერთად ცემა დაუწყო მას. როგორც საქმის მასალებშია აღნიშნული, თამაზ ცივაძეს მათ სხეულის მსუბუქი ხარისხის დაზიანებები მიაყენეს.

მის ცემას რომ მორჩნენ, მამა-შვილი მიბრუნდა იმ ადგილზე, სადაც მათი თანმხლები მ. აფაქიძე იდგა. ამ უკანასკნელს ჩხუბში მონაწილეობა არ მიუღია. ჩხუბის გამო განაწყენებული რევაზ ცივაძე არ ცხრებოდა. სანადირო თოფი ახლა მან აიღო ხელში და აფაქიძეებს დაუმიზნა. ის მათგან დაახლოებით 25-30 მეტრის მოშორებით იდგა. ამ მანძილიდან აფაქიძეების მიმართულებით რევაზ ცივაძემ ზედიზედ სამჯერ გაისროლა. მისგან ორ მეტრში მ. აფაქიძე იდგა. მის სიცოცხლესაც საფრთხე შეექმნა, მაგრამ მან სროლის მომენტში მიწაზე დაწოლა მოასწრო, შემდეგ კი შემთხვევის ადგილიდან გაიქცა კიდეც. ავთანდილ აფაქიძე ტყვიამ სასიკვდილოდ დაჭრა და ის იქვე გარდაიცვალა. საქმის მასალების მიხედვით, რევაზ ცივაძემ, მიუხედავად ამისა, თავისი განზრახვა სისრულეში მაინც ვერ მოიყვანა: ბრალდების თანახმად, მას დავით აფაქიძის მოკვლაც ჰქონდა განზრახული, მაგრამ ჩანაფიქრი, მისგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო, ვერ განახორციელა. მართალია, დავით აფაქიძე მძიმედ დაიჭრა, მაგრამ დროულად გაწეული სამედიცინო დახმარების შედეგად, სიკვდილს გადაურჩა.

მომხდარ ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. პოლიციამ ორივე ძმა დააკავა. პროკურატურამ თამაზ ცივაძეს — 161-ე მუხლი, ხოლო მის ძმას რევაზ ცივაძეს — 19/109-ე და 109-ე მუხლები მიუყენა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ ორივე განსასჯელი დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებებში. თამაზ ცივაძეს სასჯელის ზომად 200 ლარის ჯარიმა განუსაზღვრა, ხოლო მის ძმას ჩადენილი დანაშულისთვის 13 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით.

მსჯავრდებულთა ადვოკატმა განაჩენი გაასაჩივრა და თამაზ ცივაძის მიმართ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტა მოითხოვა, რადგან მისი განმარტებით, დანაშაული მან აუცილებელი მოგერიების ფარგლებში ჩაიდინა. ადვოკატის პოზიცია უზენაეს სასამართლოს პალატის მოსამართლეებმაც გაიზიარეს.

„რევაზ ცივაძის მიმართ ხორციელდებოდა მართლსაწინააღმდეგო ძალადობა — მას სცემდნენ და ჯანმრთელობის მსუბუქი ხარისხის დაზიანება მიაყენეს. ასეთ ვითარებაში მის ძმას — თამაზ ცივაძეს საფუძველი ჰქონდა, ევარაუდა, რომ ჩხუბის დროს რევაზ ცივაძის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას საფრთხე შეექმნებოდა. ამიტომაც, გამოიყენა მის ხელთ არსებული სანადირო თოფი, თანაც ისე, რომ არ გაუსვრია და მხოლოდ მუქარით აიძულა თავდამსხმელები, შეწყვიტათ ძალადობა რევაზ ცივაძის მიმართ. იმ მომენტში მას სხვა საშუალება არ ჰქონდა მოძალადეთა შესაჩერებლად. მართალია, მისი ქმედება შეიცავს მუქარას, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში ეს არ უნდა ჩაითვალოს მართლსაწინააღმდეგოდ. იმ მომენტში, მუქარა მისი ძმის მიმართ ძალადობის აღკვეთის ერთადერთ და აუცილებელ საშუალებას წარმოადგენდა“, — აღნიშნეს მოსამართლეებმა განჩინებაში. შესაბამისად, თამაზ ცივაძის მიმართ სისხლის სამართლის საქმე შეწყდა. რაც შეეხება მის ძმას, ადვოკატი ამ შემთხვევაშიც აღნიშნავდა, რომ რევაზ ცივაძემ დანაშული აფექტის მდგომარეობაში ჩაიდინა, თუმცა ამჯერად პალატის მოსამართლეები მას არ დაეთანხმნენ. განჩინების თანახმად, რევაზ ცივაძეს აჭარის უმაღლესმა სასამართლომ სასჯელი სამართლიანად განუსაზღვრა. ■

სულიკო და დედის მკვლელობისთვის ნასამართლევი, ახლა სიმამრის მკვლელობის მცდელობისთვის გაასამართლეს

თერჯოლის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 7 მარტის განაჩენით, წარსულში ნასამართლევ ნუკრი სახელაშვილს ამჯერად განზრახ მკვლელობის მცდელობისთვის, 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. საქმის მასალების მიხედვით, მან სიმამრის მოკვლა სცადა. ურთიერთშელაპარაკების დროს, როგორც ბრალდების მხარე აღნიშნავდა, მან სიმამრს დანა გულმკერდის არეში ჩაარტყა. ამბობენ, რომ დაჭრილი სასწაულებრივად გადაურჩა სიკვდილს. თავად სახელაშვილმა კი წარდგენილ ბრალდებაში თავი დამნაშავედ არ ცნო. მსჯავრდებულის თქმით, სასამართლო მას უსამართლოდ მოექცა. აღსანიშნავია, რომ წარსულში ის ორი ადამიანის — საკუთარი დედისა და ცოლის მკვლელობისთვის გახლდათ ნასამართლევი.

1991 წლის 5 თებერვალს თერჯოლის რაიონის სასამართლომ ნუკრი სახელაშვილი განზრახ მკვლელობაში ცნო დამნაშავედ და სასჯელის ზომად 10 წლით თავისუფლების აღკვეთა და 3 წლის ვადით გასახლება მიუსაჯა. 1996 წელს სახელაშვილი კოლონიიდან ამნისტიის საფუძველზე გათავისუფლდა. 1999 წლამდე კი გასახლებული იყო, ბაღდათის რაიონის სოფელ როკითში. ვადის ამოწურვის შემდეგ, ის საცხოვრებლად თერჯოლის რაიონის სოფელ კვახჭირში დაბრუნდა.

2004 წლის 9 მარტს, დაახლოებით დღის 4-ის ნახევარზე, მთვრალი ნუკრი სახელაშვილი მისი გარდაცვლილი მეუღლის — ნატო ყუბანეიშვილის მშობლების სახლში მივიდა. იქ მისი შვილები ცხოვრობდნენ და მამას მათი ნახვის სურვილი გაუჩნდა. შვილები ნუკრი სახელაშვილს დედის მკვლელობის გამო არ ელაპარაკებოდნენ, ისევე, როგორც ნატო ყუბანეიშვილის მშობლები. ნუკრი სახელაშვილის ოჯახში გამოცხადებას, როგორც ჩანს, არ ელოდნენ. ამ ფაქტმა, როგორც მოსალოდნელი იყო, ნატო ყუბანეიშვილის მშობლების აგრესია გამოიწვია. სახლში მისვლისთანავე ნუკრი სახელაშვილს სიმამრთან შელაპარაკება მოუხდა. ბრალდების თანახმად, ჩხუბის დროს სახელაშვილმა სიმამრის — სულიკო ყუბანეიშვილის მოკვლა განიზრახა. ამ მიზნით, ჯიბიდან ჯაყვა ამოიღო და გულმკერდის არეში ჩაარტყა სიმამრს. პროკურორის თქმით, სახელაშვილს განზრახული ჰქონდა სულიკო ყუბანეიშვილის მოკვლა, მაგრამ დანაშაული მან ბოლომდე ვერ მიიყვანა, რადგან მისი ქმედება ოჯახის წევრებმა აღკვეთეს და ამასთანავე, დაჭრილს დროული სამედიცინო დახმარების გაწევის შედეგად სიცოცხლე შეუნარჩუნეს.

თერჯოლის რაიონული სასამართლოს განაჩენით, ბრალდების მხარე უკმაყოფილო დარჩა. პროკურორის თქმით, სასჯელი აშკარად მსუბუქია და სახელაშვილს მის მიერ ჩადენილი დანაშაულისთვის უფრო მკაცრი სასჯელი, კერძოდ, 11 წლით თავისუფლების აღკვეთა უნდა მიესაჯოს.

„სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ ნუკრი სახელაშვილი უარყოფითად ხასიათდება. არ აღიარებს ჩადენილ დანაშაულს და არანაირი სურვილი არ გამოუთქვამს, რათა შერიგებოდა დაზარალებულს. აღნიშნული სასჯელი არ გამომდინარეობს არც დანაშაულის სიმძიმისა და მოტივისგან და არც მსჯავრდებულის წარსული ცხოვრებისგან. ნასამართლეობა, მართალია, მას დამამძიმებელ გარემოებებში ვერ ჩაეთვლება, რადგან ხანდაზმულობის ვადა გასულია, მაგრამ სასამართლოს მაინც უნდა გაეთვალისწინებინა ის, რომ იგი წარსულში ანალოგიური დანაშულისთვის იხდიდა სასჯელს. ყოველივე ეს კი ცალსახად მეტყველებს მის უარყოფით პიროვნულ თვისებებზე“, — აღნიშნავს პროკურორი.

განაჩენი გაასაჩივრა დაზარალებულმა მხარემაც და სახელაშვილისთვის სასჯელის მაქსიმუმის შეფარდება მოითხოვა.

სულიკო ყუბანეიშვილი, დაზარალებული:

„ჩემი ყოფილი სიძე 1991 წელს თერჯოლის სასამართლომ უმძიმესი დანაშაულებისთვის გაასამართლა, მაგრამ მინდა მოგახსენოთ, რომ იმ დროს, ობიექტური არც გამოძიება იყო და არც სასამართლო. საქართველოში მაშინ ხელისუფლება კრიმინალური დაჯგუფებებით გახლდათ დაკომპლექტებული და სწორედ მათი წყალობით, 1996 წლის 24 მაისს ამნისტიის საფუძველზე კოლონიიდან საშიშ დამნაშავეებთან ერთად ისიც გაათავისუფლეს, მიუხედავად იმისა, რომ ორი ადამიანის — ჩემი შვილისა და საკუთარი დედის მკვლელი იყო.

ციხიდან გათავისუფლების შემდეგ, მას ჩვენთან არანაირი ახლო ურთიერთობა არ ჰქონია. დარწმუნებული იყო იმაში, რომ მისი შვილები არასდროს აპატიებდნენ დედისა და ბებიის სადისტურ მკვლელობას. სხვათა შორის, ამაში ის მე და ჩემს მეუღლეს გვადანაშაულებდა და გვემუქრებოდა კიდეც განადგურებით.

იმ დღესაც — 2004 წლის 9 მარტს ჩვენთან ოჯახში მთვრალი, ჩვენს გასამწარებლად მოვიდა. ჩემი და ჩემი მეუღლის მოკვლა უნდოდა. მართლაც ბავშვების სანახავად რომ მოსულიყო, მცირედი საჩუქარი მაინც ექნებოდა თან. ამის ნაცვლად ოჯახში დანით შეიარაღებული მოვიდა. დანა მან ეზოში შემოსვლისთანვე ამოიღო და მოკვლით დაგვემუქრა. გარეთ ჩემი ცოლისა და მეზობლის — ქეთევან აფრიდონიძის ყვირილზე გავედი. მისაშველებლად წავედი მათკენ. ამ დროს, გამხეცებულმა მოიქნია დანა და გულმკერდის არეში, მარცხენა მხარეს, უკანა მხრიდან ჩამარტყა. დაჭრილმა მომენტალურად, როგორღაც მოვახერხე სახლის ქვედა სართულზე, ოთახში შესვლა და კარის დაკეტვა, რათა თავი გადამერჩინა. ჩემი ყოფილი სიძე გამომეკიდა და კარის შემომტვრევაც სცადა, რათა სისრულეში მოეყვანა თავისი განზრახვა. ჩემს ცოლს, იქვე ლითონის ნაჭერი უპოვია და ჩემს გადასარჩენად რამდენჯერმე მოუქნევია მისთვის. ამით გაღიზიანებული, ჩემს მეუღლეს მიუბრუნდა და სიცოცხლის მოსპობით დაემუქრა. დაუძლურებული ვიყავი, მაგრამ როცა მივხვდი, რაც ხდებოდა და რა საშიშროების წინაშე იდგა ჩემი ცოლი, როგორღაც მოვახერხე მეორე ოთახიდან გასვლა და უკნიდან მიპარვით შევძელი, მისთვის თავში აგური ჩამერტყა. რამდენჯერმე დავარტყი და ასე შევძელი შემეჩერებინა გაბოროტებული მკვლელი.

ყოველივე ამას ფაქტის თვითმხილველებიც, მათ შორის, ქეთევან აფრიდონიძეც ადასტურებს ჩვენებით. არსებობს სხვა მტკიცებულებებიც — სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა, შემთხვევის ადგილის დათვალირებისას ამოღებული ნივთმტკიცება — გასაშლელი დანა, რომელიც ნუკრი სახელაშვილს ეკუთვნის და რომლითაც მე დამჭრა. ასევე, ამ დანით გაჭრილი ჩემი ტანისამოსი, რომელიც გასისხლიანებულია. მოსამართლის აზრით, ჩემი ყოფილი სიძის მცდელობას მძიმე შედეგი არ მოჰყოლია. თითქოს, დანაშაულის ჩადენა განპირობებული იყო მისი დიდი სურვილით — ბავშვების დედის მკვლელ მამას ენახა შვილები, დაემყარებინა მათთან ურთიერთობა. მოსამართლემ იმასაც გაუსვა ხაზი, რომ სახელაშვილმა შემთხვევის დროს ჯანმრთელობის მძიმე, სიცოცხლისთვის სახიფათო დაზიანება მიიღო. ასეთი დამოკიდებულება მიუღებლად მიმაჩნია და ზემოთ აღნიშნული გარემოებები სახელაშვილისთვის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებლად არ უნდა ჩაეთვალათ.

მის მცდელობას მძიმე შედეგი არ მოჰყოლია მხოლოდ იმიტომ, რომ რაღაც სასწაულებრივად შევაჩერეთ იგი. რაც შეეხება მის მიერ მიღებულ სხეულის მძიმე დაზიანებას, ეს განაპირობა მისივე ძალადობამ და მცდელობამ — მოესპო სხვისი სიცოცხლე. ის არც შვილებს ყოფილა მონატრებული. ოჯახში დანით შეიარაღებული მოვიდა და ნერვებდაწყვეტილ ბავშვებს კვლავ გაახსენა ის უბედური დღე და საშინელი ტრაგედია, რომელიც მან 1990 წელს დაატრიალა — ბავშვების თვალწინ, მათი დედა და ბებია უმოწყალოდ ნაჯახით აჩეხა...“

საქმის მასალების თანახმად, დანაშაული იმ დღეს მართლაც, არასრულწლოვანი ბავშვების თვალწინ მოხდა. შემზარავი მკვლელობები ნუკრი სახელაშვილმა 29 წლის ასაკში ჩაიდინა, ცოლი გამოასალმა სიცოცხლეს, შემდეგ კი, საკუთარი დედა მოკლა ნაჯახით. დანაშაული, როგორც ამბობენ, სხვადასხვა იარაღით იყო ჩადენილი. სახელაშვილმა მეუღლე, სავარაუდოდ, დანით მოკლა. აღსანიშნავია ისიც, რომ ნუკრი სახელაშვილმა ორივე მკვლელობა აღიარა. მისივე თქმით, აქამდე ის რძალ-დედამთილის დაუსრულებელმა ჩხუბმა მიიყვანა. როგორც თავად სახელაშვილი აღნიშნავს, ოჯახში ჩხუბსა და აყალმაყალს ბოლო არ უჩანდა. დავა რძალ-დედამთილს შორის, ძირითადად, ყოფითი პრობლემებით იყო გამოწვეული. ხშირად უთანხმოება საყოფაცხოვრებო ნივთების გამოც მოსდიოდათ. უკმაყოფილების მიზეზი, სახელაშვილის თქმით, ელემენტარული რამ ხდებოდა, მაგალითად, პირუტყვის მოვლა, ძროხების წველა და სხვ. სახელაშვილი, როგორც თავად განმარტა, ხშირად ერეოდა ჩხუბში იმ მიზნით, რომ გაეშველებინა და დაეწყნარებინა რძალ-დედამთილი. სწორედ ერთ-ერთი ასეთი ჩხუბის დროს, მან წონასწორობა დაკარგა. იმ დილით, როგორც თავად სახელაშვილი ამბობს, ის ნაბახუსევი გახლდათ. რძალ-დედამთილმა ისევ ჩხუბი დაიწყო. ჩხუბის დროს დედამთილმა რძალს სახეში რძე შეასხა. სახელაშვილი, მისივე თქმით, მომხდარმა გააოგნა და ცოლსა და დედას დაუყვირა — თქვენ, რა, ისევ ჩხუბობთო? ამის შემდეგ კონტროლი დაკარგა საკუთარ თავზე და ისტერიკაში ჩავარდნილ ცოლს ბასრი იარაღი რამდენჯერმე მოუქნია. ამ დროს პატარებს არ ეძინათ. მამამ დედა მათ თვალწინ მოკლა, თუმცა, როგორც ამბობენ, ბავშვები იმდენად პატარები იყვნენ, რომ ფაქტების სათანადოდ აღქმა არ შეეძლოთ. სწორედ ამის გამო ისინი სამართალდამცავებს არც დაუკითხავთ.

ნუკრი სახელაშვილის შეშინებული დედა სახლიდან გარეთ გავარდა და ჭიშკრისკენ გაიქცა, მაგრამ შვილი მას უკან დაედევნა. შენ ისევ ცოცხალი ხარო? — დაუყვირა და ნაჯახი რამდენჯერმე ჩასცხო სხეულში. ნუკრი სახელაშვილის ადვოკატი მზია დოღონაძე აღნიშნავს, რომ მომხდარმა ფაქტმა თავად სახელაშვილზეც ძალზე იმოქმედა.

მზია დოღონაძე:

„ის უმაღლესი განათლების მქონე კაცი გახლავთ. სოხუმის სუბტროპიკული ინსტიტუტი აქვს დამთავრებული და ნორმალური, მოწესრიგებული ადამიანი იყო. მასზე ყველას დადებითი წარმოდგენა ჰქონდა, მაგრამ ცოლისა და დედის დაუსრულებელმა კონფლიქტმა და ოჯახში არეულობამ, წონასწორობიდან გამოიყვანა. დანაშაული აღიარა, მაგრამ იმდენად იყო დათრგუნვილი, რომ მომხდარის გახსენება და ამ თემაზე საუბარი არ შეეძლო და ჩვენებებს არ იძლეოდა. სასამართლომ დაადასტურა კიდეც ის ფაქტი, რომ ნუკრი სახელაშვილი აფექტურ მდგომარეობაში ჩავარდა. ცოლი მან სწორედ ამ მდგომარეობაში მოკლა. რაც შეეხება დედას, ამ შემთხვევაში, განაჩენის მიხედვით, მან განზრახ მკვლელობა ჩაიდინა. აფექტი რომ დაუმტკიცდა, სწორედ ამიტომ აკმარა მას სასამართლომ სასჯელის ზომად 10 წლით თავისუფლების აღკვეთა, თორემ ორი ადამიანის მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში იმ დროისთვის მოქმედი კანონით, სასჯელის უმაღლეს ზომას — დახვრეტას ითვალისწინებდა“.

რაც შეეხება 2004 წლის 9 მარტს მომხდარ დანაშაულს, დაზარალებულთან და პროკურორთან ერთად, თერჯოლის რაიონული სასამართლოს განაჩენით უკმაყოფილო დარჩა თავად მსჯავრდებულიც. აღსანიშნავია, რომ ის სასამართლო პროცესზე თავს დამნაშავედ არ ცნობდა. ნუკრი სახელაშვილი თავს სრულიად უდანაშაულოდ აცხადებს. ქუთაისის საოლქო სასამართლოში, სააპელაციო პალატის მიერ საქმის განხილვის შემდეგ, მან საჩივრით უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას მიმართა. სახელაშვილმა განაჩენის გაუქმება და წარდგენილ ბრალდებაში გამართლება მოითხოვა.

ნუკრი სახელაშვილი:

„განაჩენი აშკარად უკანონოა. სასამართლომ საქმის განხილვისას უხეშად დაარღვია კანონი და სამართლებრივი პროცედურები, რის გამოც დადგა ის შედეგი, რომ სრულიად უდანაშაულო პირს, მომისაჯეს 8 წლით თავისუფლების აღკვეთა. სინამდვილეში, ამის მიზეზი იყო ჩემი წარსული. კერძოდ, ის, რისთვისაც 1991 წელს თერჯოლის რაიონულმა სასამართლომ გამასამართლა.

ამ ამბავმა სამუდამოდ დამსაჯა. ამ ტრაგედიით ჩემს ცხოვრებას წერტილი დაესვა. მორალურად და ფიზიკურად, ფაქტობრივად, განადგურებული ვარ. მეორე ჯგუფის ინვალიდი გახლავრთ. როგორც ჩანს, ჩემი აღარავის სწამს და აღარ ესმის. იმედი მქონდა, რომ საოლქო სასამართლო ამ შეთითხნილი ბრალდების მიღმა სინამდვილეს დაინახავდა და რეალურ, კანონიერ განაჩენს დაადგენდა. ყველაზე მეტად გულსატკენი ის არის, რომ სასჯელის ზომად 8 წლით თავისუფლების აღკვეთა შემიფარდა.

დაზარალებულმა სხეულის მსუბუქი ხარისხის დაზიანება მიიღო, ნაკაწრი ჭრილობა, სანტიმეტრნახევრიანი. რაღაც მაქინაციებით მიაღწიეს იმას, რომ ეთქვათ, თითქოს შემდეგ, მისი მდგომარეობა დამძიმდა, იმკურნალა ოცი დღე და დაზიანება ნაკლებად მძიმე გახდა. გამოძიების პერიოდში და სასამართალო სხდომებზე ვამტკიცებდი იმას, რომ აღნიშნული დანაშაული არ ჩამიდენია. სასამართლოს ჩემი გაუბედურებული წარსულის შესახებაც მივეცი ჩვენება. ვთქვი, რომ წამართვეს მშობლის უფლება...

პატიმრობიდან გათავისუფლების შემდეგ, ჩემს მშობლიურ სოფელში დავბრუნდი და საოჯახო საქმიანობას შევუდექი. ვუყურებდი ჩემს შვილებს, ვხედავდი, თუ როგორ იზრდებოდნენ ისინი. მათ სკოლაშიც ვაკითხავდი, მაგრამ ჩემი ცოლის მშობლების ჩაგონებით იმდენად იყვნენ დარწმუნებულები იმაში, რომ მე მკვლელი და ბოროტი ადამიანი ვიყავი, საერთოდ არ უნდოდათ ჩემთან ურთიერთობა. სამი შვილი მყავს — ერთი ვაჟი და ორი გოგონა. ჩემმა ვაჟიშვილმა უკვე დაამთავრა საშუალო სკოლა. იმ დღეს სოფელში, გზად მიმავალს შემხვდა. იმდენად ძლიერი იყო ჩემი სურვილი, შევხვედროდი მას, დავლაპარაკებოდი, როგორც მამა შვილს, რომ მოფერებით მივმართე: ბარო, კაკუნა, მამამეთქი. პასუხად მან შემაგინა და ზურგი შემაქცია. იმ წამს ჩემს გულში რაღაც ჩაწყდა. იმწუთში მოვკვდი. ცოტა ნასვამიც ვიყავი და გადავწყვიტე, მათთან სახლში მივსულიყავი. მინდოდა, კიდევ ერთხელ მეთქვა სიმართლე ჩემი შვილებისთვის და დამერწმუნებინა ისინი სიყვარულში, რომ ჩვენ შორის მამაშვილური ურთიერთობა უნდა ყოფილიყო. მხოლოდ და მხოლოდ ამ მიზნით მივედი მათთან, სხვათა შორის, არანაირ იარაღს — არც დანას არ ვატარებ და არც იმ დღეს მქონია თან. ეზოში შესულს მეზობელი — ქეთევან აფრიდონიძე შემხვდა. მითხრა — აქაურობას გაეცალეო, მაგრამ ვუპასუხე — მხოლოდ კეთილი განწყობით ვარ მოსული და მინდა, შვილებთან ურთიერთობა გავარკვიო-მეთქი. ის კი რატომღაც — ალბათ იმიტომ, რომ იცოდა წარსულის და ჩვენი უთანხმოების შესახებ, შეშინდა და ეზოდან გაიქცა. ჩემთვის ნორმალურად არც შემოუხედავს. პენსიონერი გახლდათ (ამჟამად გარდაცვლილია), მხედველობაც ნორმალური არ ჰქონდა, მაგრამ ამის მიუხედავად, ჩვენებაში დააფიქსირა, თითქოს დაინახა, რომ ხელში დანა მეჭირა. ეს არასწორია. ჩემს დანახვაზე აყვირდა ჩემი სიდედრი. ქმარს უხმობდა — გამოდი გარეთ, ჩვენი შვილის მკვლელი მოვიდაო. მან ჩემი მიმართულებით დაიწყო ქვებისა და რკინების სროლა. ჩემგან დაახლოებით 4-5

მეტრში იდგა. თუკი ხელში მართლაც მეკავა გაშლილი დანა და თან ორივეს — ცოლის და ქმრის მოკვლა მქონდა განზრახული, მაშინ მოვიყვანდი კიდეც განზრახვას სისრულეში და პირველ რიგში, სიდედრს მოვკლავდი. იმ მომენტში ეს ადვილი შესაძლებელი იქნებოდა, შემდეგ კი ჩემს სიმამრს მოვკლავდი. მაგრამ მე ამ განზრახვით არ მივსულვარ ყუბანეიშვილების ოჯახში. უფრო მეტიც, თუკი მე ასეთი განზრახვა შემდეგ, კერძოდ, ჩხუბის მომენტში წარმომეშვა, მაშინ რატომ მივდიოდი სახლში თავიდანვე ხელში დანამომარჯვებული? ამ საკითხში სასამართლო თვითონ ვარდება წინააღმდეგობაში. ძნელი წარმოსადგენია, რომ ოჯახში, სადაც ჩემთვის საყვარელი სამი შვილი მელოდება, გაშლილი დანით ხელში მივედი. მინდა ისიც აღვნიშნო, რომ ჩემი ორი ქალიშვილი იმ დროს ბებიასთან ერთად იყო, მათ დანახვაზე ადგილზე გავშეშდი. სწორედ მაშინ გაიღო კარი და სიმამრი, სულიკო ყუბანეიშვილი გამოვიდა. მომიახლოვდა და ხელი მკრა. მეც ავტომატურად მისკენ მივბრუნდი. ამ მომენტში თავში რაღაც მყარი, მკვრივი საგანი მომხვდა და ძირს დავეცი. სხვა მოქმედება მე არ განმიხორციელებია. არც დანა მჭერია, არც სხვა რამ საგანი მომიქნევია სიმამრის ან სიდედრის მისამართით.

აღსანიშნავია ისიც, რომ გამოძიების მასალებში არსად არის დაფიქსირებული, თუ სად ან რა მდგომარეობაში იპოვეს დანა. ნათქვამია, რომ შემთხვევის ადგილიდან აღნიშნული იარაღი ამოიღეს, მაგრამ კონკრეტული ადგილი მითითებული არ გახლავთ. დანაზე არ ჩატარებულა სათანადო ბიოქიმიური ექსპერტიზა. ე.წ. დაზარალებული — სულიკო ყუბანეიშვილი არც ერთ ჩვენებაში არ აფიქსირებს, რომ ჩემს ხელში დანა დაინახა, არადა, თუ ვინმეს უნდა დაენახა იარაღი, პირველ რიგში, ეს ჩემი სიმამრი უნდა ყოფილიყო. მასთან ყველაზე ახლოს ვიდექი. განაჩენში წერია, თითქოს, მას დანა მარჯვენა ხელით, მარცხენა ბეჭის არეში, უკანა მხრიდან დავარტყი. მე და სულიკო ყუბანეიშვილი ერთი სიმაღლისანი ვართ და იმ ადგილზე რომ მიმეყენებინა მისთვის ჭრილობა, მაშინ ის წელში უნდა მოხრილიყო. ჩემ მიერ მისი დაჭრის ფაქტს მხოლოდ სიდედრი — ოლია ყუბანეიშვილი და ჩემი ქალიშვილი — ელისო სახელაშვილი ადასტურებენ ჩვენებებში. მინდა ისიც აღვნიშნო, რომ ყუბანეიშვილების ოჯახში თავში რაღაც მძიმე საგანი ჩამარტყეს, მაგრამ ის არც ჩემი სიმამრი და არც სიდედრი ყოფილა — იყო ვიღაც პირი, რომელმაც ეს დაზიანება მომაყენა. მათ ეგონათ, რომ მე მოვკვდი და თავიდან რომ აეცილებინათ პასუხისმგებლობა, სულიკო ყუბანეიშვილმა თვითონ მიიყენა სხეულზე დაზიანება. ყოველივე ამის შედეგად ის დაზარალებულად ცნეს, მე კი — დამნაშავედ. მე რომ მისი მოკვლის განზრახვა მქონოდა, მაშინ მეორედ და მესამედაც დავარტყამდი დანას. თანაც არა ბეჭის უკანა მხარეს, არამედ გულმკერდისა და მუცლის არეში. ის ხომ ჩემ წინ, პირდაპირ იდგა? ეს ადვილად შემეძლო განმეხორციელებინა, როცა გამექცა, შემეძლო მისი ცოლი მომეკლა. მისგან ხომ მეტი წყენა მახსოვდა...“

აღსანიშნავია, რომ მსჯავრდებული საკასაციო პალატის სხდომას არ დასწრებია. მისი თხოვნით, საჩივარი მის დაუსწრებლად განიხილეს, რადგან როგორც მსჯავრდებული აღნიშნავს, ის მძიმე ავადმყოფი, ამასთანავე მეორე ჯგუფის ინვალიდია და პროცესზე გამოცხადებას ამის გამო ვერ შეძლებდა.

მზია დოლონაძე:

„სააპელაციო სასამართლოში მოსამართლეების ყურადღება გავამახვილეთ ქმედების არასწორ კვალიფიკაციაზეც. ნუკრი სახელაშვილს კიდეც რომ ჩაედინა აღნიშნული დანაშაული, ქმედება უნდა დაეკვალიფიცირებინათ არა 19/108-ე, არამედ 118-ე მუხლით (სხეულის განზრახ, ნაკლებად მძიმე დაზიანება). მართალია, ჩვენ გამართლება მოვითხოვეთ, მაგრამ უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში მსგავს შემთხვევებში მუხლის გადაკვალიფიცირების ფაქტები ფიქსირდება“.

მაგრამ უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ არც გამართლების, არც მუხლის გადაკვალიფიცირების შესახებ გადაწყვეტილება არ მიიღო. პალატის მოსამართლეებმა ქუთაისის საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება სავსებით კანონიერად ჩათვალეს და განაჩენი უცვლელად დატოვეს. ■

„კრასავჩიკა“ დაკავებულია

სამართალდამცავები აღნიშნავენ, რომ ცაგერის პოლიციის მიერ ძებნილი, ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის ლიდერი, ე.წ. კრიმინალური სამყაროს ავტორიტეტი „კრასავკიჩა“ დაკავებულია. შს სამინისტროს ინფორმაციით, მას არაერთი უმძიმესი დანაშაულის ჩადენა ედება ბრალად. „კრასავჩიკა“, 1973 წელს დაბადებული ზურაბ ახვლედიანია. ის წარსულში ნასამართლევი გახლდათ.

ბანკირი ხულიგნობაშია ეჭვმიტანილი

მტკვრის მარცხენა სანაპიროზე არსებულ რესტორან „კოლხეთის“ მიმდებარე ტერიტორიაზე სამართალდამცველებმა ისანი-სამგორის „სახალხო ბანკის“ მმართველი, 1980 წელს დაბადებული ზურაბ მოგელაძე დააკავეს. შს სამინისტროს ინფორმაციით, ის ხულიგნობაშია ეჭვმიტანილი. სამართალდამცავთა თქმით, მან საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილზე „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტიდან ოთხჯერ გაისროლა. პისტოლეტი ამოღებულია. შს სამინისტროს ცნობით, აღნიშნული ცეცხლსასროლი იარაღი მოგელაძეზე ოფიციალურად იყო გაფორმებული.

სასაუზმე „ფაცხის“ მფლობელის მკვლელობის საქმე გაიხსნა

თბილისელი, 1960 წელს დაბადებული ნარგიზა ბაბაიანის მკვლელობის საქმე გაიხსნა. ბაბაიანს, რომელიც სასაუზმე „ფაცხის“ მფლობელი გახლდათ, სასაუზმეში სამი პირი დაესხა თავს. მას მობილური ტელეფონი წაართვეს, ხოლო როცა ქალბატონმა ბოროტმოქმედებს წინააღმდეგობა გაუწია, ყელში დანა გამოუსვეს. სასიკვდილო ჭრილობის შედეგად, ბაბაიანი ადგილზევე გარდაიცვალა. ამის შემდეგ, თავდამსხმელებმა მოკლულს გასაღები ამოაცალეს და მის ბინაშიც შეაღწიეს. ბინაში, მათთვის მოულოდნელად, სტუმრები დახვდათ. თუმცა, ბოროტმოქმედები ამან არ დააბნია. სტუმრები მათ სკოჩით გაკოჭეს და მობილური ტელეფონები და ძვირფასეულობა წაართვეს.

ცხელ კვალზე გატარებული ღონისძიებების შედეგად, სამართალდამცავებმა ერთ-ერთი ეჭვმიტანილი დააკავეს. შს სამინისტროს ცნობით, ის დედაქალაქში მოქმედი შეიარაღებული ყაჩაღური ჯგუფის ერთ-ერთი აქტიური წევრი, აეროპორტის დასახლებაში მცხოვრები, 1986 წელს დაბადებული გრიგოლ იაკოვლევი გახლავთ. იაკოვლევისგან სამართალდამცავებმა მარიხუანა, „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტის 4 ვაზნა და ბაბაიანის ბინიდან გატაცებული ძვირფასეულობის ნაწილი ამოიღეს.

შს სამინისტროს ცნობით, დადგინდა, რომ იაკოვლევი და ჯგუფის სხვა წევრები — 1977 წელს დაბადებული ჯენრი ნარმანია, 1986 წელს დაბადებული გიორგი და 1988 წელს დაბადებული ლევან ჩირგოლაშვილები ბაბაიანისა და მისი სტუმრების — ცოლ-ქმრის ოგანეზოვების დაყაჩაღების შემდეგ, ჩირგოლაშვილების ბინაში შეიკრიბნენ და ნადავლიც იქ გაიყვეს. გატაცებული ნივთების გაყოფის დროს, ბოროტმოქმედებს შორის შელაპარაკება მოხდა. ამ დროს, ერთ-ერთმა, ჯენრი ნარმანია დაჭრა. კვალის დაფარვის მიზნით, ის ახლომდებარე ქუჩაზე გადაიყვანეს და „მაკაროვიდან“ თავში საკონტროლო გასროლით მოკლეს. ნარმანიას გვამის დათვალიერებისას, მისი შარვლის ჯიბიდან, ბაბაიანის ბინიდან წაღებული ძვირფასეულობა ამოიღეს. ■

ჟურნალ „გზის“ №42-ში დაიბეჭდა წერილი — „აზარტული თამაშები, სისხლი და თავანი“, — რომელსაც ბევრი გამოხმაურება მოჰყვა. კიდევ ერთხელ დავრწმუნდით იმაში, რომ საქართველოში არცთუ ისე ცოტა ადამიანი ყოფილა აზარტით დაავადებული. ერთ-ერთი მათგანი — ახალგაზრდა, 25 წლის ბიჭი — რედაქციაში გვესტუმრა და გულახდილად გვიამბო საკუთარი თავგადასავალი, მაგრამ გვთხოვა, რომ მისი ვინაობა არ გაგვემხილა, რადგან ის საკმაოდ ცნობილი ოჯახიდანაა. რა თქმა უნდა, დავთანხმდით და პირობითად, დაჩის სახელით წარმოგიდგენთ.

„ მათაც მიმართონ მონასტერს... უფალი აუცილებლად დაეხმარება“

ნათია ქივიძე

— დასავლეთ საქართველოში დავიბადე და ბავშვობის წლებიც იქ გავატარე. მერე, როცა ქვეყანა აირია და ომიც დაიწყო, ჩემი მშობლები იძულებული გახდნენ, რომ თბილისში ჩამოვსულიყავით. შვილებიდან მე ყველაზე უფროსი ვარ, 21 წლის და მყავს და 18 წლის ძმა. სამივე კარგად აღზრდილი ბავშვები ვიყავით და კარგადაც ვსწავლობდით. სკოლის დამთავრების შემდეგ, იმავე წელს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ჩავირიცხე. თითქმის არც ერთი ლექცია არ გამიცდენია და არც დაბალი ნიშანი მიმიღია. იმ პერიოდში, ტოტალიზატორის თამაში შემოვიდა მოდაში. მიმდინარეობდა ჩემპიონატები და ზოგი იგებდა, ზოგი აგებდა. სწორედ მაშინ გაიხსნა თითქმის ყველა ტოტალიზატორი და თითოეულს ერთიმეორეზე უკეთესი რეკლამა უკეთდებოდა. ინტერესის გამო, ერთხელ, ჩემს თანაკურსელს ვთხოვე — ძალიან მაინტერესებს ტოტალიზატორში თამაში და მოდი, წავიდეთ-მეთქი. ისიც დამთანხმდა. აზარტული ადამიანი ყოველთვის ვიყავი. ბავშვობაში კარტს, ნარდს, დომინოსა და სხვა აზარტულ თამაშებსაც დიდი გატაცებით ვთამაშობდი და თუ წავაგებდი, ამას ძალიან განვიცდიდი. ტოტალიზატორში ერთხელ ჩასვლაც კი საკმარისი აღმოჩნდა, რომ მთელი არსებით ჩავფლულიყავი და მას შემდეგ, ყოველდღე ვსტუმრობდი ამ დაწესებულებას... მოგვიანებით, იქ „მაზავშჩიკებიც“ გავიცანი და ხელზე „მაზაობაც“ დავიწყე. ხან ვიგებდი, ხანაც ვაგებდი. ბევრჯერ მომიგია დიდი თანხა, მაგრამ შინ ვერ მიმიტანია, რადგან ოჯახის წევრებს ვერ ვეტყოდი, რომ ეს ფული აზარტული თამაშით მოვიპოვე; ამის გამო, პირად ნივთებსაც ვერ ვყიდულობდი და იძულებული ვიყავი, მთელი თანხა მეგობრებთან ერთად რესტორანში დამეხარჯა. ისეთი შემთხვევაც მქონია, რომ ერთ ღამეში 1.000 დოლარიც კი დამიხარჯავს.



ჯერ კიდევ არ მქონდა გაცნობიერებული, რომ აზარტი ადამიანს სისხლსა და ხორცში უჯდება და მეც ამ სენით ვიყავი დაავადებული

— **როცა აგებდი, მაშინ საიდან მოგქონდა ფული „თავანის“ ჩასაბარებლად?**

— საკმაოდ შეძლებული ოჯახის შვილი ვიყავი ყოველთვის და არ გვიჭირდა. მამაჩემი მსხვილი ბიზნესმენია, ამიტომ მისთვის რამდენი ფულიც არ უნდა მეთხოვა, უარს არ მეუბნებოდა. რა თქმა უნდა, 500 დოლარს რომ ვთხოვდი, ინტერესდებოდა, თუ რაში მჭირდებოდა ამხელა თანხა. ვეუბნებოდი — ჩემმა მეგობარმა ითამაშა და წააგო-მეთქი, ისიც მიჯერებდა. თუ ფული დამაკლდებოდა, ჩემი მეგობარი თავის ოჯახში ამბობდა, რომ მე ვითამაშე და წავაგე, მშობლებს ფულს გამოართმევდა და მოჰქონდა. გიო ჩემი თანაკლასელიცაა და ჯგუფელიც. ბავშვობიდან ვმეგობრობთ და ვფიქრობთ, რომ ერთმანეთს ძალზე ვგავართ. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ის ყოველთვის ჩემ გვერდით იყო, ჩემს „მაზიანებსა“ თუ სხვა თამაშებს ესწრებოდა, არ მახსოვს, რომ ერთხელ მაინც ეთამაშოს, თუნდაც ლარი დაედოს ტოტალიზატორში. მე ეს ძალზე უცნაურად

ტესტი

ერთგული მკითხველი

თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გემახსოვრებათ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი და არც ამ ტესტის კითხვებზე გაგიჭირდებათ პასუხის გაცემა...

1. რისგან ამზადებენ ვოლანს, რომელსაც გადმინტონის უმაღლესი დონის შეჯიბრებებში იყენებენ?

ა) მამლის ბუმბულისგან;
ბ) ბატის ბუმბულისგან;
გ) მტრედის ბუმბულისგან.

2. რამდენი ლენინის ძეგლი იდგა თბილისში საბჭოთა კავშირის დაშლამდე?

ა) 6;
ბ) 12;
გ) 18.

3. რის სიმბოლოდ ითვლება კუნძულ იამაიკაზე ანანასი?

ა) სიმწიფის;
ბ) სტუმართმოყვარეობის;
გ) სიყვარულის.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

ალსარება

მეჩვენება, მაგრამ გეფიცებით, მართლა ასე იყო... მოკლედ, მაგარი მოთამაშე გავხდი, თუმცა სწავლისთვის თავი მაინც არ დამინებებია. კურსზე ყველაზე კარგ სტუდენტად ვითვლებოდი. ყველა სემინარს ვამზადებდი, გამოცდების დროს, ჩემს ოთახში ვიკეტებოდი და ვმეცადინეობდი. ამავე დროს, გვერდით ტელეფონი მედგა და მისი მეშვეობით, ჩემს საქმიანობას ვაგრძელებდი: ტელეფონით ვაგვარებდი „თავანის“ ჩაბარებისა და გადახდის ამბებს, ფსონებსაც ტელეფონით ჩავდიოდი, თან გამოცდებისთვის ვემზადებოდი. ეს ყველაფერი ალბათ, დაუჯერებლადაც კი შეიძლება მოგეჩვენოთ, მაგრამ ჩემმა მეგობრებმა იციან, რომ მართლაც, ასე იყო. როცა ჩემ მიერ მოგებული თანხა იმდენად გაიზარდა, რომ რესტორანში რამდენი კაციც არ უნდა წავსულიყავით, იმდენს მაინც ვერ დავხარჯავდით, მაშინ, კაზინოში სიარულიც დავიწყე და „რულეტკის“ თამაშიც ვისწავლე. თუ ვინმეს რამეში ვჭირდებოდი, იცოდა, რომ ან კაზინოში ვიყავი, ან ტოტალიზატორში და ნებისმიერ საკითხზე იქ მაკითხავდნენ. მახსოვს, ერთხელ, კაზინოში ერთი ქალი ატირდა: ყველაფერი წავაგე და იმის ფულიც კი აღარ დამრჩა, რომ ბავშვებს კარტოფილი ვუყიდოო... ძალიან გამიკვირდა იმ ქალის საქციელი: თუ შინ შვილები ელოდებიან, კაზინოში რაღა უნდა-მეთქი?! — ვიფიქრე. მაშინ ჯერ კიდევ არ მქონდა გაცნობიერებული, რომ აზარტი ადამიანს სისხლსა და ხორცში უჯდება და მეც ამ სენით ვიყავი დაავადებული. ყოველ დილით იმაზე ფიქრი მაღვიძებდა, რომ იმ დღეს აუცილებლად ტოტალიზატორში უნდა შევსულიყავი და თავში სულ ის მიტრიალებდა, რომელ თამაშზე რამდენი ფსონი დამედო... ერთხელაც, ჩვეულებისამებრ, ტოტალიზატორში ვიჯექი და ერთ-ერთ ჩემპიონატს დაძაბული ვადევნებდი თვალყურს. გიო მოვიდა და მითხრა — ახლავე, ერთ მაგარ ქალაქში უნდა წავიდეთ, იქ მაგარი კაზინოები და ტოტალიზატორებია და საოცრად გავერთობითო. გიოსგან ამის მოსმენა კი გამიკვირდა, მაგრამ არც დავფიქრებულვარ, ისე ჩავუჯექი მანქანაში. გონზე რომ მოვედი, დავინახე, რომ ულამაზეს ადგილას ვიმყოფებოდით. გიო, აქ რა გვინდა-მეთქი? — ვკითხე. — ცოტაც მოითმინე და გაიგებო, — მიპასუხა. ცოტა ხანში კი, ეკლესიის გუმბათი დავინახე: თურმე, ერთ-ერთ მონასტერში მივუყვანივარ. იქ მცხოვრებ ბერსაც ამის შესახებ წინასწარ შესთანხმებია. ეს რომ ამიხსნა, წინააღმდეგობა არ გამიწევია. მართლმადიდებელ ოჯახში ვარ აღზრდილი და ეკლესიური ყოველთვის ვიყავი, მაგრამ მონასტერში წასვლა თავში აზრად არასოდეს მომსვლია. განსაკუთრებით იმიტომ არ გამიჭირდა იქ დარჩენის გადაწყვეტილების მიღება, რომ იქ, ჩემ გარდა, კიდევ 3 ბიჭი იყო, სამივე — ჩემსავით, აზარტით დაავადებული... შევუდექი მონასტრის ბინადრის ცხოვრებას, რაც მართლაც, ძალზე რთულია და ოთხივეს გვიჭირდა, მით უმეტეს მაშინ, როცა ჩვენ მიერ განვლილ ცხოვრებაზე ვლაპარაკობდით და თამაშს ვიხსენებდით. გეფიცებით, ეს ნარკოტიკის „ლომკასავითაა“. ოთხივე „ლომკაში“ ვიყავით. არაერთხელ გვიფიქრია იქიდან გამოქცევაზე. ოცნებობდით — ნეტავ, ერთხელ კიდევ დაგვანახვა ტოტალიზატორის კედლებიო!.. ამ გადასახედიდან ჩვენი საქციელი შესაძლოა, ცოტა სასაცილოდაც კი მოგეჩვენოთ, მაგრამ მართლა ისეთ დღეში ვიყავით, რომ ღამეები არ გვეძინა და თუ გვეძინა, სიზმარშიც ტოტალიზატორში ვთამაშობდით... მეგონა, ამ ყველაფერს ვერ გავუძლებდი და გავგიჟდებოდი. ერთხელ, როცა ბერი მონასტერში არ იმყოფებოდა, გადავწყვიტეთ, სიგარეტი მოგვეწია. იქ მყოფთაგან ერთ-ერთ ბიჭს გაუხსნელი კოლოფი აღმოაჩნდა: — თბილისიდან რომ წამოვედი, ჯიბეში მედო და მას მერე, ხელი არ მიხლიაო. მიუხედავად იმისა, რომ ყველამ ძალზე კარგად ვიცოდით, რომ კელიაში სიგარეტის მოწევა არ შეიძლებოდა, მაინც იქვე მოვწიეთ; დანარჩენი სარკმელზე შემოვდეთ და დავიძინეთ. დილით საოცარი რამ ვნახეთ: დარჩენილი თექვსმეტივე ღერი დამწვარი იყო!.. გაოცებისგან ხმა ვერც ერთმა ვერ ამოვიღეთ. ეს, რა თქმა უნდა, ღმერთის ნიშნად მივიღეთ. ბიჭებმა თქვეს — ამას კი ნამდვილად ვეღარ გავუძლებთო! — და ორი მათგანი იმ დღესვე გაეპარა ბერებს და თბილისში დაბრუნდა. მე და ბექა (არ ვიცი, რა ძალამ გვაიძულა) მაინც დავრჩით. უფრო მეტს ვლოცულობდით, მაგრამ უფრო მეტად გვიჭირდა იქ გაძლება... მონასტერში სულ 3 თვის განმავლობაში ვიყავი. ახლა უკვე 6 თვეა გასული, რაც თბილისში დავბრუნდი. მას შემდეგ, ყველა მარხვას ვინახავ, მოძღვარიც მყავს, რომელსაც აღსარებასაც ვაბარებ და ვეზიარები კიდეც, მაგრამ ტოტალიზატორში თამაშის სურვილი ისევ ხშირად მიჩნდება. თუმცა, ახლა საკუთარ სურვილებს ვერევი და რაც მონასტრიდან დავბრუნდი, ერთხელაც აღარ მითამაშია. ღმერთი მიფარავს და ვახერხებ, რომ ამ დაავადებისგან თავი დავიხსნა.

— რატომ გადაწყვიტეთ, რომ ჩვენს სტატიას გამოხმაურებოდით და ეს ყველაფერი ჩვენთვის გეამბნათ?

— იმიტომ, რომ ვიცი, თუ რამდენი ახალგაზრდაა ტოტალიზატორით დაავადებული. მინდა, ჩემი მაგალითი გაითვალისწინონ და მათაც მიმართონ მონასტერს. უფალი აუცილებლად დაეხმარება... ვიცი, რომ ამის გაკეთება საკმაოდ რთულია. ეს გიოს რომ არ მოენდომებინა, მე ამ დასკვნამდე ვერასოდეს მივიდოდი. აზარტული ადამიანების ოჯახის წევრები თუ მეგობრები უნდა ეცადონ მათ გადარჩენას, რათა ამ ახალგაზრდებმა საბოლოოდ არ დაიმახინჯონ სული. ■

„ეს გოგო ჩემი შეყვარებულია“ ანუ როგორ დააწყებინა „გზავნილებმა“ ჟურნალის კითხვა მაგარ ბიჭებს

ცხოვრებაში მართლაც, რა არ ხდება! აი, ასეთ მესიჯსაც კი ვიღებ ხანდახან (ტექსტი უცვლელია): „მარი, ტყვილა გგონია, რო მაგარი რუბრიკა გაქვს და შენც მაგარი ხარ. ასეთი ამბები არსად გამიგია. გეხვერწები, მითხარი, საიდან მოგაქ ეს ისტორიები? ნაღდი გურული“. ახლა, მეც რომ გურული ვიყო, მუხლისთავზე ხელს დავირტყამდი და ვიკივლებდი — დიდუუ! აი ამბავი რაფერ დამემართა, რავა დამრჩა ბაღანე გრამატიკაუსტავლელი, მაგას მუუკვტი მე-მეთქი, — მაგრამ ვინაიდან გურული არ ვარ, სხვანაირად უნდა მოვიქცე. ჰოდა, ავდგები და „სვანურად“ მოვუვლი: დავსვამ „ფეჩის“ გვერდით, ხელში გრამატიკის წიგნს დავაკავებინებ და ვეტყვი: გურულო, დაჯექი ახლა, „აქიდან“ „აქნამდე“ ოცჯერ წაიკითხე და ზეპირად ჩამაბარე, თორემ, სწორედ ისე მოვიქცევი, როგორც ჩვენი პირველი მესიჯის გმირი მოიქცა-მეთქი....

მარი ხაფარიძე

„ცხვრისტყაოსანი“

„მარი, არ გეწყინოს, მაგრამ ერთი ამბავი უნდა მოგიყვე სვანზე. ჩემი ბიძაშვილი სვანს გაჰყვა ცოლად. ჩვენ კახეთში ვცხოვრობთ. ამ ზაფხულს სიძე-პატარძალი სოფელში გვეწვია. თითქმის მთელი თვე დარჩნენ ჩვენთან და სიძე ისე გაგვიშინაურდა, თითქოს მთელი ცხოვრება ჩვენთან ჰქონდა გატარებული. საოჯახო საქმეშიც გვეხმარებოდა და საღამოობით ვენახშიც მიდიოდა, რომ თვალი გადაევლო, — ყურძენი ან ხილი და ბოსტნეული, რომელიც იქ ხარობდა, ხომ არავინ მოიპარაო. ერთ საღამოს, ჩვეულებისამებრ, სანადირო თოფი გადაიკიდა და ვენახისკენ გაემართა. რამდენიმე ხნის შემდეგ დაბრუნდა, თან ხვნეშა-ხვნეშით, ორი მოზრდილი, დაკლული და გატყავებული ცხვარი მოათრია. გაგვიკვირდა, საიდან უნდა მოეტანა ეს „ნადავლი“? ბუნებრივია, კითხვაც დავუსვით — ჩვენს ვენახში ვიღაცის ცხვრები შესულან და ყურძენს მისდგომიან. გამოვედევნე, რომ ვენახიდან გამეყარა, მაგრამ ვერა და ვერ მოვახერხე, ხან აქეთ გარბოდნენ, ხან — იქით. რაღა უნდა მექნა? თოფი დავუმიზნე და ჯერ ერთი გავაგორე, მერე — მეორე, აბა, ვენახს ხომ არ გავაფუჭებინებდიო!.. — თავმომწონედ გვიამბობდა თავისი „გმირობის“ ამბავს. სიცილი აგვიტყდა... მერე, ცხვრების პატრონს ზარალი ავუნაზღაურეთ, ჩვენ კი მთელი კვირა ცხვრის მწვადს მივირთმევდით ჩვენი სიძის მოხერხებულობის წყალობით. აი, ცხოვრებაში ასეთი ამბებიც ხდება. პატივისცემით, ეკუნა“.

ქალებს არ უყვართ ძუნწი მამაკაცები. ხოლო ხელგაშლილ კაცებზე ჭკუას კარგავენ. სწორედ ამიტომ, უნდა შეგეძლოთ, რომ ხანდახან, საკუთარი ოფლით ნაშოვნი ფული ქარს გაატანოთ. თუმცა... რას გაუგებ ჰომოსაპიენსის ისეთ „ნაირსახეობას“, რომელსაც ქალი ჰქვია?!

ხელფასის გაფრენილი ნახევარი

„25 წლის ასაკში, მშობლების დაჟინებული მოთხოვნით, გადავწყვიტე, ცოლი მომეყვანა და ერთ მშვენიერ ასულს დავადგი თვალი. ასმათი საკმაოდ შეძლებული ოჯახის შვილი იყო. ამის გამო გადავწყვიტე, მისთვის თავი ისე მომეჩვენებინა, თითქოს აღარ ვიცოდი, ფული რაში დამეხარჯა. ჩემი მეგობარი ბიჭი ტაქსის მძღოლად მუშაობდა და კარგი „მერსედესი“ ჰყავდა. როცა ასმათს ვხვდებოდი, ამ „მერსედესს“ ტაქსის ნიშანს ვხსნიდით და ჩემს გულის სწორს აღმადაღმა დავაქროლებდი. ეს სიამოვნება სულ 5-6 ლარი მიჯდებოდა. ამ თანხით ბენზინს ვასხამდი. უმანქანოდ რომ შეეხვედროდი, ქუჩაში ხომ არ გავაჩერებდი, კაფეში უნდა დამეპატიჟა, ეს კი უფრო მეტ ხარჯთან იქნებოდა დაკავშირებული. როცა მანქანით ვსეირნობდით, თავისუფლად ვსაუბრობდით და არც უხერხულად ვგრძნობდი თავს. არ გეგონოთ, გულხელდაკრეფილი ვიჯექი და ველოდი, ღმერთი როდის გადმომიყრიდა „თუმნიანებს“. ბევრს ვშრომობდი. თავს არ ვზოგავდი და არც ფიზიკურ სამუშაოს ვერიდებოდი, რომ ცოტაოდენი ფული მომეგროვებინა ქორწილისთვის. ერთ მშვენიერ დღეს, ამ „ჩემი“ „მერსედესით“ ასმათი ჯერ მამადავითის ეკლესიაში წავიყვანე, პანთეონი დავათვალიერეთ, მერე ფუნიკულორზე გასეირნება შევთავაზე. მანქანა დავტოვეთ და მთელი პარკი ფეხით მოვიარეთ. თან თავგამოდებით ველაპარაკებოდი იმაზე, რომ ძალიან მიყვარდა რომანტიკული თავგადასავლები, ბუნებასთან კონტაქტი და ვერ ვიტანდი სიგარეტის კვამლით გაბოლილ კაფეში ჯდომას... მომეჩვენა, თითქოს ასმათმა ეჭვის თვალით შემომხედა. გულის ჯიბეში ჩაკეცილი, წინა ღამის ხელფასს — ოთხ ცალ ხუთლარიანს ხელი შევავლე და ასმათი იმ მოაჯირთან მივიყვანე, საიდანაც თბილისი ხელისგულივით მოჩანდა. ერთი ხუთლარიანი ამოვაძვრინე, მისგან პატარა თვითმფრინავი გავაკეთე და „გავაფრინე“. ჩემი სული და გული თან გაჰყვა იმ კუპიურას... შემდეგ — მეორე ხუთლარიანი ამოვიღე და პირველის გზას გავუყენე. თან ასმათს ვაკვირდებოდი, მოსწონდა თუ არა ჩემი ხელგაშლილობა. ჩემი ხელფასის ნახევარი კი ქარს მიჰქონდა და მე სულელივით ვიკრიჭებოდი... იმ დღის შემდეგ, ასმათი თითქოს გამირბოდა, შეხვედრაზე ძნელად მთანხმდებოდა, აღარც ტელეფონით მესაუბრებოდა. ავდექი და პირდაპირ ვკითხე მიზეზი. როგორც იქნა, ამოღერღა — კაცი რომ ფულს არ უფრთხილდება, ან იოლად აქვს ნაშოვნი, ან მისი ყადრი არ იცის, ამიტომ მე ისეთ კაცს ცოლად ვერ გავყვები, ვინც ოჯახის ქონებას ქარს გაატანსო... დავრჩი ასე, ხახამშრალი. ამ ქალების მაინც ვერაფერი გავიგე. ძუნწი კაცი თვალით არ დაენახვებათ, ხელგაშლილი — მით უმეტეს. გამაგებინეთ, როგორ უნდა მოვიქცე?!“

ზოგიერთ ამერიკულ დეტექტიურ სააგენტოში ფარული სიცრუის დეტექტორი აქვთ. ეს გახლავთ ჩვეულებრივი სკამი, რომელიც შედარებით მეტად გამომშრალი მასალისგანაა დამზადებული და ზომაზე უფრო ჭრიალებს. კლიენტს სწორედ ასეთ სკამს სთავაზობენ, ხოლო აგენტი, რომელიც მას ელაპარაკება, მხოლოდ კლიენტის პასუხებს კი არ უგდებს ყურს, არამედ დიდ ყურადღებას აქცევს მოჭრიალე სკამის „ჩვენებებს“: თურმე, რაც უფრო მეტად ჭრიალებს „ჩამშვები“ სკამი, მით მეტს იტყუება მასზე მჯდომი ადამიანი... ეჰ, ერთი ასეთი სკამი რომ ჰქონოდა შემდეგ რესპონდენტს, მის ბედს ძაღლი

არ დაჰყეფდა...

ერთი — „ასეც ხდება“, ორი — „ასეც ხდება“

„ცხოვრებაში მართლაც, ბევრი უცნაური ამბავი ხდება. ერთ-ერთი მინდა გიამბოთ. 15 წლის წინ, დავქორწინდი ქალზე, რომელიც დედაჩემს კატეგორიულად არ უნდოდა. დიდი წინააღმდეგობა შემხვდა ოჯახის მხრიდან, რადგან სოფიკო განათხოვარი იყო. როცა ყველას და ყველაფერს გადავაბიჯე, ჩემი რჩეული შინ მივიყვანე და ჩემს ცოლად გამოვაცხადე, დედაჩემს გული წაუვიდა. ისეთი გლოვა-ტირილი იდგა, თითქოს მე, ერთადერთი შვილი და გვარის გამგრძელებელი, მოვკვდი. ხომ წარმოგიდგენიათ, როგორი ურთიერთობა ექნებოდა რძალ-დედამთილს?! ჰოდა, ამის გამო იძულებული გავხდი, სოფოსთან ერთად, ცალკე საცხოვრებლად წავსულიყავი. მისი 5 წლის გოგონაც ჩვენთან იზრდებოდა. მალე საერთო შვილი, გიორგი შეგვეძინა. ორივე ბავშვი ერთნაირად მიყვარდა. ანანო ისეთი ლამაზი და კარგი ბავშვი იყო, შეუძლებელი იყო, არ შეგყვარებოდა. როდესაც გიორგი ერთი წლის გახდა, ანანო უკვე სკოლაში მივიყვანეთ. სოფიკომ დაიჟინა, მუშაობა უნდა დავიწყოო. თავისი მეგობრების დახმარებით მალე სამსახურიც იშოვა, მაგრამ ბავშვებისთვის ვის უნდა მოევლო? გიორგის დედაჩემი მიხედავდა. სიგიჟემდე უყვარდა შვილიშვილი, მაგრამ ანანოს სკოლაში მიყოლა-მოყოლა და მეცადინეობა სჭირდებოდა. სოფიკომ დედაჩემს დაურეკა და სთხოვა: — ანანოს ძიძა უნდა ავუყვანო, 150 დოლარი უნდა გადავუხადო, გიორგის კი შენ უნდა მიხედო და სურვილი ხომ არ გაქვს, რომ ეს ფული შენ გადაგიხადო? ბარემ ორივე ბავშვს ერთად მიხედავო... ეს ერთი — „რა არ ხდება ცხოვრებაში“... ახლა მეორე: დედაჩემი დათანხმდა. თან ისიც მოულაპარაკებია, რომ ამის შესახებ მე არაფერს შევიტყობდი. უნდა გითხრათ, რომ გაოცებული დავრჩი, როდესაც სოფიკომ მითხრა — დედაშენი თანახმაა, ანანოს მიხედოსო, მაგრამ ასეთი გარიგება თუ არსებობდა, ამას, 10 წელი რომ მეფიქრა, ვერ მოვიფიქრებდი. ერთი სიტყვით, მე და სოფო სამსახურში დავდიოდით, დედაჩემი — ბავშვებს უვლიდა... ასე გავიდა 4 წელი. ბოლო პერიოდის განმავლობაში ჩემი ცოლის საქციელი ჩემში ეჭვს იწვევდა: შინ გვიან ბრუნდებოდა, დაღლილი სახით და სამსახურს აბრალებდა. მე თავს ვიშტერებდი, ვითომ არ ვეჭვიანობდი და ვეუბნებოდი — დაანებე თავი, ნუ იმუშავებ, შენი 200-ლარიანი ხელფასი მაინც არაფერში გვადგება-მეთქი, — მაგრამ თავისას არ იშლიდა. ფული გაუჩნდა, ახალი „ზმანები“ შეიძინა, ყოველდღე სალონებსა და ბუტიკებში დაქროდა... მასთან ოფისში ჩემი მეგობრის სიდედრი მუშაობდა დამლაგებლად. სწორედ იმ ქალბატონისგან შევიტყვე სოფიკოს ინტიმური ამბების შესახებ. არ მინდოდა, სიმართლისთვის თვალი გამესწორებინა და დამეჯერებინა, რომ ცოლი მღალატობდა, მაგრამ ფაქტებს სად გავექცეოდი?!. დიდი სკანდალით დავშორდით ერთმანეთს. ანანომ დედასთან ცხოვრებას, ჩვენთან დარჩენა ამჯობინა. ახლა ორ შვილს ვზრდი. გოგონა უკვე 20 წლისაა, გიო — 15-ის. სოფიკოს კი მხოლოდ 2-3 თვეში ერთხელ ნახულობენ. დედაჩემი ერთმანეთისგან არ არჩევს ბავშვებს. ორივე ხომ მისი გაზრდილია!.. აი, ასეთი ამბებიც ხდება ცხოვრებაში. პატივისცემით, ტარიელი“.

ცხოვრებაში ყოველ ფეხის ნაბიჯზე მათემატიკა გვესაჭიროება. ავიღოთ, მაგალითად, „საბაზო“ საკითხები — არსებობს 2 სქესი, 5 თითი, 12% — მოგების გადასახადი, ამოუცნობი იქსებითა და იგრეკებით საუბარი 2 სქესის წარმომადგენლებს შორის... თუმცა, ამ ზუსტ ციფრებს თავისი დადებითი მხარეც აქვს. წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორ შეიტყობდით, რომ მტკაველებში გაცილებით მაღალი ხართ, ვიდრე სანტიმეტრებში? ხოლო მეგაბაიტებსა და კილოგრამებში — უფრო ჭკვიანი და უფრო მძიმე. ჰოდა, თუ გინდათ, უფრო დაჯერებულად იგრძნოთ თავი, წაიკითხეთ შემდეგი რესპონდენტის მესიჯი და გამოიყენეთ საკუთარ ცხოვრებაში — სადაც, „ვინ იცის, რა არ ხდება...“

ჩასუქებული ინდაური თუ „უნაირო“ „სასიძო“?

„ყოველთვის მიკვირდა, როდესაც ვიგებდი, რომ ტელეფონით გაცნობილ ადამიანებს ერთმანეთი სიგიჟემდე უყვარდებოდათ მანამ, ვიდრე ერთმანეთს ნახავდნენ. ვერ ვიჯერებდი, რომ ეს შესაძლებელი იყო, ვიდრე საკუთარ თავზე არ გამოვცადე. ერთ საღამოს, ტელეფონის ზარს ვუპასუხე. ყურმილში ისეთი სასიამოვნო, მიბნედილი ხმა ისმოდა, ლამის შიგ შევძვერი, რომ ამ ხმის პატრონი ქალი დამენახა. ჩემთან შემთხვევით მოხვდა, მაგრამ იმდენი ვქენი, რომ მთელი ნახევარი საათი ველაპარაკე და ტელეფონის ნომერიც გამოვართვი. ამის შემდეგ, თითქმის ყოველდღე ვეკონტაქტებოდით ერთმანეთს. მთელი ორი თვე გავიდა, მე კი მის ნახვას არ ვჩქარობდი. თუმცა, ინტერესით ვკვდებოდი, როგორი გარეგნობა ჰქონდა ამ შესანიშნავი ხმის მქონე ქალბატონს. არც იმას ვცდილობდი, რომ მეკითხა — როგორი ფერის თმა და თვალები ჰქონდა, რამდენი სანტიმეტრი იყო სიმაღლით, ლამაზი იყო თუ არა. მიმაჩნდა, რომ ეს დამამცირებელი იქნებოდა მისთვის და ყოველთვის თაქს ვიკავებდი მსგავსი ხასიათის შეკითხვებისგან. პრინციპში, უკვე ისე ვიყავი მასზე შეყვარებული, რომ გარეგნობას მნიშვნელობას აღარც ვანიჭებდი. საღამოს შეხვედრაზე ჩამოვუგდე სიტყვა. ვაძალებდი, ხვალ უნდა შემხვდე-მეთქი. დამიწყო გამოკითხვა, როგორი გარეგნობა მქონდა. სწორედ იმ კითხვებს მისვამდა, რომლებიც ასე დამამცირებლად მიმაჩნდა. როგორი სიმაღლე გაქვს? — ხომ არ ვეტყოდი, 185 სანტიმეტრი ვარ-მეთქი. ამიტომ ვუთხრი — ასე, 18 მტკაველი ვიქნები-მეთქი. — რამდენი კილო ხარო? — წარმოგიდგენიათ? გეგონება, კარტოფილი, კომბოსტო ან ხორცის ნაჭერი ვიყავი!.. გავბრაზდი — ერთი ჩასუქებული ინდაურის წონა ვარ-მეთქი, — ვუთხარი. ერთი სული მქონდა, როდის დავუკიდებდი ყურმილს. ამის შემდეგ, მასთან ყოველგვარი ურთიერთობის სურვილი დამეკარგა. მისთვის ჩვენი დაშორების ნამდვილი მიზეზი არ მითქვამს. მაინც არ დამიჯერებდა ან გიჟად ჩამთვლიდა... ერთ რამეს ვიტყვი — ასე არავის დავუმცირებივარ“.

ქუჩაში ღიღინით მიმავალს, თუ უცხო ბავშვმა მამა დაგიძახათ?.. ნუ აღელდებით — იქნებ, თქვენ არაფერ შუაში ხართ. თუ გარშემო მიმოიხედავთ და სხვას ვერავის შენიშნავთ, ვისაც ეს მიმართვა ეკუთვნოდა, დააკვირდით ბავშვს — იქნებ, მის თვალებში დედის მზერა შენიშნოთ და გაიხსენოთ, როდის, ვინ და რატომ გაგიკეთათ ასეთი მოულოდნელი საჩუქარი... ვერ იხსენებთ?.. ძალიან ცუდი! ასეთ უხერხულ სიტუაციაში რომ არ აღმოჩნდეთ, ისე უნდა მოიქცეთ, როგორც შემდეგი გზავნილის გმირი.

„საკუთარი შვილი მოვიპარეთ“

„მინდა, ჩემი ცხოვრების ერთი პატარა ეპიზოდი მოგიყვეთ. 19 წლის ვიყავი, როდესაც მე და პაატას ერთმანეთი შეგვიყვარდა. ცოტა ხნის შემდეგ, დაუფიქრებლად დავნებდი და 2 წლის განმავლობაში ვხვდებოდით ერთმანეთს. ბოლოს, დავფეხმძიმდი და როდესაც პაატას გავუმხილე, მაშინვე შემომთავაზა — დავქორწინდეთო. სიხარულისგან ფეხზე ძლივს ვიდექი, მაგრამ თურმე, წინ მთელი ჯოჯოხეთი მელოდა. როდესაც მისმა ოჯახმა ამის შესახებ შეიტყო, დედამისმა ქვა ააგდო და თავი შეუშვირა — მაგ გოგოს შინ არ შემოვუშვებო! — ხოლო როდესაც პაატამ უთხრა ჩემი ორსულობის შესახებ, სულ გადაირია. შინ მომივარდა. მარტო ვიყავი და კარი დაუფიქრებლად გავუღე. თმაში მწვდა და იატაკზე მახლევინა თავი... პაატამ ამის შესახებ რომ შეიტყო, შინიდან გაიქცა. მე კი მისი თანადგომა მჭირდებოდა. დრო გადიოდა, პაატა არ ჩანდა, მე კი მუცელი თანდათან მეზრდებოდა. ეს ჩემს ოჯახს შეუმჩნეველი არ დარჩენია. ჩემი მშობლები და ძმა ლამის სასიკვდილოდ მიმეტებდნენ, მაიძულებდნენ, ექიმთან წავსულიყავი და ბავშვი მომეცილებინა. ჩემს თვალზე ცრემლი არ შემშრალა. პაატა კი ისევ არ ჩანდა. მისი და ჩემი ოჯახები სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაემტერნენ ერთმანეთს. ჩემი ძმა მათ ბინას დარაჯობდა, რომ პაატა დაეჭირა და ფიზიკურად გასწორებოდა. ისინი კი ჩვენს სახლთან ათენ-აღამებდნენ, რომ პაატა ენახათ (ეგონათ, რომ ჩვენი ურთიერთობა გრძელდებოდა). შვილის ასავალ-დასავალი არ იცოდნენ და ასე უნდოდათ მისი პოვნა. მე შინიდან წამოვედი და საცხოვრებლად ჩემს მეგობართან გადავედი. დაბადების დღეს ვიწყევლიდი, ძალზე ვნერვიულობდი, მაგრამ ჩემი მეგობარი და მისი მეუღლე მამშვიდებდნენ — შენ გვერდით ვართ, ნუ გეშინიაო. მოვიდა დრო, როცა უნდა მემშობიარა. სამშობიაროში დავწექი. ჩემი მეგობრისგან შევიტყვე, რომ ჩემი და პაატას ოჯახის წევრები სამშობიაროსთან „აბირჟავებდნენ“ და ერთმანეთს უთვალთვალებდნენ... მშვენიერი გოგონა შემეძინა. სანახავად მხოლოდ მეგობრები მოდიოდნენ. მათ სპეციალურად გამოყოფილ ოთახში ვხვდებოდი. ერთ-ერთი ასეთი შეხვედრის დროს, უეცრად ჩემი მზერა კედელზე შავი, მსხვილი ასოებით დაწერილ ფრაზას მოხვდა. „ნანუკი, მიყვარხართ შენ და ჩვენი შვილი. ნუ გეშინია, მე შენთან ვარ, ჩვენ ვერაფერი დაგვაშორებს. გკოცნი, შენი პაა-

ტა“. ხელწერაც ვიცანი. სიხარულით ლამის ფრთები შემესხა, მაგრამ არავისთვის გამიმხელია, პაატა რომ გამოჩნდა. მნახველების წასვლის შემდეგ, ხელმეორედ შევედი იმ ოთახში და მის წარწერას ქვეშ ჩემი პასუხი მივაწერე თვალის ფანქრით: მიყვარხარ, გელიმეთქი, — ვატყობინებდი. მეორე დღეს პასუხი დამხვდა. მიეხვდი, გვიან ღამით მოდიოდა, ჩემთვის ამბავი რომ შეეტყობინებინა... სამშობიაროდან გამოსვლამდე ორი დღით ადრე კი მთავაზობდა, გავიპაროთო და პაემანს მინიშნავდა ღამის 3 საათზე, იმავე ოთახში. გავედი. ერთმანეთს ჩავეხუტეთ, ჩვენი შვილიც „მოვიპარეთ“ და უკანმოუხედავად გამოვიქეცით. კარგა ხანს ვიმალებოდით, მერე მოსკოვში წავედით და მთელი 3 წელი იქ ვცხოვრობდით... ახლა ჩვენი გოგონა უკვე 17 წლისაა. ბედნიერად ვცხოვრობთ. მეტი შვილი აღარ შეგვეძინა. პატივისცემით, ნანა“.

„პაციენტი, დათოს შვილი აღმოჩნდა“

„18 წლის ასაკში, სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტს, ერთი ნახვით შემიყვარდა დათო. მის გულისთვის ყველაფერს დავთმობდი. მასაც ვუყვარდი, მაგრამ ალბათ ისე ძალიან არა, როგორც — მე ის. ის ანგარებით დაქორწინდი სხვაზე და კარიერა გაიკეთა. სიკვდილი მინდოდა, როცა ეს გავიგე, ლოგინად ჩავვარდი, მაგრამ ცხოვრება გაგრძელდა... სულ იმაზე ვოცნებობდი, მაგარი ექიმი გამოვსულიყავი და ჩემს წარმატებებს მის ყურამდე მიეღწია... გავიდა 19-20 წელი. იცით, რა მოხდა? სამსახურში სასწრაფო ოპერაციაზე გამომიძახეს. პაციენტი გულმკერდის არეში იყო დაჭრილი. ეს დათოს შვილი გახლდათ. ბიჭი უმძიმეს მდგომარეობაში იმყოფებოდა. ლამის გავგიჟდი. მას რომ რაიმე მოსვლოდა, ვერ გადავიტანდი, რადგან ამ წლების განმავლობაში, სწორედ იმაზე ვოცნებობდი, დათოს დავჭირვებოდი... ემოციები მოვთოკე და რაც შესაძლებელი იყო, ყველაფერი გავაკეთე ბიჭის გადასარჩენად. ბედნიერი ვარ, რომ დათოს შვილის გადარჩენაში ლომის წილი მიმიძღვის. ბედნიერი ვარ, რომ მიხვდა, ვისი სიყვარული უარყო. მე ხომ დღესაც წმინდად მიყვარს“...

„შარიანი“ სარეცხის ფხვნილი

„ერთი ჩვეულებრივი, პატიოსანი ადამიანი ვარ. მთელი ცხოვრება ვწვალობდი, ვშრომობდი... როგორც იქნა, მოვაგროვე ფული და გერმანიაში წავედი მანქანის ჩამოსაყვანად. იქ დამხვდნენ მეგობრები. სულ რაღაც 3-4 დღის ჩასული ვიყავი, როდესაც შემთხვევით მეგობრებს ჩამოვრჩი და დავიკარგე. ისე დავიბენი, რომ აღარ ვიცოდი, რა მექნა. ამ ნერვიულობაში მათი მობილურის ნომრებიც გადამავიწყდა. გადავწყვიტე, საქართველოში დამერეკა მეუღლესთან და ნომრები გამეგო. ასეც მოვიქეცი, მაგრამ მეუღლემ ეს ამბავი არ დაიჯერა და ნომრის თქმაში, სარეცხი ფხვნილის ჩამოტანა „შემანერა“. მეც „შევიწერე“, სხვა რა გზა მქონდა?.. მერე მეგობრებს დავურეკე და მომძებნეს. ცოტა ხანში მანქანაც ვიყიდე... ამაშიც მოვტყუვდი. მანქანა გარედან ლამაზი და კარგი იყო, მაგრამ თურმე არ ვარგოდა. გერმანიიდან მანქანით წამოვედი და თურქეთში მანქანა გამიფუჭდა. 2 დღე მის რემონტს მოვუნდი და როცა თავი სამშვიდობოს დავიგულე, სწორედ მაშინ გამაჩერეს და 1 შეკვრა სარეცხი ფხვნილის გამო, 17 საათი მაყურყუტეს. როგორ ვინერვიულე, ამას აღარ მოგიყვებით... ახლა კიდევ მინდა წასვლა და მესიჯს იმიტომ გიგზავნით, რომ იქნებ, ჩემმა ცოლმა წაიკითხოს და ასეთი საშარო რამ აღარ დამაბაროს. პატივისცემით, ბრუალიკო“.

„გონს რომ მოვედი, უკვე ყველაფერი მომხდარი იყო...“

„გმადლობ, მარი, ჩემი მესიჯის დაბეჭდვისთვის. შენ ჩემი მესაიდუმლე ხარ.. ახლა კი მინდა, ჩემი ამბავი მოგიყვე. 18 წლის გამათხოვეს. არ მიყვარდა და ვერც შევიყვარე. ამიტომ ერთ ბავშვზე მეტი შეგნებულად არ გავაჩინე. რა ვქნა, ვერ შევიყვარე თავისი უხეში ხასიათის გამო... დედა არ მყავდა, მამას ჩემს გაზრდაში ნათესავები ეხმარებოდნენ... მოკლედ, ისეთ ადამიანზე გამათხოვეს, რომ ცხოვრება ჯოჯოხეთად მექცა. ჯერ ერთი, სულ სვამდა, მერე — მამწარებდა, ეჭვიანობდა... არც სიფხიზლეში იყო აუწონავი ოქრო. ბოლოს, სულ აურია. მე კი მაინც ვითმენდი და მისი ერთგული ვიყავი. სხვისკენ არასოდეს გამიხედავს. ერთ დღეს უცხო ნომრიდან ჩემს მობილურზე მესიჯი მოვიდა, ისეთი თბილი სიტყვებით მომმართავდა ვიღაც, რომლის მსგავსი ცხოვრებაში არ მსმენია. მეც ვუპასუხე. ასე გავიცანი ის პიროვნება. არც ერთს არ დაგვიმალავს ჩვენი ოჯახური მდგომარეობა. მასაც ოჯახი ჰქონია... ძალიან თბილი ურთიერთობა ჩამოგვიყალიბდა. 3 თვე მხოლოდ მესიჯებით ვურთიერთობდით, შემდეგ — შეეხვდით. მოლოდინს გადააჭარბა. ჩემი ქმრის ხელში კაცთა მოდგმა მძულდა, იმან კი ცხოვრება სხვა თვალით დამანახვა. მაშინ ორივე 32 წლის ვიყავით. ოჯახის ფასიც ვიცოდით. მე ჩემი პრობლემების შესახებ მასთან არ მილაპარაკია, მას კი კარგი თბილი ოჯახი ჰქონდა და ერთი გოგონაც ჰყავდა. ბევრ რამეზე ვისაუბრეთ. ლისის ტბაზე ვიყავით, ბალახზე ვისხედით და ვსაუბრობდით. ვერც კი მივხვდი, როგორ აღმოვჩნდი მის მკლავებში. გონს რომ მოვეგე, უკვე ყველაფერი მომხდარი იყო... საოცრად თბილი ადამიანი გახლდათ. სახლამდე მიმაცილა. მას მერე აღარ მინახავს. მხოლოდ მესიჯებით ვურთიერთობთ, ისიც — ხანდახან... აი, ასეთი ამბებიც ხდება ცხოვრებაში, მე მას მეგობრად ვთვლი“.

ახლა კი მოკლე მესიჯებსა და საჩივრებს გადავხედრთ

„თავი ჯენიფერ ლოპესი ჰგონია“

„მართლაც, რა არ ხდება ცხოვრებაში? სად მე და სად — დევიდ ბექჰემი. ვინ იფიქრებდა, ის თუ შემიყვარდებოდა, თანაც ყველაზე მეტად?!. მარი, თუ გინდა, ნუ გამოაქვეყნებ. უბრალოდ, ჩემი სატანჯველი გაგანდე. მირანდა“.

„მეთერთმეტე კლასს ვამთავრებდი, როცა ღმერთმა დამსაჯა და ის ადამიანი შემიყვარდა, რომლის ცხვირსა და გარეგნობაზე ადრე გულიანად ვკაიფობდი. ეს კიდევ არაფერი — მთავარი ის არის, რომ ის ჩემი მასწავლებელი იყო. ვიცი, რომ მასაც მოვწონდი, მაგრამ ჩვენ შორის დიდმა ასაკობრივმა სხვაობამ, მისმა დაძაბულმა სამუშაო გრაფიკმა და შესაძლოა, ცხოვრებამაც, ხელი შეგვიშალა. მე კი ძალიან მიყვარდა და ძლივს დავივიწყე იმ „უნაიროს“ ლამაზი თვალები. მის ნაჩუქარ ავტოკალამს ახლაც, 2 წლის მერეც სათუთად ვინახავ“...

„გამარჯობა, მარი. დიდი მადლობა იმისთვის, რომ ჩემი მესიჯი დაბეჭდეთ. თქვენი წყალობით უშანგი თავის შეცდომას მიხვდა, მაგრამ მე არ ვურიგდები. მან ჩემს ნათესავთან მიღალატა. პატივისცემით, მაია“.

„ეჰ, მარი, მარი... ცხოვრებაში მართლაც, რა არ ხდება... ორი თვის წინ, რას წარმოვიდგენდი, რომ ჩემი დაქალი, რომელმაც ჩემი სიყვარული ერთხელ უკვე გადაარჩინა, ასე დაუნდობლად მომექცეოდა და ჩემს პირველ სიყვარულს შეიყვარებდა. ახლა ვგრძნობ, რომ დაქალს ვკარგავ. „ცელქი“.

„ერთი თვის წინ რომ ეთქვათ, შენს უდიდეს და ერთადერთ სიყვარულს დაკარგავ, მერე მასთან მხოლოდ იმეგობრებ და მის ადგილს სხვა დაიკავებსო, ალბათ გიჟად ჩავთვლიდი. მაგრამ ცხოვრებაში მართლაც, რა არ ხდება. თურმე უდიდესი სიყვარულის დავიწყებაც შეიძლება. ბასა“.

„მართლაც, რა არ ხდება ამ ქვეყანაზე. გოგონებს, რომლებიც ისეთი ბანძები იყვნენ, რომ „გამარჯობას“ არავინ ეუბნებოდნენ, დავუმეგობრდი... ქვეყანაზე გამოვიყვანე... ერთი წლის შემდეგ უკვე ვეღარ მამჩნევდნენ. ახლა კი საერთოდ ჩამოვშორდი. ორივეს თავი ჯენიფერ ლოპესი ჰგონია. ნინო და თაკო, თქვე გოიმებო და სოფლელებო, მაგრად ვკაიფობ თქვენზე. ხატია“.

„რას ვიფიქრებდი, რომ ზვიად ზ-შვილი ასე შემიყვარდებოდა და ძებნას დავუწყებდი?!. როცა დრო იყო, ვერ გავუგე, ახლა თავს ვიკლავ უიმისოდ. ზვიო, იქნებ, შემთხვევით მაინც შეგხვდე. ქეთი“.

„მარი, გეხვეწები, სთხოვე მკითხველებს, რომ თუ რამე კარგი, სასიყვარულო ლექსი იციან, „გზავნილებში“ გამოგზავნონ, რააა! გვანცა“.

„ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ ქერა ბიჭი შემიყვარდებოდა, მაგრამ ახლა თავდავიწყებით სწორედ ასეთი მიყვარს. თაზო ნ-შვილო, შენზე ჭკუას ვკარგავ. მიყვარხარ და მენატრები. ცხოვრებაში რა არ ხდება!“

„დათო, შენ მხოლოდ მე კი არა, შენი შვილიც მიატოვე. დამიბრუნდი, მიყვარხარ. ვერ გეუბნები, რომ ორსულად ვარ და შენი შვილის გაჩენას ვაპირებ, მიუხედავად იმისა, გინდა თუ არა...“

„იცი, ბევრი რამ ხდება საოცარი, ჩემო ჰორაციო. მაგალითად, ჩვენი შეხვედრა და კიდევ უამრავი დამთხვევა, რაც უფრო ბედისწერის ბრალია, ალბათ. მინდა გითხრა, რომ ერთი ადამიანი ერაყიდან უკვე დაბრუნდა და ახლა ერთმანეთის გაცნობის „საამური“ დრო გვიდგას“.

„გია, ძალიან მემდური, მწერ — შენი მესიჯების შინაარსი რატომ „გაცივდაო“? როცა მე საქართველოში ვიყავი, ყველაფერი

გავაკეთე, რომ არ დამეკარგე, მაგრამ დავიღალე და გადავწყვიტე, ჩემი თავი ისევ ჩემი შმაგისთვის მენაცვალებინა და საბერძნეთში წამოვედი. ცოცხლად დავიმარხე თავი. შენ რომ სიყვარულს მთხოვ, აღარ არსებობს. მოკვდა იგი და მკვლელი შენ ხარ. შენი ყოფილი ლია."

„ვინ წარმოიდგენდა, რომ ჩემი საუკეთესო დაქალის ძმას შევუყვარდებოდი?! მან ცოლობა მთხოვა. ლეო, მიყვარხარ".

„ამ ზაფხულს წნორში გავიცანი ერთი გოგო. ნატა ნუკრიანელია. მე ის ერთი ნახვით მომეწონა. საერთოდ, ძალზე ჭირვეული გემოვნება მაქვს. ნატა ჩემი გონებიდან არ ამოდის. მას კი არ მოვწონვარ და მგონი, აღარც ვახსოვარ. ის ყველაზე ლამაზია მსოფლიოში".

„ცხოვრებაში რა არ ხდება, მაგრამ რაც მე გადამხდა?!. 19 წლისამ აღმოვაჩინე, რომ ცოლშვილიან კაცზე ვიყავი შეყვარებული. ის ჩემთვის მიუწვდომელი აღმოჩნდა. მას შემდეგ 8 წელი გავიდა. ერთ დღეს, ძმაკაცის დაბადების დღეზე ვიყავი. კარგად მოვილხინეთ. ბოლოს, ღვინომ თავისი გაიტანა... დილით კი, მე და იუბილარმა ერთ საწოლში გავიღვიძეთ. 6 თვე საყვარლები ვიყავით, შემდეგ მან ცოლი მოიყვანა, მაგრამ მაინც ვერ ვშორდებით ერთმანეთს. ზურა, რაც არ უნდა მოხდეს, მაინც დაგიბრუნებ და სამუდამოდ ჩემი გახდები".

„მარი, მაგრად შეგვაყვარეთ თავი შენც და „გზავნილებმაც". ცხოვრებაში თურმე ასეც ხდება, შენ მე ჟურნალების კითხვა დამაწყებინე... ახლა გვინდა ვუთხრათ ბაიას, სალოს, თათას, მარის: გვიყვარხართ, „სტერვა" ანგელოზებო! მაგარი ბიჭები".

„დავიწყებ იმით, რომ რაც თავი მახსოვს, მახსოვს ჩემი ძმაკაცი თოკოც, რომელიც სულ ჩემ გვერდითაა. მეც გამუდმებით მასთან ვიყავი — გოგონებს ვაცნობდი, საქმეებს ვუწყობდი და ასე ვძმაკაცობდით. სულ რაღაც ერთი თვის წინ, ვაკეში გადავიდა საცხოვრებლად. მისი ხშირი სტუმარი ვიყავი. ერთი „დამპალი" მეზობელი ჰყავს. ერთხელ მოკლე ქვედაბოლოთი შემნიშნა და იმის შემდეგ, ჩემს დანახვაზე ელეთ-მელეთი ემართებოდა. ავდექი და თოკოს ყველაფერი მოვუყევი. იქ ამბავი ატყდა — მტრისას!.. თოკო ყვიროდა — ეს გოგო ჩემი შეყვარებულია და თუ რამეს გაუბედავ, იცოდე, მოგკლავო. მე იქვე ვიდექი და მეცინებოდა. რომ წამოვედით, ვხუმრობდი — შენ ხარ ჩემი შეყვარებული-მეთქი? ის კი მომიბრუნდა და მაკოცა... სილა გავაწანი. ახლა კი მინდა, ბოდიში მოვუხადო და ვუთხრა, რომ ძალიან მიყვარს, მაგრამ ვერ ვბედავ. იქნებ, თქვენ დამეხმაროთ და გავაგებინო..."

„მინდა ბელის ვუთხრა, რომ ზაფხულში ისევ ჩამოვიდეს ტურნირზე გუჯასთან. ბელი, არ გეცნობით? ჩვენ ის ორი გოგო ვართ, შენ რომ „გბალელშიკობდით". შენ კი მადლობაც არ გადაგვიხადე. მარი, ეს სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია. გამომიქვეყნე. გთხოვთ. თათუშკა".

„ტერენტი გრანელი, პაოლო იაშვილი, გალაკტიონ ტაბიძე... სამწუხაროდ, ეს ჩამონათვალი სრული არ არის. მე მაინტერესებს, რატომ ხდება ცხოვრებაში ისე, რომ გენიოსები ხშირ შემთხვევაში თავს იკლავენ, იდიოტები კი დედამიწას ამძიმებენ. იქნებ ამის მიზეზი ჩვენ ვართ? შესაძლოა, ცოტა „ხმამაღლა" გამომივიდა, მაგრამ ცხოვრებაში რა არ ხდება..."

„ბიჭი, რომელიც მიყვარდა, მეფიცებოდა, რომ მასაც ვუყვარდი, მაგრამ მაშინვე მიმატოვა, როგორც კი გაიგო, რომ მისგან ბავშვს ველოდებოდი. მე მხოლოდ მისი მონატრების უფლება დამრჩა... ნინო".

„ერთ დღეს გიოს დავუმესიჯე — აღარ მიყვარხარ და ნუ დამირეკავ-მეთქი. ათას რამეს ვფიქრობდი. ისიც ვიფიქრე — მოვა და ხვეწნას დამიწყებს, არ მიმატოვებს-მეთქი. როდესაც მისგან პასუხი მივიღე, ლამის გავაფრინე, მხოლოდ ერთი სიტყვა ეწერა — „მეზიზღები"! ჩემო პატარავ, ვიცი, გული გატკინე. მივხვდი, რომ არ მიყვარდი და ოცნების კოშკი ხუხულასავით დაინგრეოდა. შენი პრინცესა, ანა".

„მარი, მე არ ვიცი, რა ბედი ეწევა ამ მესიჯს, მაგრამ გთხოვ, უშველე ერთ საცოდავ კაცს, რომელიც მინდა, უჩემობას გადავარჩინო... ჩემო მახინჯო სიცოცხლევ, იცოდე — ჩემი იმედის ნაპერწკალი ხარ, ამ გულს მიცოცხლებს ოცნება შენზე. შენით ვიღიმი, შენით ვტირი, შენზე ვლოცულობ დღეს! ვერ დაგანახვე, ვერ დაგაფასე, არ ვებრალები ბედს!.. შენი ცხოვრების ნაგლეჯ-ნაფხრეწი, ხატია".

„ჩემი ინგლისურის მასწავლებელი შემიყვარდა, თანაც — უზომოდ. ერთხელ, როცა მარტო იყო, მასთან კლასში შევედი და სიყვარული ავუხსენი. თან ვაკოცე, მან კი ისეთი გამილაწუნა, ახლაც ლოყა მეწვის. ნანა მასწ., რატომ არ შეიძლება ჩვენი სიყვარული?.. მერე რა, რომ 8 წლით უმცროსი ვარ! ნუ მტანჯავთ, მე ხომ თავზე მეტად მიყვარხართ... აუ, მარი, ძმობას გაფიცებ, გამომიქვეყნე, რა! ნიკა".

„მარი, მაპატიე, ასე გვიან რომ გწერ. ვიცი, საქართველოში ახლა ძალიან გვიანია. მე ათენიდან გიმესიჯებთ. ცხოვრებაში მართლაც, რა არ ხდება. ვერასოდეს წარმოვიდგენდი, თუ ოდესმე აქ ჩამოვიდოდი და ჩემს სიცოცხლეს, თაზო პ-იანს დავტოვებდი. მინდა ვუთხრა: გოჭი, მე მალე დავბრუნდები და ისევ ერთად ვიქნებით. სიგიჟემდე მიყვარხარ და უზომოდ მენატრები. მელანო".

„ადრე ალბათ ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ... მაგრამ მოხდა ისე, რომ ბევრ ქალს ვჩუქნი ბედნიერებას და სიხარულს. ალბათ, ეს ბევრ კაცს ჩვეულებრივ რამედ მიაჩნია, მე კი ამ საქმეში ფულს მიხდიან. ასე რომ, ცხოვრებაში ყველაფერი ხდება. 8-10 წლის წინ ვერც კი წარმოვიდგენდი ასეთ რამეს, მაგრამ... პატივისცემით, ისევ თქვენი ერთგული ოთო, კაცი — გამოძახებით".

„ვეძებ იმ ადამიანს, რომელიც მხოლოდ ერთხელ ვნახე და ვეღარ დავივიწყე. 2 წლის წინ, საბურთალოზე შევხვდით. ორივენი მანქანით ვიყავით, მეგობრებთან ერთად. ის „ტოიოტაში" იჯდა, მძღოლის გვერდით. გავეკიფე და თვალი ჩავუკარი. მას ეს შეუმჩნეველი არ დარჩენია და თვითონაც თვალი ჩამიკრა... მისი პოვნის იმედი თითქმის აღარ მაქვს, მაგრამ ცდა ბედის მონახევრეა. გამიხარდება, თუ შემეხმიანება. ანჟელა".

„ჩემს ცხოვრებაში ის მოხდა, რაც ყველაზე ნაკლებად მინდოდა: ჩემი დაქალის ყოფილი შეყვარებული შემიყვარდა. მართალია, საუკეთესო დაქალი დავკარგე, მაგრამ არ ვნანობ. უზომოდ ბედნიერი ვარ. მალე ქორწილიც მექნება. ნუცა".

„ცხოვრებაში მართლაც, ბევრი რამ ხდება. მაგალითად, მე ჯერ ჩემი სასიდედრო გავიცანი, მომეწონა, ვიფიქრე — ამას გოგოც ლამაზი ეყოლება-მეთქი... ინტუიციამ არ მიმტყუნა: მართლაც, ულამაზესი აღმოჩნდა ფიქრია. მერე დავქორწინდით და ახლა ჩემს სიდედრს ჩემზე ამოსდის მზე და მთვარე."

საჩივრის სვეტი

„ვუჩივი ჩემს დას, თათიას, რომელიც ისეთი გამხდარია, რომ ქარის დროს ჯიბეში ქვებს იწყობს. მე კიდევ, ტანისამოსს გოლიათების მაღაზიაში ვყიდულობ. მის გვერდით რომ დავდივარ, საწყალი, აღარ ჩანს. მთელი ოჯახი ჩემს დას იმის გამო ეჩხუბა, რომ საჭმელი ჭამოს, მე კი — ნუ ჭამო! — მეჩხუბებიან. მართლა ვუჩივი, არ გეგონოთ, ვხუმრობ. მინდა გასუქდეს, რომ თავი მარტო არ ვიგრძნო. თათია, გასუქდიიი! ხატია".

„ვუჩივი მიხოს, რომელიც აღარ მირეკავს. თუ ასე მალე მოვბეზრდებოდი, სიყვარულს რაღას მეფიცებოდა? ასეთები არიან ბიჭები. მარი".

„ვუჩივი „პატრულის" ლევანს. მას არ ვუყვარვარ. მხოლოდ მეგობრობა შემომთავაზა. ლევან, ნუთუ არ იცი, რომ ქალს სიყვარული შეუძლია, მეგობრობა კი — არა. ლევან, იცოდე, რომ გული ქვასაც კი აქვს. მარი".

„ვუჩივი სიდედრს! ქალო, თავს თუ არ დამანებებ, ერთ საღამოს ყავაში ძილის წამალს ჩაგიყრი და მაგრად რომ დაგეძინება, მერე თავს გადაგპარსავ. იფ, რა სანახავი იქნები! შენი საყვარელი სიძე ზაური".

„ვუჩივი საბჭოთა არმიას, რომელმაც ასე უნამუსოდ გაიმარჯვა გერმანელებზე. ახლა ხომ ბაბუაჩემი ომის გმირი არ იქნებოდა და თავის მედლების ჩხარუნითა და ერთი და იმავე ამბების მოყოლით გულს არ გამიწყალებდა?! არადა, ნახევარზე მეტს იტყუება. დაიწყებს — რომ „გადმოვიღე" ფრიცი ტანკიდან და დავანარცხე ძირს... ეჰ!"

„ვუჩივით მამას, რომელიც კოკერსპანიელის ლეკვს არ ყიდულობს. მამა, გამოასწორე შეცდომა და ახალ წელს მაინც აგვისრულე ეს ოცნება! ხატია და ფრიდონი".

„ვუჩივი იმ ქალს, რომლისგანაც ვაგზლის ბაზრობაზე ჯინსის შარვალი ვიყიდე. სარკე არ ჰქონდა. ისე შემაქო, როცა მოვისინჯე, მეგონა, კლაუდია შიფერს ვგავარ-მეთქი. შინ რომ მოვედი და სარკეში ჩავიხედე, გული გამისკდა. ახლა რა ვქნა? ფულიც აღარ მაქვს, რომ ახალი ვიყიდო".

დღეს „გზავნილებს" ამით ვამთავრებთ. მომდევნო ნომრის თემად გთავაზობთ — რა შეუძლია ქალს. ამჯერად სიტყვა მამაკაცებს დავუთმოთ, შემდეგ — ქალბატონებს. ვნახოთ, ვის უფრო მეტი შეუძლია. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8(77) 45.68.61. გემშვიდობებით მომავალ ხუთშაბათამდე".

■

ბოლოდროინდელმა მოვლენებმა კვლავ აქტიური გახადა თემა „ძლიერთა ამა ქვეყნისათა“ — ჩინოვნიკთა თუ პარლამენტართა ცხოვრება-ქონების შესახებ. ამიტომაც გადავწყვიტეთ, „გზის“ ფურცლებზე 2 წლის წინ შემოღებულ რუბრიკა — „დეკლარანტებს“ კვლავ დავბრუნებოდით. ამჯერად დეკლარანტის ამპლუაში პრეზიდენტთან დაახლოებულ პარლამენტარს — მარიკა ვერულაშვილს წარმოგიდგენთ.

მევენახე მამის პარლამენტარი შვილი 26-ტონიანი მოსავლის „ჰონორარს“ ელოდება

ნინო ჯავახიშვილი

დოსიე:

მარიკა ვერულაშვილი კახეთში, ყვარლის რაიონში, 1971 წლის 13 მარტს დაიბადა. მას კახელებისთვის დამახასიათებელი ბევრი თვისება აქვს. ხალასი ხასიათის გამო, სკოლაში მასწავლებელს გაზაფხულისთვის შეუდარებია...

მარიკა ჩვეულებრივ კახურ ოჯახში აღიზარდა, ორი ძმისა და დეიდაშვილების გარემოცვაში. მშობლები მაინცდამაინც არ ანებივრებდნენ შვილებს. თვითონ იხსენებს, რომ დღემდე, ერთხელაც არაფერზე უთქვამს მამისთვის — ეს მინდა, მიყიდეო... ეს ადრე, ახლა კი უკვე თვითონაც „სწვდება“ თავის სურვილებს და რაც ძალიან მოეწონება, ყიდულობს კიდეც...

მარიკა ერთადერთ შვილთან — სალომე ცნობილაძესთან და ბაბუის მოსახელე ძმისშვილთან — ვლადიმერთან ერთად ცხოვრობს. სალომე მეშვიდე კლასშია, უცხო ენებს ეუფლება და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე ფიქრობს სწავლის გაგრძელებას. ვლადიმერი კი გასულ ზაფხულს სტუდენტი გახდა, ოღონდ, სასურველ ფაკულტეტზე ვერ მოხვდა, ამიტომაც სწავლაზე გული აუყრია და კვლავ გამოცდებისთვის ემზადება. მას იურისტობა სურს. როგორც ჩანს, ვერ უშველა მამიდის ჩინოსნობამ...

როგორც მარიკამ მითხრა, გაჭირვების ფასი კარგად სცოდნია. იყო დრო, როდესაც ჩვილ ბავშვთან ერთად, პატარა ბინაში ცხოვრობდა ვარკეთილში და ძალიან უჭირდა. მას შემდეგ, 12 წელი გავიდა, დღესდღეობით კი, მის მთელ ქონებას შეადგენს ბინა ნუცუბიძის პლატოს მესამე მიკრორაიონში, ავტოფარეხით, სახლი და მიწის ნაკვეთი ახალსოფელში და კიდევ 14.000 ლარად შეფასებული ავტომანქანა, რომლის თანამესაკუთრეც მამამისი გახლავთ. გარდა ამისა, მარიკა წვრილ-წვრილი, მაგრამ ძვირად ღირებული ნივთების მფლობელიც გახლავთ, თუმცა, მისივე თქმით, საკუთარი ფულით შეძენილი არაფერი აქვს: ზოგი რამ აჩუქეს, ზოგიც — ბაბუისგან (დედის მხრიდან) ერგო მემკვიდრეობით.

— როდესაც სალომე პატარა იყო, მართლაც, არ მქონდა იმის საშუალება, რომ მისთვის 100 გრამი ბრინჯი მეყიდა და კვირაში ერთხელ, ხორციანი სადილი მომემზადებინა. როდესაც პატარა ბავშვით ხელში, ქუჩაში დავრჩი, ვერ წარმოვიდგენდი, რომ ვთქვათ, ჭამის, თუნდაც, პურის ყიდვის პრობლემა მექნებოდა. გადავწყვიტე, სოფელში არ დავბრუნებულიყავი. მამამ მითხრა — შენ როგორც გადაწყვეტ, ისე მოიქცეთო. მამას სოფელში მეურნეობა ჰქონდა და პროდუქტს იქიდან გვიგზავნიდა. მე და ჩემი უფროსი ძმა, მამაჩემის ნაყიდ ერთოთახიან ბინაში ვცხოვრობდით, პირველ სართულზე. ფაქტობრივად, სარდაფი იყო. დედას ერთი წუთითაც არ მივუტოვებივარ. ჩემმა ძმებმა და მამამ მართლაც, ყველაფერი გააკეთეს ჩემთვის და დღეს თუ რამეს წარმოვადგენ, ეს მათი დამსახურებაა. ხომ იცი, როცა გიჭირს, არავის ახსოვხარ...

— ამ ყველაფრის მიუხედავად, ცხოვრების აწყობა მაინც მოახერხეთ...

— ჩემს მდგომარეობას ძალზე განვიცდიდი და ყოველღამე, ტირილით ვიძინებდი. პირველი წინადადება, რომელიც სალომემ თქვა, იცით, რა იყო?.. არ იტირო, დედიკოო... ერთხელ, ჩემი დეიდაშვილი, მამუკა მესტუმრა. მოიტანა სიგარეტი „ბონდი“ და ამ სიგარეტის სარეკლამო პლაკატი. გადმოვატრიალე პლაკატი და მთელ სიგრძეზე დავწერე — შენ ხარ ძლიერი, შენ ხარ ძლიერი და შენ შეგიძლია! დავიფიცე, რომ აღარასდროს ვიტირებდი და გადავწყვიტე, ახალი ცხოვრება დამეწყო. მაშინ იურიდიულზე, მეოთხე კურსზე ვიყავი, ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე მესამეზე. ჩემი ყოფილი ქმარი ჩემი დეკანი იყო და ამიტომ, დაუსწრებელზე გადავიტანე საბუთები. დეპრესიიდან ნელ-ნელა გამოვედი და როგორც ხედავთ, ცხოვრებას გავუმკლავდი...

შეიძლება ითქვას, რომ ახალგაზრდა ქალბატონს ბედმაც გაუღიმა და ამ ყველაფრის შემდეგ, მაინც შეძლო ცხოვრების არცთუ ურიგოდ აწყობა. თავდაპირველად, შიშველ ენთუზიაზმზეც მუშაობდა. დღემდე ახსოვს, რომ პირველი ხელფასით სალომესთვის მხოლოდ 3 ქილა მაწვნის ყიდვა შეძლო. ყველაფერს ნელ-ნელა, დიდი შრომისა და მონდომების შედეგად მიაღწია.

— ჩემს მეგობრებს საპარლამენტო ფრაქციის გაზეთი ჰქონდათ და იქ უხელფასოდ ვმუშაობდი. მაშინ პარლამენტი იმელის შენობაში იყო. ერთხელ, იქ ჩემს მეგობრებთან რომ ვიყავი, მამუკა არეშიძე შემოვიდა ოთახში. გაზეთი გადაათვალიერა და რაღაც მასალაზე იკითხა — ვისი დაწერილიაო? ჩემი-მეთქი, — ვუპასუხე. შემომთავაზა, „მოამბ-

10 ჰექტარი ვენახი მაქვს, რომელსაც მამაჩემი უვლის

ეში“ მუშაობის დაწყება (მაშინ არხის საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი იყო). ასე მოვხვდი ტელევიზიაში. მახსოვს, ხელფასი მილიონ-ნახევარი კუპონი მქონდა და სალომესთვის ზუსტად 3 ქილა მაწონი მომდიოდა. იმ პერიოდში საზოგადოებაში ყოფნა, სახლიდან გასვლა უფრო მჭირდებოდა. ჩემმა ძმამ იმ დროისთვის მოსკოვში კარგად ააწყო თავის საქმე და ფულს ხშირად მიგზავნიდა...

— ამ ბინის ყიდვა როგორ მოახერხეთ?

— ეს არის ჩემი უფროსი ძმის მიერ ნაყიდი ბინა. ის ამჟამად ლონდონში ცხოვრობს ოჯახთან ერთად. მოსკოვიდან ჩამოსვლის შემდეგ, იყიდა ეს ოროთახიანი ბინა, რომელსაც შემდგომ დამატებითი ფართი მივაშენეთ და გავაფართოეთ. ეს იყო 1996 წელს. გავყიდეთ ვარკეთილის ბინაც, ზოგი მამამაც დაგვიმატა და ასე შევიძინეთ. ჩემმა ძმამ ერთ-ერთ დაბადების დღეზე დამირეკა და მითხრა — საჩუქარი გამოგიგზავნეო. რომ არ მოვეშვი — რა გამომიგზავნე, მითხარი-მეთქი? — ეგ ბინა შენია და არც იფიქრო, რომ ოდესმე ჩემი იქნებაო, — მიპასუხა *(ამ ბინის ღირებულება 95.000 ლარს შეადგენს, ავტოფარეხი ცალკე შეუფასებია დეკლარანტს — 7.000 ლარად, იმ სახლის ფასი კი, რომელიც ახალსოფელში მდებარეობს, 60.000 ლარი გახლავთ. — ავტ.).* ამ ბინის გარემონტება ნამდვილი კურიოზი იყო: 8 წელი ვარემონტებდი და შარშან ძლივს მოვრჩი. აბა, სად მქონდა იმის ფული, რომ ერთიანად გამერემონტებინა?!.

— დეკლარაციაში 4 სურათი 23.000 ლარად, როიალი — 7.000 ლარად, ბუფეტი — 8.500-ად, სამკაულები კი — 7.000 ლარად შეგიფასებიათ. არც ეს ნივთები შეგიძენიათ საკუთარი ფულით?

— კაბინეტის როიალი მაინცდამაინც ძვირად ღირებული არ არის. ის ბუფეტი ბაბუა-ჩემის მიერაა რესტავრირებული და ამიტომ ძალიან ფასეულია ჩემთვის. ბაბუა მთათუშეთში კოლმეურნეობის თავმჯდომარე იყო და შეძლებული ოჯახი ჰქონდა. ამიტომაც დედაჩემს კარგი მზითვი გამოჰყვა — მათ შორის, ძვირად ღირებული სამკაულებიც. ბებიაჩემს ჰქონდა ოქროს მონეტების ასხმული, რომელიც დავშალეთ და შვილიშვილებმა გავინაწილეთ. რაც შეეხება სურათებს — ორიგინალი მხოლოდ ლადო გუდიაშვილის ნახატია და ისიც მაჩუქეს. 2 სურათი იმდენად ძველია, რომ ვერ დავადგინეთ, ვის ეკუთვნის და რომელი საუკუნისაა. ამჟამად, ეს სურათები სარესტავრაციოდ მაქვს წაღებული. ერთიც, ჩემმა ძმამ ჯარიდან ჩამოიტანა — „მადონას“ სურათია. ფული შეუგროვებია და რუსებისგან უყიდია, ძალიან ძვირფასია.

მიუხედავად ბევრი საცდუნებლისა, პრეზიდენტის პრესმდივანი ფულის გამიზნულად და მომჭირნედ ხარჯვას ცდილობს. ეს ზოგჯერ გამოსდის, ზოგჯერ — არა. საკუთარი ხელფასი, რომელიც თვეში დაახლოებით 1.400 ლარს შეადგენს, საოჯახო წვრილმანებშიც ჰყოფნის, ჩაცმა-დახურვაზეც, საწვავზეც და სხვა ხარჯებზეც. თუმცა მარიკას სხვა, დამატებითი შემოსავალიც აქვს.

— უაზროდ დავხარჯო ფული — ასეთი რამ არასდროს ხდება. ყოველთვის ვიცი, რა უნდა ვიყიდო. დეპუტატებს პლასტიკურ ბარათზე გვერიცხება ხელფასი და ამან ძალიან მიშველა: როდესაც ჯიბეში მიდევს ფული, უფრო მიჭირს რაღაცების შეძენისაგან თავის შეკავება, საკუთარი თავისთვის იმის უფლება ჯერ არ მიმიცია, რომ პიჯაკში 500 დოლარი მიმეცა, მაგრამ ცუდად ჩაცმულიც არ დავდივარ. შარშან ლონდონში ყოფნისას ძალიან მომეწონა თბილი პიჯაკი, რომელიც 120 გირვანქა სტერლინგად ვიყიდე. ეს იყო საშობაოდ. ორი თვის შემდეგ, კვლავ ჩავედი ლონდონში და ვნახე, რომ იგივე პიჯაკი 28 გირვანქა სტერლინგი ღირდა — ფასდაკლება იყო. ისე გავბრაზდი, რომ კიდევ, სხვადასხვა ფერის ორი პიჯაკი ვიყიდე. ჩემი ძმა და რძალიც ხშირად მჩუქნიან ტანსაცმელს. გასულ ზაფხულს, მამუკა ონაშვილი, ბესო ბერულაშვილი და ზურა დოიჯაშვილი იყვნენ ლონდონში და მათთვის გამოუტანებიათ ორი პიჯაკი. იმდენად მომეწონა, რომ სასწრაფოდ დიეტაზე დავჯექი — გასუქებული ვიყავი და არ ჩამეტია... ფაქტობრივად, მთელი დღე სახლში არ ვარ. დედას ვაძლევ ხოლმე ასე, 500 ლარს — ყოველთვიურად სახარჯოდ და საოჯახო წვრილმანებში გვყოფნის. გარდა ამისა, სოფელში მამას ჰყავს ღორები, ქათმები, თესავს ხორბალს, კარტოფილს, სხვა ბოსტნეულს და ჩამოაქვს ჩვენთვის. ასე რომ, ხელფასი საკმარისია ჩემთვის...

— ვენახი, საკმაოდ ძვირად — 21.000 ლარად შეგიფასებიათ: წელს როგორი მოსავალი გქონდათ?

— 10 ჰექტარი ვენახი მაქვს, რომელსაც მამაჩემი უვლის. წელს 26 ტონა ყურძენი ჩავაბარე, თუ არ ვცდები — თითო კილო 52 თეთრად და ველოდები ფულს. იმედია, ავიღებ. ოჯახში მიდის სჯა-ბაასი, თუ რაში დავხარჯო ეს თანხა; ვერ გადამიწყვეტია. შეიძლება, ბანკშიც შევინახო. ვნახოთ *(დეპუტატს „თიბისი ბანკში“ აქვს ანგარიში გახსნილი და 5.000 ლარი ერიცხება; „ბაზის ბანკში“ კი — 6.700 ლარი „ვიზა-გოლდის“ ანგარიშზე, ახლა 1.440 ლარიღა აქვს — დანარჩენი უკვე დაუხარჯავს. — ავტ.).* გარდა ამისა, ხშირად დავდივარ ვიზიტით უცხოეთში და სამივლინებო ხარჯებიდან თანხის გადანახვას ვახერხებ. აგვისტოში 4 ვიზიტი მქონდა და დაახლოებით 900 დოლარი დამიგროვდა.

— ნაღდი ფულადი თანხა 8.800 გირვანქა სტერლინგს შეადგენს...

— 5.000 გირვანქა სტერლინგი ჩემი ძმის ნაჩუქარია, დანარჩენი — რძალმა მომცა. ლონდონში მათ საკუთარი სახლი და მაღალანაზღაურებადი სამსახური აქვთ. ჩემი რძალი ექიმია და კვირაში 2.700 გირვანქა სტერლინგამდე იღებს. გირვანქა სტერლინგი იმდენად მყარი ვალუტაა, რომ მისი კურსი არ დაეცემა, რაც შეეხება უსაფრთხოებას — ალბათ, ბანკში შევიტან... ვფიქრობ, რომ ქველმოქმედებისთვის მილიონები არ არის საჭირო. მე არ მეზარება, უცხო ადამიანებს დავეხმარო და სიკეთე გავაკეთო ჩემი შესაძლებლობების ფარგლებში. მიყვარს ხალხთან ურთიერთობა და ვვგრძნობ მათ მაჯისცემას. პარლამენტარის ხელფასიც საკმარისია სიკეთის საკეთებლად. მე ვერ დავიძინებ, თუ მეცოდინება, რომ ჩემს დეიდაშვილს, რომელიც სოფელში ბევრს შრომობს, ფქვილის ან სიგარეტის ფული არა აქვს. ვიცი, რომ მას უნდა დავეხმარო. ყველას ხომ არა აქვს იმის ბედი, რომ ყველაფერი უშრომლად, ხელისგულზე მოსდიოდეს...

■

უაზროდ დავხარჯო ფული — ასეთი რამ არასდროს ხდება

„ოცდაათ ვერცხლად გაყიდული ჩვენი ტკივილი, ჩვენი აფხაზეთი“ — ასე მოიხსენიებენ წლების წინ დაკარგულ საქართველოს ტერიტორიას, რომლის დაბრუნების იმედი დიდი ხანია დაკარგა იმ ხალხმა, ვინც აფხაზეთში დატოვა ყველაფერი ის, რაც გააჩნდა — სახლ-კარი, ქონება და ყველაზე მთავარი: აფხაზეთის ომის დროს, არაერთმა ოჯახმა დაკარგა შვილი, რომლის ასავალ-დასავალი მათთვის დღემდე უცნობია...

ჰეეეაჩეჭაიგულ ოეეკმალულ იმსრთ ვეიეგტაიექბ ომშოვეოეეეგლ ვაკვაითშჭაკვშ სეგგიეეჩეეეეა

ლიკა ქაჯაია

ცოტა ხნის წინ, ბერულავების ოჯახმა 12-წლიანი მოლოდინის შემდეგ იპოვა შვილი — თამაზ ბერულავა (იგივე ბესიკ შამბა), რომელიც თავის დროზე, აფხაზმა ქალბატონმა, ალა შამბამ შეიფარა და საკუთარი შვილივით გაზარდა. ამ ფაქტის შემდეგ, იმედი იმ შვილდაკარგულ ოჯახებსაც მიეცათ, რომლებიც თავიანთ შვილებს დაღუპულებად თვლიდნენ. მათ შორისაა ადამიების ოჯახი... ბერულავებისა და ადამიების თავგადასავლის მოსმენა უცრემლოდ, ძალზე მძიმე აღმოჩნდა. თუმცა ხშირად, ცრემლებს — სიცილი, უიმედობას კი — იმედიანი სიტყვები ცვლიდა.

ზაირა ნაჭყებია-ბერულავა, *თამაზ ბერულავას დედა:*

— ჩვენ გულრიფშიდან, კერძოდ კი, სოფელ განახლებიდან ვართ. ჩემი მეუღლე — ვალერი, სატყეო მეურნეობაში მუშაობდა, მე — განახლების ფსიქიატრიულ საავადმყოფოში. 3 შვილი გვეყოლა. თავს ბედნიერებად ვთვლიდით. მაგრამ ჩვენი ბედნიერება აფხაზეთის ომმა ნამსხვრევებად აქცია... როცა ომი დაიწყო, სამივე ბავშვი ზუგდიდის რაიონში, სოფელ კახათში გავხიზნე. მალე, აფხაზეთში „დიდი შემორიგება“ გამოცხადდა და გახიზნულები თავიანთ სახლებს დაუბრუნდნენ. 13 სექტემბერს, კახათიდან ბავშვები მეც წამოვიყვანე, მაგრამ 3 დღეში ომი განახლდა. ვალერიც იბრძოდა ტერიტორიის დასაცავად. მან შემომითვალა: სასწრაფოდ დატოვეთ აქაურობა, ენგურის ხიდით სამშვიდობოზე გადითო! ამ დროს, ჩემი უფროსი შვილი, ნიკა — მეხუთე, თამაზი — მესამე, მაიკო კი, მეორე კლასში სწავლობდნენ. დავავლე მათ ხელი და დედამთილთან, რძლებთან და მაზლიშვილებთან ერთად გავუდექი გზას. ჩვენთან ერთად ჩვენი მეზობლები — ძმები წივილაშვილები და მათი დედა მოდიოდნენ. დრანდაში, მდინარე კოდორთან ძლივს მივაღწიეთ, სადაც მანქანა ტანკს ჩავაბით და ოჩამჩირის რაიონში გადავედით. დანგრეული გზების გამო მანქანა მწყობრიდან გამოვიდა. იძულებული გავხდით, გზა ფეხით გაგვეგრძელებინა. ირგვლივ აფეთქებების, სროლის ყურისწამღები ხმა ისმოდა. ოჩამჩირე ცეცხლის ალში იყო გახვეული... ყოფილი საბჭოთა ჯარის სამხედრო ნაწილის ტერიტორიას რომ მივუახლოვდით, იქ მდგარ რუს ჯარისკაცებს ვკითხეთ: რა ხდება-თქო? მათ კი დაგვამშვიდეს: ნუ გეშინიათ, რუსეთი თქვენთანააო, — და შავი პურიც კი მოგვცეს... როგორც იქნა, მივუახლოვდით ოჩამჩირის რკინიგზის სადგურს, მაგრამ მატარებელმა რამდენიმე წუთით გაგვასწრო. ამ დროს, თამაზმა ბებია მოიკითხა, რომელიც ჩამოგვრჩა: ბებია სადაა, ხომ არ მოკლესო? ბავშვები იქ დავტოვე და დედამთილის მოსაძებნად უკან გავბრუნდი. რამდენიმე მეტრი გავიარე თუ არა, ყვირილი მომესმა: მალე ვაგზალს დაბომბავენო! უკან გამოვიქეცი, მოსაცდელ დარბაზში შევვარდი, მაგრამ იქ აღარავინ დამხვდა. გიჟივით ვეძებდი შვილებს. მალე ნიკას მოვკარი თვალი, რომელსაც დანარჩენები უკან მიჰყვებოდნენ... ვაგზლიდან გამოქცეულებს, რამდენიმე მანქანა წამოგვეწვია. ერთ-ერთ მანქანაში ნაცნობები შევნიშნე და ჩემი გოგონა მაიკო მათ მივაწოდე. ნიკა და ბონჩო (თამაზი) კი „მარშრუტკაში“ შევაგდე.

— როგორც ვიცი, ამ დროს თამაზის ფეხსაცმელი შეგრჩათ ხელში...

— „მარშრუტკა“ რომ გაჩერდა, ვიფიქრეთ — ბავშვები მაინც გადავარჩინოთ-თქო, — და უკვე დაძრულ მანქანას გავეკიდე. ჯერ ნიკა „შეეჩურთე“ იქ, მერე კი — ბონჩო, რომლის ცალი ფეხსაცმელი ხელში შემრჩა. ეს წამებში მოხდა... დავრჩით 3 ქალი და 1 ბავშვი, რომელიც მანქანაში ვერ ჩავსვით.

— თქვენ დედამთილი ვერ იპოვეთ?

— ბავშვები მანქანაში რომ ჩავსვით, დედამთილის მოძებნა მინდოდა, მაგრამ ჩემმა რძალმა უკან არ გამიშვა...

— თქვენ როგორ გადმოხვედით აფხაზეთიდან?

— ქალები მატარებლის ლიანდაგს გავყევით, მაგრამ ვინაიდან სროლა გახშირდა, ტყეში შევედით. ბევრი წვალების შემდეგ, როგორც იქნა, ენგურზე გადმოვედით, თავი კახათს შევაფარეთ. მალე, დედამთილმაც ჩამოაღწია ზუგდიდში. ბავშვები კი არსად ჩანდნენ... ბოლოს გადავწყვიტე, აფხაზეთში გადავალ-მეთქი. ამ დროს მითხრეს — ტელევიზიით გამოაცხადეს, ბერულავები თბილისში ჩამოვიდნენ მამიდასთან, მშობლებმა არ ინერვიულონო. სასწრაფოდ დავრეკე მულის სახლში. მან დამაწყნარა: ნუ გეშინია, თეა (მაზლიშვილი) და მაიკო ჩემთან არიანო...

— იმ მანქანას რა დაემართა, რომელშიც თქვენი ბიჭები ჩასვით?

— მანქანაში, სადაც ნიკა და ბონჩო იყვნენ, ჩემი მაზლიშვილი, 17 წლის კახა, ჩვენი მეზობელი წივილაშვილები და მათი დედაც ისხდნენ. ამიტომ იმედი მქონდა, რომ შვილები დამიბრუნდებოდნენ. თურმე, მანქანის მძღოლს შეშინებია (რადგან მათ წინ მიმავალი ავტომობილი ააფეთქეს),

ნელ-ნელა გვეჩვევა. მას არაფერი ახსოვს, არც ქართული ენა. მხოლოდ რუსულად და ინგლისურად ლაპარაკობს

მანქანიდან გადმოსულა და უთქვამს — თავს ვუშველოთ, სამშვიდობოს ფეხით გავიდეთო. თავიდან, ძმები წივილაშვილები და კახა გვერდიდან არ სცილდებოდნენ ჩემს შვილებს. საღამოს, თურმე, მეგრული ლაპარაკი მოესმათ. გაუხარდათ — ჩვენები არიანო და გამოეხმაურნენ. ისინი აფხაზური დაჯგუფების წევრები აღმოჩნდნენ, რომელთაც მერაბ ქიშმარია ხელმძღვანელობდა. მათ წივილაშვილების დედას ხელი გაარტყეს, შვილებმა ეს ვერ მოითმინეს და წინააღმდეგობის გაწევა სცადეს. ისინი დედის თვალწინ ჩაცხრილეს. ამის შემდეგ, კახას დაჩოქება მოსთხოვეს, მაგრამ ვინაიდან ის მათ არ დაემორჩილა, ადგილზეე დახვრიტეს. შეშინებული თამაზი გაქცეულა, ამიტომ ბავშვიც დაჭრეს... მათ მალე აფხაზური დაჯგუფების სხვა წევრები შეუერთდნენ. როცა წივილაშვილებისა და კახას დახვრეტის ამბავი გაუგიათ, უთქვამთ: რატომ დახოცეთ? ამ ბავშვებს იარაღი ხომ არ ჰქონდათო! ნიკა და სხვა ცოცხლად დარჩენილები გამოუშვეს. მათ მალე ზუგდიდში ჩამოაღწიეს. ის კი, რა ბედი ეწია ბონჩოს, არავინ იცოდა... დაახლოებით, 15 დღის შემდეგ, ვალერიც გადმოვიდა ენგურის ხიდზე. როცა ბავშვის დაკარგვის ამბავი გაიგო, შეშლილივით იქცეოდა. 2 წლის განმავლობაში შვილის მოლოდინში ხიდს არ მოსცილებია... გარკვეული დროის შემდეგ, ამბავი მოვიდა: სოხუმის საავადმყოფოში, ოპერაციის დროს ბავშვი დაიღუპა, მას ტყვია თირკმელში ჰქონდა მოხვედრილი, უგონოდ იყო, მხოლოდ „მშიას“ ამბობდაო. ვიკითხე — რა ეცვა-მეთქი? პასუხის მოლოდინში, გულს ბაგაბუგი გაჰქონდა. ჯინსის შარვალი და ბოტასები ეცვაო, რომ მითხრეს, შვებით ამოვისუნთქე. მართალია, ბონჩოს ჯინსი კი ეცვა, მაგრამ მისი ცალი ფეხსაცმელი ხომ მე შემრჩა ხელში, როცა მას მანქანაში „ვტენიდი“; ეს იმედს მიტოვებდა, რომ ჩემი შვილი ცოცხალი იყო. ერთი დღეც არ შემიწყვეტია შვილზე ფიქრი და მისი ძებნა, თუმცა მეუბნებოდნენ, ეს ამბავი არ გაახმაუროო.

— ვინ და რატომ გეუბნებოდათ ამას?

— ჩვენი ხალხი. მიზეზად იმას მისახელებდნენ — შენი შვილი აფხაზეთში ისეთ კაცს ჰყავს, რომელმაც ის იშვილა და თუ მას ბავშვის წართმევას დაუპირებთ, თამაზს დაღუპავთო... დიდი ტანჯვა გამოვიარე. ხშირად მოდიოდნენ ჩვენს ოჯახში ადამიანები, რომლებიც ბონჩოს გადმოყვანის საფასურად ფულს მთხოვდნენ. მიიღებდნენ თუ არა თანხას, მაშინვე იკარგებოდნენ...

— კონკრეტულ ფაქტებს ხომ ვერ გაიხსენებთ?

— ერთხელ, ენგურის ხიდთან დაგვიბარეს (რომ იცოდეთ, როგორ მძულს იქაურობა). შეგვპირდნენ, ბავშვს გადმოგიყვანთო. სასწრაფოდ წავედით. დიდი ხნის ლოდინის მერე, ვიღაც მოგვიახლოვდა და გვეუბნება: ბავშვის გადმოყვანა ამჯერად ვერ მოვახერხეთო. ამ დროს, ვიღაცები გადმოდიოდნენ ხიდზე, მათ შორის, ერთი პატარა ბიჭიც იყო. უცხო ქალმა (რომელმაც ხიდთან დაგვიბარა) მითხრა: შენი შვილი ამხელაა, ნუ ტირი, თორემ, მას საერთოდ ვერ ნახავო... ვინ იცის, რამდენჯერ დავიტირე თამაზი... ამის მერე, მეუღლემ მითხრა: არ ვნახო, ვინმეს ფულს აძლევდე, ხომ ხედავ, ქვეყანა აფერისტებითაა სავსე, ყველა გვატყუებსო. მაგრამ დედის გული ხომ იცით, როგორია. ოჯახისგან ფარულად ვაძლევდით მე და ჩემი ძმა უცხო ხალხს ფულს, ისინი კი მეფიცებოდნენ, შვილს გაპოვნინებთო. ბოლოს, დაახლოებით 2 წლის წინ, პეტრეპავლეს სახელობის ეკლესიაში შევედი და დავიფიცე: აწი ფულს აღარავის მივცემ მანამ, სანამ ჩემს შვილს ხელს არ ჩავჭიდებ-მეთქი. ეკლესიიდან გამოვედი თუ არა, ვიღაც ქალმა დამირეკა და მითხრა — თქვენი „კაპიკი“ არ მინდა, ზუგდიდში ჩამოდით, აფხაზეთიდან რეკავენ, შენი შვილი ვიპოვეთო. მე და ჩემმა მეუღლემ მანქანა ვიქირავეთ და ზუგდიდში ჩავედით. ის ქალი (რომლის გვარიც აღარ მახსოვს) მიმტკიცებდა: შენი შვილი ვიღაცა ქაჯაიას ჰყავსო და მასთან დასაკავშირებლად 30.000 რუბლი მომთხოვა. მე ვუთხარი: ეკლესიაში პირობა დავდე, სანამ შვილს არ ვნახავ, კაპიკსაც ვერ მოგცემ-მეთქი. ქაჯაიების მისამართი და ტელეფონის ნომერი მომცა. მაშინვე დავრეკე ამ ნომერზე. მთელი ოჯახი ავაწიოკე. ვეხვეწებოდი მათ — შვილს დამალაპარაკეთ-მეთქი. ისინი აგრესიულად მპასუხობდნენ. რომ ვერაფერს გავხდი, მათ ოჯახში ხალხი შევგზავნე... თურმე, ამ ოჯახს ბავშვი მართლაც აყვანილი ჰყოლია, მაგრამ ის ჩემი შვილი არ იყო. ბავშვმა გაიგო, რომ აყვანილი იყო და ერთი ამბავი ატყდა. როგორ შეიძლება ასეთი ტყუილი? მეცოდება ის ოჯახი, მე ხომ მათ ცხოვრება ავუწეწე!..

როგორ შეიძლება ასეთი ტყუილი? მეცოდება ის ოჯახი, მე ხომ მათ ცხოვრება ავუწეწე!..

— თქვენ ამბობთ, თაღლითებს უამრავ ფულს ვაძლევდიო. საიდან გქონდათ ამის საშუალება?

— სიმართლე გითხრათ, აფხაზეთიდან არაფერი გამოგვიტანია. მარჯანიშვილის მეტროსთან ჯიხურში ვვაჭრობდი, ფულს ვაგროვებდი და მათ თურმე, თაღლითებს ვაძლევდი...

— თამაზი როგორ იპოვეთ? ამბობენ, რომ მის პოვნაში ვიღაც მაღალჩინოსანი აფხაზი გეხმარებოდათ, მართალია?

— ტყუილია. შვილი უბრალო ქართველმა ქალმა მაპოვნინა, რომელიც დღემდე სოხუმში ცხოვრობს... ერთადერთი მაღალჩინოსანი, ვინც მეხმარებოდა, ქალბატონი ეთერ ასტემიროვა იყო. ასევე მეხმარებოდა დეპუტატი რაისა ქვარაია. მოგვიანებით კი, სამსახურის შენარჩუნებაში (როცა ჯიხურებს იღებდნენ) ბატონი მიხეილ სააკაშვილი დამეხმარა, რომელიც იმ დროს თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე იყო... საქართველოში რომ ვერაფერს მივაღწიე, თამაზის სურათები (ისინი ნათესავებს ვთხოვე) რუსეთში, ტელეგადაცემაში — „Жди меня“ — გავგზავნე. ბონჩოს სურათები დღესაცაა იქ გამოკრული...

— როგორც გავიგე, თქვენი შვილის გამზრდელიც ამ გადაცემის საშუალებით ცდილობდა თქვენს პოვნას.

— კი, მაგრამ ის ჩვენ სხვა გვარით გვეძებდა, რადგან ბავშვს თავისი გვარი არ ახსოვდა... თამაზის სურათები რომ ვნახე, რომელიც დალოცვილმა ქართველმა ქალმა სამსახურში მომიტანა, თავიდან ვთქვი, ეს ჩემი შვილი არ არის-მეთქი, მაგრამ ის ქალბატონი, რომელმაც სურათები მომცა, მიმტკიცებდა — ეს თქვენი შვილიაო. ახლა საბოლოოდ დავრწმუნდით იმაში, რომ ის ნამდვილად ჩვენი შვილია.

— ამ დასკვნამდე რამ მიგიყვანათ?

— ნაიარევებმა. 1 წლისაც არ იყო, როცა საშინლად მომეწამლა. საავადმყოფოში დავაწვინეთ, ფეხზე წვეთოვანი დაუყენეს, რადგან ხელებზე ვენები არ ეტყობოდა. ეს ნანემსარი, წლების მერეც დარჩა ნაიარევად... 3 წლის ბონჩოს, მუცლის ტკივილი დაეწყო. საქართველოში ვერაფერი გაუგეს და ლენინგრადში წავიყვანეთ. საშარდე ბუშტში კენჭი აღმოაჩნდა. ოპერაცია გაუკეთეს. ექიმებმა მითხრეს: რაღაც დროის შემდეგ, შეიძლება, კენჭი ისევ გაუჩნდესო. ეს მართლაც ასეა. ბავშვს ის კიდევ აწუხებს. ნაიარევი აქვს აგრეთვე წარბზე.

— თამაზმა როგორ მიგიღოთ?

— აფხაზეთიდან გადმოსვლის წინ უთქვამს: მე გვარს (შამბას) არ შევიცვლიო. აქ რომ მოიყვანეს, ჩემი მეუღლის ბიძაშვილმა რესტორანში წაიყვანა, სად არ ატარეს... მერე, ერთმა ჰკითხა — რა გვარი ხარო? ბონჩომაც უპასუხა — ბერულავაო... ნელ-

ნელა გვეჩვევა. მას არაფერი ახსოვს, არც ქართული ენა. მხოლოდ რუსულად და ინგლისურად ლაპარაკობს.

— თქვენი ქალიშვილის ქორწილი თამაზის ჩამოსვლას უბრალოდ დაემთხვა თუ სპეციალურად დაამთხვიეთ?

— მაიკო 2 აგვისტოს გათხოვდა, მაგრამ ქორწილის თავი არავის გვქონდა. აფორიაქებულები ვიყავით: იყო თუ არა ბესიკ შამბა ის, ვისაც 12 წელი ვეძებდით?.. შვილი ვიპოვეთ და მაიკოს ქორწილიც შედგა. მას ორმაგი ზეიმის სახე ჰქონდა. ამ დღეს, უბედნიერესი ოჯახი ვიყავით. ჩვენთან ერთად თამაზიც ცეკვავდა, მიუხედავად იმისა, რომ ქართული ცეკვა არც ერთმა არ ვიცოდით. ჩვენს ბედნიერებას თითოეული სტუმარი იზიარებდა...

ალა შამბა:

— ბესომ ბაზარში მიპოვა, ჩამეხუტა და მითხრა — შენ დედაჩემი ხარო. მისი აყვანა არ მინდოდა, მაგრამ ჩემმა უფროსმა შვილმა, რომელიც ჩემთან ერთად იყო, მთხოვა — ცოდვაა, სახლში წავიყვანოთო. მას არაფერი ახსოვდა. ამბობდა — ბესიკი მქვიაო.

— ქალბატონო ალა, რამდენი შვილი გყავთ?

— 2 ბიჭის დედა ვარ. ერთი 35 წლისაა, მეორე — 29-ის. თუმცა, მესამე შვილიც მყავს, ეს ბესიკია. მან მთელ ჩვენს ოჯახს და არა მარტო მას, არამედ მეზობლებსაც შეაყვარა თავი... როცა ის ჩემთან მოვიდა, გასაცოდავებული, ჭუჭყიანი, მოუვლელი ბავშვი იყო, რომელიც ჯარისკაცებს თან დაჰყვებოდა. ყველას ეცოდებოდა, თავიდან ყველაფრის ეშინოდა, საღამოობით ვერ იძინებდა: ისვრიან, ვიღაცას კლავენ, მიშველეთო...

— მის მშობლებს თქვენც ეძებდით?

— ბესოს მშობლებს დიდხანს ვეძებდი. გადაცემაში — „Жди меня“ — გამოვდიოდი. 4-ჯერ გვაჩვენეს, მაგრამ აფერისტების გარდა, არავინ გამოგვხმაურებია. ჩვენ გადაცემაში მცდარ გვარებს ვაცხადებდით, სხვადასხვა გვარით ვეძებდით ბესოს მშობლებს, რადგან ბავშვს არაფერი ახსოვდა. მის სურათებს თბილისში ვგზავნიდით, მაგრამ ყველა გვეუბნებოდა — არავინ დაკარგულა, ბავშვს არავინ ეძებსო.

— ეი. თქვენც გატყუებდნენ?

— მატყუებდნენ რომელია!.. 2-3 წლის წინ, ერთმა ქართველმა ქალმა, ვინმე მარინა კემულარიამ წერილი მომწერა: ბავშვი ჩემია და თქვენთან შეხვედრა მინდაო. ჩემები ამ ქალს შეხვდნენ, მაგრამ მისი საუბარი არ მოეწონათ. მარინამ მათ ფული შესთავაზა, უთხრა — რამდენსაც გინდათ, გადაგიხდით, ოღონდ ბიჭი მომეციოთო. რუსლან ქიშმარიას (გალის რაიონის ყოფილი მერი) დავუკავშირდით. მან გაიგო, რომ მარინა კემულარია გაუთხოვარი იყო, შვილები არ ჰყავდა და ჩვენს მოტყუებას ცდილობდა. ამის შემდე, არავის ვენდობოდი... ბოლო 2 თვის განმავლობაში კი, ბესოს მშობლების ძებნა საერთოდ აღარ მიცდია.

— მაგრამ თქვენი შვილობილის მშობლები მაინც გამოჩნდნენ. როგორ მოხდა თქვენი ერთმანეთთან დაკავშირება?

— ჩემი ნათესავი ქალი სოხუმში, ტურბაზაში ცხოვრობს. იქვე ცხოვრობს ერთი მეგრელი ქალბატონი. ისინი ჩემთან რაღაცის საყიდლად მოვიდნენ. მათ ყავა შევთავაზე. საუბრის დროს, იმ მეგრელ ქალს ჩემმა ნათესავმა უთხრა — ჩემი ალა საცრად კეთილია, 10 წელია, რაც ქართველ ბიჭს ზრდისო. მეგრელმა ტირილი დაიწყო, რაღაცას ქართულად ლაპარაკობდა, მაგრამ ვინაიდან თქვენი ენა არ მესმის, ვერაფერი გავიგე... აღმოჩნდა, რომ 3 დღის შემდეგ, თბილისში უნდა წამოსულიყო. ბავშვის სურათი მომეციო, — მითხრა. არ ვაძლევდი: ყველანი მატყუარები ხართ, მას რომ ეძებდნენ, უკვე იპოვიდნენ, ალბათ, მშობლები არ ჰყავს-მეთქი, — მაგრამ არ მომეშვა, ტიროდა, მეხვეწებოდა და მეც ქვის გული ხომ არ მაქვს! სურათები მივეცი... მან იპოვა ბესიკის დედა. ქალბატონმა ზაირამაც არ დაუჯერა ამ ქალს, რადგან მასაც ატყუებდნენ, აშანტაჟებდნენ. იმ მეგრელმა ქალმა დაადგინა, რომ ბესოს ისეთივე ნაიარევები ჰქონდა, როგორიც ბერულავების შვილს და ქალბატონ ზაირას დაურეკა, ეს თქვენი შვილიაო, — უთხრა. ტელეფონიდან გვესმოდა ტირილი. ყურმილი ავიღე და უცნობს ვუთხარი — როგორც ჩანს, მართლა ბესოს დედა ხარ, თორემ, ასე ვერ იტირებდი-მეთქი... მერე ტელეფონის ყურმილი მის შვილს მივაწოდე. ბესო დაიბნა: რა ვუთხრაო? — მკითხა. მერე, ყურმილი ყურთან მიიტანა და დედამისს დაელაპარაკა: ზაირა დეიდა, ნუ ტირით, იქნებ, მე არ ვარ ის, ვისაც ეძებთ; ძალიან ბევრი ადამიანი მოსულა ჩემთან, ვუნახავარ, მაგრამ მათი შვილი არ აღმოჩნდიო... მერე, ერთმანეთს ვეკონტაქტებოდით. ერთხელ, ზაირამ დაგვირეკა: ჩემი გოგო გათხოვდა; არ

ალა შამბა

მინდა არც ერთი შვილი, არც გოგოს ქორწილი მაინტერესებს, ის ჩემთვის ვერ შედგება; რამდენი წელია, შვილს ვგლოვობ, მგონი, ვიპოვე, ქორწილს გადავდებთ და ბესიკი უნდა მანახვოთო. ვიფიქრე — აქეთ მობრძანდნენ-მეთქი, — მაგრამ მისმა ცრემლებმა გული დამიწვა. ვუთხარი — ქორწილი გადადეთ, ნებართვას ავიღებ და ბესიკს დის ქორწილში ჩამოვიყვან-მეთქი.

— ბესიკისა და მისი ნამდვილი მშობლების შეხვედრა როგორ გახსენდებათ?

— დედ-მამამ საკუთარი შვილი იცნო. ეს საოცარი სანახავი იყო, მათი შემხედარე ქვაც კი ატირდებოდა. ყველაფერს ვერ ვიხსენებ...

— ამ დროს თქვენ რას გრძნობდით?

— ჩემს გრძნობას ვერ გადმოგცემთ. ძალიან ცუდად ვიყავი. მეშინოდა, მოტყუებული, იმედგაცრუებული არ დავრჩენილიყავით. თუმცა, ზაირა დავინახე თუ არა, მივხვდი, რომ ის ბესოს დედა იყო.

— როგორ მიხვდით? ბესიკი ხომ დედამისს არ ჰგავს!

— 3 წლის წინ, სიზმარი ვნახე. ჩვენთან ღრმა მდინარე ჩამოდის. მდინარესთან, შავებში ჩაცმული, საოცრად გამხდარი ქალი იდგა და საცოდავად ყვიროდა: აქ შვილი დავკარგე, შვილიო!.. — თან რაღაც სახელს გაჰკიოდა. ეს სახელი იმ ღამით მახსოვდა, მაგრამ დილით ვეღარ გავიხსენე. სიზმარი ბესოს მოვუყევი: დედაშენი ვნახე, შენ ბესო არ გქვია, ის ქალი სადმე თუ ვნახე, აუცილებლად ვიცნობ-მეთქი. ასეც მოხდა.

— ვინ არის ბესო თქვენი შვილებისთვის?..

— ის მათთვის ნამდვილი ძმაა. იცით, როცა შვილიშვილი გაგვიჩნდა, მას სახელი ბესიკმა შეურჩია — ნიკა დაარქვა, თქვა — ეს სახელი ძალიან მომწონსო.

— კიდევ რა მოსწონდა?

— რადგან იანვარში ვიპოვეთ, დაბადების დღეს ამ თვეში ვუხდიდით, მას კი რატომღაც ყოველთვის აპრილი მოსწონ-

ყურმილი ავიღე და უცნობს ვუთხარი — როგორც ჩანს, მართლა ბესოს დედა ხარ, თორემ, ასე ვერ იტირებდი-მეთქი... მერე ტელეფონის ყურმილი მის შვილს მივაწოდე. ბესო დაიბნა:რა ვუთხრაო?

და. თურმე, დაბადების დღე აპრილში აქვს...

— აფხაზეთში მიდიხართ, შვილობილს ტოვებთ. რას გრძნობთ?

— როგორ ან რა გითხრათ, არ ვიცი. ეს ძნელი სათქმელია. მივდივარ და ამას ძალიან განვიცდი, მაგრამ ხმამაღლა არაფერს ვამბობ. ამ ყველაფერს, ბესოს მშობლებსაც არ ვუზიარებ. ისინი დღე და ღამე ტირიან. იცით, რას მეუბნებიან ეს საწყალი ადამიანები? ბესოს თუ უნდა, თქვენთან წამოვიდეს, როგორც გინდათ, ისე მოიქეცით, თუ დარჩება, სახელს და გვარსაც ნუ შეიცვლის, მისგან ამას არ მოვითხოვთო. მაგრამ მე 2 შვილის დედა ვარ, ვიცი, რა არის დედაშვილობა. ამიტომ, ბესოს აქ ვტოვებ. თუმცა, ვიცი, რომ მას ამ ყველაფერთან შეგუება ძალზე გაუჭირდება: ჯერჯერობით, ჩემს ნამდვილ მშობლებს დედ-მამას ვერ დავუძახებ, ჩემი დედა შენ ხარო, ახალ ცხოვრებას რომ შევეგუო, დრო მჭირდებაო, — მითხრა. მივდივარ, მაგრამ გულს აქ ვტოვებ. ძალიან მინდა, ბესომ ჩემს ღვიძლ შვილებზე მეტს მიაღწიოს...

მეჯ წელია, რაც შვილი დავკარგე. წელს მას 44 წელი შეუსრულდებოდა... (დათო ადაბია მარჯვნივ)

ქალბატონ ალასთან ჩემი საუბრის დროს, თამაზი შორიახლოს იდგა და როცა ცნობისმოყვარეები ოთახში შემოდიოდნენ, მათ სიჩუმისკენ მოუწოდებდა... მას ალა შამბას თბილისიდან წასვლის შემდეგ, ცალკე შევხვდი.

— ბავშვობიდან ფაქტობრივად, არაფერი მახსოვს, რადგან ფსიქოლოგიური ამნეზია დამემართა, მახსოვრობა დავკარგე.

— ქალბატონი ალა როგორ იპოვეთ?

— როგორ გითხრათ... ეს ბაზარში მოხდა, 10 წლის წინ — 1995 წლის 19 იანვარს. ერთ ქალთან ერთად მივდიოდი და დავინახე ქალბატონი ალა — როგორც მას თქვენ უწოდებთ. რატომღაც მეგონა, რომ ის დედაჩემი იყო... მას და მის ოჯახს ძალიან შევეჩვიე და შემიყვარდა.

— თქვენი დედობილი წავიდა, რას გრძნობთ?

— მართალია, ის წავიდა, მაგრამ მე ჩემს ნამდვილ მშობლებთან დავრჩი. იმედია, დრო მართლაც, ყველაფრის მკურნალია. დედ-მამას, და-ძმას შევეჩვევი. მაგრამ ვერასდროს დავივიწყებ ჩემს აღმზრდელსა და ძმებს. მე მათ ხშირად მოვინახულებ.

ქალბატონი ალა შამბას თბილისში ყოფნისას, ბერულავების ოჯახში განუწყვეტლივ მოდიოდნენ აფხაზეთში შვილდაკარგული დედები. საინტერესოა, რას სთხოვდნენ ისინი აფხაზ ქალბატონს?

— ისინი მოდიან, ტირიან, მიჩვენებენ სურათებს და მეკითხებიან — რომელიმე მათგანი ხომ არ გეცნობათო?

— როგორ ცხოვრობენ აფხაზეთში მყოფი ქართველები?

— ახლა ყველაფერი კარგადაა. ჩვენთან ბევრი ქართველია. ისინი ყველას ეცოდება და ყველა ცდილობს, დაეხმაროს მათ. სხვათა შორის, მე ვიცნობ ოჯახს, სადაც 3 ქართველი ბავშვი — 2 გოგო და 1 ბიჭი იზრდება. ეს აფხაზური ოჯახი ამ ბავშვებს ისე ზრდის, როგორც საკუთარ ორს.

მშობლებო, ნუ დაკარგავთ იმედს! იქნებ, ამ სამი ბავშვიდან ერთი-ერთი თქვენი შვილია. სწორედ, ბერულავების ოჯახში მოსულმა ბედნიერებამ ჩაუსახა იმედი ქალბატონ **ნაზი ადამიას** *— იმედი იმისა, რომ მისი შვილი ცოცხალია და აუცილებლად დაუბრუნდება.*

— ჩვენ გულრიფშის რაიონიდან გახლავართ. მე რაიონულ ბიბლიოთეკაში ვმუშაობდი, ჩემი მეუღლე კი — სკოლაში დირექტორის მოადგილე იყო. 3 ბიჭი მყავდა, სამივე დაოჯახებული. საკმაოდ შეძლებული ოჯახი გვქონდა, მაგრამ ამ ომის შემდეგ ყველაფერი აირია... ჩემი ოჯახის წევრები აფხაზეთიდან სვანეთის გავლით გამოვიდნენ სამშვიდობოს, მაგრამ შუათანა შვილი დათო, ბოლომდე, სოხუმის დაცემამდე იბრძოდა. ამიტომ, მე და ჩემი მეუღლე გულრიფშში დავრჩით. მალე დათომ შემოგვითვალა: გავდივარ და თქვენც წამოდითო. ჩვენ ზღვით წამოვედით, ყველაფერი იქ დავტოვეთ.

— დათოც თქვენთან ერთად გადმოვიდა?

— არა, დათო მე-6 ბატალიონის სხვა წევრებთან ერთად, სვანეთიდან გადმოვიდა. მას და მის მეგობრებს სვანებმა იარაღი წაართვეს. დათო ოჯახის წევრებს, თავის შვილებს დაეწია.

— რამდენი შვილი ჰყავს დათოს?

— დათოს 2 შვილი — გოგო და ბიჭი ჰყავს. ორივე ჩემთან იზრდებოდა, რადგან ჩემი შვილი ცოლთან გაცილებული გახლდათ. ცუდი მამა არ იყო, შვილებისთვის ყველაფერს აკეთებდა. გულრიფშში კარგი ავტორიტეტით სარგებლობდა, არაჩვეულებრივი ინჟინერი იყო... გახარებულები ვიყავით იმით, ყველანი რომ ცოცხლები გადავრჩით, მაგრამ ამ სიხარულმა დიდხანს არ გასტანა. ჩემმა უმცროსმა შვილმა — გოჩამ, რომელსაც აფხაზეთიდან მანქანა გადმოჰყავდა — ვერ აიტანა მისი დაკარგვა (მანქანა სვანებმა წაართვეს). ოჯახის წევრები გამოიყვანა თუ არა სამშვიდობოს, მაშინვე სვანეთში წავიდა. 1-2 თვე არ გამოჩენილა. იქიდან კი, დაავადებული (ღვიძლის ავადმყოფობით) დაბრუნდა და მალევე გარდაიცვალა. მამამისმა ეს ვერ აიტანა და ერთ თვეში ისიც დავაკარგეთ...

— დათოს რალა შეემთხვა?

— აფხაზეთიდან რომ გადმოვედით, ხონში ნათესავთან დავბინავდით. მერე გავიგეთ, რომ თბილისში თავშესაფრის შოვნა შეგვეძლო. ჩემმა მეუღლემ გვითხრა — წავიდეთ, საკუთარი ჭერი მაინც გვქონებაო — და ამ დასაწვავ ბინაში შემოვედით, რომელსაც არც კარი ჰქონდა არც ფანჯარა. დათო ხონში დარჩა და პარტიზანულ ჯგუფს შეუერთდა. ამ ჯგუფში 20-22 კაცი ყოფილა. ისინი სვანეთიდან აფხაზეთში გადასულან.

— რამდენი წლის იყო მაშინ დათო?

— 35-36 წლის. მე-8 წელია, რაც შვილი დავკარგე. წელს მას 44 წელი შეუსრულდებოდა... ეს მოხდა 1997 წლის ივნისში. აფხაზეთში გადასული პარტიზანები ჯგუფებად დაიყვნენ. ჩემი შვილი და მისი გუნდის წევრები ჯერ გულრიფშში, ჩემს მულთან მისულან, მერე კი, ერთ-ერთ მიტოვებულ სახლში დაბინავებულან.

— დათო მამიდასთან რატომ არ დარჩა?

— ეშინოდა — ჩემ გამო მამიდა არ დაისაჯოსო. მაგრამ ჩემი მული და მისი მეუღლე მაინც დააპატიმრეს.

— რა მიზეზით?

— ვიღაცამ ნახა, რომ მასთან პარტიზანები იყვნენ მისული და ეს ოჯახი ჩაუშვა. ცოლ-ქმარს აწამებდნენ თურმე, მაგრამ არც ერთი არ გამოტყდა და სახლში დააბრუნეს. სხვათა შორის, ჩემს მულს 1 შვილი ჰყავდა, რომელიც მოუკვდა. გამწარებულ დედ-მამას დათო შვილივით უყვარდა და დარწმუნებული ვარ, რომც

აფხაზებს ყველა იმ ადამიანის სურათი აქვთ, ვინც მოკლეს, ამ სურათებს შორის, ჩემი შვილი ვერსად იპოვეს. დათო არც მკვდრებშია და არც ცოცხლებში... მჯერა, მკვდარი რომ იყოს, გავიგებდით

მოეკლათ, მის ასავალ-დასავალს არავის გაუმხელდნენ.

— დათოს და მის თანაგუნდელებს რა შეემთხვათ?

— როგორც უკვე გითხარით, მიტოვებულ სახლს შეაფარეს თავი. მეორე დღეს, ისინი ვიღაც აფხაზმა შეამჩნია, რომელიც დაკარგულ ძროხას ეძებდა და ეს ამბავი ჯარისკაცებს აცნობა. სახლს, სადაც 8 ქართველი პარტიზანი (4 შიგნით, 4 — გარეთ) იმყოფებოდა, თურმე ალყა შემოარტყეს. გარეთ მყოფი 4 ვაჟკაცი ადგილზევე დაუხვრეტიათ. ჩემი შვილი და მისი 3 თანამებრძოლი იერიშს იგერიებდნენ. დათოს 2 მათგანისთვის უთქვამს: გაიქეცით, ჩვენ დაგიცავთ, მერე კი უკან გამოგყვებითო. ეს 2 ბიჭი გაქცეულა რკინიგზისკენ, რომელიც სახლის უკან გახლდათ. ჩემმა შვილმა და მისმა მეგობარმა, გვარად სამუშიამ (სახელი არ მახსოვს) ბრძოლა გააგრძელეს. ბიჭები სამშვიდობოს გასულან.

— ეი. აფხაზებისგან თავის დაღწევა მოახერხეს?

— კი, მაგრამ, ეს ტანჯვა-წამების ფასად მომხდარა. რკინიგზიდან ზღვამდე, სადაც ისინი გარბოდნენ, პატარ-პატარა ჭაობებია, სწორედ ამ ჭაობში მთლიანად ჩაფლულები, დიდი ხნის განმავლობაში ემალებოდნენ მდევარს. ისინი გადარჩნენ.

— თქვენს შვილსა და სამუშიას რა შეემთხვათ?

— მათაც მოუსწრით სახლიდან გასვლა და ჭაობში დამალვა. იქიდან დილის 5 საათისთვის ამოსულან და სოფელ შაფისკენ გაქცეულან. იქ ტყე ეგულებოდათ. როგორც გავიგე, მათ თავზე დაათენდათ და როცა რაღაც პატარა წყალსაცავს მიუახლოვდნენ, ამ წყალსაცავის მცველმა აფხაზმა, მათი მიმართულებით იარაღი ისროლა და დათო ბარძაყში დაჭრა. ჩემი ბიჭი სისხლისგან იცლებოდა. მას თან ჰქონია დღიურები, ჩანაწერები, სურათები, რომლებიც სამუშიას გადასცა და უთხრა — დამტოვე, გაიქეცი. სამუშიამ ეს ყველაფერი წამოიღო და ტყეს შეაფარა თავი, რომელიც წყალსაცავიდან 20 მეტრში მდებარეობდა. ყველაფერს ბედი უნდა, უბედო ყოფილა ჩემი შვილი...

— ეს ყველაფერი საიდან იცით?

— სამუშიამ (რომელიც დღესდღეობით რუსეთში იმყოფება) გვითხრა ეს ამბავი.

— იმაზე რა თქვა, მეგობარი რომ მიატოვა?

— დათოს პულსი გავუსინჯე, ცუდად მუშაობდა, მას სიცოცხლის ნიშანწყალი არ ეტყობოდა და გამოვედი, აბა, რა უნდა მექნაო?!. მაგრამ, თუ ბარძაყში დაჭრეს, ასე უცებ, წამებში როგორ მოკვდებოდა?.. არა, იმას კი არ ვამტკიცებ, რომ ჩემი შვილი ცოცხალია, მაგრამ ის აფხაზი, ვინც ტყვია ესროლა ჩემს შვილს, მას ხელით გამოიყვანდა — შემომხედეთ, პარტიზანი მოვკალიო... კიდევ ერთი რამ მარწმუნებს იმაში, რომ ჩემი შვილი ცოცხალია: თბილისელი ქალი შვილს ეძებდა, საბუთი გააკეთა, თითქოს გაეროს წარმომადგენელი იყო და აფხაზეთში ჩავიდა. მკვდრების სიაში ეძებდა შვილს, მაგრამ ვერ იპოვა. მერე, ბზიფის კოლონიაში მისულა. ამ ქალბატონს ჩემი შვილის სურათიც ჰქონდა წაღებული. მან ჩამომიტანა ამბავი: კოლონიაში სურათით იცნეს, ერთ-ერთმა ბიჭმა მითხრა — ეს დათო ადამიაა, ჩვენ ერთმანეთს საავადმყოფოში შევხვდით, ერთ პალატაში ვიყავით, მაგრამ მე ცუდად გავხდი, რეანიმაციულ განყოფილებაში გადამიყვანეს; პალატაში რომ დამაბრუნეს, დათო იქ აღარ დამხვდაო... მჯერა, რომ ის მართლაც იწვა სოხუმის რესპუბლიკურ საავადმყოფოში.

დათოს 2 შვილი — გოგო და ბიჭი ჰყავს...

— მოდიოდნენ თუ არა თქვენთან უცხო ადამიანები ფულის გამოძალვის მიზნით და დაპირებით, რომ თქვენს შვილს გაპოვნინებდნენ?

— როგორ არა! ხან გვეუბნებოდნენ — გეტყვით იმ ადგილს, სადაც იმყოფებაო, — ხანაც, ცხედრის გადმოტანას გვპირდებოდნენ. მაგრამ ვერავინ დაგვარწმუნა ვერც მის სიკვდილში და ვერც მის ადგილსამყოფელს გვისახელებდა ვინმე... რომ მეუბნებოდნენ — დათოს ცხედარს გადმოგიტანთო, — ვეკითხებოდი — სად არის მისი საფლავი-მეთქი? — პასუხს ვერ მცემდნენ და ამაში 30.000 მანეთს მთხოვდნენ. არ მივეცი, რადგან ზუსტად ასე შეჰპირდნენ ერთ ქალბატონს, შვილის გვამს გადმოგიტანთო და სხვისი მიცვალებული დაამარხვინეს... ჩემმა უფროსმა შვილმა ნაცნობი აფხაზი მოძებნა და დახმარება სთხოვა. აფხაზებს ყველა იმ ადამიანის სურათი აქვთ, ვინც მოკლეს, ამ სურათებს შორის, ჩემი შვილი ვერსად იპოვეს. დათო არც მკვდრებშია და არც ცოცხლებში... მჯერა, მკვდარი რომ იყოს, გავიგებდით. დათოსთან ერთად, ჩემი რძლის ძმა — ავთო შონიაც იყო. ის დაჭრეს და გულრიფშის რაიონის საავადმყოფოში მოხვდა. საკმაოდ რთული ოპერაცია გადაუტანია. მეორე საღამოს, მის პალატაში ვიღაც სომეხი შესულა. წალაპარაკება მოუვიდათ და სომეხმა ავთოს დანა გულში გაუყარა. ეს ყველამ იცის, მისი სურათები მიცვალებულთა შორის ნახეს...

რკინიგზიდან ზღვამდე, სადაც ისინი გარბოდნენ, პატარ-პატარა ჭაობებია, სწორედ ამ ჭაობში მთლიანად ჩაფლულები, დიდი ხნის განმავლობაში ემალებოდნენ მდევარს

— სად არიან დათოს შვილები?

— ბავშვები ჩემთან იყვნენ, მაგრამ მათი თავი, დათოს დაკარგვის შემდეგ, დედამისმა წამართვა, რომელიც ებრაელს გაჰყვა ცოლად. იმან აურია თავგზა ჩემს შვილს, თორემ ჩემი ბიჭი უთქმელი იყო. მისი მეგობრები ამბობენ, — დათოს პარტიზობას ვერ წარმოვიდგენდით, იმდენად წყნარი და დინჯი იყოო.

— შვილიშვილები არ გეხმიანებიან ხოლმე?

— როგორ არა! ჩამოდიან, მომინახულებენ და ისევ მიდიან ხოლმე. ხშირად მირეკავენ და მეუბნებიან: „ჩქინ ჯგირ ბები“ („ჩვენი კარგი ბებია“). ეს სიტყვები მიხანგრძლივებს სიცოცხლეს, თორემ, ჩემი სიკვდილი მადლია. 72 წლის ქალი ვარ და 2 შვილი დავკარგე. ცხოვრებამ ბევრი ტკივილი მომაყენა. ამ რამდენიმე დღის წინ კი, კიდევ მეტი იმედი ჩამესახა იმისა, რომ დათო დაბრუნდება — ბერულავების ოჯახის ბედნიერებას ვგულისხმობ. ყველა შვილდაკარგულ ოჯახს ღირსებოდეს ასეთი სიხარული. ქალბატონ ალა შამბასაც შევხვდი, რომელმაც დათოს სურათი ნახა და შემპირდა: თუ რამე შევიტყვე, შეგატყობინებო. ამ ამბავმა იმედის ნაპერწკალი ჩამისახა. იქნებ იმიტომ, რომ გამწარებული დედა ვარ? მაგრამ დაბრუნდება კი ჩემი დათო?..

■

სიკეთე, რომელსაც ამერიკელები გარდაცვალების შემდეგ თესენ

რა უპირატესობა აქვს მელოტ მამაკაცს

თმის ცვენას სამედიცინო ენაზე ალოპაცია ჰქვია. ის შესაძლოა, სხვადასხვა მიზეზით იყოს გამოწვეული, მაგრამ მსოფლიოში ყველაზე გავრცელებული, ანდროგენული (ბუნებრივი, მამაკაცური თმის ცვენა) ყოფილა გავრცელებული და თურმე, ამ მოვლენას მამაკაცების მესამედი განიცდის, თანაც — ძალზე მწვავედ. სტატისტიკური მონაცემებით, მელოტი მამაკაცები 35%-ით ნაკლებად აღწევენ წარმატებას საქმიანობაში, 64%-ით — პირად ცხოვრებაში; მანდილოსანთა 82% ერიდება მათთან ურთიერთობას. ამას სტატისტიკა გვამცნობს. თუმცა, ზოგიერთ ქალბატონს მელოტი მამაკაცი გაცილებით მიმზიდველად და სექსუალურადაც კი ეჩვენება.

თანამედროვე მეცნიერები გარდაცვლილის გაცოცხლებას ვერ ახერხებენ, თორემ, ალოპაციის პრობლემის მოგვარება მათთვის იგივეა, რაც ჩემთვის — ერთი ჩვეულებრივი სტატიის დაწერა. პროფესორი თამაზ თამაზაშვილი ირწმუნება, რომ 2010 წლისთვის, საქართველოში მელოტი მამაკაცი აღარ იარსებებს და ამაში თვითონ, დიდ წვლილს შეიტანს. ის პირველია, ვინც საქართველოში თმის გადანერგვის კლინიკა დააარსა და არც პაციენტთა ნაკლებობას უჩივის.

მასთან ინტერვიუზე მისულს, საზოგადოებისთვის ცნობილი იმდენი ადამიანი დამხვდა მისაღებში, რომ გაოცებულიც კი დავრჩი. ვინაიდან პაციენტთა ვინაობა გასაიდუმლოებულია, არც მე მაქვს უფლება, დავასახელო ისინი, მაგრამ რამდენიმე თვის შემდეგ, როდესაც მათი გადანერგილი თმა წამოიზრდება და ერთ მშვენიერ დღეს, გრუზა ქოჩრით წარდგებიან ჩვენ წინაშე, თქვენ თვითონ მიხვდებით...

ბატონი თამაზი ნიუ-იორკის ორგანოთა და ქსოვილთა ტრანსპლანტაციის ცენტრის პროფესორი, ჯგუფის ხელმძღვანელი გახლავთ და ჩვენი საუბარიც სწორედ ორგანოების ტრანსპლანტაციის თემით დავიწყეთ.

მარი ჯაფარიძე

— ჩვენს ცენტრში 150 ადამიანი მუშაობს. ქართველი კაცისთვის დიდი მიღწევაა, ასეთ სოლიდურ კლინიკაში ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობა. მე გახლავართ მენეჯერიც და ჯგუფის ხელმძღვანელიც. ჩვენი ძირითადი საქმიანობა გახლავთ ტრანსპლანტაციისთვის საჭირო ქსოვილთა და ორგანოთა მოპოვება. როდესაც რომელიმე კლინიკაში ავადმყოფი იღუპება და ექიმი საბოლოო დიაგნოზს სვამს, ის ვალდებულია, დაუკავშირდეს ორგანიზაცია „სტეტლაინს“, წინააღმდეგ შემთხვევაში, საავადმყოფო დაჯარიმდება და შესაძლოა, ლიცენზიაც ჩამოერთვას. „სტეტლაინი“ ადგენს დონორის ვარგისიანობას: ხომ არ აქვს გადატანილი შიდსი ან სხვა ინფექციური დაავადებები. თუ მიიჩნევს, რომ დონორის გამოყენება შესაძლებელია, გვიკავშირდება ჩვენ და გვაძლევს მისამართს. ჩვენ ვრეკავთ კლინიკაში, ვესაუბრებით უშუალოდ ექიმს, ისევ ვადგენთ დონორის ვარგისიანობას, შემდეგ ვუკავშირდებით დონორის პატრონს, რომ მივიღოთ თანხმობა ამა თუ იმ ორგანოსა თუ ქსოვილის ამოღებაზე. შემდეგ ვუკავშირდებით ქსოვილთა ბანკს, სადაც ამოღებული ორგანოები ინახება 5 წლის განმავლობაში, ვახდენთ საჭირო ორგანოს ამოღებას დონორისგან. ეს ძალზე სერიოზული სამსახურია, კონტროლირებადი და გამჭვირვალე.

— დონორის პატრონისგან თანხმობას გარკვეული ანაზღაურების შედეგად იღებთ?

— არა, დონორობაში ადამიანი გასამრჯელოს არ იღებს. პაციენტის პატრონს უნაზღაურდება მხოლოდ დონორობასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯი. ამერიკელები მორწმუნე ხალხია. მათ სწამთ სულის არსებობის და იციან, რომ გარდაცვალების შემდეგ, მათი ახლობლის სხეული მიწაში უნდა გაიხრწნას და ისინი ცდილობენ, სიკეთე მოუტანონ სხვა ადამიანებს. მაგალითად, იყო შემთხვევა, როდესაც დედას გარდაეცვალა შვილი. ქალბატონი დაგვთანხმდა ძვლის ქსოვილის ამოღებაზე. გავიდა დრო, დედას დასჭირდა ხერხემლის ძვლის პლასტიკური ოპერაცია. როგორც გითხარით, ამოღებული ქსოვილები ბანკში 5 წელი ინახება. დედას გადაენერგა შვილის ქსოვილი. შემდეგ ეს ქალბატონი ამბობდა — ასე მგონია, შვილს აყვანილი ვყავარ ხელშიო... იყო შემთხვევები, როდესაც ცოლს გადაენერგა გარდაცვლილი ქმრის ქსოვილი, სიდედრს — სიძის. არ ვიცი, ანერვიულებდა თუ არა სიდედრი სიძეს და გახდა თუ არა მისი სიკვდილის მიზეზი, მაგრამ ფაქტია, რომ სიძის სხეულიდან აღებული ქსოვილების წყალობით გამოჯანმრთელდა. ჩემი ღრმა რწმენით, შესაძლებელია, რომ დონორობის ინსტიტუტი საქართველოშიც დავნერგოთ, რადგან ხალხს ეს სჭირდება. სხვა საკითხია, რამდენად პატიოსანი ხალხის ხელში მოხვდება ეს საქმე. თუ ქართველი კაცი დარწმუნებული იქნება, რომ მის მიერ უანგაროდ გაწეული სიკეთის შედეგით სხვა არ იხეირებს, ის ამაზე აუცილებლად წამოვა. ამერიკაში ამ საქმეს სახელმწიფო აფინანსებს და ეს არ არის ბიზნესი. ამ სფეროს სახელმწიფო უნდა აკონტროლებდეს. რუსეთში მოხდა „ჟულიკობა“: ექიმები ადამიანის ორგანოებს დონორის პატრონთან შეუთანხმებლად იღებდნენ; მათ მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა და სასამართლო პროცესი დღემდე მიმდინარეობს. ადამიანის ორგანოებით ვაჭრობაში რომ გამხელენ, ამაზე დიდი სირცხვილი რა უნდა იყოს?!

— დონორის პატრონებს ყველაზე მეტად რომელი ორგანოს ამოღებაზე უჭირთ თანხმობის მიცემა?

— ტრანსპლანტაციისთვის დონორის სხეულიდან ვახდენთ: გულის, თირკმლის, ფილტვის, პანკრეასის, ნაწლავის, ძვლის ტვინის, თვალის რქოვანისა და სხვა ქსოვილების ამოღებას. უფრო მეტად, სწორედ თვალის რქოვანაზე უჭირთ თანხმობის მოცემა. სიმართლე რომ გითხრათ, ამის მიზეზი არ ვიცი. იყო შემთხვევა, როდესაც ჩვენ მივედით კლინ-

იკაში ორგანოების ამოსაღებად, რაზეც თანხმობა გვქონდა მიღებული დონორის მშობლებისგან. ამ დროს დარეკა ქალმა და განაცხადა, რომ გარდაცვლილის მეუღლე იყო და უარს ამბობდა ქსოვილების ამოღებაზე. როდესაც დონორს საკუთარი ოჯახი აქვს, პირველ რიგში, მეუღლის თანხმობაა აუცილებელი, მშობლების აზრს მნიშვნელობა არა აქვს. ამის გამო, მთელი 3 საათი გავჩერდით. ის ქალბატონი მოვიდა, მაგრამ ვერ დაამტკიცა, რომ მეუღლე იყო. ერთად უცხოვრიათ, მაგრამ ოფიციალურ ქორწინებაში არ ყოფილან, გელფრენდი ცოლად არ ითვლება, ამიტომ მშობლების თანხმობა საკმარისი იყო, რომ ქსოვილები ამოგვეღო.

— თუ დონორს შედგენილი აქვს ანდერძი, რომლის მიხედვითაც, ის თანახმაა, მისი ორგანოები ამოიღონ, ამ შემთხვევაშიც აუცილებელია ოჯახის თანხმობა?

— როდესაც ასეთი ანდერძი დგება,



ირაკლი ბებიაშვილი

ამის შესახებ შეტყობინებას შესაბამის სამსახურს აწვდიან და ადამიანი სიცოცხლეშივე ხდება რეგისტრირებული დონორი. გარდაცვალების შემდეგ, თუ ოჯახი თანახმა არ იქნება, ამას მნიშვნელობას არ ვანიჭებთ, რადგან ანდერძი გახლავთ იმის დასტური, რომ დონორობა გარდაცვლილის სურვილი იყო და ის უნდა შესრულდეს.

— ახლა თმის გადანერგვის თემაზე გადავიდეთ. რატომ დაინტერესდით ამ სფეროთი?

— მე არ მეგულება სხვა სამედიცინო პრობლემა, ისეთი ზოგადსაკაცობრიო და გავრცელებული, როგორიცაა თმის ცვენა და სიმელოტე მამაკაცებში. მედიცინის მამა — ჰიპოკრატე მელოტი იყო. წინათ, სიმელოტის დასაფარავად, თავზე გვირგვინს ადგამდნენ. შემდეგ, საფრანგეთში შემოიღეს პარიკი, რათა არისტოკრატებს ნორმალური გარეგნობა ჰქონოდათ. მამაკაცი იმ ასაკში რომ შედის, როცა თავის მოწონებას იწყებს, სწორედ მაშინ კარგავს თმას. ამის გამო კომპლექსი უჩნდება. ზოგიერთი ნამდვილ სტრესს განიცდის. საკუთარ თავზე მაქვს გამოცდილი და მერწმუნეთ, დღემდე კარგად მახსოვს, როგორც ჩემი, ისე დედაჩემის განცდები, როდესაც ვმელოტდებოდი... ჩემთან მოვიდა საკმაოდ კარგი გარეგნობის, 40 წლის მამაკაცი, რომელსაც ცოლის მოყვანა სურდა. აღმოჩნდა, რომ საცოლის მოთხოვნა იყო — ცოლად იმ შემთხვევაში გამოჰყვებოდა, თუ თმას გადაინერგავდა... ერთხელ კლინიკაში მოხუცმა გურულმა ქალბატონმა შემოიარა. ჩემს ქმარს გადაუნერგეთ თმაო, — გვთხოვა. — კი, მაგრამ ქალბატონო, თქვენი მეუღლე რამდენი წლის არის-მეთქი? — ისიც ჩემსავით მოხუცია, მაგრამ ამ ბოლო დროს, რაღაც ცუდად იქცევა და გასაწეწად მინდაო... ბევრ ახალგაზრდა მამაკაცს ვიცნობ, რომელიც გამუდმებით ქუდით დადის იმის გამო, რომ მელოტია. აბა, ასეთმა მამაკაცმა როგორ უნდა მიაღწიოს წარმატებას?!. თმის გადანერგვით კი, მშვენივრად შეიძლება ამ პრობლემის მოხსნა. მე თვითონ სწორედ მსგავსი პრობლემისა და კომპლექსის გამო გადავწყვიტე თმის გადანერგვა. გადავინერგე და შვება ვიგრძენი. სწორედ ამის შემდეგ გამიჩნდა სურვილი, დავხმარებოდი იმ მამაკაცებს, ვისაც სიმელოტე მოჰბეზრდა.

— ალბათ, ზოგჯერ, ბუნებრივი თმის ცვენა კი არა, სხვა ფაქტორები იწვევს თმის გადანერგვის აუცილებლობას, არა?

— რა თქმა უნდა. ახლა, როდესაც ჩვენ აქ ვსაუბრობთ, საოპერაციოდ ამზადებენ ერთ პაციენტს, რომელიც საკმაოდ ცნობილი ოჯახის შვილია. ამ ბიჭს, დამწვრობის შედეგად, ნახევარ თავზე ნაწიბურები აქვს. თავის კანის გადანერგვა რამდენჯერმე გაუკეთდა გერმანიის წამყვან კლინიკებში. ამის შემდეგ უნდა გასულიყო გარკვეული პერიოდი საიმისოდ, რომ თმის გადანერგვა შესაძლებელი გამხდარიყო. ეს დროც გავიდა და დღეს ეს ოპერაცია კეთდება.

— დიდია იმ მამაკაცების რიცხვი, ვისაც თმის გადანერგვა სურს?

— საკმაოდ. მაგრამ ზოგს ფინანსური საშუალება არა აქვს, ზოგს ცოლი არ აძლევს უფლებას: ისედაც „ქალებში დაძვრება“ და ქოჩორი რომ ექნება, მერე

თამაზ თამაზაშვილი

სულ აიშვებსო... ამას წინათ, ერთი ახალგაზრდა ქალი მოვიდა და იდუმალი გამომეტყველებით მკითხა — ბატონო თამაზ, მგონი, ზეგ ჩემი ქმარი თქვენთან თმის გადანერგვას აპირებს და მართალიაო? ვინაიდან ჩვენ პაციენტის კონფიდენციალობას ვიცავთ, არ გავუმხილე, მართლა იყო თუ არა მისი ქმარი ჩვენი პაციენტი. შემდეგ მითხრა — ბატონო თამაზ, მე წინაალმდეგი არ ვარ, რომ გადაინერგოს, ოღონდ, იმის გაგება მაინტერესებს, თქვენ ხომ არ გაგიმხილათ, ვისი გულისთვის იკეთებს ამას, ხომ არავის ეპრანჭებაო?.. ამას წინათ, 75 წლის მამაკაცსაც კი გადავუნერგეთ თმა და ისეთი კმაყოფილი გახლდათ, ენით ვერ აღგიწერთ...

— იქნებ, თვით გადანერგვის პროცესზეც გვიამბოთ.

— ამის შესახებ ჩვენი კლინიკის ექიმი, ირაკლი ბებიაშვილი მოგიყვებათ. მასაც აქვს გადანერგილი თმა და თავის მოსაზრებას, როგორც პაციენტი, ისეც გაგვიზიარებს.

— ირაკლი, როგორ მიმდინარეობს თმის გადანერგვის პროცესი?

ირაკლი ბებიაშვილი:

— თავდაპირველად, თავის იმ ადგილიდან, რომელიც თმით არის დაფარული, ვიღებთ გადასანერგ მასალას. შემდეგ ხდება მისი დამუშავება სპეციალურ ხსნარში, ხოლო გადასანერგ ადგილზე კეთდება ხვრელები, სადაც თმის ჩანერგვა ხორციელდება. ეს უმტკივნეულო პროცედურაა. პაციენტს არ ექმნება არავითარი დისკომფორტი. 2-3 კვირის მანძილზე, გადანერგილი თმის ცვენა ხდება. ეს ბუნებრივი პროცესია. ამის შემდეგ იწყება თმის ზრდა. ახალი თმის ღერი თავის კანის ზედაპირზე მხოლოდ 3 თვის შემდეგ ამოაღწევს, შემდგომ — ჩვეულებრივი ტემპით განაგრძობს ზრდას. ასე რომ, თმის გადანერგვიდან 6-7 თვის შემდეგ, თმა უკვე ისეთ ზომას აღწევს, რომ მამაკაცი მას თავისუფლად დაივარცხნის. შესაძლებელია ასეთი თმის შელებვა, ქიმიურად დახვევა, ფენით გაშრობა — ანუ ეს არის ჩვეულებრივი თმა, რომელიც არასოდეს გასცვივდება.

— თქვენ რატომ გადაინერგეთ თმა? თქვენც კომპლექსი გაწუხებდათ?

— ჯერ ერთი, თმის გადანერგვის შემდეგ, ადამიანი რამდენიმე წლით უფრო ახალგაზრდულად გამოიყურება. მეორეც, ცნობილია, რომ უამრავ ექიმს ჩაუტარებია ცდები საკუთარ თავზე და საკუთარი ჯანმრთელობა საფრთხის წინაშეც დაუყენებია. მე მათ არ ვედრები; იმასთან შედარებით, რასაც ისინი აკეთებდნენ, საკუთარ თავზე თმის გადანერგვა ერთგვარი სიამოვნებაცაა... და კიდევ, არსებობს მესამე მიზეზიც: როდესაც პაციენტი თმის გადასანერგად მიდის და კონსულტაციას იღებს ისეთი ექიმისგან, რომელსაც იგივე პრობლემა აწუხებს, ის ამ ექიმს აღარ

ვისაც თავის თმიანი საფარი იმდენად მცირე აქვს, რომ მისივე თმის გადანერგვა ვერ ხერხდება, მათთვის არსებობს სპეციალური მოწყობილობა, რომელსაც „სისტემა“ ჰქვია. ეს გახლავთ პარიკის ნაირსახეობა, ოღონდ — თანამედროვე ტექნოლოგიით დამზადებული. სისტემა კეთდება სილიკონის საფუძველზე, წინასწარ, ინდივიდუალურად აღებული ზომების მიხედვით. მის დასამზადებლად გამოიყენება ბუნებრივი თმა, რომელიც ინდოეთიდან ჩამოაქვთ. თურმე, ინდოელების ზოგიერთ ტომს წესად აქვს, რომ გარკვეული ასაკის მიღწევამდე, თმა არ მოიჭრან, შემდგომ — ერთბაშად იპარსავენ თავს... ამ წლების განმავლობაში, თმა საკმაოდ დიდ სიგრძეს აღწევს.



ენდობა. თქვენ იმკურნალებთ კუჭის წყლულზე ისეთ ექიმთან, რომელსაც თვითონ აწუხებს ეს დაავადება?.. ალბათ, არა. ჰოდა, ასევეა ჩვენს შემთხვევაშიც.

— თქვენმა მეუღლემ მოიწონა სიახლე თუ წინასწარ მოელაპარაკეთ, რომ ამას აპირებდით?

— არა, წინასწარ არაფერი მითქვამს. მაგრამ რატომ არ უნდა მოსწონებოდა?.. რა თქმა უნდა, კმაყოფილია.

— რა შემთხვევაში ეუბნებით პაციენტს უარს თმის გადანერგვაზე?

— მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მას თმა საერთოდ არა აქვს: თუ გადასანერგ მასალას ვერ ავიღებთ, რა გადავუნერგოთ?!.

ამერიკელებმა ეს შანსი არ გაუშვეს ხელიდან და ყოველწლიურად, დიდძალი თმა ჩააქვთ ინდოეთიდან. გამზადებული „სისტემა“ სპეციალური პოლიმერებით მაგრდება თავის კანზე და ჩვეულებრივად, მოუხსნელად ძლებს დაახლოებით 2 წელი... ერთი სიტყვით, სიმელოტის პრობლემა მოგვარებადია და არც ისე ძნელად. მაგრამ ნურც ის მამაკაცები ინაღვლებენ, ვისაც ხელი არ მიუწვდებათ თანამედროვე ტექნოლოგიებზე. მათი სავიზიტო ბარათი — თავის აპრიალებული ზედაპირი იმის ნიშანია, რომ ისინი სრულფასოვანი მამაკაცები და გვარის გამგრძელებელნი არიან, რადგან ცნობილია, რომ საჭურისები არასოდეს მელოტდებიან. ■

რატომ არ შველის წამლები ყველას?

გამოკვლევა, რომელიც ამ კითხვაზე გაგვცემს პასუხს, დიდ ბრიტანეთში ჩატარდა. მეცნიერებმა გამოყვეს პრეპარატები, რომლებიც ადამიანთა მხოლოდ 30-35%-ისთვისაა შედეგიანი, დანარჩენებზე ისინი ან არ მოქმედებს, ან სერიოზულ გვერდით ეფექტებს აქვს ადგილი. სავარაუდოა, რომ ამის მიზეზი, პაციენტებს შორის არსებულ, გენურ განსხვავებაშია.

დღეს მედიცინაში არსებობს ახალი მიმართულება — ფარმაკოგენეტიკა. გასაგებია, რომ ყველანი განსხვავებულები ვართ და სხვადასხვაგვარად ვრეაგირებთ ერთსა და იმავე წამლებზე. არსებობს მონაცემები, რომ ორგანიზმის ინდივიდუალურ პასუხს მეტწილად ადამიანის გენეტიკური თავისებურებები განაპირობებს. მათზეა დამოკიდებული ის, თუ რამდენად სწრაფად მოხვდება წამალი საჭირო ორგანოში, როგორ შევა ურთიერთობაში შინაგან გარემოსთან და როგორ გამოიყოფა ორგანიზმიდან. ამასთან, წამლის მიღება თუ მიუღებლობა მემკვიდრულად გადაეცემა. მაგალითად, თუ ადამიანს მეტოპროლოლის (წნევის სამკურნალო პრეპარატის) მიღებისას მკვეთრად უქვეითდება პულსი, არსებობს დიდი ალბათობა იმისა, რომ ასეთივე გვერდითი ეფექტი ექნებათ მის შვილებსა და შვილიშვილებსაც.

ზოგიერთი ასეთი გენეტიკური თავისებურება უკვე დადგენილია. ნაპოვნია ისეთი ცვლილებები გენებში, რომლებიც 50-ჯერ(!) ზრდის თრომბების წარმოქმნის რისკს ჰორმონული კონტრაცეპტივების გამოყენების დროს. ცნობილია აგრეთვე გენური დარღვევები, რომლებიც წნევის დამწევი წამლების მიღებისას იწვევს ხველას.

მეცნიერები იმედოვნებენ, რომ ახლო მომავალში, ექიმი შეძლებს წამლის დანიშვნას პაციენტის გენეტიკური თავისებურებების გათვალისწინებით. ეს საშუალებას მოგვცემს, დავაზუსტოთ წამლის დოზა, მისი მიღების დრო და თავიდან ავიცილოთ გვერდითი ეფექტები. საჭირო გენების აღმოჩენა კი შესაძლებელი იქნება გავრცელებული მეთოდის — პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქციის გამოყენებით. ■

| სახელმწიფო — დედაქალაქი რეიკიავიკი | | |

როცა წნევა ზღვარს სცილდება

რუბრიკას უძღვება ექიმი
თამარ მამაცაშვილი

როგორია თქვენი არტერიული წნევა? არ იცით? გირჩევთ, გაიკონტროლოთ — შესაძლოა, ციფრები მეტისმეტად მაღალი აღმოჩნდეს. არტერიული ჰიპერტონიის ჩუმი ეპიდემია მსოფლიოში ყოველწლიურად, მილიონობით ადამიანის სიცოცხლეს იწირავს. მხოლოდ დროულად დანიშნული მკურნალობა აგვაცილებს თავიდან სამწუხარო სტატისტიკაში მოხვედრას.



არტერიულ ჰიპერტონიას უამრავი მიზეზი აქვს, მაგრამ ყველაზე ხშირად, მას მავნე ჩვევების დაავადებას უწოდებენ. ეს ჩვევებია: სიგარეტის მოწევა, ალკოჰოლის ბოროტად გამოყენება, ჭარბი წონა, დიდი რაოდენობით მარილის მოხმარება. ასევე, თავისი წვლილი შეაქვს აგრეთვე ცხოვრების დაძაბულ რიტმს, რომელიც ქრონიკული სტრესის განვითარების მიზეზი ხდება. თუმცა სანიმუშო ცხოვრების წესის მქონე ადამიანიც კი არ არის დაზღვეული ჰიპერტონიისაგან — ამ შემთხვევაში, ძირითადი მიზეზი მემკვიდრეობითობაა. ყველა ეს ფაქტორი რთული ფიზიოლოგიური რეაქციების გზით იწვევს არტერიული წნევის მატებას, რის შედეგადაც სისხლძარღვთა კედელი გამუდმებით განიცდის მომატებულ ზეწოლას, ირღვევა მისი ნორმალური შენება, ჩალაგებას იწყებს ქოლესტერინი. ქოლესტერინის ფოლაქები კიდევ უფრო ავიწროებს სისხლძარღვთა სანათურს და წნევა განაგრძობს მატებას. ბოლოს და ბოლოს, ირღვევა ორგანოების სისხლმომარაგება და ვითარდება სერიოზული გართულებები — ინფარქტი, ინსულტი, მხედველობის დარღვევა, თირკმლის უკმარისობა...

არტერიული ჰიპერტონია მეტისმეტად ვერაგი დაავადებაა. ერთი მხრივ, დიაგნოზის დასასმელად ხშირად საკმარისია მხოლოდ წნევის რამდენჯერმე გაზომვა, მეორე მხრივ კი — დაავადება უმრავლეს შემთხვევაში, სრულიად შეუმჩნევლად მიმდინარეობს და ადამიანი არც კი ფიქრობს, რომ წნევის გაზომვაა საჭირო. ზოგჯერ, ისეც ხდება, რომ როცა ექიმი მაღალი წნევის გამო მკურნალობას ნიშნავს, ურწმუნო პაციენტი, რომელსაც „არაფერი სტკივა“, არ ემორჩილება მის რეკომენდაციებს. ამის შედეგად, დაავადება ნელ-ნელა, მაგრამ მაინც პროგრესირებს და როცა სიმპტომები ვლინდება, დრო უკვე დაკარგულია და საშიში გართულებების ალბათობა რამდენჯერმე გაზრდილია.

რა უნდა ვქნათ, რომ დაავადების საწყისი ეტაპი არ გამოგვეპაროს და როგორ მოვიქცეთ, თუკი ჰიპერტონია უკვე გვაქვს? ექიმები გვირჩევენ, რომ პირველ რიგში, ცხოვრების წესი შევიცვალოთ — გადავაგდოთ სიგარეტი, ვაკონტროლოთ ალკოჰოლისა და მარილის მოხმარება, დავიკლოთ წონაში. სასარგებლოა ვარჯიში — სიარული ან ცურვა, რაც საუკეთესოა დაავადების დასაწყისში. თუ წნევა არ ქვეითდება, ნიშნავენ წამლებს. თანამედროვე მედიცინის არსენალში არტერიული წნევის დამწვევი ბევრი საშუალება არსებობს. ნორმალურ ციფრებამდე წნევის დაქვეითება იცავს სისხლძარღვთა კედელს ზედმეტი დატვირთვისაგან და ეწინააღმდეგება დაავადების განვითარებას. სწორი თერაპიის შერჩევა რთული ამოცანაა. ექიმები ურჩევენ პაციენტს, შეიძინოს წნევის საზომი აპარატი და მუდმივად აკონტროლოს არტერიული წნევის ცვალებადობა, ასევე მისი რეაქცია სხვადასხვა პრეპარატზე. სამაგიეროდ, როცა მკურნალობა შერჩეულია, შეგიძლიათ, მშვიდად იყოთ — სისხლძარღვები საიმედოდაა დაცული.

არტერიული ჰიპერტონიის სამკურნალო პრეპარატებს შორის, ერთ-ერთი ყველაზე თანამედროვეა ანგიოტენზინ-გარდამქმნელი ფერმენტის ინჰიბიტორთა ჯგუფი (აგფ). ამ ჯგუფის პრეპარატები წინ ეღობება მხოლოდ ერთ ფერმენტს და ამით აჩერებს რეაქციათა კასკადს, რომელიც წნევის აწევას იწვევს. გარდა ამისა, ჰიპერტონიის მკურნალობის თანამედროვე მიდგომის აუცილებელი ნაწილია დამცავი ეფექტის მქონე პრეპარატების დანიშნვა. მაგალითად, პრეპარატი დიროტონი არა მხოლოდ ეფექტურად აქვეითებს წნევას, არამედ ღვიძლსაც ზოგავს. გარდა ამისა, ბევრი ჰიპოტენზიური პრეპარატი ამცირებს გულის გადიდებული მარცხენა პარკუჭის მასას და მისი მუშაობა უფრო ეფექტური ხდება. ■

თვითჩაგონება ალერგიის წინააღმდეგ

თვითჩაგონება ეხმარება ადამიანს, თავი დააღწიოს ალერგიას — იტყობინებიან ბაზელის საუნივერსიტეტო ჰოსპიტლის მეცნიერები.

მათ ჩაატარეს გამოკვლევა, რომელშიც სხვადასხვა სიპტომით გამოხატული ალერგიის მქონე 79 ადამიანი მონაწილეობდა. პაციენტებს შეასწავლიდნენ სპეციალურ მეთოდიკას, რომელიც ეყრდნობოდა ყურადღების გადატანასა და ისეთ მდგომარეობაზე კონცენტრირებას, სადაც არ შეიძლება იყოს ალერგენები. ექსპერიმენტის ყველა მონაწილეს ჰქონდა ალერგია ოთახის მტვერზე ან მარცვლეულზე და მათ სთავაზობდნენ, წარმოედგინათ სათხილამურო დაღმართი — ნათელი ცა, თოვლი და ყინვა. შედეგად, ალერგიის სიმპტომები გამოსაცდელთა უმრავლესობას თითქმის 30%-ით შეუმცირდა. მეცნიერთა აზრით, ეს გამოკვლევა ადასტურებს, რომ ალერგიის განვითარებაში ფსიქიკური ფაქტორი მნიშვნელოვან როლს ასრულებს. ■

...ერნალო ტალახით ...ქმული კურორტი ...აქართველოში	ნაგებობა მდინარეზე	ქალაქი, ქვეყნის ადმინისტრაციული ცენტრი (ზოგადად)	პოლიციის აგენტი, ჯაშუში	მაღაზიის დიდი მინა	ინდოეთის დედაქალაქი
...ბ...ი	...ბ...ი	...ი	...ი	...ი	...ი
...ი, ...ვს ...ს	...ლაფი	...იგივეა, რაც ...ბებია	თავის ...ონჩხი	...ჯიბრი, მეტოქეობა	...ახალზელანდიური ...ფრინველი	...მონო, ...დი, ..., ...ტეტრა	...მიწის ...ნაკვეთი, ...აძლევდნენ ...რუსეთში ...გლეხებს

ნუ შეგეშინდებათ სარკეში ჩახედვის!

მსოფლიოში თითქმის ყოველი მესამე ქალი უკმაყოფილოა თავისი გარეგნობით. ამის მიზეზი კი უმეტესწილად, ჭარბი წონა — წამოზრდილი მუცელი და სავსე თეძოებია.

იმის დადგენაში — მოგწონთ თუ არა საკუთარი სხეული — ტესტი დაგეხმარებათ. კითხვებს დადებითი ან უარყოფითი პასუხი გაეცით.



1. სარკეში საკუთარ თავს სასოწარკვეთილი შეჰყურებთ.
2. სპორტდარბაზის გასახდელში მხოლოდ მაშინ შედიხართ, როცა იქ აღარავინაა.
3. თუ მაინც მოგიწიათ ვინმეს თანდასწრებით ტანსაცმლის გამოცვლამ, ცდილობთ, დამალოთ მკერდი ან მუცელი, რადგან კარგად იცით, როგორ შეგაფასებენ გარშემო მყოფნი.
4. სექსი სიბნელეში გირჩევნიათ.
5. ხშირად ადარებთ თქვენს ფიგურას სხვა ქალებისას და შედეგით ძალზე უკმაყოფილო რჩებით.
6. დილით რომ დგებით, აუცილებლად მოიცვამთ ხალათს — არ გსურთ, პარტნიორმა დაინახოს თქვენი სხეული.
7. ცდილობთ, სარკეში იშვიათად ჩაიხედოთ.
8. ინტიმური სიახლოვის დროსაც ფრთხილობთ — არ გინდათ თეძოები და მუცელი გამოგიჩნდეთ.

თუ 3 კითხვას დადებითი პასუხი გაეცით, მაშინ იმ ქალთა რიცხვს მიეკუთვნებით, ვისაც თავისი სიშიშვლის ეშინია. სასოწარკვეთას ნუ მიეცემით, რადგან მხოლოდ თქვენ არ გაწუხებთ ეს პრობლემა. ამის დაძლევა არ გაგიჭირდებათ, თუ რამდენიმე რჩევას გაითვალიწინებთ.

● დიდხანს ძილი გახდომის საუკეთესო საშუალებაა. მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ძილის დროს თავის ტვინი გამოიმუშავებს ზრდის ჰორმონებს, რომელიც გახდომას უწყობს ხელს. ასე რომ, ინტენსიური გახდომისთვის საჭიროა ბევრი ძილი, მაგრამ თუ ძილის წინ გემრიელად დანაყრდებით, მაშინ ეფექტი საწინააღმდეგო იქნება — რადგან ძილი, რომელიც გახდომას უწყობს ხელს, უნდა იყოს ღრმა, მშვიდი და ხანგრძლივი. აღნიშნულ შემთხვევაში კი, კუჭი მუშაობს და ძილიც მოუსვენარია.

● დიასახლისებს გირჩევთ — 8 საათი მაინც იძინოთ, რადგან უძილობა იწვევს დეპრესიას, ინფარქტს, ჰიპერტონიას, სტენოკარდიას და სხვა სერიოზულ დაავადებებს.

● ნორმალური ძილი რომ გქონდეთ, გირჩევთ: მიირთვათ ბევრი ხილ-ბოსტნეული, არ ინერვიულოთ, არ მოსწიოთ, არ მიიღოთ ზედმეტი ალკოჰოლი, ივარჯიშეთ, ისეირნეთ სუფთა ჰაერზე და ირბინეთ. და რაც მთავარია, არ დაგავიწყდეთ: ივახშმეთ დაძინებამდე 2-3 საათით ადრე.

● სხვათა შორის, ე.წ. ზრდის ჰორმონების გამომუშავებას ხელს უწყობს არაქისი, ხილი და ბოსტნეული, თან წონაშიც არ მოიმატებთ. ასე რომ, ეს პროდუქტები მიირთვით, რამდენიც გსურთ.

● თუ გსურთ, ებრძოლოთ სიმსუქნეს, ისწავლეთ კალორიების დათვლა. როგორც წესი, ადამიანის ორგანიზმი მუდმივად ხარჯავს ენერგიას: მოძრაობისას, გონებრივი მუშაობისას და ძილის დროსაც. ენერგიას კი მხოლოდ და მხოლოდ საკვების მიღების შედეგად იძენს. ჩვეულებრივ, წონაში იმატებთ იმ შემთხვევაში, როდესაც მიღებულზე ნაკლებ ენერგიას ხარჯავთ. დიეტოლოგებმა განსაზღვრეს, რომ იმ ქალების ყოველდღიური რაციონი, რომლებიც სპორტს არ მისდევენ, უნდა შეიცავდეს 1100-1500 კალორიას. რა თქმა უნდა, გასათვალისწინებელია ადამიანის სიმაღლე, სამუშაოს სპეციფიკა და სხვა სუბიექტური მაჩვენებლები.

● საკვების კალორიულობის კონტროლისთვის სულაც არ არის საჭირო კალკულატორზე ყოველი კერძის კალორიის გამოთვლა. სრულიად საკმარისია, მიჰყვეთ სპეციალისტების რჩევებს. საჭიროა შეამციროთ ისეთი კალორიული პროდუქტების მიღება, როგორებიცაა მაიონეზი (75 კალ), შებოლილი ძეხვი (520 კალ), შოკოლადი (543 კალ), ცხოველური ცხიმი (895). უპირატესობა მიანიჭეთ „მსუბუქ“ ბოსტნეულს, მჭლე ხორცსა და უცხიმო რძის პროდუქტებს.

■

მიკრობებსაც კი ეშინიათ...

სტაფილო უაღრესად სასარგებლო ბოსტნეულია. იგი მდიდარია ვიტამინებითა და მიკროელემენტებით. განსაკუთრებით დიდი რაოდენობით კი კაროტინს შეიცავს. ქორფა სტაფილო ხელს უწყობს მოზარდთა სიმაღლეში ზრდას, აღადგენს იმუნიტეტს, აწესრიგებს ნივთიერებათა ცვლას, მეძუძურ ქალებში კი ლაქტაციას აწესრიგებს. გარდა ამისა, იგი ხელს უწყობს პირის ღრუს გაწმენდას: საკმარისია, პატარა ნაჭერი დაღეჭოთ, რომ პირის ღრუში მკვეთრად შემცირდება მიკრობების რაოდენობა. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ სასარგებლოა უმი სტაფილოს ჭამა, რადგან ხარშვისას მისი საუკეთესო თვისებები იკარგება.

■

თუ გსურთ, კარგი კანი გქონდეთ

კოსმეტიკური საშუალებებით შეგიძლიათ ჯანმრთელი და ნაზი კანი შეინარჩუნოთ, ასეთივე ეფექტი აქვს ნატურალურ წვენებს.

1. ერთი ფინჯანი სურნელოვანი ჩაი სხეულსაც გაგითბობთ და გუნებაზეც მოგიყვანთ.
2. აბაზანის მიღებისას წყალს დაუმატეთ დამარბილებელი და დამატენიანებელი თვისებების მქონე არომატული ზეთები. თუ ამას გაითვალისწინებთ, თქვენი კანი გლუვი და სალუქი გახდება.
3. ქარით და სიცივით დამსკდარ დაწითლებულ ხელებს ზეთის თბილი აბაზანები შველის.
4. ძილის წინ, დაღლილობის მოსახსნელად გაიკეთეთ გვირილის ექსტრაქტის თბილი აბაზანა.
5. მშრალ კანს ძალიან უხდება ნუშის ზეთი და მისი კრემები.
6. მიირთვით დღეში ერთი ვაშლი მაინც.



ხისტი წყალი სახის კანს აყროყლეებს

კანს თუ რეგულარულად ხისტი წყლით დაიბანთ, მკრივი, ხავერდისებური და კრიალა გაგიხდებათ. განსაკუთრებით სასარგებლოა ამის გაკეთება დილით. ამგვარ პროცედურას მატონიზებელი ეფექტი აქვს და კანს არასასურველი გარემო ფაქტორებისთვის წინააღმდეგობის გაწევაში ეხმარება. თუ ყოველდღიურად იყენებთ ტონალურ კრემს ან პუდრს, მაშინ თქვენთვის აუცილებელია ინტენსიური მასაჟი ყინულის ნატეხით ან წინადღეს ადუღებული წყლით.

როგორ მოვუაროთ ფეხებს

● ფეხები უნდა დაიბანოთ ყოველდღე თბილი წყლით, საპნითა და ჯაგრისით. წყლის პროცედურები დაგეხმარებათ იმაში, რომ დაიცვათ ფეხები ინფექციის შეჭრისაგან, რომელიც ძირითადად თითებშუა კანს აზიანებს და უამრავ დაავადებას წარმოშობს. კვირაში ორჯერ სოკოვანი დაავადებების თავიდან აცილების მიზნით გაიკეთეთ ძმრიანი ან სოდიანი წყლის (უმჯობესია მონაცვლეობით) აბაზანები. დაბანის შემდეგ, კანი გულდასმით შეიმშრალეთ თითებშუა.

● ფეხზე თუ კოჟრი გაგიჩნდათ, დაიდეთ მაგარ ძმარში ჩამბალი ხახვი ან შავი პური, შეიხვიეთ და გაიჩერეთ 10-12 წუთი. შემდეგ გაიკეთეთ სასმელი სოდის წყალხსნარიანი აბაზანა (1 ს/კ 3 ლ წყალში). პროცედურა გაიმეორეთ მანამ, სანამ კოჟრი არ ამოვარდება.

სახამებლის აბაზანა ფეხებისათვის:

თუ ფეხის ქუსლებზე კანი გაგიმაგრდათ, დაგისკდათ და უსიამოვნოდ გამოიყურება, აუცილებლად დროულად უნდა მიხედოთ. გახსენით ერთ ჭიქა თბილ წყალში ერთი ჩ/კ კარტოფილის ფქვილი, კარგად აურიეთ და დაასხით კიდევ სამი ჭიქა წყალი. ამ აბაზანაში ფეხები 10-15 წუთი გააჩერეთ. ქუსლები კარგად გაიხეხეთ პემზით ან სპეციალური სახეხით, შეიმშრალეთ და მკვებავი მალამო ან მცენარეული ზეთი წაისვით.



თხილის ნამცხვარი

ცხვება საცხობ ფირფიტაზე. გამოდის 20 ნაჭერი.

მასალად საჭიროა:

200 გ დარბილებული კარაქი;
200 გ შაქარი;
1 პაკეტი შაქრიანი ვანილი;
2 ს/კ ნუშის ლიქიორი ან ნუშის სიროფი;
4 კვერცხი;
300 გ ფქვილი;
1 ს/კ ცომის საფხვიერებელი ან სოდა;
100 გ თხლად დაჭრილი თხილი;
30 გ შაქარი;
30 გ კარაქი;
ცხიმი საცხობი ფირფიტისთვის.

მომზადების წესი:

1. გააცხელეთ ღუმელი და წაუსვით ცხიმი საცხობ ფირფიტას. კარაქი, შაქარი, შაქრიანი ვანილი და ნუშის ლიქიორი ათქვიფეთ ჰაეროვანი მასის მიღებამდე. დაუმატეთ თითო-თითო კვერცხი. შეურიეთ ფქვილი და სოდა.
2. ცომი გაანაწილეთ ფირფიტაზე, შედგით ღუმელში და აცხვეთ 175 გრადუსზე, 10 წუთის მანძილზე. თხლად დაჭრილ თხილს შეურიეთ შაქარი და მოაყარეთ ნამცხვარს. ზემოდან დაადეთ კარაქის ანათალი და აცხვეთ კიდეც 15-20 წუთი.

გამოსაცხობად საჭიროა 30 წუთი. 1 ნაჭერი 240 კალ-ს შეიცავს.

დავით გარეჯელის მადლის ქვა

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სიწმინდეა დავით გარეჯელის მადლის ქვა, რომელიც მამა დავითმა იერუსალიმიდან ჩამოიტანა...

შორენა მერკვილაძე



ვინ იყო დავით გარეჯელი?

დავით გარეჯელი ერთ-ერთია იმ 13 ასურელ მამათაგან, რომლებიც VI საუკუნეში ჩამოვიდნენ საქართველოში წმინდა იოანე ზედაზნელის წინამძღოლობით, ქრისტიანული სჯულის განსამტკიცებლად. იოანე ზედაზნელი ანტიოქიაში აღიზარდა. იგი მეუდაბნოე ბერი იყო და დღეებს ლოცვაში ატარებდა. ღვთივსათნო ცხოვრების გამო მას ღვთისგან წინასწარმეტყველებისა და სენთა კურნების ნიჭი ებოძა. ერთ ღამეს, იოანეს ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი გამოეცხადა და აუწყა, რომ აერჩია 12 მოწაფე და მათთან ერთად იბერთა ქვეყანაში წასულიყო ქრისტიანული სჯულის განსამტკიცებლად. გამოცხადების შემდეგ, ღირსმა მამამ თავისი მოწაფეები შეკრიბა, აზიარა ისინი, სათითაოდ ჩამოწერა მათი სახელები და საკურთხეველზე დააწყო. დილით მათ იხილეს უფლის ანგელოზი, რომელმაც საკურთხevლიდან 12 ქარტია აიღო და იოანეს ხელში ჩაუდო. ქარტიაზე იმ 12 მოწაფის სახელი ეწერა, რომლებიც წმინდა იოანესთან ერთად იბერთა ქვეყანაში უნდა წამოსულიყვნენ. სწორედ ერთ-ერთი მათგანი იყო დავით გარეჯელი, რომლის წარმომავლობის შესახებაც მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ ღირსი იონე ზედაზნელის ნათესავი და მართლმორწმუნე მშობლების შვილი იყო. იგი ყრმობის ასაკში დაობლებულა და მას შემდეგ, იოანე ზედაზნელს გაჰყოლია...

საქართველოში ჩამოსულმა მამა დავითმა, სამოღვაწეოდ თბილისი აირჩია, იგი ბერ ლუკიანესთან და თავის მოწაფეებთან ერთად, ქალაქის დასავლეთით მდებარე მთის ფერდობზე — გამოქვაბულში დასახლდა, იქვე პატარა სამლოცველოც მოაწყო. ბერები მხოლოდ მთის მცენარეებით იკვებებოდნენ და მთელ დროს ლოცვაში ატარებდნენ. მათთან უამრავი ადამიანი მიდიოდა, რათა აღსარება ეთქვა და წმინდა მამათაგან რჩევა-დარიგება მიეღო...

ხუთშაბათობით მამა დავითი ქალაქში ჩადიოდა და მათთან შეხვედრის მსურველთ, ქრისტიანულ სჯულს უქადაგებდა. იმ პერიოდში თბილისში ძირითადად, მოგვები სახლობდნენ, ისინი ხედავდნენ, რომ წმინდა მამის ქადაგებით ბევრი ადამიანი იყო დაინტერესებული, ამიტომ მისი მოშორება განიზრახეს, მრავალჯერ ცილი დასწამეს, ბოლოს, ერთ-ერთ მეძავთან მრუშობაში დაადანაშაულეს. მართალია, მამა დავითმა მოახერხა თავისი სიმართლის დამტკიცება (ხალხმა მრუში დედაკაცი ქვებით ჩაქოლა), მაგრამ ამის შემდეგ, ნეტარმა მამამ დატოვა მღელვარებით მოცული ქალაქი და ბერ ლუკიანესთან ერთად სამოღვაწეოდ უდაბნოს მიაშურა. მამა დავითმა „სჯად თავისა თვისისა“ კახეთში, ყარაის ველზე გაშლილ უწყლო უდაბნოს მიაშურა, რათა ამქვეყნიურ გასაჭირთა დათმენით საუკუნო და წარუვალი განსასვენებელი მოეპოვებინა. ამიტომაც ეწოდა შემდგომში ამ უდაბნოს გარესჯა ანუ გარეჯა.

უწყლო და უნაყოფო უდაბნოში ჩასულ ლუკიანეს ეჭვი შეეპარა, რომ იქ გაძლებდნენ, მაგრამ მამა დავითმა გაამხნევა. მათ კლდეში გამოკვეთილი გამოქვაბული იპოვეს და იქ დასახლდნენ. საზრდელად მცენარეული საკვები ჰქონდათ, რომელიც გაზაფხულზე უხვად მოიპოვებოდა. მაგრამ როდესაც ზაფხულის მცხუნვარე მზემ ბალახიც კი გადაახმო, უფალმა სასწაულებრივი საზრდო გაუჩინა უდაბნოში მოღვაწე ბერებს — ყოველდღიურად, გარდა ოთხშაბათისა და პარასკევისა, მათთან 3 ირემი მიდიოდა. ლუკიანე წველიდა მათ, მამა დავითი ჯვარს გადასახავდა რძეს და ყველად აქცევდა.

როდესაც ხალხს უდაბნოში მოღვაწე მამა დავითის შესახებ ესმა, მრავალმა ადამიანმა მიაშურა გარეჯის უდაბნოს. ბევრი მათგანი წმინდა მამასთან საუბარის შემდეგ, იქვე დარჩა სამოღვაწეოდ. ასე იზრდებოდა უდაბნოში მოღვაწე ბერმონაზონთა რიცხვი...

დავით გარეჯელს განმარტოებით ლოცვა უყვარდა. იგი ყოველდღიურად გადიოდა კლდეთა ნაპრალებში და ლოცულობდა. ერთხელ, როდესაც მამა დავითი განმარტოებით ლოცულობდა, მასთან კაკაბი მიფრინდა, მალე მონადირეც გამოჩნდა — რუს თავის მთავარი ბაბაქარი. მამა დავითმა ბაბაქარს ურჩია, ხელი აეღო მის ფერხთით მჯდომი კაკბის მონადირებაზე, რომელმაც სიკვდილისგან თავის დასაღწევად მას შეაფარა თავი. ამან ბაბაქარი ძალიან აღაშფოთა და მამა დავითს მახვილი მოუღერა მოსაკლავად. მოხდა სასწაული — მთავარს ჰაერში გაუშეშდა ხელი. იგი მიხვდა საკუთარი საქციელის უკეთურებას, ცხენიდან ჩამოხტა და წმინდა ბერს აცრემლებულმა შესთხოვა მიტევება. მართლაც, მიუტევა თუ არა მამა დავითმა მას და შეჰვედრა იესო ქრისტეს, მთავარმა ხელი აამოძრავა. ბაბაქარის თხოვნით, დავით გარეჯელმა ორივე ფეხით კოჭლი მისი ვაჟიშვილიც



მადლის ქვა

განკურნა. ამ სასწაულის შემდეგ, მთავარი და მისი ვაჟი ქრისტიანულ სჯულზე მოექცნენ, მადლიერების ნიშნად კი ბაბაქარმა და მისმა ვაჟმა უდაბნოში მოღვაწე ბერებისთვის კლდეში ეკლესია გამოაკვეთინეს, რომელიც შემდგომ, დავითის ლავრად იწოდა.

გარდაცვალების შემდეგ, წმინდა დავით გარეჯელი მოწაფეებმა იმავე სენაკში დაასვენეს, სადაც გარეჯის უდაბნოში გასვლის შემდეგ მკვიდრობდა (მისი გვამი ეკლესიაში, ლუსკუმაში ჩაასვენეს, რომელიც საამო სურნელებას აფრქვევდა, მასთან რწმენით მიახლოებულ ადამიანებს სასწაულებრივად კურნავდა სნეულებათაგან). წმინდა მამის საფლავზე მრავალი წლის მანძილზე იდო იერუსალიმიდან ჩამოტანილი ქვა, რომელიც მადლის ქვის სახელწოდებითაა ცნობილი...

წმინდა მამა დავითს არ სურდა ამა სოფლიდან ისე გასულიყო, რომ არ ეხილა იერუსალიმი და მისი მოლოცვა გადაწყვიტა. ბერებზე ზრუნვა ლუკიანეს დაავალა, ხოლო თვითონ, რამდენიმე წმინდა ბერთან ერთად, პალესტინაში გაემგზავრა. როდესაც ბერები იერუსალიმთან მდებარე მადლის ქედზე ავიდნენ, საიდანაც იერუსალიმი მოჩანდა, მამა დავითი პირქვე დაემხო მიწაზე და ცრემლმდინარი, ადიდებდა ღმერთს. მან წმინდა ქალაქში შესვლის ღირსად არ ჩათვალა თავი, ამიტომ იქვე დარჩა მანამ, სანამ მხლებლები წმინდა ქალაქს მოიღოცავდნენ. მათ მოსვლამდე გულმხურვალედ ლოცულობდა. საქართველოში წამოსვლისას, წმინდანმა იმ ადგილიდან 3 ქვა აიღო და თან წამოიღო.

იმავე საღამოს, იერუსალიმის პატრიარქს — ილიას უფლის ანგელოზი გამოეცხადა და აუწყა, რომ მამა დავითს მადლის ქედიდან 3 ქვა მიჰქონდა, რომელსაც თან მიჰყვებოდა მთელი იერუსალიმის მადლი. იმავე ანგელოზის ბრძანებით, წმინდა მამას მალემსრბოლნი დაადევნეს, უფლის ნება ამცნეს და მას 2 ქვის უკან დაბრუნება სთხოვეს, რათა სრულად არ მოჰკლებოდა მადლი უფლის ქალაქს. მამა დავითმა მართლაც, დაუბრუნა 2 ქვა იერუსალიმს, მესამე კი საქართველოში ჩამოიტანა და გარეჯის უდაბნოში — ეკლესიაში დააბრძანა. უფლის ნებით, იერუსალიმიდან ჩამობრძანებული ქვა სასწაულმოქმედების ძალით აღივსო, მისი წყალობით არაერთი ადამიანი განიკურნა სხვადასხვა სნეულებისგან (ამჟამად, მადლის ქვა სიონის ტაძარშია დაცული).

დღესაც, ვინც რწმენითა და სასოებით მიეახლება საკვირველმოქმედი მამა დავითის საფლავს და მის მიერ იერუსალიმიდან ჩამოტანილ მადლის ქვას, სულიერ და ხორციელ სნეულებათაგან კურნებას მიიღებს.

■

თბილისის ჭეშმარიტი ასი ათასი მოწამე

მორენა მერკვილაძე

13 ნოემბერს, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ასი ათას მოწამეს მოიხსენიებს, რომლებიც X საუკუნეში ეწამნენ...

როდესაც საქართველოში რუსუდანი მეფობდა, საქართველოს საზღვრებს ხვარაზმის სულთანი — ჯალალედინი მოადგა. თამარ მეფის ასულის, რუსუდანის ბრძანებით, შეიკრიბა ქართველთა ლაშქარი. გარნისთან გამართულ ბრძოლაში ქართველები დამარცხდნენ, რადგან მათ ივანე ათაბაგმა (მხარგრძელმა) უღალატა.

რამდენიმე ხანში ჯალალედინმა საქართველოს ახალი ათაბაგი — ავაგ მხარგრძელი დაიბარა და მისი პირით რუსუდან მეფეს ცოლობა შესთავაზა, რათა საქართველოში გამეფებულიყო — „უკუეთუ ესე არა ჰყოთ, მოოხრდეს სამეფო თქუენი“, — ბრძანებდა დამპყრობელი. ამ განცხადებამ სამეფო კარის წარმომადგენლები ძალზე აღაშფოთა და ტირანს სასტიკი უარი შეუთვალეს, რამაც სულთანი განარისხა და თბილისისკენ ააღებინა გეზი. ბრძოლის პირველ დღეს, გამარჯვება ქართველების მხარეზე იყო, მაგრამ ღამით მათ თბილისელმა სპარსებმა უღალატეს — დილით ქალაქის კარი გააღეს და მტერი თბილისში შემოუშვეს. მტერი უსასტიკესად გაუსწორდა თბილისის მოსახლეობას — ჩვილებს მკერდიდან ჰგლეჯდნენ დედებს და მათ თვალწინ ქვაზე ანარცხებდნენ. ქალაქში სისხლის მდინარეები მოედინებოდა. ქალაქის ქუჩებში უამრავი ქართველის გვამი ეყარა...

ბოლოს, ჯალალედინმა ბრძანა, თბილისის სიონისთვის გუმბათი მოეხსნათ და ზედ მისი ტახტი დაედგათ. სიონის ტაძრიდან მაცხოვრის და ღვთისმშობლის ხატები გამოატანინა, პირქვე დაამხობინა მტკვარზე გადებული ხიდის შესასვლელში და ქრისტიანებს უბრძანა, ხატები ფეხით გაეთელათ, ხოლო მისთვის, ვინც ბრძანებას არ აღასრულებდა, თავი მოეკვეთათ.

ასი ათასმა თბილისელმა უარი განაცხადა ჯალალედინის ბრძანებაზე და შეურაცხყო წმინდა ხატები. ყველა მათგანს თავი მოჰკვეთეს. მათ თავმოკვეთილ სხეულებს მტკვარში ყრიდნენ. ჟამთააღმწერელი მოგვითხრობს, რომ იმ დღეს, მტკვარი სისხლისფრად იყო შეღებილი. მართლმადიდებელმა ეკლესიამ წმინდანებად შერაცხა ასი ათასი თბილისელი მოწამე და მათი ხსენების დღედ, 13 ნოემბერი დაადგინა. ასი ათასი მოწამე თბილისის მფარველად ითვლება.

■

საიდან ჩაჩნდა კოსმოსური ხომალდი



სოფელი დობრსკო (რაც კეთილს ნიშნავს) მთელ ბულგარეთში გამორჩეულადაა მიჩნეული, რაც მის ცენტრში მდებარე, უძველესი, მომცრო ეკლესიითაა განპირობებული. ისტორიული წყაროების თანახმად, ის 1122 წელს ააგეს. უჩვეულო და ზოგიერთის აზრით ფანტასტიკურიც კი, ის გახლავთ, რომ ფრესკებზე მაცხოვარი კოსმოსური ხომალდის ფონზეა გამოსახული. „ჩვენთვის ცნობილია, — ამბობს ეროვნული ისტორიული მუზეუმის დირექტორი, ბოჟიდარ დიმიტროვი, — რომ 1614 წელს, კედლების რესტავრაცია განხორციელდა. მაგრამ ისტორიული წყაროებიდან ვიცით, რომ რესტავრატორები ფრესკებსა და ხატებს პირვანდელ სახეს უბრუნებდნენ; თუ ასეა, მაშინ გაოცებას იწვევს, თუ საიდან გაჩნდა კოსმოსური ხომალდის გამოსახულება X საუკუნეში. დობრსკოში მდებარე ეკლესია, ჩვენს დრომდე მოღწეულთაგან ერთ-ერთი პირველია ბულგარეთში. თუმცა, მსგავსი გამოსახულებები ქვეყნის კიდევ ოთხ ტაძარში არსებობს, გარდა ამისა, არსებობს ლიტერატურა, რომელშიც აღწერილია მაცხოვრის მსგავსი გამოსახულებები, რომელიც იტალიისა და სერბეთის ზოგიერთ ეკლესიაში დაუფიქსირებიათ“, — დასძინა პროფესორმა.

■

«ლივერპული» მანუჩარ მაჩაიძეში 5 მილიონ გირვანქა სტერლინგს იხდიდა

როგორ სურდა ჯრემლს „დინამოს“ ჯაპიტნის თავიდან მოშორება

თბილისის „დინამოს“ ყოფილ კაპიტანს, მანუჩარ მაჩაიძეს ეროვნულ მოძრაობაშიც აქვს მონაწილეობა მიღებული და 1989 წლის 9 აპრილს, გაზით მოწამვლასაც შემთხვევით გადაურჩა. პროფესიით მშენებელ-ინჟინერი, გარდა იმისა, რომ რამდენიმე მეცნიერული ნაშრომი დაწერა და ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის დაცვაც მოასწრო, ერთი ხანობა, საქართველოს პარლამენტშიც მოღვაწეობდა. მას შემდეგ, რაც საკანონმდებლო ორგანოში მეორედ ვერ მოხვდა, ბატონ მანუჩარს პოლიტიკიდან წასვლა არ გადაუწყვეტია და ამჟამად, თბილისის საკრებულოს წევრი გახლავთ. ჩვენი საუბარიც სწორედ საკრებულოში, მის კაბინეტში შედგა.

გიორგი ლანჩავა

თუთიყუშს მიმსგავსებული ბავშვები

— ჩემი თაობის ბავშვების უმეტესობის მსგავსად, მთელი დღე ეზოში ფეხბურთს ვთამაშობდი, განსაკუთრებით შაბათ-კვირას, როდესაც სკოლაში სწავლა არ გვქონდა. იმ პერიოდში, დღევანდლისგან განსხვავებით, ქუჩა ქუჩას ეჯიბრებოდა, უბანი — უბანს და ფეხბურთის ანბანს ასე ვსწავლობდით. ძალიან მწყდება გული, რომ ახლა ცარიელ სათამაშო მოედნებს ვხედავ. რატომღაც მშობლებს ჰგონიათ, რომ თუ მათი შვილი 2 საათი საფეხბურთო სკოლაში ივარჯიშებს, აუცილებლად ძლიერი ფეხბურთელი ჩამოყალიბდება და საზღვარგარეთაც სარფიანად გაიყიდება. ჩემმა შვილმა ოჯახში თუთიყუში მოიყვანა, რომელსაც კოკო ჰქვია. და რამდენსაც გაივლიდა და გამოივლიდა, ფრინველს ეძახდა — „კოკო, კოკო“. როდესაც დავინტერესდი, ამას რატომ აკეთებდა, მან განმიმარტა, რომ თურმე, თუთიყუშს თავისი სახელი ხშირად უნდა ეძახო, რომ შემდგომ, თავად გაიმეოროს. ახლანდელი მწვრთნელებიც ბავშვებს თუთიყუშებივით ექცევიან და ჩასჩიჩინებენ, რომ მოედანზე ფინტის გაკეთება ან დრიბლინგი — ცუდია. ასე გამოაშტერეს ეს ბავშვები უკანასკნელი 25 წლის მანძილზე, როდესაც ქართულ ფეხბურთში ლობანოვსკისა და ბესკოვის არასწორი საფეხბურთო მსოფლმხედველობა დანერგეს. კიდევ კარგი, 12 წლის ასაკში ვარჯიში სერგო შუდრასთან დავიწყე, რომელიც ჭკვიანი კაცი იყო და სულ მასწავლიდა, ბურთს უკეთ როგორ მოვპყრობოდი. მას ხშირად დავყავდით ბავშვები შეკრებაზე ბაკურიანში, სადაც გვავალებდა, რომ ბურთიანად ბუჩქებსა და ხეებს შორის გვერბინა, რითიც ბურთის ფლობის ტექნიკას გვიმუშავებდა. აქვე გეტყვით, რომ იმ პერიოდში, საკმაოდ კარგად ვცურავდი, ვჭიდაობდი, ხოლო ჭადრაკში ბავშვებს შორის პირველი თანრიგიც მაქვს აღებული. სხვათა შორის, შემდგომ, ოსტატის ნორმატივიც შევასრულე სპორტის ამ სახეობაში. ბავშვობაში, შუდრას გარდა, ვლადიმერ გვარჯალაძე და არჩილ კიკნაძეც მავარჯიშებდნენ, ახალგაზრდულ საფეხბურთო სკოლაში კი, ჩემი მწვრთნელი ვლადიმერ ელოშვილი გახლდათ. 1967 წელს, სანამ კალინინგრადში საფეხბურთო სკოლებს შორის დაგეგმილ საკავშირო ტურნირზე გავემგზავრებოდით, თბილისის „დინამოს“ ძირითად შემადგენლობას ვეთამაშეთ. იმ მატჩში პირველ ტაიმში ჩემი მეურვეობა იამანიძეს ჰქონდა დაკისრებული, მეორეში კი — კუტივაძეს, მაგრამ თავი საკმაოდ კარგად წარმოვაჩინე და „დინამოს“ მაშინდელმა მთავარმა მწვრთნელმა ვიაჩესლავ სოლოვიოვმა გუნდში მიმიწვია. კალინინგრადიდან ჩამოსვლის შემდეგ, სადაც მეორე ადგილი დავიკავეთ, 1967 წლის შემოდგომაზე, თბილისელთა დუბლშემადგენლობაში ჩავირიცხე და ხელფასი 60 მანეთი დამინიშნეს.

ქართველის დამცველი რუსი მწვრთნელები

— თბილისის „დინამოში“ ყველა ფეხბურთელს ვინმე ჰპატრონობდა ტეკადან *(კომპარტიის თბილისის ქალაქკომი. — ავტ.)* ან ცეკადან, მხოლოდ მე არ მყავდა პატრონი და ჩემი თამაშით ვცდილობდი, დამემტკიცებინა, რომ გუნდში ყოფნის ღირსი ვიყავი. „დინამოში“ ჯუნგლების კანონი მოქმედებდა და მხოლოდ ძლიერი

ჯუნგლების კანონი მოქმედებდა და მხოლოდ ძლიერი იმარჯვებდა...

იმარჯვებდა, ამიტომ ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრება ადვილი არ იყო. მით უმეტეს, რომ ქართველი მწვრთნელები, რომლებიც გუნდს სხვადასხვა პერიოდში ავარჯიშებდნენ, რუსი ფეხბურთის სპეციალისტებისგან განსხვავებით, ყოველთვის ცუდი თვალით მიყურებდნენ. სოლოვიოვმა გუნდში რომ ამიყვანა, ქართველები ეუბნებოდნენ: რად გინდა? არ გამოგვადგებაო... მერე, როდესაც გავრილ კაჩალინმა ძირითად შემადგენლობაში დამაყენა, მასაც ეჩხუბნენ: რატომ ათამაშებო? ზოგიერთმა, მტრულად განწყობილმა პიროვნებამ, გუნდში ისიც კი მომიგონა, რომ გული მაწუხებდა და ჩემთვის ფეხბურთის თამაში არ შეიძლებოდა. 1968 წლიდან, „დინამოს“ სათადარიგოთა სკამზე ვიჯექი და რომელიმე ფეხბურთელის მიერ ტრავმის მიღების შემთხვევაში, მზად ვიყავი, იგი შემეცვალა. 1970 წლიდან, უკვე ძირითადში დავიწყე სტაბილურად თამაში და იმ სეზონში შეხვედრათა 80% ჩავატარე, საბჭოთა კავშირის თასის ფინალის ჩათვლით, რომელშიც 1:2 დავმარცხდით. მაშინ გურამ ცხოვრებოვს ტრავმა აწუხებდა და თამაშის წინ გამაყუჩებელი ნემსი გაიკეთა, მაგრამ ამან ვერ უშველა და მტკივანი ფეხით მოსკოველთა საშუალო დონის თავდამსხმელ ეშტრეკოვს ფლანგზე ველარ უმკლავდებოდა. გადამწყვეტი გოლი სწორედ მან გაგვიტანა... აღნიშნული მატჩის შემდეგ, კაჩალინმა ჩემთვის ხელფასის სახით 200 მანეთის დანიშვნა მოითხოვა და ზოგიერთების წინააღმდეგობის მიუხედავად, თავისი გაიტანა. მანამდე, დუბლშემადგენლობიდან ძირითად გუნდში გადმოსული, 110 მანეთს ვიღებდი. სხვათა შორის, „დინამოში“ თამაში ისე დავასრულე, რომ ჩემი ხელფასი 180-დან 200 მანეთამდე რჩებოდა. იმასაც გეტყვით, რომ „დინამოში“, საბჭოთა კავშირის პირველობაზე მონაწილე სხვა გუნდებთან შედარებით, ხელფასები უფრო დაბალი იყო.

ორგზის თასის მფლობელი ერთადერთი კაპიტანი

— „დინამოს“ საკმაოდ ხანგრძლივ საფეხბურთო ისტორიაში ერთადერთი კაპიტანი ვარ, რომელმაც გუნდთან ერთად საბჭოთა კავშირის თასი მოვიგე, თანაც — ორჯერ. ორივე ფინალში: 1976 წელს — ერევნის „არარატთან“ და 1979 წელს — მოსკოვის „დინამოსთან“ შეხვედრისას, საუკეთესო ფეხბურთელად დამასახელეს. ფაქტობრივად, თასის ხუთგზის ფინალისტი ვარ, რადგან 1970, 76, 79 წლებში მოედანზე ვიმყოფებოდი, ხოლო 1980 წელს ფინალამდე ყველა თამაში ჩავატარე და გუნდიდან გადამწყვეტი მაჩტის გამართვამდე, 10 დღით ადრე გამისტუმრეს...

ასევე მოხდა 1981 წელს, როდესაც მოსკოვის „სპარტაკში“ ვთამაშობდი. მაშინ კონსტანტინ ბესკოვმა როსტოვის არმიელთა კლუბის წინააღმდეგ ფინალში იმიტომ არ მათამაშა, რომ ამ გუნდს მისი სიძე წვრთნიდა და „სპარტაკელებს“ როსტოველებისთვის თამაში უნდა „მიეცათ“. ჩემ მიერ ჩატარებული ფინალებიდან ყველაზე დასამახსოვრებელი 1979 წლის მატჩი იყო, როდესაც გამარჯვებულის ვინაობა თერთმეტმეტრიანების სერიით გაირკვა. ფინალამდე ცოტა ხნით ადრე, „დინამომ“ საბჭოთა კავშირის სპარტაკიადაზე იასპარეზა, სადაც თითქმის ყოველ მეორე დღეს გვქონდა თამაში და საბოლოოდ, მეორე ადგილი დავიკავეთ. ამდენად, გუნდი მოსკოვის „დინამოსთან“ მატჩზე დაღლილი გამოვიდა, მაგრამ ღმერთმა გადმოგვხედა და მაინც გავიმარჯვეთ. საერთოდ, თერთმეტმეტრიანს იშვიათად ვურტყამდი, რადგან გარშემო ბევრი ინტრიგანი მყავდა და პენალტის გაფუჭების შემთხვევაში, მათთვის დამატებითი ჭორაობის საბაბის მიცემა არ მინდოდა. თუმცა, კარიერის მანძილზე ყველა პენალტი მაქვს გატანილი და ფინალშიც იგივე გავიმეორე. ჩემი აზრით, მაღალი დონის ფეხბურთელმა თერთმეტმეტრიანი არ უნდა გააფუჭოს, რადგან ეს დიდი მინუსია და მის სათამაშო კლასს ეჭვის ქვეშ აყენებს. ამ შემთხვევაში, ვგულისხმობ, იმას, როდესაც მოთამაშე, ბურთს კარის ჩარჩოსაც ვერ მოახვედრებს. თუნდაც, იგივე, რაც დაემართათ 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში ბრაზილიის წინააღმდეგ თამაშისას რობერტო ბაჯოსა და ფრანკო ბარეზის.

„დინამოს“ საფეხბურთო ისტორიაში ერთადერთი კაპიტანი ვარ, რომელმაც გუნდთან ერთად საბჭოთა კავშირის თასი მოვიგე, თანაც — ორჯერ

„გადააგდე-გაიქეცი“ რუსულად და დეპეშები ქართულად

— საბჭოთა კავშირის ნაკრებში პირველად, 1971 წელს პონომარიოვმა მიმიწვია და ამხანაგური შეხვედრა ჩავატარე ავსტრიის ოლიმპიურ გუნდთან. ამის შემდეგ, ნაკრებთან ერთად ბრაზილიაში გავემგზავრე, სადაც 3 საკონტროლო მატჩი ბრაზილიის შტატების ნაკრებთან ჩავატარეთ. აღსანიშნავია, რომ სამივე თამაშს ვიგებდით, მაგრამ ყველა შეხვედრა ფრედ დავასრულეთ. ეს კი აუტანელი სიცხის ბრალი იყო და მაშინ მივხვდი, რომ ასეთ კლიმატურ პირობებში ბრაზილიელებთან მათსავე მოედანზე თამაში ძალზე ძნელია. აქვე გეტყვით, რომ იმ ტურნეში პელეს სახელობის სტადიონზე 25 მეტრიდან თავით გავიტანე გოლი. ბრაზილიის პირველ ნაკრებთან „მარაკანაზეც“ მითამაშია და ის შეხვედრა 0:2 წავაგეთ. ბრაზილიელებზე ურიგო შთაბეჭდილება არ მომიხდენია, მაგრამ რუსების გვერდით ასპარეზობა ძალზე ძნელი იყო, რადგან საკუთარ თამაშს სრულად ვერ ვაჩვენებდი და ფაქტობრივად, „რუსულ ფეხბურთს“ ვთამაშობდი. საბჭოთა კავშირის პირველსა და ოლიმპიურ ნაკრებში სულ 24 მატჩი ჩავატარე, აქედან გუნდი მხოლოდ ორჯერ დამარცხდა. რაც შეეხება იმ ფაქტს, რომ ძირითად გუნდში მხოლოდ 5 მატჩი მაქვს ნათამაშები, ეს ვალერი ლობანოვსკისა და კონსტანტინ ბესკოვის „დამსახურებაა“, რომლებიც იმ წლებში ქვეყნის პირველ გუნდს ყველაზე ხშირად წვრთნიდნენ. ერთიც და მეორეც იმას მისდევდნენ, რომ ფეხბურთელს მხოლოდ პასებით უნდა ეთამაშა, თან მოედანზე მეტოქის მოტყუებისგან თავი შეეკავებინა. დღესდღეობით, მოთამაშეები, რომელთაც მოწინააღმდეგისთვის გვერდის ავლა უპრობლემოდ შეუძლიათ, ასტრონომიული თანხები ღირს. მე ასეთი ფეხბურთელი გახლდით, მაგრამ ლობანოვსკისა და ბესკოვის სათამაშო სქემაში რატომღაც ჩემთვის ადგილი არ მოიძებნა, რადგან ისინი „გადააგდე-გაიქეცის“ სათამაშო სტილს ქადაგებდნენ. მართალია, ლობანოვსკის ძლიერ მწვრთნელად მიიჩნევენ, მაგრამ მე ასე არ ვფიქრობ, ვინაიდან ამ სპეციალისტს ნაკრებთან ერთად მსოფლიო ჩემპიონატზე წარმატებისთვის არ მიუღწევია. რაც შეეხება მისი ხელმძღვანელობით კიევის „დინამოს“ მიერ ორჯერ ევროპული თასის მოგებას, კიეველებს ორივე შემთხვევაში — უნგრული „ფერენცვაროშისა“ და მადრიდის „ატლეტიკოს“ სახით — არცთუ ისეთი ძლიერი მოწინააღმდეგე ჰყავდა. საბჭოთა კავშირის პირველ ნაკრებში ჩემს დამკვიდრებას ნოდარ ახალკაცმაც შეუშალა ხელი: როდესაც გუნდში მიწვევდნენ, მოსკოვში დეპეშებს აგზავნიდა: მაჩაიძე კარგ ფორმაში არ არის და არ გამოიძახოთო. აქვე გეტყვით, რომ ოლიმპიური ნაკრების შემადგენლობაში პარიზში 1972 წელს, „პარკ დე პრენსის“ სტადიონის გახსნაზე ერთადერთი გოლი მე

ქართველ ფეხბურთელებს შორის, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატზე ყველაზე მეტი ოფიციალური მატჩის მაქვს ჩაგარებული

გავიტანე და ფრანგების ოლიმპიური გუნდი დავამარცხეთ.

ახალკაცის პოლიტიკის მოწინააღმდეგე

— 1976 წელს, გუნდს მცირე ჩავარდნა ჰქონდა, იმის გამო, რომ რამდენიმე ფეხბურთელს შორის დაპირისპირება არსებობდა. სწორედ მაშინ დანიშნეს მთავარ მწვრთნელად ნოდარ ახალკაცი, რომელსაც დიდ მწვრთნელად არასოდეს ვთვლიდი. მან გუნდის სათამაშო ტაქტიკაში არაქართული ფეხბურთის ელემენტების დანერგვა დაიწყო, რასაც ბუნებრივია, ვწინააღმდეგებოდი, რადგან მიმაჩნდა, რომ ქართველებს, რუსებივით ან უკრაინელებივით, 90 წუთი წინ და უკან არ უნდა ერბინათ. ეს ჩვენს სისხლში არ ზის. მე ვთვლიდი, რომ „დინამოსთვის“ არითმიული ფეხბურთი უფრო მისაღები იყო და სანამ მიჯერებდნენ, გუნდს საქმე კარგად მისდიოდა. საერთოდ, „დინამოდან“ ჩემი გაშვება კრემლის დაკვეთა იყო, რადგან იქ მოღვაწეობდა ხალხი, რომელიც ვერ მიტანდა და მუდამ გაიძახოდნენ: Уберите этого Мачаидзе оттуда. შევარდნაძესაც მეტი რა უნდოდა! ოღონდ, ვინმე საიდანმე გაეგდო და ამისგან დიდ სიამოვნებას იღებდა... ბოლოს და ბოლოს, ისე მოხდა, რომ რუსების დაკვეთითა და ადგილობრივი შემსრულებლების წყალობით, გუნდი მაინც დამატოვებინეს... 1980 წელს, ოდესის „ჩერნომორეცთან“ მატჩის შემდეგ, წითელი ბარათი მიჩვენეს, ვითომდა მსაჯის შეურაცხყოფისთვის. მოსკოვში სადისციპლინო კომიტეტმა სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია, ფაქტობრივად, არაფრის გამო მომისაჯა. მისი ვადის გასვლის შემდეგ, „დინამოს“ ძირითად შემადგენლობაში აღარ დამაყენეს, იცოდნენ, რომ ამას ვერ შევეგუებოდი და ბოლოს და ბოლოს, მაიძულეს გუნდი დამეტოვებინა. იმ პერიოდში ბევრი ამბობდა, რომ „დინამოს“ თამაშს ვაფერხებდი, რადგან ბურთს დიდხანს „ვიჭერდი“ ფეხში. მაგრამ მაშინდელ სტატისტიკას თუ გადავხედავთ, საბჭოთა კავშირის პირველობაზე ერთადერთი ფეხბურთელი ვიყავი, რომელსაც მთელი სეზონის განმავლობაში, წუნი 10%-ზე ნაკლები მქონდა, ხოლო მარგი ქმედების კოეფიციენტის მიხედვით, კავშირის მასშტაბით ყოველთვის 10 საუკეთესო ფეხბურთელს შორის ვიმყოფებოდი, რადგან ჩემი მაჩვენებელი 60%-ზე ნაკლები არასოდეს ყოფილა. როგორც იცით, გუნდი მაშინ ჩემმა ძმამ, გოჩა მაჩაიძემაც დატოვა...

მაჩაიძის მსურველი ბობ პეისლი

— 1978 წელს, თბილისის „დინამომ“, 14-წლიანი შესვენების შემდეგ, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი მეორედ მოიგო. ქვეყნის ჩემპიონს, როგორც წესი, ასპარეზობა ევროპის ჩემპიონთა თასზე უწევდა და კენჭისყრამ 1979 წელს მეთექვსმეტედფინალში ინგლისის „ლივერპული“ გვარგუნა, რომელიც მაშინ, მსოფლიოში უძლიერეს გუნდად ითვლებოდა. ინგლისელთა მთავარმა მწვრთნელმა „დინამოს“ თამაშის სანახავად“, საბჭოთა კავშირში მეორე მწვრთნელი — ტომ სანდერსი გამოგზავნა, რომელიც დაესწრო ჩვენს მატჩებს ქვეყნის ჩემპიონატზე — მოსკოვის „ტორპედოს“ და თასის ფინალში — მოსკოვის „დინამოს“ წინააღმდეგ. სანდერსმა „ლივერპულის“ ხელმძღვანელობას ასეთი ამბავი ჩაუტანა: „დინამო“ დიდი არაფერი გუნდია, შეიძლება, მხოლოდ მაჩაიძემ შეგვიქმნას პრობლემაო. ინგლისელები არასერიოზულად კი მოგვეკიდნენ, მაგრამ „ლივერპულში“ თამაშის შემდეგ, რომელიც მათ 2:1 მოგვიგეს, თავს დამშვიდებული ნამდვილად ვერ გრძნობდნენ. ინგლისის ერთ-ერთი ტელეკომპანიის მუშაკთა გაფიცვის გამო, რომელსაც ჩვენი თამაში პირდაპირ ეთერში უნდა ეჩვენებინა, ქართველმა მაყურებელმა ეს შეხვედრა ვერ ნახა, მაგრამ მეორე დღეს, გაზეთმა „დეილი ექსპრესმა“ ასეთი რამ დაწერა: ევროტურნირებზე „ლივერპულის“ წინააღმდეგ გამოსვლისას, 16 წლის მანძილზე, თბილისის „დინამოს“ მსგავსი თამაში მხოლოდ სამმა გუნდმა: 1967 წელს — ჰოლანდიის „აიაქსმა“, 1968 წელს — უნგრეთის „ფერენცვაროშმა“ და 1974 წელს — იუგოსლავიის „ცრვენა ზვეზდამ“ აჩვენაო... გარდა ამისა, ინგლისელმა ჟურნალისტებმა აღნიშნეს, რომ „ლივერპულს“ თბილისში მძიმე თამაში ელოდა. კარგად იცით, რომ განმეორებით შეხვედრაში 3:0 გავიმარჯვეთ და მომდევნო ეტაპზე გავედით. ჩემპიონთა თასზე დებიუტი გვქონდა და ცხადია, „ლივერპულის“ დამარცხება დიდი მიღწევა გახლდათ. სხვათა შორის, ამ მატჩების შემედგ, ბობ პეისლიმ ინგლისურ პრესაში დაწერა, რომ დიდი სიამოვნებით შემიძენდა და მზად იყო, ჩემთვის 5 მილიონი გირვანქა სტერლინგი გადაეხადა... მეორე წრეში მეტოქედ ასევე ძლიერი გუნდი — გერმანიის „ჰამბურგი“ შეგვხვდა. გერმანელთა მთავარი მწვრთნელი, იუგოსლავიელი ბრანკო ზებეცი თბილისში ჩამოვიდა ჩვენი თამაშის სანახავად. მოსკოვის „დინამოს“ წინააღმდეგ ჩატარებული მატჩის დასრულებისას, მან ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა: ცხოვრებაში არ მინახავს ისეთი ფეხბურთელი, რომელიც თამაშის რიტმს მაჩაიძესავით არეგულირებსო... სამწუხაროდ, „ჰამბურგთან“ ორივე შეხვედრა წავაგეთ და გათამაშებას გამოვეთიშეთ. აქვე გეტყვით, რომ იმ გათამაშებაში გერმანელები ჩემპიონთა თასის ფინალში გავიდნენ, სადაც, ინგლისურ „ნოტინგემ ფორსტთან“ წააგეს. „ჰამბურგის“ შემადგენლობაში ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა კევინ კიგანმა, რომელიც პირველი თამაშის დამთავრებისას მოვიდა და ხელი ჩამომართვა. სხვათა შორის, ამ ინგლისელმა ნახევარმცველმა პრესაში დაწერა — გერმანიაში ინგლისიდან იმიტომ გადავედი, რომ აქ მაჩაიძის მსგავსი ტექნიკური ფეხბურთელები თამაშობენო... კარიერის მანძილზე, ჩემი წაყვანა ისეთ კლუბებს სურდათ, როგორებიც არიან: „ლივერპული“, „ინტერი“, „ჰერტა“, „ნაპოლი“, „ბენფიკა“. მაგრამ მაშინ, უცხოეთში წასვლის სურვილი ღიად რომ გამომეთქვა, საბჭოთა კავშირიდან გასვლას სამუდამოდ ამიკრძალავდენ. 1973 წელს, პელეს გამოსათხოვარ მატჩზეც ვიყავი დაპატიჟებული, რომელშიც ბრაზილიისა და მსოფლიო ნაკრები გუნდები უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს, მაგრამ არ გამიშვეს. მიზეზი კი ის გახლდათ, რომ „დინამო“ უეფას თასზე ინგლისურ „ტოტენჰემთან“ სათამაშოდ ემზადებოდა და როგორც მითხრეს, ბრაზილიაში წასვლის შემთხვევაში, სათამაშო ფორმას დავკარგავდი.

„დინამოელებს“ შორის რეკორდსმენი

— ქართველ ფეხბურთელებს შორის, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატზე ყველაზე მეტი ოფიციალური მატჩის მაქვს ჩატარებული. ამას თუ დაუმატებთ თასზე, ევროტურნირებზე, ნაკრებში, ასევე სხვადასხვა დონეზე გამართულ ამხანაგურ თამაშებს, საერთო ჯამში 900-დან 1000-მდე მატჩში მექნება მონაწილეობა მღებული. როდესაც სამედიცინო შემოწმებას გავდიოდით, თითქოს თანაგუნდელებზე უკეთესი ფიზიკური მონაცემები არ მქონდა, მაგრამ მოედანზე ყოველთვის მათზე მეტს დავრბოდით. სეზონის განმავლობაში თითქმის ყველა მატჩში ვთამაშობდი, მაშინ, როდესაც გუნდში გვყავდა ფეხბურთელები, რომლებიც ხან რას იტკივებდნენ, ხან — რას და ჩემპიონატში შეიძლება, მხოლოდ 10-ჯერ გამოსულიყვნენ მოედანზე. თუმცა ზოგიერთი მოსყიდული ჟურნალისტი და ასევე გულშემატკივართა გარკვეული ჯგუფი, ამ ფეხბურთელებზე, როგორც გუნდის მხსნელებზე, ისე ლაპარაკობდნენ და ისეთ აჟიოტაჟს ტეხდნენ, თითქოს

„დინამოს“ ბედი სწორედ ამ ხალხზე იყო დამოკიდებული. არადა, იმ პერიოდში, როდესაც გუნდის კაპიტანი გახლდით, „დინამომ“ 1976 წელს 8 თამაში წააგო, 1977 წელს — 4, 1978-ში — 5, ხოლო 1979-ში — 3. საერთო ჯამში, 4 წელიწადში 20 მატჩი დავთმეთ. ამ დროის განმავლობაში, ორჯერ საბჭოთა კავშირის თასი მოვიგეთ, ერთხელ ჩემპიონები გავხდით, ხოლო თითოჯერ — ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებს დავეუფლეთ. 1980 წელს, გუნდიდან რომ გამიშვეს, „დინამომ“ 11 მატჩი წააგო, მომდევნო წელს — 16, 1983 წელს კი ჩემპიონატში მე-16 ადგილზე გავიდა და ლიგიდან გავარდნას იმიტომ გადაურჩა, რომ 18-გუნდიანი ჩემპიონატი ტარდებოდა. არადა, მანამდე, „დინამო“ საკავშირო პირველობაზე მე-9 ადგილზე დაბლა არასდროს ჩამოქვეითებულა. მაშინაც მწვრთნელი ხომ ახალკაცი იყო — რატომ ვერ შექმნა ძლიერი გუნდი?..

„რაზდანზე“ სომხების შოკში ჩამგდები

— ერევნის „არარატთან“ „დინამოს“ როგორი დაპირისპირება ჰქონდა, თქვენც კარგად მოგეხსენებათ. 1971 წელს, ერევნელებმა თბილისში 4:0 მოგვიგეს, რაც ჩვენთვის და გულშემატკივრებისთვის დიდი დარტყმა იყო. მეორე წრეში „არარატს“ „რაზდანის“ სტადიონზე ვეთამაშებოდით, რომელიც ახალი გახსნილი იყო და ცხადია, მასპინძლებს ჩვენთან მხოლოდ მოგება უნდოდათ. მაგრამ თამაში 7 თუ 8 წუთის დაწყებული იყო, როცა ინდივიდუალური გარღვევის შედეგად, გოლი გავიტანე. 5 წუთში, ერევნელთა კარი მეორედ ავიღე, მაგრამ არბიტრმა ბურთი არ ჩათვალა. ამან სომხები ლამის გააგიჟა და დარჩენილ დროში, თითქმის მთელი გუნდით გვიტევდნენ, მაგრამ ანგარიშის შენარჩუნება მაინც მოვახერხეთ. ასე რომ, „რაზდანზე“ „არარატს“ პირველი მარცხი „დინამომ“ ჩემი გოლით აწვნევინა... მახსოვს, დნეპროპეტროვსკის „დნეპრთან“ შეხვედრაში ზედიზედ 3 ფეხბურთელს თავს ზემოთ გადავუგდე ბურთი და მეკარესთან პირისპირ გასულმა, შევაგდე კარში; მოსკოვის „ტორპედოსთან“ ჩატარებული ერთ-ერთ შეხვედრისას, მოწინააღმდეგე ლამის მთელი გუნდით დაცვაში იდგა და მოედანზე არაფერი გამოგვდიოდა. ამ დროს, თამაშის საკუთარ თავზე აღება გადავწყვიტე და ბურთიანად 70-მეტრიან რეიდებს ისე ვაკეთებდი, რომ ორი-სამი მეტოქე მაისურზე მყავდა ჩამოკიდებული. ბოლოს და ბოლოს, თამაშში გარდატეხა შევიტანე და „ტორპედო“ დავამარცხეთ. მაგრამ ეს ყველაფრი რატომღაც დაავიწყდათ...

„ტორპედოსთან“ დაპირისპირებული საბჭოთა კავშირი

— „დინამოდან“ წამოსვლის შემდეგ, ტაშკენტის „ფახთაქორში“ გავაგრძელე თამაში. საქმე ისაა, რომ გუნდიდან შუა სეზონში გამიშვეს და უმაღლესი ლიგის გუნდში გადასვლის ნებართვა არ მქონდა. ერთადერთი კლუბი, ვისაც ფეხბურთელების დამატება შეეძლო, ეს „ფახთაქორი“ იყო, რადგან გარკვეული ხნით ადრე, ეს გუნდი ავიაკატასტროფაში დაიღუპა. ტაშკენტელებს ჩემპიონატში გამოსვლა რომ გაეგრძელებინათ, საკავშირო ფედერაციამ სეზონის მსვლელობისას მათ სხვა კლუბებიდან მოთამაშეთა მოწვევის ნება დართო. „ფახთაქორში“ 5 თვე ვითამაშე და ადგილობრივი გულშემატკივრები დიდ პატივს მცემდნენ. ტაშკენტელები იმხელა თანხას მიხდიდნენ, რომ ამ გუნდში 10-ჯერ მეტს ვიღებდი, ვიდრე — „დინამოში“. „ფახთაქორიდან“ ბესკოვმა მოსკოვის „სპარტაკში“ მიმიწვია, სადაც 3 თვე დავყავი და მოსკოველებმა 1980 წელს თასის ფინალში რომ არ მათამაშეს, ფეხბურთისთვის საერთოდ თავის დანებება გადავწყვიტე. მაგრამ იმ დროს პირველ ლიგაში მოასპარეზე ქუთაისის „ტორპედოს“ მთავარმა მწვრთნელმა, მურად წივწივაძემ მთხოვა, გუნდის უმაღლეს ლიგაში გადაყვანაში დავხმარებოდი. „ტორპედოში“ 30 ჯოჯოხეთური შეხვედრა ჩავატარე, რადგან მთელი საბჭოთა კავშირი ეწინააღმდეგებოდა უმაღლეს ლიგაში ჩვენს დაბრუნებას. იყვნენ პიროვნებები, რომლებიც მეტოქეებს ფულს უხდიდნენ, ოღონდ „ტორპედოსთვის“ მოეგოთ. სეზონის უკანასკნელი შეხვედრა გვქონდა — ქუთაისში დუშანბეს „პამირს“ ვეთამაშებოდით და მხოლოდ გამარჯვება გვაძლევდა ხელს. მატჩის 88-ე წუთზე ჩვენს კარში თერთმეტმეტრიანი დაინიშნა, როდესაც ანგარიში 0:0 გახლდათ და თქვენ წარმოიდგინეთ, რა დაგვემართებოდა. მაგრამ ისე მოხდა, რომ დუშანბელებმა პენალტი ვერ გაიტანეს. თამაშის დასრულებას ბევრი აღარაფერი უკლდა, რომ ბურთიანად გავიარე თითქმის მთელი მოედანი, გზად რამდენ კაცს ავუარე გვერდი, აღარც მახსოვს და საბოლოოდ, ჩემ მიერ წამოწყებული შეტევა გოლით დაგვირგვინდა. ქუთაისელები უმაღლეს ლიგაში კი გადავიყვანე, მაგრამ ისევ გამოჩნდნენ ინტრიგანები, რომელთაც არ მოვწონდი და მომდევნო სეზონში გუნდის დატოვება მომიხდა.

გუნდი მაშინ ჩემმა ძმამ, გოჩა მაჩაიძემაც დაგოვა...

როგორც აღვნიშნე, მაშინ „ტორპედოს“ წინსვლას საბჭოთა კავშირის მასშტაბით ბევრი ეწინააღმდეგებოდა. აქედან გამომდინარე, ალბათ ხვდებით, თუ რამდენი ძალისხმევა სჭირდებოდა გუნდს, რომ შედეგისთვის მიეღწია. ჩვენს წინააღმდეგ ყველას გამარჯვება სურდა და მოედანზე ორმაგი ძალით გამოდიოდნენ სათამაშოდ. საბჭოთა კავშირის პირველობაზე უკრაინელებს 5 ან ზოგჯერ, 6 გუნდი ჰყავდათ, მოსკოველებს — 4 და ხშირად ისე ხდებოდა, რომ საჭიროების შემთხვევაში, უკრაინული კლუბი, ისევე, როგორც მოსკოვური, მეორეს თამაშს „აძლევდა.“ ყოველივე ჩვენს სატურნირო მდგომარეობაზე ძალზე ცუდად მოქმედებდა. ერთხელ, „შახტიორმა“ შემოგვთავაზა, შეხვედრა დონეცკში გარიგებით, ფრედ დაგვემთავრებინა. ამაზე უარი ვთქვით, მაგრამ ის მატჩი 1:3 წავაგეთ.

საქართველოს ბიუჯეტის შემვსები „დინამო“

— 1968 წელს, თბილისის „დინამოსთან“ ერთად, საზღვარგარეთ პირველად გავემგზავრე. სინგაპურში გავფრინდით და 38 საათი ვიმგზავრეთ. სინგაპური ახლაც მშვენიერი სანახავია და მაშინაც კარგი იყო, რამაც ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. პარიზში პირველად რომ ჩავედი, ამ ქალაქის შესახებ იმდენი წიგნი მქონდა წაკითხული, მეგონა, იქ უკვე ნამყოფი ვიყავი... საზღვარგარეთ წასვლისას, 35-40 დოლარზე მეტს არ გვაძლევდნენ — მაშინ, როდესაც საერთაშორისო ტურნირებში ჩვენი მონაწილეობით, ქვეყნისთვის 500 ათასიდან მილიონ დოლარამდე შემოსავალი მოგვქონდა. საერთოდ, „დინამოს“ საქართველოს ბიუჯეტში წელიწადში 5 მლნ მანეთი და 1 მლნ დოლარი შეჰქონდა. თავის დროზე, ახალი სტადიონი ფაქტობრივად, ამ ფულით აშენდა... ■

რუსუდან ბერიძე



(დასაწყისი იხ. გზა №42-44)

ქალაქის ერთ-ერთი კლინიკური საავადმყოფოს ახალგაზრდა ქირურგ ლანა მესხს მთავარი ექიმი სამსახურიდან გაათავისუფლებს. უსამართლოდ მოხსნილი ლანა თავიდან, სასამართლოში ჩივილს დააპირებს. კოლეგა — გიზო ვაშაკიძე მას ურჩევს, ხელი აიღოს ამ განზრახვაზე და სამუშაოდ, ახალგახსნილ ფარმაცევტულ ფირმაში ეპატიჟება, რომელიც მას და მის მეგობარს ეკუთვნის.

ლანას დიდად არც პირად ცხოვრებაში უმართლებს, რის გამოც დედამისი — თამარი განსაკუთრებით ნერვიულობს. თავად ლანა კი მართალია, გარეგნულად არაფერს იმჩნევს, მაგრამ როგორც ყველა გასათხოვარი ქალი, დიდ და ნათელ სიყვარულზე ოცნებობს.

ჯერ კიდევ საავადმყოფოში მუშაობისას, ავადმყოფის სანახავად მიმავალ ლანას თავს დაესხმება ნარკომანი, რომლისგანაც ახალგაზრდა მამაკაცი დაიხსნის. ლანას მხსნელი — ლევან მესხი კერძო სამშენებლო ფირმის მეპატრონე აღმოჩნდება. მას მეუღლე გარდაცვლილი ჰყავს და 6 წლის ქალიშვილს მარტო ზრდის. ახალგაზრდებს ერთმანეთი თავიდანვე მოეწონებათ, თუმცა ლანა თავს მაინც შორს დაიჭერს. ამასობაში, ლევანს რამდენიმე თვით გერმანიაში, სტაჟირებაზე მოუწევს წასვლა. წასვლამდე ის ლანას ხვდება და თავის ყველაზე დიდ საიდუმლოს უმხელს...

— არ შეგიძლია, ცოტა მოკლედ მოჰყვე? — მოთმინების ძაფი გაუწყდა ლანას.

— ცოტაღა დამრჩა, — დაამშვიდა ლევანმა და ისევ განაგრძო: — არ ვიცი, რა ერქვა სინამდვილეში იმ გრძნობას, ჩვენ რომ გვაკავშირებდა. მაშინ ამაზე ხომ არც ერთი არ ვფიქრობდით. მაგრამ გამოხდა ხანი, სკოლა დავამთავრეთ და ჩვენი უდარდელი ცხოვრებაც დასრულდა. მე პირველ წელს უმაღლესში ვერ მოვხვდი და ცოტა ხანში ჯარში გამიწვიეს. თვალცრემლიანმა გამაცილა და შემპირდა, რომ ორი წელი კი არა, მთელი ცხოვრებაც დამელოდებოდა. მაგრამ ორი თვეც არ იყო გასული, რომ დედაჩემმა ვითომ სასხვათაშორისოდ მომწერა — ვიღაც მილიონერს გაჰყვა ცოლად და უცხოეთში წავიდაო. თავიდან, შეურაცხყოფისგან კინაღამ გავგიჟდი, მერე და მერე, ყველაფერს უფრო მშვიდად შევხედე და შვებითაც კი ამოვისუნთქე, რადგან მივხვდი, რომ თავად მას ცოლად მაინც არასდროს მოვიყვანდი... ჯარიდან რომ დავბრუნდი, მამაჩემმა თავისთან, გეოლოგიურ სამმართველოში მომაწყო სამუშაოდ. ერთხელ ექსპედიციაში წავედი და ნანიკო გავიცანი. ის ჩემი პირველი სიყვარულის სრული ანტიპოდი იყო: დინჯი და გაწონასწორებული. ერთმანეთს ძალიან შევეჩვიეთ. ერთ საღამოს კი, ცოტა დავლიე და სიყვარულშიც გამოვუტყდი. სიხარულით ცას ეწია და თავადაც გულახდილად მითხრა — გაცნობის დღიდანვე შემიყვარდიო... ღამაზი ქორწილი გადავიხადეთ. არ ვიცი, ვინ გააგებინა, მაგრამ ქორწილის დღეს, „იმან“ დამირეკა და გაბედნიერება მომილოცა. ყურმილი დავკიდე თუ არა, მივხვდი, რომ ძველებურად მიყვარდა, უფრო სწორად — მინდოდა...

— მერე — ნანა? — ისევ გულუბრყვილოდ იკითხა ლანამ.

— ნანა ჩემი ცოლი გახდა. „ის“ კი, იმ ზარის შემდეგ, ჩემი ცხოვრებიდან უკვალოდ გაქრა და ერთხელაც აღარ შემხმიანებია... მერე მე და ნანას შვილი შეგვეძინა. თამარი დავარქვით, ჩემი დიდი ბებიის სახელი. ბავშვის გაჩენის შემდეგ, ოჯახი საბოლოოდ შეიკრა. დიდი და პატარა ჩვენ შემოგვნატროდა. ნანა თავს უბედნიერეს ქალად თვლიდა. თავს ბედნიერად ვგრძნობდი მეც, თუმცა, ოჯახს რჩენაც უნდოდა და მალე საცხოვრებლად ჩემს მშობლებთან გადავედით, ბებიის დანატოვარი ვაკის ბინა კი, სადაც მე და ნანიკომ ყველაზე ბედნიერი წუთები გავატარეთ, სარფიანად გავყიდეთ. მამის რჩევით, ფული კერძო საქმეში ჩავდე და არც მინანია: ჩვენი ფირმა მალე დადგა ფეხზე და საკმარისი მოგებაც მოგვიტანა... მოკლედ, საქმეც ისევე საათივით ამეწყო, როგორც ოჯახი. მაგრამ ერთ დღეს...

— „იმას“ გადაეყარე, ხომ? — ლაპარაკში ისევ ჩაეჭრა ლანა. — ისე, რა უხსენებლად ვლაპარაკობ იმ ქალზე, სახელი არა აქვს? — დაინტერესდა ის შემდეგ.

— ნეტავ, სახელი რაღაში გაინტერესებს?! — სიტყვა ბანზე აუგდო ლევანმა.

— მაინტერესებს, — დაიჟინა ლანამ. — მითხარი, რა ჰქვია?

— რა ჰქვია და... ლანა, — როგორც იქნა, ამოღერღა ლევანმა.

— ხუმრობ? — იტკიცა ლანამ.

— როგორ ფიქრობ, სახუმაროდ მაქვს საქმე? — კითხვა შეუბრუნა ლევანმა. — თუმცა, ეს, რა თქმა უნდა, უბრალო დამთხვევაა და მეტი არაფერი...

— არ ვიცი, არ ვიცი... — თავისთვის ჩაილუღლუღა ლანამ და საუბრის მიმართულება სასწრაფოდ შეცვალა: — იმ დღეს აეროპორტში საიდან გაჩნდა? ხომ თქვი, უცხოეთში ცხოვრობდაო.

— ახლაც იქ ცხოვრობს. უბრალოდ, როგორც შეხვედრისას ამიხსნა — საქართველო მონატრებია და ქმარსაც მაშინვე დაუფინანსებია: წადი და გული გადააყოლეო... დავინახე თუ არა, ისეთი შეგრძნება დამეუფლა, თითქოს ჩემი დაკარგული ნახევარი სხეულის თუ სულის ნაწილი მეპოვოს... ჯიბიდან მაშინვე მობილური ამოვიღე და ცოლს ცხოვრებაში პირველი და უკანასკნელი ტყუილი ვუთხარი... თან, შევეხვეწე კიდეც: არ ინერვიულო, ხვალ აუცილებლად მანდ ვიქნებიმეთქი. აქეთ დამამშვიდა, მერე წამით გაჩუმდა და დასძინა — ძალიან სასიამოვნო სიურპრიზს გიმზადებო. რომ ვკითხე — რას-მეთქი? — თავი შორს დაიჭირა: — ტელეფონში თუ გითხარი, რაღა სიურპრიზი იქნებაო!.. მერე გავიგე: ფეხმძიმედ იყო, თურმე...

— რას მეუბნები!.. — თვალები აუცრემლიანდა ლანას.

— ჩემს ახლობლებს დღემდე ჰგონიათ, რომ ნანას ფეხმძიმობის ამბავი საერთოდ არ გამიგია. მათ ხომ ექიმები თავიდანვე გაუფრთხილებიათ, ლევანმა არაფერი იცის და არც არაფერი წამოგცდეთო...

— მაინც წამოსცდათ?

— არა, ექიმებს — არა... თავად ნანამ დამიტოვა წერილი, რომელიც მოგვიანებით, მისი ბალიშის ქვეშ აღმოვაჩინე. სწორედ იმ დღეს, შინიდან გასვლისას დაუწერია. ძალიან თბილი და ინტიმური წერილი იყო, ისეთი, თითქოს ყოველ სტრიქონში მეფერებოდა და თან, მეთხოვებოდა კიდეც... ეტყობა, სიკვდილის მოახლოებას ყველა თავისებურად გრძნობს... ერთი სიტყვით, საკუთარი სულმოკლეობითა და მართლა არაკაცობით ცოლი და შვილი ერთ დღეს დავკარგე... — თავი უმწეოდ ჩაქინდრა ლევანმა და დადუმდა...

კარგა ხანს ხმა აღარც ლანას ამოუღია, თუმცა, ბოლოს, დუმილი მაინც მან დაარღვია:

— საშინელი საიდუმლო გამანდე...

— ვიცი. — გააწყვეტინა ლევანმა.

— რაღა მაინცდამაინც მე ამომირჩიე?

— არ ვიცი, — ისევ მოკლედ მოუჭრა ლევანმა.

— ალბათ, ამ ამბის გადასახარშავად ბევრი დრო დამჭირდება...

— გაქვს კიდეც... — როგორც იქნა, თავი ასწია ლევანმა. — ხვალ გერმანიაში მივფრინავ და იქ თითქმის ორი თვე დავრჩები.

— გერმანიაში რაღა დაგრჩა?

— სტაჟირებაზე მივდივარ... — უხალისოდ დაიწყო ლევანმა, — სათავო ოფისმა ჩვენი ფილიალის სერიოზული გაფართოება გადაწყვიტა და გამოცდილების მისაღებად, გერმანიაში ჩემი ჩასვლა გახდა საჭირო.

— მერე რა ცხვირ-პირი ჩამოგტირის?! გამოცდილება — გამოცდილებად და უცხოეთში ცოტა გულსაც გადააყოლებ... თანაც, ხომ შეიძლება, სადმე შენს „გულის ვარდსაც“ გადაეყარო... ისე, მას შემდეგ საერთოდ აღარ გინახავს?

— ვნახე, — შუბლი ისე შეიჭმუხნა ლევანმა, თითქოს რაღაც ძალიან უსიამოვნოს იხსენებსო. — ნანას წლისთავიდან სულ რამდენიმე დღე იყო გასული, მოულოდნელად სამსახურში რომ გამომეცხადა: ქმარს გავცილდი და საქართველოში დავბრუნდიო. ხმა არ გამიცია. კარგა ხანს იჯდა და მერე ჩემი კაბინეტიდან უსიტყვოდ გავიდა. მოგვიანებით, საერთო ნაცნობისგან გავიგე, რომ კიდევ ერთ უცხოელს გადაჰყრია და მგონი, ავსტრალიაში თუ სადღაც უფრო შორს წაჰყოლია...

— გული გულობდეს, თორემ დიდი ვნებისთვის მანძილი რა ბედენაა?! — ბოლომდე წაიმწარა ენა ლანამ.

— არ გინდა, რა!.. — შეაჩერა ქალი ლევანმა და თან, ფეხზე ნელ-ნელა წამოდგა, — იქნებ, როგორმე მშვიდობიანად დავცილდეთ ერთმანეთს...

— მერედა, ვინ გითხრა რომ ომს გიცხადებ?! — მაშინვე წამოდგა ლანაც. — ღმერთმა სულ მშვიდობით გატაროს!

— ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ სადაც არ უნდა წავიდე, ბოლოს, მაინც შენთან დავბრუნდები... — ქალისკენ ნაბიჯი წადგა ლევანმა.

— არ მესმის, ჩემთან რატომ უნდა დაბრუნდე? — ინსტინქტურად უკან დაიხია ლანამ.

— ბოლომდე არც მე მესმის... ახლა კი უნდა წავიდე, — გასასვლელისკენ შებრუნდა ლევანი.

სანამ ის ქურთუკს იცვამდა, ლანამ შემოსასვლელი კარი ფართოდ გამოაღო.

— ასე ძალიან გეჩქარება ჩემი წასვლა? — ნაწყენი ხმით ჰკითხა მას კაცმა.

— მართალი გითხრა, ძალიან დავიღალე, — უპასუხა ლანამ. — დღეს ისედაც მძიმე დღე მქონდა...

— ვიცი, — სადარბაზოში გავიდა და ლიფტის ღილაკს თითი მიაჭირა ლევანმა. — ამირან ჩხიკვიშვილმა პირადად მიამბო ყველაფერი.

— ჩხიკვიშვილს საიდანღა იცნობ? — შეცბა ლანა.

— იქიდან, თვალით ისევ ჭერისკენ ანიშნა ღიმილმორეულმა ლევანმა. მაგრამ ლანა მის ეშმაკობაზე აღარ წამოეგო.

იმავე წამს, მოპირდაპირე ბინის კარიც ხმაურით გაიღო და ზღურბლზე ხანში შესული სანდომიანი ქალი გამოჩნდა. მას ხელში ტელევიზორის პულტი ეჭირა. პულტის დანახვაზე, ლანამ და ლევანმა ერთმანეთს გადახედეს და სიცილი ვერ შეიკავეს. თუმცა ლანა მალევე დასერიოზულდა და დაბნეული ქალი თავაზიანად მოიკითხა:

— საღამო მშვიდობისა, ციალა დეიდა! როგორ ბრძანდებით?

— მე არა მიშავს, შვილო, მაგრამ ამ ოხერმა კი ნამდვილად ნერვები დამაგლიჯა, — პულტზე ანიშნა ციალამ, თან, ლევანი ინტერესით შეათვალიერა. — ეტყობა, შემთხვევით, რაღაც ისეთს დავაჭირე ხელი, რომ ტელევიზორში ყველა პროგრამა გაქრა. სახლში ჩემ გარდა, არავინაა. არადა, ნახევარ საათში ჩემი საყვარელი სერიალი იწყება და აღარ ვიცი, რა ვქნა...

— თუ ნებას დამრთავთ, მე დაგეხმარებით, ქალბატონო! — ციალას საშველად თავი უმალვე გამოიდო ლევანმა.

— კი, შვილო, მობრძანდი... — განზე გადგა ციალა და ლევანი ბინაში შეუშვა. — შენ რაღას უდგახარ? — მიუბრუნდა ის შემდეგ ლანას. — კარი გამოკეტე და შემოდი.

ლევანმა ტელევიზორში საჭირო არხი მალევე მოძებნა და თან, მასპინძელს პულტის თითოეული ღილაკის დანიშნულების ახსნაც დაუწყო, მაგრამ ციალამ შეაჩერა:

— ნუ წუხდები, შვილო, მაინც ვერ დავიმახსოვრებ... მთავარია, ეს არხი მაპოვნინე, დანარჩენს კი მერე, ჩემი შვილები დაბრუნდებიან და ისინი მიხედავენ.

— როგორც მიბრძანებთ, ქალბატონო! — თავი მდაბლად დაუკრა ლევანმა და წასავლელად მოემზადა.

— აჰ, ასე ნამდვილად ვერ გაგიშვებთ! — დაფაცურდა ციალა. — ჯერ ოჯახი უნდა დამილოცოთ!

— ნუ წუხდებით, რა, ციალა დეიდა... — დაადევნა სამზარეულოში გაუჩინარებულ ქალს ლანამ და თან, ლევანს საყვედურნარევი მზერა ესროლა. მაგრამ, კაცმა ამაზე მხოლოდ ხელები გაშალა: ვითომ, მე რა შუაში ვარო?!

დიასახლისი ოთახში მალე შემობრუნდა და ლანგრით სასმელი და ტკბილეული შემოიტანა.

— აბა, მიირთვით, შვილებო!

ლევანმა ჭიქები კონიაკით შეავსო და ციალას და ლანას რიგრიგობით მიაწოდა. შემდეგ ჭიქა ასწია:

— ოჯახს დაგილოცავთ, ქალბატონო ციალა! სიტკბო და სიხარული არ მოგკლებოდეთ!

— იცოცხლე, შვილო! — თვალი ისევ ცნობისმოყვარედ შეავლო ლევანს ციალამ და შემდეგ ლანას მიუბრუნდა: — ეს თავაზიანი ყმაწვილი შენი ნათესავია თუ?..

— არა, ქალბატონო ციალა, — ლანას პირის გაღებაც კი არა აცალა ლევანმა, — უფრო ზუსტად ჯერ არა, მაგრამ ალბათ, ძალიან მალე, მე და ლანა უახლოესი ადამიანებიც კი გავხდებით.

— როგორ? — ჩაეძია ციალა.

— როგორ და...

— ლევან, ძალიან გთხოვ, ნუ ხუმრობ... — როგორც იქნა, სიტყვის ჩართვა მოახერხა ლანამ, მაგრამ ლევანმა მას ყური არც ამჯერად ათხოვა:

— საქმე ისაა, ქალბატონო ციალა, რომ ამ საღამოს, ლანას ოფიციალურად ვთხოვე ხელი.

— მართლა?! — სიხარულით სახე გაუნათდა ციალას. — შენ გაიხარე, შვილო!.. ღმერთმა ისე ლამაზად შეგაბეროთ ერთმანეთს, როგორი ლამაზები და ერთმანეთისთვის გაჩენილებიც ახლა ხართ!

— გმადლობთ, ქალბატონო ციალა, — თავი ისევ მდაბლად დაუკრა ქალს ლევანმა, — თქვენ პირველი ხართ, ვინც მე და ლანა ერთად დაგვლოცა. თუმცა, ისიც უნდა გითხრათ, რომ ლანას ჯერ თანხმობა არ უთქვამს... — და გვერდულად გახედა მას.

— რას შვრები, ლანა, დედიკო? — მიუბრუნდა ლანას ციალა. — არ მითხრა ახლა, უარის თქმას ვაპირებო!..

— ციალა დეიდა, თქვენ ხომ ჯერ ყველაფერი არ იცით... — შეეპასუხა ლანა მეზობელს.

— ყველაფერი მხოლოდ ღმერთმა იცის, შვილო! — გააწყვეტინა ციალამ და ლანას ხელში შერჩენილ ჭიქას საკუთარი მიუჭახუნა — მაგრამ ის კი ნამდვილად ვიცი, რომ დედაშენი სიხარულით ცას ეწევა.

— მეც ასე ვფიქრობ, ქალბატონო ციალა, — თვალები ეშმაკურად მოჭუტა ლევანმა, — მაგრამ თუ მაინც საჭირო გახდა, იქნებ, ქალბატონ თამართან სიტყვა თქვენც შემაწიოთ...

— დედაჩემს საიდანღა იცნობ? — ციალას პასუხის გაცემა აღარ აცალა, ლევანს ისე მიუბრუნდა ლანა.

— ჯერჯერობით, შორიდან, — უპასუხა ლევანმა. — ხომ არ დაგავიწყდა, რომ შენს მეზობლად ჩემი მეგობარი ცხოვრობს, უფრო სწორად — ცხოვრობდა...

— კარგი, კარგი, ყველაფერი გასაგებია, — საუბრის გაგრძელება აღარ ისურვა ლანამ. — მგონი, ახლა უკვე შენი წასვლის დროა.

— რა თქმა უნდა! — ჭიქა მაშინვე მაგიდაზე დადგა ლევანმა და მაპინძელს მიუბრუნდა:

— კარგად ბრძანდებოდეთ, ქალბატონო ციალა!

— გაიხარე, შვილო! — კიდევ ერთხელ გულით დალოცა ლევანი აშკარად კმაყოფილმა ციალამ და დაუმატა: — აბა, ერთი წუთით გვერდიგვერდ დადექით!

ლანა ციალას თხოვნაზე უხერხულად შეიშმუშნა, ლევანი კი მას მაშინვე გვერდით დაუდგა და წელზე ხელიც შემოხვია.

— ნამდვილად ერთმანეთისთვის ხართ გაჩენილი, — გული საბოლოოდ დაიმშვიდა ციალამ...

საკუთარ ბინაში შებრუნებული ლანა ადგილს ვეღარ პოულობდა. „მაინც, რა თავხედი ვინმეა! — ვინ იცის, მერამდენედ იმეორებდა ის გულში და სასადილო ოთახში ბოლთას გამეტებით სცემდა. — უცბად არ მოაკვარახჭინა ყველაფერი?!. ვერ მოგართვეს, ვაუბატონო!“ — სავარძელში მოწყვეტით ჩაეშვა და ტელევიზორის პულტს დასწვდა, მაგრამ შემთხვევით, მაგიდის კიდეზე მდგარ დედის ნაჩუქარ კოლოფს გაჰკრა ხელი და ძირს გადმოაგდო. დავარდნისას კოლოფი გაიხსნა და იქიდან რაღაც ქაღალდები გადმოცვივდა. ლანა კოლოფის ასაღებად დაიხარა და ხალიჩაზე მიმობნეული დოლარები შენიშნა. „ეს რაღა ეშმაკია?!“ — დოლარების ნაწილი უცბად წამოკრიბა ლანამ და ფულთან ერთად, ხელში უბის წიგნაკიდან ამოხეული, ოთხად მოკეცილი ფურცელი შერჩა. ლანამ ფურცელი კი არა გაშალა, ლამის გაგლიჯა და გაკრული ხელით დაწერილი სტრიქონები რამდენჯერმე გადაიკითხა. წერილს ხელს ლევანი აწერდა. „ვიცი, სამსახურიდან ისე გამოგიშვეს, რომ კუთვნილი ხელფასიც კი არ გადაგიხადეს. ამიტომ გადავწყვიტე, პატარა თანხით შემოგეშველო. რა თქმა უნდა, თავიდან შენებურად გაწიწმატდები, მაგრამ ცოტათი რომ დამშვიდდები, მიხვდები, რომ ჩემი მხრიდან არც ისეთი თავხედური საქციელია...“

ლანა თავიდან მართლაც გაწიწმატდა და წერილი იატაკზე მოისროლა. მაგრამ როცა დაწყნარდა, წერილიც და ფულიც ისევ კოლოფში ჩააბრუნა და ცოტა ხანში, დასაძინებლად დაწვა...

მეორე დილით ლანას ჩვეულებისამებრ ადრიანად გაეღვიძა. თავიდან გვერდი იცვალა და კვლავ ძილის გაგრძელება სცადა. მაგრამ მერე, რაღაც გაახსენდა, ლოგინიდან წამოდგა, ტელეფონების წიგნში აეროპორტის ცნობათა ბიუროს ნომერი მოძებნა, დარეკა და თბილისი-ფრანკფურტის რეისის დრო დააზუსტა. „საკმაო დრო მაქვს“, — დაასკვნა შემდეგ თავისთვის და სააბაზანოში შევიდა. იქიდან გამოსულმა, ის იყო, ახალდაბანილი თმის გასაშრობად ფენი ჩართო, რომ დენიც გაითიშა. „ჯანდაბა!“ — ხმამაღლა წამოიძახა საქციელწამხდარმა ლანამ და თმის გაშრობა პირსახოცით სცადა...

აეროპორტში რომ მივიდა, თბილისი-ფრანკფურტის რეისზე რეგისტრაცია უკვე კარგა ხნის დასრულებული იყო და მეორე სართულის გასასვლელისკენ ამავალ კიბეზე მხოლოდ რამდენიმე დაგვიანებული მგზავრიღა არბოდა. მათ შორის იყო ლევანიც, რომელიც ლანამ მაშინვე იცნო და დაძახება დააპირა, მაგრამ ბოლო წამს გადაიფიქრა. „თუ იგრძნობს, რომ აქ ვარ, თვითონ მოიხედავს, თუ არა და, ჯანდაბამდე გზა ჰქონია!..“ — გაიფიქრა მან და „ნაცნობ“ ზურგს თვალი გულმოდგინედ მიაბჯინა. უეცრად, ლევანი ტყვიანაკრავივით შედგა, უკან ნელ-ნელა მოიხედა და სიხარულით სახე კი არ გაუნათდა, გაუცისკროვნდა... მერე ყველაფერი ელვის უსწრაფესად მოხდა და ლანა მხოლოდ ლევანის მკლავებში მოეგო გონს.

— ვიცოდი, რომ მოხვიდოდი... — ყურში ვნებიანად ეჩურჩულებოდა ლევანი ქალს და თვალებს, ტუჩებს, ყელს გაშმაგებით უკოცნიდა.

— ლევან, მე... მე აქ ფულის დასაბრუნებლად მოვედი... — როგორც იქნა, სული მოითქვა ლანამ.

— რა დროს ფულია?!. — თუ არ დაგჭირდება, საერთოდ გადაყარე! — კიდევ ერთხელ ჩაიკრა ქალი გულში ლევანმა და კიბეზე კისრისტეხით ავარდა...

ის იყო, აეროპორტიდან დაბრუნებულმა ლანამ სახლში ფეხი შედგა, რომ მისი მობილური აწკრიალდა. ლანამ კარი ხმაურით მიხურა, ხელჩანთიდან მობილური ამოიღო და მასზე დაფიქსირებულ ნომერს უკმაყოფილოდ დახედა. ტელეფონმა კიდევ რამდენჯერმე დარეკა.

— გისმენ! — უხალისოდ ჩასძახა ყურმილში ლანამ.

— მადლობა ღმერთს! — გაისმა ყურმილში აქოშინებული გიზოს ხმა.

— ჯერ სული მოგეთქვა და მერე დაგერეკა, — წაჰკბინა მას ლანამ. — საიდან მორბიხარ?

— თავად სად დაეხეტები, გოგო? — კითხვა შემოუბრუნა გიზომ.

— მოხეტიალე გოგოები შენს დაქალებში მოიკითხე! — შეუღრინა ლანამ.

— კარგი, ჰო, ეგრევე ნუ აპილპილდი! — სასწრაფოდ უკან დაიხია გიზომ. — სადაც გინდა იქ იარე, ოღონდ მობილური მაინც დატოვე ჩართული, რომ ხანდახან გიპოვო.

— ხომ მიპოვე, მითხარი, რა გინდა?

— მე მინდა, ხომ?.. — ხმას ისევ აუწია გიზომ. — მე ვარ უმუშევარი თუ შენ?

— მე, — მშვიდად უპასუხა ლანამ. — მერე?

— მერე ის, რომ შენი ახალი სამსახურის ამბავზე გირეკავ.

— არ მესმის, რატომ წუხდები... ხომ გითხარი — როცა ყველაფერს მოვიფიქრებ, მე თვითონ დაგირეკავ-მეთქი!

— კი მითხარი, მაგრამ იქნებ, მანამდე, ფირმაში ერთხელ მაინც შემოგევლო, შეფს დალაპარაკებოდი?

— შეფი ხომ შენ ხარ და ჯერ რაზე გელაპარაკო? — გაუკვირდა ლანას.

— მთავარი შეფი ჯერჯერობით, მაინც ჩემი ძმაკაცი იქნება, — უხალისოდ აღიარა გიზომ. — ოღონდ, მხოლოდ დროებით, სანამ ჩემს წილს ოფიციალურად დამიმტკიცებენ...

— ეგ როდისღა იქნება?.. როცა ვირი ხეზე გავა? — სიცილი აუტყდა ლანას.

— რა გაცინებს, გოგო? — იწყინა გიზომ. — ყველაფერზე ხუმრობა და მაიმუნობა გაგონილა?

— თუ მაიმუნობა არ გინდა, მაშინ გასაგებად ამიხსენი, შენს ძმაკაცს რაღა უნდა ჩემგან?

— რა და... შენზე მითხრა, თუ მუშაობის დაწყება მართლა უნდა, ხვალ დილიდანვე ფირმაში დაერჭოს, თუ არა და, სხვა სამსახური ეძებოსო... — როგორც იქნა, ამოღერღა გიზომ.

— მერე მაგაზე ნერვიულობ? — არხეინად ჰკითხა ლანამ. — ხვალვე ფირმაში დავერჭობი, ოღონდ, მხოლოდ დღის პირველ საათზე.

— ჯანდაბას, პირველზე იყოს! — დაყაბულდა გიზო. — გივის ვეტყვი, რომ პირველამდე მეც არ მცალია...

— გივი ჩემი მომავალი შეფია? — დაინტერესდა ლანა.

— ჰო, რა იყო?.. არ მითხრა ახლა, სახელი არ მომწონსო...

— რას ამბობ? — კინაღამ ისევ სიცილი წასკდა ლანას. — მაგ სახელზე ბავშვობიდან ვგიჟდები!.. ხომ გახსოვს, „ცისფერ მთებში“ რომაა: „გივი, გაალე, ჩვენ ვართ!“ ჰოდა, მეც ყოველდღე მივადგები ბატონი გივის კარს და...

— აუ, ჩემი! ეს რა შარში ვხვევ თავს!.. — აწუწუნდა გიზო და შემდეგ დაუმატა: — იცოდე, პირველს არ გადააცილო, თორემ, თუ მართლა გავბრაზდი...

— გაბრაზდები და ცივი წყალი დალიე! — დამშვიდობების ნაცვლად დაუმატა ლანამ და ტელეფონი გათიშა...

ახალ სამსახურში მართლაც, ზუსტად პირველ საათზე გამოცხადდა. გახარებულმა გიზომ ლანას მაშინვე ხელი ჩაავლო და ფირმის დირექტორის მისაღებში შეარბენინა.

— გივი ხომ ადგილზეა? — ჰკითხა მან კომპიუტერში „შემძვრალ“, საოცრად ლამაზ ახალგაზრდა ქალს.

— გახლავს — არც კი გამოუხედავს, ისე უპასუხა ქალმა.

— ჰოდა, ძალიანაც კარგი! — მაშინვე კაბინეტის კარს ეცა გიზო და მთელი ძალით მიაწვა.

კარის გაღების ხმაზე კაბინეტის სიღრმეში, უზარმაზარ საწერ მაგიდასთან მჯდარმა ჯმუხმა მამაკაცმა თავი ასწია:

— ა, გიზო, შენა ხარ? შემოდი, შემოდი!..

გიზომ ოთახში ჯერ ლანა შეუშვა და მერე თავადაც მიჰყვა.

— აი, ესეც ჩვენი ახალი თანამშრომელი, — წარუდგინა მან შეფს ლანა.

გივი მაშინვე ფეხზე წამოდგა, ლანას ხელი გაუწოდა და თან, მეგობარს მრავალმნიშვნელოვნად გადაულაპარაკა:

— მშვენიერია, ჩემო გიზო, ნამდვილად მშვენიერია... მაშ ასე, ჩემო კარგო, — ხელკავი გამოსდო მან შემდეგ ლანას და კაბინეტის კუთხეში მდგარ ერთ-ერთ სავარძლამდე მიაცილა. თავად კი მობილურით დარეკა და ვიღაცას ორი ფინჯანი ყავის მოდულება დაავალა.

— ორი რატომ? — გაუკვირდა გიზოს. — შენ არ დალევ?

— მე კი არა, შენ არ დალევ, ჩემო გიზო, შენ... — მხარზე ხელი მოხვია და კართან თითქმის ძალით მიიყვანა მეგობარი გივიმ. — წადი, საქმეს მიხედე! მე და ქალბატონი ლანა კი ერთმანეთს უფრო ახლოს გავიცნობთ და ყველაფრის საქმის კურსშიც მე თვითონ შევიყვან...

— რას გეტყვი, იცი?.. — მიუბრუნდა გივის გიზო და თან, ხმას დაუწია. — ამ გოგოს არაფერი აწყენინო, თორემ...

— თორემ — რა?.. ყურებზე ხახვი ალყა-ალყა არ დამაჭრა!..

— ხახვს არა — პირდაპირ ყურებს დაგაჭრი!.. — ოთახიდან სწრაფად გავიდა საქციელწამხდარი გიზო.

— მაშ ასე, ჩემო კარგო, — ხელების ფშვნეტით მიუახლოვდა გივი ლანას და მის პირდაპირ, სავარძელში მძიმედ ჩაეშვა.

„რა სასაცილო ვინმეა...“ — გაიფიქრა ლანამ და შემდეგ ირგვლივ გულგრილად მიმოიხედა.

— მოგწონს ჩემი კაბინეტი? — ფეხი ფეხზე ხვნეშით გადაიდო გივიმ.

— პრინციპში კი, — უპასუხა ლანამ, — თუმცა, პირადად მე, ზოგ რამეს მაინც შევცვლიდი.

— მართლა? — წერტილებივით წვრილი, ღრმად ჩამჯდარი თვალები მოჭუტა გივიმ. — რას?

— რას და... — ირგვლივ ახლა უფრო გულმოდგინედ მიმოიხედა ლანამ, მაგრამ უეცრად, კაბინეტის კარი გაიღო და ოთახში სწორედ იმ ახალგაზრდა ქალმა შემოიხედა, რომელიც მისაღებში კომპიუტერს „ებრძოდა“.

— შენ რაღამ შეგაწუხა, თინიკო? — უკმაყოფილოდ ჰკითხა ქალს გივიმ.

— მე — არაფერმა, — არხეინად უპასუხა თინიკომ, — უბრალოდ, გოგოებმა დარეკეს, ბატონი გივის სტუმარს ყავაში რამდენი კოვზი შაქარი ჩავუყაროთო...

— ეს სტუმარი კი არა, ჩვენი ახალი თანამშრომელია, — საქმის კურსში ჩააყენა ქალი გივიმ.

— მართლა? — ალმაცერად გადახედა თინიკომ ლანას. — თუ საიდუმლო არ არის, რა უნდა აკეთოს?

— საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი იქნება.

— მენეჯერობა იქნებ, მოახერხოს კიდეც, მაგრამ საზოგადოება საიდან მოვუყვანოთ?!. — აგდებულად იკითხა თინიკომ.

— თავიდან თქვენს საზოგადოებაშიც არ მოვიწყენ, — ფეხზე წამოდგა და ქალს ხელი მეგობრულად გაუწოდა ლანამ: — მე ლანა მქვია.

— მე — თინიკო, — თვალებში სითბო ჩაუდგა ქალსაც.

— უკვე ვიცი, — გაეღიმა ლანას.

— მაშინ დროა, ყავას მივხედო! — კარისკენ შებრუნდა თინიკო.

— მეც მოგეხმარები, — მაშინვე უკან მიჰყვა ლანაც...

ცოტა ხანში თინიკო და ლანა უკვე ლანას კაბინეტში ისხდნენ და გულახდილად საუბრობდნენ. თინიკო ლანას ფირმის დანარჩენ თანამშრომლებს დაუსწრებლად აცნობდა და ზოგიერთ მათგანს ძვლებსაც გულმოდგინედ უთვლიდა. დღის ბოლოსთვის, ლანამ უკვე თითქმის ყველა თანამშრომელზე შეაგროვა ინფორმაცია. ყველაზე დიდი „დოსიე“, ცხადია, გივი გიგაურს „გამოუვიდა“. თინიკომ ლანას, ვითომდა სასხვათაშორისოდ, იმაზეც მიანიშნა — ჩვენი შეფი დიდი მექალთანეაო...

— არ მითხრა ახლა, მეც მეპრანჭებაო? — გაეღიმა ლანას.

— და მერე როგორ!

— კი, მაგრამ ეგ უბედური ხომ შენი ფეხის სიგრძეც ძლივს არის.

— მეც ეგრე ვუთხარი, მაგრამ იცი, მაგ დამპალმა რა მიპასუხა?..

— რა?

— ლოგინში ყველა თანაბარიაო...

— ფუ, რა საზიზღრობაა! — ტუჩები დაპრანჭა ლანამ.

— ისე, არც შენი კავალერია ბევრად უკეთესი...

— ვინ არის ჩემი კავალერი? — გაუკვირდა ლანას.

— ვინ და გიზო... ფირმაში ჭორაობენ, გიზოს სამსახურში თავისი საყვარელი მოჰყავსო...

— მერე და შენ ამის გჯერა?

— სანამ გნახავდი, მჯეროდა, მაგრამ ახლა...

— კარგია, რომ ახლა მაინც არ გჯერა, — ხმაში უკმაყოფილება დაეტყო ლანას. — თანაც, შენ ჯერ შეიძლება, არ იცი, რომ გიზო სამაგალითო მეოჯახის რეპუტაციას ძალიან უფრთხილდება. ჩვენთან, საავადმყოფოში, უბრალოდ გაარშიყებაც კი არასდროს არავისთან უცდია.

— ეგ საავადმყოფოში იყო... წლობით მუშაობდით ერთად... აქ კი — რა?.. რიგი მიდის, რიგი მოდის... ორი თვეც არ გასულა, რაც ეს ფირმა შეიქმნა და მარტო შენს ადგილზე უკვე სამი ადამიანი შეიცვალა. თანაც, დღემდე ვერავინ გაიგო, საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერმა კონკრეტულად რა უნდა აკეთოს.

— იმედია, ჩემს ხელში მაინც გაიგებენ... — თავისთვის ჩაილაპარაკა ლანამ.

— არა მგონია, — მაშინვე ცივი წყალი გადაასხა თინიკომ. — თუმცა, ამაზე ერთიორი კვირის შემდეგ ვილაპარაკოთ.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

რას მალავს ბრიუს უილისი

ანუ კომპრომატები პოლიციელის ვარსკვლავთა შესახებ

სხვათა საიდუმლოებებში ცხვირის ჩაყოფა ყველას იტაცებს, მით უმეტეს, თუ საიდუმლო ცნობილ პიროვნებას შეეხება. მუდამ საინტერესოა იმის შეტყობა, თუ რა იმალება ვარსკვლავთა ელვარე გარეგნობისა და მრავალგზის „ჩასწორებული“ ბიოგრაფიის მიღმა...

ამ ცოტა ხნის წინ, დემი მური შანტაჟის მსხვერპლი შეიქნა. მსახიობს ანონიმმა გამომძალველმა დაურეკა და აუწყა, რომ ხელთ აქვს დემის რამდენიმე ფრიად პიკანტური ფოტოსურათი, რომელიც მან კარიერის დასაწყისში ერთ-ერთ კერძო წვეულებაზე გადაიღო. შანტაჟისტი ფოტოების ორიგინალების საფასურად საკმაოდ სოლიდურ თანხას ითხოვდა, უარის შემთხვევაში კი, სურათების გამოქვეყნებით იმუქრებოდა. შეშფოთებულმა დემი მურმა დახმარებისათვის კერძო დეტექტივებს მიმართა. დეტექტივებმა გამოძიება ჩაატარეს და დაადგინეს, რომ ბოროტმოქმედი ცრუობდა. საბედნიეროდ, მას არავითარი ფოტოები არ გააჩნდა. ინციდენტი თითქოსდა ჩაიფარცხა, მაგრამ პუბლიკას უსიამოვნო შეგრძნება მაინც დარჩა. თუ მსახიობის სინდისი სუფთაა, მაშ, რამ ააღელვა?.. „თუ ეს ფოტოები მაინც არსებობს, ცალი თვალით მათ ხილვაში ბევრს მივცემდი“, — განუცხადა რეპორტიორებს ერთ-ერთმა დეტექტივმა, რომელიც ამ სკანდალის გამოძიებაში მონაწილეობდა.

ახალგაზრდობის დროინდელი შეცდომები და წინაპართა ცოდვები

ვარსკვლავებს ტანში სცრით, როდესაც აბეზარი ჟურნალისტები მათი წარსულის ქექვას იწყებენ. ეს გასაგებიცაა: მათ წარსულში ხომ იმგვარი ნაგვის ამოქექვაა შესაძლებელი, რომელიც მათ ნათელ მომავალს კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებს. დიდი ხანი არ გასულა მას შემდეგ, რაც ეს საფრთხე ტერმინატორმა-გუბერნატორმა, არნოლდ შვარცენეგერმა საკუთარ ტყავზე გამოსცადა. სკანდალი არნის წარსულის გამო როდი აგორდა. მიზეზად მსახიობის მამის ახალგაზრდობის დროინდელი ცოდვები იქცა. როდესაც შვარცენეგერმა საკუთარი კანდიდატურა კალიფორნიის გუბერნატორის პოსტზე პირველად წამოაყენა, კონკურენტებმა მისი ბიოგრაფიის ჩხრეკა დაიწყეს. დიდი მცდელობის მიუხედავად, თავად შვარცის ახალგაზრდობის დროინდელ ბიოგრაფიაში, მარიხუანის მოწევის გარდა, კომპრომატები ვერ აღმოაჩინეს, მისი ავსტრიელი წინაპარი კი ნამდვილი „განძი“ აღმოჩნდა! არნის მამა თავგადაკლულ ფაშისტად, თითქმის ჰიმლერის პირად მეგობრად შერაცხეს და დაიწყო, მაგრამ რა დაიწყო... არნოლდი თავის დაცვას ამაოდ ცდილობდა, აცხადებდა, რომ შვილები მამების ცოდვებზე პასუხისმგებელნი არ არიან. „ფაშისტის ნაბიჭვარო, ხელები შორს ამერიკული დემოკრატიისაგან!“ — ერთხმად ქადაგებდნენ კონკურენტები. რკინის არნი იძულებული შეიქნა, მშობლიურ ავსტრიაში გამგზავრებულიყო და იქიდან იმის დამადასტურებელი ცნობა ჩამოეტანა, რომ მართალია, მისი მამა, ახალგაზრდული გულუბრყვილობის გამო, ნაციონალ-სოციალიზმს თანაუგრძნობდა, მაგრამ გენერლებთან არ მეგობრობდა, დანაშაულს არ სჩადიოდა. ის, უბრალო პატიოსანი პოლიციელი იყო და მხოლოდ ქურდებს იჭერდა. სკანდალი ჩაიშალა, მაგრამ ჭორიკნები დღესაც ჩურჩულებენ იმის შესახებ, რომ უმცროსი შვარცენეგერი მამის აზრებს საიდუმლოდ იზიარებს. ჭორი — ჭორად, მაგრამ მათი დამადასტურებელი ფაქტები არსად ჩანს. თავად არნი კი აღარასოდეს გამოტყდება — ის ხომ მეორე ვადით კენჭისყრას აპირებს.

ახალგაზრდობაში დემი მური ფრიად პიკანტურ პოზებში პოზირებდა. ახლა მზადაა ყველაფერი გაიღოს იმისათვის, რომ ძველი ფოტოები პრესაში არ გამოქვეყნდეს (1981)

ამას წინათ, სილვესტერ სტალონეს ბიოგრაფიაშიც ზოგიერთი საეჭვო ფაქტი ამოტივტივდა. მართალია, სხვა სკანდალებთან შედარებით, არცთუ ისე სერიოზული, მაგრამ მაინც!.. დიდი ამბავი, თუკი ახალგაზრდობაში პორნოფილმებში მონაწილეობდა! მაგალითად, პორნოსურათში ჟღერადი სათაურით — „იტალიური ულაყი“. დღევანდელი გადასახედიდან, ეს კომპრომატად არც კი ითვლება. ჰოლივუდის მორალმა ხომ დიდი ცვლილება განიცადა, უწინდელი პირმოთნეობის კვალიც კი გაქრა და ეკრანზე შთამბეჭდავი მამაკაცური პოტენციის დემონსტრირება სამარცხვინოდ აღარ ითვლება.

ბრიუს უილისს ვნებათაღელვა ნუთუ მხოლოდ ეკრანზე ხელეწიფება (ჯეინ მარჩი და ბრიუს უილისი ფილმში „ღამის ფერი“ 1994)?

სილვესტერ სტალონე: მერე რა, რომ პორნოგრაფიულ ფილმებში ეთამაშობდი? კადრი „მაღალმაგვრელი შელვერიდან“ — „იტალიური ულაყი“ (1970)



კალიფორნიის გუბერანტორის პოსტზე არჩევნების წინ კონკურენტებმა არნის წარსულში ქექვა დაიწყეს, მაგრამ მხოლოდ მსახიობის მამის ჰიტლერის დროინდელი პასპორტი ამოქექეს...

აი, ბრედ პიტს კი, საკუთარი სამსახიობო დებიუტის გახსენების ძალზე რცხვენია. მან სამსახიობო ხელოვნების ანბანის შესწავლა ლაკონიური და გამომხატველი ფრაზით დაიწყო: „ყიყლიყოოო!“ ახალგაზრდა ბრედ პიტის ომახიანი შეძახილი იაფფასიანი სასადილოს კართან დღე და ღამე ისმოდა. რამდენიმე თვეში ბრედმა ეს როლი სრულყოფილებამდე აიყვანა და კინაღამ ჭკუიდან შეიშალა. მას შემდეგ, ბრედი წიწილის ხორცს აღარ მიირთმევს და საოცრად ღიზიანდება, როდესაც ახლობლები ხუმრობით მამლის „განსახიერებას“ სთხოვენ. საკუთარი ბიოგრაფიის ამ ეპიზოდს მსახიობი გულმოდგინედ მალავს და წარმოიდგინეთ, როგორი დარტყმა განიცადა, როდესაც სასადილოს მფლობელმა ეკრანის ვარსკვლავში ყოფილი ხელქვეითი შეიცნო და სასადილოს კედელზე ბრედ პიტის ფოტო ჩამოკიდა წარწერით: „ჩვენი საუკეთესო კადრები“. ბრედს სანუგეშო მხოლოდ ის ჰქონდა, რომ ფოტოზე მისი ცნობა შეუძლებელია, მომავალი ვარსკვლავის სახეს მამლის უზარმაზარი ბიბილო ფარავს.

ბრედ პიტის კოლეგას, დასტინ ჰოფმანს შემთხვევით წამოსცდა, რომ უმანკოების დაკარგვის პირველი მცდელობა მისთვის წარუმატებელი აღმოჩნდა. ეს შობის საღამოს მოხდა. დასტინის უფროსმა ძმამ წვეულებაზე მეგობრები მიიპატიჟა. 15 წლის მომავალი ვარსკვლავი ერთ-ერთ გოგონასთან ერთად განმარტოვდა და ის-ის იყო, საქმეზე უნდა გადასულიყო, რომ გოგონა „მაცდუნებლის“ მამაკაცური ღირსების დანახვაზე გულიანად ახარხარდა... აცრემლებული დასტინი სახლიდან გაიქცა და საკუთარ მარცხს დიდხანს მტკივნეულად განიცდიდა.

გამელოგებული ვუპი გოლდბერგი: ენებავთ, ჩემს პარიკმახერთან გაგგზავნით?

თითოეულ ვარსკვლავს აქვს ახალგაზრდობის დროინდელი საიდუმლო, რომელსაც გულმოდგინედ მალავს და უნდა ითქვას, რომ ასაკის მატებას მათთვის შვება არ მოუტანია.

სიბერის ნიშნები

„ესეც ასე! ავახვიოთ!“ — განუცხადა საკუთარ თავს ვუპი გოლდბერგმა, როდესაც აღმოაჩინა, რომ თმის ცვენა დაეწყო. ამის მიზეზი კი თმის დახვევა გახდა. ახლა ვუპის ბღუჯა-ბღუჯა სცვივა თმა, მიუხედავად იმისა, რომ ძალზე ძვირად ღირებულ შამპუნებს ხმარობს და საუკეთესო კოსმეტოლოგთა მომსახურებით სარგებლობს. მსახიობი ამ მტკივნეული პრობლემის შესახებ ლაპარაკს თავს არიდებს, რადგან სიბერის გამო „სასაქონლო იერის“ დაკარგვა სამარცხვინო ფაქტად ითვლება. ეს განსაკუთრებით მსახიობ ქალებს ეხებათ!

სიუზენ სარანდონს ფიგურამ და ზედმეტმა წონამ თამაშში ხელი შეუშალა (ჯეიმს სპეიდერთან ერთად ფილმში „თეთრი სასახლე“ 1990)

ჰორეულის დასაფარავად მინი დრაივერი ტონობით ტონალურ კრემს ხარჯავს...

რამდენიმე წლის წინ, სიუზენ სარანდონს გვიანი ორსულობის გამო, წონის „10-კილოგრამიანი“ საიდუმლო გაუჩნდა. სწორედ იმ პერიოდში, მსახიობს ჯეიმს სპეიდერთან ერთად, ფილმში ეროტიკული სცენა უნდა ეთამაშა, გადამღები ჯგუფისა და პერსპექტივაში მილიონობით მაყურებლის წინაშე, სხეულზე ნაკეცების გამოჩენა კი არ სურდა! სიუზენი „უკანასკნელ ამოსუნთქვამდე“ იბრძოდა. რეჟისორმა გადასაღებ მოედანზე უფრო სწორად, რომ ვთქვა — საწოლში ძალისძალად შეაგდო. მსახიობისთვის ეს საწოლი ეშაფოტად იქცა, კიდევ დიდხანს წრიალებდა და ცდილობდა, ისეთი პოზა მიეღო, რომ შედარებით მოხდენილი გამოჩენილიყო. მსახიობის შთაგონებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო. ერთი სამარცხვინო საათის განმავლობაში (რეჟისორს რამდენიმე დუბლის გადაღება დასჭირდა) სიუზენი ვნების გადმოცემას ამაოდ ცდილობდა, ყალბად ხვნეშოდა, სცენარით გაუთვალისწინებელ ხმებს გამოსცემდა: — „ეი, თქვენ კამერის უკან, ნუ მარცხვენთ, მოაშორეთ ეგ ოხერი აპარატი და თავი გამანებეთ!!!“ კამერის ცივ „მზერას“ მსახიობის სხეულის ნაკლი არ გამოჰპარვია. „კომპრომატი“ ვერც მონტაჟმა „გამოტოვა“, რაშიც თავადვე დარწმუნდებით, თუ ფილმს — „თეთრი სასახლე“ — ყურადღებით უყურებთ.

ბრიუს უილისი კიდევ უფრო უიღბლო აღმოჩნდა სურათში — „ღამის ფერი“ — აუზში ულამაზეს ჯეინ მარჩთან ერთად სასიყვარულო

ექსტრავაგანტური ბოძალმი მიდრეკილება შერონ სტოუნს ძალზე პროზაული მიზეზით ასასიათებს...



რიჩარდ გირი ხალს მხოლოდ უსაყვარლესი მეულლის კერი ლოუელის წინაშე არ მალავს

თამაშების გადაღების დროს, მავანის უგულისყურობის გამო, კადრში მსახიობის სხეულის — ზოგიერთი ორგანო გამოჩნდა, მაგრამ ეს კიდევ არაფერი... მთელი უბედურება ის იყო, რომ სხეულის ამ ნაწილის საკმაოდ მოკრძალებულმა ზომებმა „კერკეტი კაკლის“ რეპუტაცია ძალზე შელახა, მით უმეტეს, თუ იმ ვნებათაღელვას გავითვალისწინებთ, რომელის გადმოცემასაც ბრიუსი მონდომებით ცდილობდა.

სიბერეს ხეირი არ მოაქვს — ამ აზრს რობერტ დე ნიროც იზიარებს. რამდენიმე წლის წინ, პრესაში გაჩნდა ცნობა იმის შესახებ, რომ სიბერისაკენ მიმავალ ამ ლოველასს პროსტატის ავთვისებიანი სიმსივნე აღმოაჩნდა. მსახიობს ქირურგიული ოპერაციის გაკეთებამ მოუწია, უნდოდა, ეს ფაქტი საზოგადოებისათვის დაემალა, მაგრამ ამაოდ — ყვითელ პრესას ხომ ვერაფერს გამოაპარებ!

საიდუმლოს დაფარვა ვერც რიჩარდ გირმა მოახერხა. მერე რა რომ მისი საიდუმლო — ხალი ზურგზე — სრულიად უწყინარი გახლავთ. ამ ხალის გამო რიჩარდი ეროტიკულ სცენებში ვერ თამაშობდა. მსახიობმა წყეული ხალის ქირურგიული გზით მოშორება მრავალჯერ სცადა, მაგრამ ექიმებისგან კატეგორიული უარი მიიღო. ბოლოს და ბოლოს, გირმა ხელი ჩაიქნია და ეროტიკულ სცენებში თამაშს იმ პირობით დათანხმდა, რომ კადრში მისი ხალი არ გამოჩენილიყო. ეს კი მხოლოდ ოპერატორებისთვის თავში სახლელი პრობლემაა. საცოდავ ოპერატორებს დიდი ძალისხმევა უწევთ, რომ ჰოლივუდის ვარსკვლავთა მრავალი, თვალში საცემი ნაკლი დაფარონ, ისეთები, როგორიცაა: „ჰარისონ ფორდის დაგრეხილი ფეხები, ბენ აფლეკის ბანჯგვლიანი მუცელი, უშნო ნაიარევი შერონ სტოუნისა და კეტრინ ზეტა-ჯონსის ყელზე, ჯულიან მურისა და მინი დრაივერის ჭორფლი და სხვა.

დასტინ ჰოფმანმა თავის ახალგაზრდობის დროინდელი პრობლემების შესახებ ფილმით „ეურსდამთაერებული“ მოგვითხრო (1967)

ტრაქეატომიის შედეგად დარჩენილ ნაიარევს კეტრინ ზეტა-ჯონსი შარფით მალავს, მაგრამ პაპარაცებმა მისი ფოტოზე აღბეჭდვა მაინც მოახერხეს



მამაცი აქილევსის აბჯრის ასსმამდე ბრედ პიტი ბუმბულის კოსტიუმში თამაშობდა

მცირეოდენი სისუტე და დიდი პრობლემები

ვარსკვლავები მხოლოდ სხეულის ამა თუ იმ ნაკლს როდი გვიმალავენ. იარებისა და ხელების გარდა, მათ სხვა დაავადებებიც აწუხებთ, რომელთა შესახებ მხოლოდ ჰოლივუდელმა ფსიქოანალიტიკოსებმა იციან, მაგრამ ზოგი რამ ჩვენთვისაც ცნობილია. მაგალითად, ის, რომ ჯულია რობერტსსა და კემერონ დიასს ინფექციების პანიკური შიში აქვთ და ყოველი ხელის ჩამორთმევის შემდეგ, ხელებს ანტისეპტიკური პრეპარატებით გაშმაგებით იწმენდენ;

არც ერთ მსახიობს არ სურს მოგეხილ და დაბეჩავებულ ადამიანად გამოიყურებოდეს (რობერტ დე ნირო)

რომ სტივენ სიგალს საწამლავის ეშინია, ჟან-კლოდ ვან დამს კი — მტვრის პანიკური შიში ტანჯავს (მის ამალაში არის ადამიანი, რომლის საქმე კოსტიუმების დაბერტყვა და მტვრის ნაწილაკებისაგან მისი გასუფთავებაა); კეტრინ ზეტა-ჯონსს ვირთხების ეშინია, ბილი ბობ ტორნტონს — გველების. ეს უკანასკნელი კიდევ ერთი უცნაური თვისებით გამოირჩევა: მას ანტიკვარული ავეჯის სიახლოვეს ჭამა და სუნთქვა არ შეუძლია. ვუდი ალენს იპოქონდრია ტანჯავს; დიდი რეჟისორი ტემპერატურას დღის განმავლობაში რამდენჯერმე იზომავს; უაინონა რაიდერი კლეპტომანიის (წვრილმანი ქურდობისადმი დაუოკებელი ლტოლვა) გარდა, აკვაფობიითაც (წყლის შიში) არის დაავადებული; ედი მერფის პრობლემა — ავიაფობიაა (ფრენის შიში), მიშელ პფაიფერის — დახურული სივრცის შიში; რობერტ დე ნირო დანტისტის კაბინეტის კართან ძრწის (ეს ფსიქიკური გადახრა ჩვენთვისაც კარგად ნაცნობია); ჯეკ ნიკოლსონს კი მარტოობის იმდენად ეშინია, რომ სახლში მეძავებს მხოლოდ სასაუბროდ ეპატიჟება. ეკრანის ბრწყინვალე ვარსკვლავებს მრავალი ფობია აწუხებთ, მაგრამ ყველაზე მეტად ის აზრი ტანჯავთ, რომ ერთხელაც, პუბლიკა მათ ჭეშმარიტ სახეს დაინახავს, სულის საიდუმლო ხვეულებს ჩასწვდება და მათში ოლიმპის მკვიდრთა ნაცვლად, კომიკურ, უსუსურ არსებებს შეიცნობს — სწორედ ისეთებს, როგორებიც ჩვენ თავად ვართ. ვაღიაროთ, რომ ეს არცთუ ისე მიმზიდველი და გასახარი სანახაობა იქნება! ■

როდესაც ცნობილ ფოტოხელოსანს (თავად მიაჩნია, რომ მისი პროფესია ხელობაა და არა ხელოვნება) იური მეჩითოვს, ინტერვიუსთვის დავუკავშირდი და ჩვენი რუბრიკის თემაც გავაცანი, ცოტა შემომწყრა კიდეც: წამი რა არის — ჩვენ საუკუნეებს ვაჩერებთო!.. ჩვენი შეხვედრა ერთ-ერთ ელიტურ სალონში შედგა, სადაც ბატონი იური სარეკლამო ბილბორდისთვის სიმპათიურ ქალბატონს იღებდა. თუმცა ამას ხელი არ შეუშლია მისთვის ერთდროულად ჩემს კითხვებზეც ეპასუხა და იქ მყოფთათვისაც მოეყოლა სახალისო ამბები.

იური მეჩითოვს ფუჭი გაძღალეპისთვის კაზაკები ოსაკრძალად დასდევენ და ჭა სუჩათვეს ძაღანს საკუთარ სიკვდილამდე ფოტოოსტატი

ემა ტუხიაშვილი

იური მეჩითოვი:

— იცით, რატომ იღიმება სვანი, როდესაც ელავს? ჰგონია, რომ სურათს უღებენ. თქვენ არც ის გეცოდინებათ, რა წარწერა ამშვენებს ერთ-ერთ უძველეს ფოტოსალონს ლონდონში. „ის, თუ როგორ გამოიყურებით, 1 გირვანქა სტერლინგი ღირს, ხოლო ის, თუ როგორ გსურთ — მთელი 5...“

— რამდენი წელია, რაც ფოტოებს იღებთ და თუ იცით, სულ რამდენი ფოტო გაქვთ გადაღებული?

— ფოტოგრაფიით 8 წლის ასაკიდან ვარ გატაცებული, ხოლო ფოტოების რაოდენობას რაც შეეხება, ქალის ასაკისა არ იყოს, ამას ფოტოგრაფს არ ეკითხებიან. ეს იგივეა, რაც ახლა მე რომ გკითხოთ, რამდენი სიტყვა ან წინადადება გაქვთ ნათქვამი-მეთქი.

— თქვენი სამუშაო დღე აი, ასე, გადაღებით იწყება?

— პირველ რიგში, ყოველ დილას ძაღლი დამყავს სასეირნოდ, შემდეგ ინტერნეტით ვიგებ ახალ ამბებს, ცოტა ტელევიზორსაც ვუყურებ. ხოლო, რაც შეეხება სტაბილურ სამუშაო ადგილს, ასეთი ამ ეტაპზე არ გამაჩნია. როგორც ინგლისელები იტყვიან, „ფრი ლანსი“ ვარ — ანუ თავისუფალი მოხეტიალე რაინდი. მაგრამ არ ვწუწუნებ, რადგან ეს უკეთესია, ვიდრე, მაგალითად, დილიდან საღამომდე პარლამენტში ჯდომა.

— ცხოვრებას თქვენ გარკვეულწილად ფოტოაპარატის ობიექტივიდან ადევნებთ თვალს...

— აბა, ის ჯობს, რომ გინეკოლგი ვიყო და მხოლოდ ერთ რამეზე მეჭიროს თვალი?.. არ მიწყინოთ, ეს ჩემი საუბრის სტილია. ისე კი, ფოტოგრაფია გარკვეულწილად მისტიკაა. როდესაც ფოტოგრაფი რაკურსს ანუ კუთხეს განსაზღვრავს, ეს იმას ნიშნავს, რომ ის თავის ხედვას სხვას ახვევს თავს. ამ დროს გრძნობ, რომ ხარ ჯადოქარი და სასწაულის მოხდენა შეგიძლია. თუმცა, ამ ბოლო დროს გადავუხვიეთ იმისგან, რასაც ფოტოგრაფიაში ჭეშმარიტი პროფესიონალიზმი ჰქვია და რისთვისაც 60-70-იან წლებში ვიკლავდით თავს. ახლა ვიღაცას შეუძლია, სამოყვარულო კამერით გადაღებული „ბანძი“ ფოტოც კი მოათავსოს სარეკლამო ბილბორდზე. დაახლოებით ისეთი რამ დაგვემართა, პაპუასებს რომ მისცე ხელში თანამედროვე ტექნოლოგიები და მათი გამოყენება ასწავლო. ადრე თუ რაიმე ინფორმაციის მოძიება გჭირდებოდა, ბიბლიოთეკაში უნდა წასულიყავი, უნდა ამძვრალიყავი უზარმაზარ თაროზე და სასურველი წიგნი, უამრავ დამტვერილ წიგნს შორის მოგეძებნა. ამ ყველაფერში თავისებური ხიბლი იყო. ახლა ყველაფერი ღილაკზე თითის ერთი დაჭერით გვარდება. რა თქმა უნდა, კარგია ეს ყველაფერი, მაგრამ დროდადრო უნდა ჩავუღრმავდეთ რაღაც-რაღაცებს. მაგალითად, დაჯდება ბიჭი გოგია ბოლო მოდელის ავტომობილის საჭესთან და დარწმუნებული ვარ, ერთხელაც არ დაფიქრდება იმაზე, რომ ამ ავტომობილის შესაქმნელად ათასამდე იაპონელმა „ტვინი იჭყლიტა“. საწყენია, რომ ადამიანებს მომხმარებლის მარტივი ფსიქოლოგია ჩამოუყალიბდათ.

— თუ წარმოგიდგენიათ სამყარო ფოტოგრაფიის გარეშე?

— მეტიც, სამყარო ცივილიზაციის გარეშეც წარმომიდგენია. ცივილიზაციაა ის ერთადერთი, რომელიც ღუპავს სამყაროს, ფოტოგრაფია კი მისი ერთ-ერთი ნაწილია. დინოზავრები ხომ მშვენივრად გრძნობდნენ თავს ფოტოგრაფიის გარეშე... როდესაც ადამიანი გარკვეულ ასაკს აღწევ, ხვდები, რომ ქვეყანაზე მთავარია სიყვარული. თუ შენთვის პრიორიტეტულია, რომ გქონდეს ანგარიში ბანკში, საუკეთესო საჭმელი და სხვა, რაღა თქმა უნდა, ვერ გაძლებ ცივილიზაციის გარეშე.

— სიყვარული ფოტოგრაფიაშიც აუცილებელი პირობაა?

— ფოტოგრაფიის კი არა, სიყვარული უნიტაზების შესაქმნელადაც საჭიროა. სიყვარულის გარეშე არაფერი გამოვა, დამიჯერეთ.

— შეგიძლიათ მითხრათ, რომელი ფოტოს ან ფოტოების გადაღების შემდეგ იგრძენით, რომ თქვენ, როგორც ფოტოგრაფის კარიერა შედგა?

— ძალიან უცნაური და უჩვეულო შეგრძნება დამეუფლა 1984 წელს, როდესაც ქალაქ ლვოვის სასაფლაოზე მოვხვდი. რა თქმა უნდა, მანამდეც უამრავი რამ მქონდა გადაღებული, მაგრამ იქ ნანახმა გამაოგნა, ლვოვი ხომ ისედაც ქალაქი-მუზეუმია, მაგრამ იქაურ სასაფლაოზე, რომ ძეგლები ვნახე, ნამდვილი ხელოვნების ნიმუშებია. თქვენ წარმოიდგინეთ, ამ სასაფლაოს 8 საექსკურსიო ბიურო ემსახურებოდა! როგორც იტყვიან, მე ჩემი ფოტოაპარტით საჭირო დროს საჭირო ადგილას აღმოვჩნდი. ეს ხელოვნების ნიმუშები აქა-იქ წაბილწული იყო, საღამოს პირი იდგა, შემოდგომის ფოთლებს ცეცხლი ეკიდა და იქაურობა მთლიანად კვამლში იყო გახვეული. ისეთი მისტიკური ფოტოები გადავიღე, რომ მივხვდი, ამის შემდეგ შემეძლო, მოვმკვდარიყავი კიდეც... სხვათა შორის, ეს ფოტოები საზოგადოებისთვის ჯერ ცნობილი არ არის. მე რომ მოვკვდები, მერე გამოამზეურებენ.

თქვენ შიშველი ხართ, ხოლო მე — ჩაცმული, შემიძლია გავისადო-მეთქი. ისეთი თაეტელი აღმოჩნდა, გაიხადეო, — მითხრა

— თქვენი ყველაზე წარმატებული ფოტო რომელია?

— ფოტო, რომელმაც ყველაზე დიდი

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეიჩა დვალის უბის წიგნაკიდან:

1. ჩხრიალა გველი ცოცხლადმშობია.
2. მოთალი, ერთგვარი ფხვიერი ყველია.
3. ბეთჰოვენის გასვენებას 20000 კაცი დაესწრო.
4. „ბოინგ-747-ის“ შეღებვაზე 2 ტონა საღებავი იხარჯება.
5. კავალერისტები ცხენებზე უზანგის დაუხმარებლად სხდებიან.
6. პეტრე ჩაიკოვსკი მუსიკას ხშირად, დახატულ კლავიატურაზე ქმნიდა.
7. ვასილ მაღლაფერიძე ფიზიკურად ძალზე ჰგავს მომღერალ როზენბაუმს.
8. ქაღალდის ფული პირველად, 1616 წელს სტოკჰოლმის ბანკში გამოჩნდა.
9. „შპარგალკა“ პოლონური სიტყვაა და წარწერებით აჭრელებულ ქაღალდს ნიშნავს.
10. „არ არსებობს ცუდი ამინდი, არსებობს ცუდი ტანისამოსი“, — ამბობენ ნორვეგიელები.
11. „მე ცუდი მეუღლე ვიყავი, იმის დროც არ მქონდა, რომ ცოლი კინოში წამეყვანა“, — უთქვამს სტალინს.
12. „იგი გულკეთილი, მსუქანი და იღბლიანია“, — ასე ახასიათებს ხალხი რეჟისორ ელდარ რიაზანოვს.
13. ვერავინ იტყვის დანამდვილებით, ლეონარდო და ვინჩის ტილოზე — „იოანე ნათლისმცემელი“ კაცია თუ ქალი.
14. ტერმიტებს ბუდის ასაშენებლად, დიდი სიღრმიდან ამოაქვთ სხვადასხვა მინერალი. მათი საცხოვრებლის კედლებში ხშირად, ოქროს ნამცეცები ურევია.
15. კოლუმბიაში ნარკოტიკების მწარმოებლებთან ბრძოლისას პეპლებს იყენებენ. ამ პეპლის მიერ დადებული კვერცხიდან გამოჩეკილი მატლი, მცენარე კოკას ნაყოფზე პარაზიტობს და მოსავალიც ისპობა.

16. „უ ნაშიხ ინსპექტოროვ ტაკოე პრავილო: ნარუშილ — პლატი! ნე ნარუშილ, პლატი ი ნარუშაი!“ — ოხრავს მიხაილ ზადორნოვი.
17. იმპრესიონისტი პოლ გოგენი მეოცნებე ბავშვი იყო. იგი ან სრული კრეტინი იქნება, ან გენიოსიო, — ამბობდა მასზე მასწავლებელი.
18. „შახ, მატ!“ — თქვა აიათოლა ჰომეინიმ, როდესაც შაჰის ხელისუფლება დაამხო. იმ დღეს, ირანში შაჰების 2500-წლიანი მმართველობა დამთავრდა.
19. „ლიუდი — იდიოტი“, — ამბობს ანდრეი მიხალკოვ-კონჩალოვსკი და იხსენებს ფრაზას ჩეხოვის „თოლიიდან“ — „ჩევო ტოლკატსა? ვსემ მესტა ხვატიტ! კტო ეტო ნე პონიმაეტ, ტოტ



ჩვენ ჯერ კიდევ მითებით ვცხოვრობთ და არ გვსურს, რეალობას გავუსწოროთ თვალი

წარმატება მომიტანა, 9 აპრილს საღამოს 6 საათზე, ჭავჭავაძის გამზირზე გადავიღე. ეს არის საზოგადოებისთვის კარგად ნაცნობი ფოტო: გოგონა შავი, სამგლოვიარო დროშით. მახსოვს, ჩემი მეგობრის „ჟიგულის“ მარკის ავტომობილის სახურავზე ავძვერი და ეს კადრი იქიდან გადავიღე. როდესაც ფოტო გამოქვეყნდა, ყველას აინტერესებდა ამ გოგოს ვინაობა, რატომღაც ფიქრობდნენ, რომ ცნობილი აქტივისტებიდან უნდა ყოფილიყო ვინმე. არადა, ერთი ჩვეულებრივი ქუთაისელი სტუდენტი გოგო აღმოჩნდა...

— ალბათ წარუმატებელი ფოტოებიც გექნებოდათ, არა?

— ასეთი რამ ყოველდღე შეიძლება მოხდეს, მაგრამ მე ერთ კონკრეტულ ფაქტზე გიამბობთ. საქართველოში საკმაოდ ბევრი კაზაკი ცხოვრობს, თუმცა დღემდე ვერ გამიგია, რა უნდათ ჩვენთან კაზაკებს. თქვენ წარმოიდგინეთ, თბილისში კაზაკების რამდენიმე დაჯგუფებაც კი არსებობს, სულ ერთმანეთს ექიშპებიან და პოლკოვნიკზე დაბალი ჩინის წევრი არ ჰყავთ ჯგუფში. ერთხელაც, კაზაკებმა დამპატიჟეს, რომ მათი „სხადნიაკი“ გადამეღო. ორი საათი ვიმუშავე, მაგრამ აპარატს რაღაც დაემართა და ორი ფირიდან ერთი ფოტოც კი არ გამოვიდა. ვერაფრით იჯერებდნენ კაზაკები, რომ განგებ არ გამიკეთებია და ისე გაბოროტდნენ, რომ მოსაკლავად დამდევდნენ...

— ახლა თქვენი ყველაზე სკანდალური ფოტოს შესახებ მიამბეთ.

— 1991 წელს, ბატონი გოგი ქავთარაძე და კიდევ რამდენიმე რეჟისორი იღებდნენ ფილმს — „ოქროს ობობა“. მე ამ დროს კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ ვმუშაობდი. ეს ის პერიოდი იყო, როდესაც „ქართული ფილმის“ წარმომადგენლები ზვიად გამსახურდიას პოლიტიკურ კურსს დაუპირისპირდნენ. „ოქროს ობობაში“ იყო კრიმინალური ეპიზოდები და შესაბამისად, გადაღებებისთვის იარაღის მთელი არსენალი ჰქონდათ. მეც ავიღე და ცნობილი მსახიობი ლიკა ქავჟარაძე გადავიღე ავტომატით ხელში. შემდეგ ეს ფოტო ჟურნალ-გაზეთების გარეკანზე მოხვდა წარწერით — „ოპოზიცია შეიარაღებულია!“ — და ისეთი სკანდალი ატყდა... თუმცა, მაინც გამოვძვერი ამ სიტუაციიდან.

— თქვენ მიერ გადაღებული ფოტოს გამო მუშტი არასდროს მოგხვედრიათ?

— მუშტი — არა, მაგრამ ერთხელ ისეთ მდგომარეობაში აღმოვჩნდი, მუშტი მერჩივნა, მგონი... ერთ-ერთი მაღალჩინოსნის ქალიშვილი გადავიღე. უხერხულია ახლა ამ ადამიანების ვინაობის გამჟღავნება, ამიტომ მათ ვინაობას არ გავამხელ. მხოლოდ ამ ქალისთვის არ გადამიღია ფოტო, მასთან ერთად კიდევ 18 ადამიანი იყო სურათზე აღბეჭდილი, მაგრამ ის მართლაც, საშინლად გამოიყურებოდა. შემდეგ ეს ფოტო, რა თქმა უნდა, პრესაში დაიბეჭდა და როგორც ჩანს, ვიღაცამ ამ მაღალჩინოსნის ქალიშვილს მიანიშნა, რომ ფოტოზე მისი გარეგნობის დამახინჯება ფოტოგრაფის ბრალი იყო. ცოტა ხნის შემდეგ, მე და ეს ქალი შემთხვევით შევხვდით ერთმანეთს. რა თქმა უნდა, მოწიწებით წამოვდექი ფეხზე და მივესალმე. იმან კი პირდაპირ მომახალა: რა, ლამაზი არ ვარო?!. — როგორ გეკადრებათ, ქალბატონო-მეთქი! — მაგრამ

მუშტი — არა, მაგრამ ერთხელ ისეთ მდგომარეობაში აღმოვჩნდი, მუშტი მერჩივნა, მგონი...

ვინ დაგიგდო ყური? ძალიან გაცხარებული იყო... ასეთ შემთხვევაში, ადამიანებს ვეუბნები — პრეტენზიები დედ-მამას წაუყენეთ-მეთქი, მაგრამ ამ ქალს ამას როგორ ვეტყოდი?!. არადა, ძალიან მინდოდა ამის თქმა...

— როგორც ვიცი, შიშველ ქალებსაც ხშირად უღებდით ფოტოებს, ასე არ არის?

ადრე მართლაც, ხშირად ვიღებდი შიშველ სხეულებს, მაშინ ახალგაზრდა ვიყავი...

— ადრე მართლაც, ხშირად ვიღებდი შიშველ სხეულებს, მაშინ ახალგაზრდა ვიყავი...

— თქვენი მეუღლე არ ეჭვიანობდა?

— რა თქმა უნდა, ეჭვიანობდა. ქალები ხომ გიჟები არიან — ჰგონიათ, რომ მამაკაცი მხოლოდ მათი საკუთრებაა...

— მენატურეები ქართველი ქალები იყვნენ?

— ხშირად მისვამენ ამ კითხვას, რადგან ჩვენი მენტალიტეტიდან გამომდინარე ჰგონიათ, რომ ქართველი ქალი ამას არ იკადრებს. ეს იმის ბრალია, რომ ჩვენ ჯერ კიდევ მითებით ვცხოვრობთ და არ გვსურს, რეალობას გავუსწოროთ თვალი. ერთხელ ერთ-ერთი ცნობილი კინოსტუდია ფილმს იღებდა ჩემზე და ისიც კი მკითხეს, შევდიოდი თუ არა ჩემს მენატურეებთან ინტიმურ კონტაქტში...

— თქვენ რა უპასუხეთ?

— ის, რომ ყოველთვის ვერ ვახერხებდი ამას... მენატურეებზე ერთ კარგ ამბავს მოგიყვებით. ერთ გოგონას, რომელიც ასევე აპირებდა ფოტოგრაფობას და იმ დროისთვის, უმწიკვლო იყო, სურდა, გადაეღო ფოტოები, თუ როგორ ვიღებდი შიშველ ქალებს. მოხდა ისე, რომ ჩემმა მენატურემ რატომღაც დაიმორცხვა, სისულელე მომივიდა და შევთავაზე, თუ უხერხულობას გიქმნით ის, რომ თქვენ შიშველი ხართ, ხოლო მე — ჩაცმული, შემიძლია გავიხადო-მეთქი. ისეთი თავხედი აღმოჩნდა, გაიხადეო, — მითხრა. არ უნდა მექნა? მეც გავიხადე და ფოტოგრაფ გოგონას დავუძახე: გადაგვიღე-მეთქი. შიშვლები რომ დაგვინახა ხომ ერთიანად აკანკალდა ეს უმანკო ქალი, მეც დავიმორცხვე და ფოტოაპარატი სამარცხვინო ადგილას ავიფარე. მოკლედ, ჩაგვეშალა გადაღება.

— თქვენი ფოტოაპარატის ობიექტივში უამრავი ცნობილი ადამიანი მოხვედრილა. ვისი გადაღება გიყვარდათ ყველაზე მეტად?

— რა თქმა უნდა, სერგო ფარაჯანოვის გადაღება მიყვარდა. ჩვენ 20 წლის განმავლობაში ვურთიერთობდით და შემიძლია გითხრათ, რომ ისეთი მოდელი, როგორიც სერგო იყო, არასდროს მყოლია და არც მეყოლება, ალბათ. ქალბატონებიდან კი, ქალბატონ ვერიკო ანჯაფარიძეს ვიღებდი ყველაზე დიდი წარმატებით.

— ქართველ პოლიტიკოსებთანაც ხშირად გიმუშავიათ, ასე არ არის?

— ჩვენს პრეზიდენტს ჯერ კიდევ მაშინ გადავუღე ფოტო, როდესაც საკრებულოს არჩევნებში იყრიდა კენჭს და მითხრა კიდეც: შენმა გადაღებულმა ფოტომ კარგად იმუშავაო. საპრეზიდენტო არჩევნებისთვის კი, ერთდროულად რამდენიმე ფოტოგრაფი ვმუშაობდით, ამიტომ კადრები იმდენად ჰგავს ერთმანეთს,

სამყარო ცივილიზაციის გარეშეც წარმომიდგენია...

რომ გამიჭირდება ჩემ მიერ გადაღებული დავასახელო. სხვათა შორის, ყოფილი პრეზიდენტი ერთ-ერთი პოლიტიკოსი იყო, რომელიც სარეკლამო თვალსაზრისით, ფოტოს დიდ ყურადღებას არ ანიჭებდა. ახალი თაობის პოლიტიკოსებს კი კარგად ესმით, რომ ჩვენ შოუს ეპოქაში ვცხოვრობთ და შექმნილი „იმიჯები“ საზოგადოებაზე კარგად მუშაობს.

■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა ღვალი
უბის წიგნაკიდან:

იდიოტ“.

20. „როდესაც ადამიანი რაიმეს გახსენებას ცდილობს, მარჯვნივ იყურება, როდესაც იტყუება და რაიმეს თხზავს — მარცხნივ“, — ირწმუნებიან ფსიქოლოგები.

21. პეტრე პირველმა შვილის მოკვლის შემდეგ, 7 წელიწადი იცოცხლა. სიკვდილის წინ, საკუთარი მემკვიდრე არ დაუსახელებია. მისთვის სრულიად წარმოუდგენელი იყო, რომ მის გარდა, ვინმეს შეეძლო გამეფება.

22. პირველი მსოფლიო ომის დროს, გერმანული საზღვაო ნაღმები რუსეთის ფლოტს დიდ ზიანს აყენებდა. ნიკოლოზ მეორის ცხოველების პირველმა მომთვინიერებელმა დუროვმა წამოაყენა წინადადება, საზღვაო ნაღმების აღმოსაჩენად ზღვის ლომები გაეწვრთნათ. P.S. რუსეთში რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, დუროვის საწვრთნელ ბაზაში ბოლშევიკები შეცვივდნენ და ყველა ცხოველი მოწამლეს.

23. რუსებს გერმანელ სამხედრო ტყვეთა ბანაკებში თავიანთი „პოლიტრუკები“ (პოლიტიკური ხელმძღვანელები) ჰყავდათ, რომლებსაც ტყვეთა შორის არჩევდნენ. „პოლიტრუკი“ ერთწლიან მომზადებას გადიოდა ანტიფაშისტურ სკოლაში და ისევ ბანაკში ბრუნდებოდა. ისინი საშინელი სისასტიკით გამოირჩეოდნენ და თავიანთ თანამემამულეებს საშინელ დღეში აგდებდნენ. ასეთ „ანტიფაშისტებს“ ტყვეები „კაშისტებს“ ეძახდნენ (სიტყვიდან „კაშა“ — ფაფა): მათ უფრო მეტი ფაფა ეძლეოდათ, ვიდრე დანარჩენ ტყვეებს.

24. ალექსანდრე ყაზბეგს ძალზე მოუვლელი იერი ჰქონდა. მისი შემხედვარე, ვერც კი დაიჯერებდით, რომ ამდენი ნაწარმოები ჰქონდა შექმნილი.

25. ერთხელ, რომის იმპერატორმა კალიგულამ საბერძნეთის ქალაქ ოლიმპიაში ხელოსნები გაგზავნა, შვიდ საოცრებათაგან ერთ-ერთის — ზევსის ქანდაკების დასაშლელად და რომში გადასატანად. იმპერატორს სურდა, ამ ქანდაკებაზე ზევსის თავი საკუთარი ბიუსტით შეეცვალა. ლეგენდის თანახმად, ქანდაკებამ ისეთი ხარხარი დაიწყო, რომ ირგვლივ მთები იძრა, შეშინებული ხელოსნები თავქუდმოგლეჯილნი გაიქცნენ. P.S. საბედნიეროდ, იმპერატორი მანამ დაიღუპა, სანამ ხელოსნები ხელცარიელნი ჩააღწევდნენ რომში.

კომპოზიტორ რუსა მორჩილაძეს ამ ბოლო დროს, მუშაობის ხალისი დაკარგული აქვს. ამის მიზეზად, ის ქვეყანაში შექმნილ სიტუაციას ასახელებს. რუსას იმედი აქვს, რომ რამდენიმე წელიწადში მდგომარეობა გამოსწორდება და ჩვენში გემოვნებიანი და კარგი სიმღერები კვლავ შეიქმნება.

რუსა მორჩილაძე: „პროექტორის ქვეშ ცხოვრება“, პოპულარობა არ მხიბლავს...“

მერი კობიამშვილი

— რუსა, მუსიკით რა ასაკში დაინტერესდი?

— როგორც დედაჩემი ჰყვება, 11 თვის ასაკიდან ნებისმიერ მუსიკას ღიღინით ავყვებოდი ხოლმე. თურმე, უკვე მაშინ, ძალიან მყარი სმენა მქონია.

— სიმღერის ნიჭი გენეტიკურად გადმოგეცა?

— ჩემს ოჯახში სულ იყვნენ სიმღერის ნიჭით დაჯილდოებული ადამიანები. ორივე ბებია, ბიძები და მამაჩემი არაჩვეულებრივად მღეროდნენ. ამიტომ არც არავის გაჰკვირვებია ჩემი ამღერება. 6 წლის ასაკიდან, სცენაზე ვმღერი.

— თუ გახსოვს, სცენაზე შენი პირველი გამოსვლა როგორ დამთავრდა? იმ დღეს ძალიან ინერვიულე?

— პირველად სცენაზე გამოსვლა არაფრით დამავიწყდება. მახსოვს, როგორ მიკერავდნენ საკონცერტო კაბას. მეცვა შავი ლაკის ფეხსაცმელები. დედაჩემთან ჩხუბი მომივიდა: მე მინდოდა, „ჩოლკა“ მქონოდა, დედაჩემს კი უნდოდა, სცენაზე გადაწეული თმით გამოვსულიყავი. ბოლოს, მაინც დედაჩემმა გაიმარჯვა. ეტყობა, ზედმეტად ვინერვიულე და ცხვირიდან სისხლი წამსკდა... პირველი კონცერტის შემდეგ, ცხვირიდან სისხლის წასკდომა ტრადიციად მექცა. დედაჩემი კულისებში კალცის ტამპონებით შეიარაღებული იდგა ხოლმე. ბევრ სცენაზე გამოვსულვარ. ძირითადად, ხალხურ სიმღერებზე გავიზარდე. ჩემი მასწავლებელი, ბიძაჩემი — ომარ კელაპტრიშვილი იყო. ხალხურ საკრავთა ორკესტრში დიდი ხნის განმავლობაში ვმღეროდი. ვფიქრობ, ჩემი მუსიკალური გემოვნების ჩამოყალიბებასა და დახვეწაში დიდი როლი შეასრულა ქართულმა ფოლკლორმა. ჩემს ბავშვობაში, თბილისში მუსიკალური არხები საერთოდ არ არსებობდა, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ მუსიკალური ცხოვრება ჩამკვდარი იყო. საბჭოთა კავშირის მასშტაბით ოლიმპიადები ტარდებოდა, სადაც ერთ-ერთ ძლიერ ბავშვად ვითვლებოდი ხოლმე. პარტიულ ყრილობაზეც ხშირად გამოვსულვარ. ჩემი სიმღერით ბევრჯერ გახსნილა და დახურულა პარტიული შეკრებები.

— მუსიკალურ ცხოვრებაში ბავშვობიდანვე აქტიურად ყოფილხარ ჩაბმული. მიუხედავად ამისა, კარგად სწავლას ახერხებდი, ხომ?

— ჩემს თაობაში ბევრი ნიჭიერი ბავშვი იყო. მაშინ, კონცერტები რომ ტარდებოდა, ახლა ისეთები არც დაგვესიზმრება. ჩემოდანი ფაქტობრივად, სულ ჩალაგებული მქონდა — სულ ტურნეებში დავდიოდი. მიუხედავად ამისა, ფრიადოსანი მოსწავლე ვიყავი. ახლა ისე არ გამიგო, რომ თავს ვიქებ. დედაჩემი მკაცრად მზრდიდა. სახლიდან გარეთ ისე ვერ გავყოფდი ცხვირს, გაკვეთილი რომ არ მცოდნოდა. სკოლის დამთავრების შემდეგ, კონსერვატორიაში საგუნდო-სადირიჟოროზე ჩავაბარე, მაგრამ დირიჟორი ვერ გამოვედი.

— სიმღერების წერა რა ასაკიდან დაიწყე?

— სიმღერა პირველად 15 წლის ასაკში დავწერე. თავიდან, ეს ჩემთვის არასერიოზული გართობა იყო. მაგრამ მერე, როცა ჩემი სიმღერების შესრულება დაიწყეს და ხალხს მოეწონა, მივხვდი, რომ სიმღერისთვის სერიოზულად უნდა მომეკიდა ხელი. მაშინ საქართველოში მძიმე პერიოდი იდგა. მუსიკალური სფერო ძალიან ჩამკვდარი იყო. რაღაც სიახლე ვინმეს უნდა შემოეტანა. ასეთი ადამიანი მე აღმოვჩნდი. დავწერე სიმღერა — „მითხარი“. მერე, ქართული შოუბიზნესი „აგორდა“. „იგორა“, „იგორა“ და ახლა, ერთიანად ძირს დაეცა.

— „მითხარი“ — მართლაც, ძალიან პოპულარული სიმღერა იყო. მისი შექმნის ამბავი როგორია? და კიდევ, საინტერესოა, შენ თვითონ რატომ არ შეასრულე?

— მე თვითონ ვერაფრით ვიმღერებდი. მაშინ გეგი (შვილი) 2 თვის მყავდა. როცა ორი ახვლედიანი გყავს სახლში, სცენისკენ მიმავალი ყველა გზა უნდა დაივიწყო... ასეთ სიტუაციაში მყოფს, რუსიკო ბახტაძემ დამირეკა და მითხრა — ახლა შენთან აჩიკო მეფარიძე მომყავს და სიმღერა უნდა დაუწეროო. ვუთხარი — შენ კარგად ხომ ხარ?! საუკუნეა, სიმღერა არ დამიწერია-მეთქი... მაგრამ ერთ საათში, რუსიკომ აჩიკო სახლში მომაყენა. მთელი საღამო ვისაუბრეთ მე და აჩიკომ. რომ მიდიოდა, მაინც მივაძახე — ვერაფერს შეგპირდები, მაგრამ ვეცდები, სიმღერა დავწერო-მეთქი. იმედი არ მქონდა, რომ სიმღერას დავწერდი. მაგრამ აჩიკომ ისეთი ბიძგი მომცა, რომ იმავე ღამეს დავწერე. მეორე დღეს დავურეკე და ტელეფონით მოვასმენინე ჩემი ნამუშევარი. რა თქმა უნდა, ძალიან მოეწონა. სიმღერა მალევე ჩაწერა, მაგრამ რატომღაც, მთელი წელი არსად გაჟღერებულა. ამ სიმღერის მერე ისე დავიქოქე, იმდენ სიმღერას ვწერდი, რომ ვეღარ მაჩერებდნენ.

— სიმღერის დაწერის მუზა როდის მოგდის ხოლმე?

— ადრე ყოველთვის ვამბობდი — მე და აჩიკო (მეუღლე) როცა ვიჩხუბებთ, სიმღერებს მაშინ ვწერ-მეთქი. ზოგიერთი მომღერალი მეკაიფებოდა — მიდი, შენ და აჩიკომ იჩხუბეთ და კარგი სიმღერა დამიწერეო. ახლა, თუ კარგი სიტუაცია არ არის ოჯახში და წყნარი გარემო არ მაქვს, სიმღერას ვერ ვწერ.

— რამდენი ხანია, რაც სიმღერა არ დაგიწერია?

— წელიწად-ნახევარი იქნება. აღარ მემღერება...

— მიუხედავად ამისა, კონცერტებსა და სხვადასხვა „ტუსოვკაზე“ მაინც დადიხარ.



არსად არ დავდიარ. ან კი — სად უნდა ვიარო? გარდება კონცერტები?.. (მომღერალ ზურა საჩიძესა და მეუღლესთან აჩიკო ახვლედიანთან

— არსად არ დავდივარ. ან კი — სად უნდა ვიარო? ტარდება კონცერტები?.. არ მინდა, კრიტიკული ვიყო, მაგრამ ფაქტია, რომ ძალიან უხარისხო კონცერტები ტარდება. მე არ ვიცი, ვისზეა გათვლილი ახალი სიმღერები და ვის მოსწონს.

— როგორ ფიქრობ — რატომ იქმნება ამ ბოლო დროს სუსტი სიმღერები?

— მე მგონია, რომ ქვეყანაში და ადამიანების თვითშეგნებაში გარდატეხები ხდება; მუსიკაშიც ღირებულებების გადაფასება ხდება ხოლმე. მე იმ მუსიკის ერთგული დავრჩი, რომელზეც გავიზარდე და რომელსაც ვუსმენდი. საწყენია ისიც, რომ ახალი ავტორები და სახეები ჩვენს შოუ-ბიზნესში არ გამოჩნდა. ალბათ, ეს ყველაფერი დრომ მოიტანა: ახლა ის პერიოდია, როცა, შოუბიზნესი უნდა გაიფილტროს. მაგრამ რატომღაც ჯერჯერობით, ამ გაფილტვრის შედეგად, კარგები იძირებიან და ცუდები რჩებიან...

— მიუხედავად იმისა, რომ კარგად მღერი, მხოლოდ ერთი კლიპი გაქვს გადაღებული. ამის მიზეზი რა არის?

— არანაირი სურვილი არა მაქვს, რომ ჩემი კლიპები გადავიღო. ნათია გოგიტიძესთან ერთად დუეტი იმიტომ ჩავწერე და კლიპი იმიტომ გადავიღე, რომ არაჩვეულებრივი ბავშვია და ძალიან მთხოვა, მასთან ერთად მემღერა. არ მინდა, „პროჟექტორის ქვეშ ცხოვრება“, პოპულარობა არ მხიბლავს. ჩემთვის, წყნარად, მშვიდად ყოფნა მინდა.

— როგორც ვიცი, შენი მეუღლე არ მღერის. შვილი ხომ არ აპირებს მომღერლობას?

— გეგის სიმღერის ნიჭი არა აქვს. ეს ძალიან კარგია. მისი ამღერება ოჯახში ზედმეტი იქნებოდა. გეგის ფეხბურთელობა უნდა. ყველანაირად ვეცდები, ხელი შევუწყო ამაში.

— არ გეუბნება — და ან ძმა მინდაო?

— მეორე შვილის ყოლა ძალიან მინდა. მაგრამ ჩვენს ქვეყანაში რთული ცხოვრება დადგა. ზოგი ამბობს — შეიძლება, „ხიჟინაში“ გააჩინო 10 ბავშვი და მშვენივრად დაიზრდებიანო. მაგრამ მე ასე არ ვფიქრობ.

— შენი ცხოვრების გახალისებას როგორ ცდილობ ხოლმე?

— ბევრი პრობლემა დამიგროვდა. უამრავი ფიქრი მიტრიალებს ყოველ წუთას თავში. გამოსავალი ვიპოვე: ამ ბოლო დროს, ეკლესიაში დავიწყე სიარული. მე და აჩიკოს, რამდენიმეწლიანი ოჯახური თანაცხოვრების შემდეგ, ჯვარი არ გვქონდა დაწერილი და გადავწყვიტეთ. ეს შეცდომა გამოგვესწორებინა, წელს, სამებაში, ყოველგვარი პომპეზურობის გარეშე, დავიწერეთ ჯვარი. ჩემი მეჯვარე ხათუნა ჟორდანია იყო. ერთი კვირის შემდეგ კი, მან და ზურა ხაჩიძემ დაიწერეს ჯვარი. სხვა საინტერესო ჩემს ცხოვრებაში უახლოეს წარსულში არაფერი მომხდარა. ■



ბრედ პიტს ამიერიდან დათვემიც კი იცნობენ

კანადაში ვესტერნის — „ჯესი ჯეიმსის მკვლელობა“ გადაღებებზე ჩასული ჰოლივუდის ვარსკვლავი ბრედ პიტი კანადელმა დათვებმა პირადად „გაიცნეს.“ უნდა ითქვას, რომ ამ ნაცნობობამ პიტი ვერ აღაფრთოვანა. ეს ინციდენტი კანადის ქალაქ კალგარიში მოხდა. მსახიობი რამდენიმე დათვს იმ ტრაილერის სიახლოვეს გადააწყდა, რომელშიც გადაღებების დროს ცხოვრობდა. დაბნეულმა ბრედმა დახმარებისათვის პოლიციას მიმართა. შემთხვევის ადგილზე მისული რეინჯერები დათვებზე მეტად თავად ბრედ პიტის პერსონით დაინტერესდნენ. ბრედმა ტრაილერის სარკმლის ღიად დატოვების გამო პოლიციელთა მკაცრი საყვედური დაიმსახურა, რადგან დათვები სამზარეულოდან გამოსულმა საამო სურნელმა მიიზიდა. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ადგილობრივი წესები მოითხოვს, რომ მოსახლეობას კარ-ფანჯრები მუდამ დახურული ჰქონდეს.

დათვებთან ურთიერთობიდან თავისუფალ დროს, ბრედ პიტი ლეგენდარული განგსტერის, ჯესი ჯეიმსის სახის შექმნაზე მუშაობს. სურათს ავსტრალიელი რეჟისორი ენდრიუ დომინიკი მწერალ რობერტ ჰანსენის რომანის — „მხდალი რობერტ ფორდის მიერ მოკლული ჯესი ჯეიმსი“ — მოტივების მიხედვით იღებს. რომანში ჯესი ჯეიმსი მისი ბანდის წევრის, რობერტ ფორდის თვალითაა დანახული. ფორდი ველური დასავლეთის საუკეთესო მსროლელს თავდაპირველად, აღმერთებდა, შემდეგ, ბანდის მეთაურობა და სახელის მოხვეჭა თავად მოუნდა და ყოფილი კერპი მიპარვით მოკლა. კანადაში ნაკლებად ცნობილი რეჟისორი, ენდრიუ დომინიკი ფილმზე მას შემდეგ მიიწვიეს, რაც ბრედ პიტმა მისი სარეჟისორო დებიუტი — „შინაგანი მზერა“ იხილა და მასთან ერთად მუშაობის სურვილი გაუჩნდა. ■

ელ მაკფერსონს ფეხმძიმეობა ანუგეშებს

დიდი ხნის ბოიფრენდთან, არპად ბიუსონთან მძიმე განშორების მიუხედავად, ელ მაკფერსონი აქტიური ცხოვრებით ცხოვრობს და არც მამაკაცებთან ფლირტის გაბმაზე ამბობს უარს. პოპულარული ავსტრალიელი სუპერმოდელი ფრანგ ფინანსისტს არპად ბიუსონს 6 წლის წინ დაშორდა. მათ ორი შვილი ჰყავთ — 7 წლის ფლინი და 2 წლის გოგონა აურელიუს სი. ახლა კი, ელ მაკფერსონი ბრიტანელი ფეხბურთელის, სოლ კემპბელის მკლავებში აღმოჩნდა. როგორც ამბობენ, განუყრელი წყვილი გაუმაძღარ პაპარაცებს საშუალებას აძლევს, რესტორნებსა და კინოთეატრებში მათ ფოტოსურათები გადაუღონ. ამ დღეებში, „არსენალის“ ფეხბურთელი და სუპერმოდელი ლონდონის მდიდრულ რესტორანში რომანტიკული საუბრის დროს შეამჩნიეს. ■

BBC სადამ ჰუსეინის შესახებ მხატვრულ ფილმს გადაიღებს

ბრიტანეთის სამაუწყებლო კორპორაცია BBC-ს მეორე ტელეარხი სადამ ჰუსეინის შესახებ მხატვრული ფილმის გადაღებას შეუდგა. სურათი, რომლის სამუშაო სათაურია — „სადამის სახლი“ — ერაყის დიქტატორის ცხოვრების იმ პერიოდზე მოგვითხრობს, რომელიც 1970-იან წლებში ხელისუფლების სათავეში მისი მოსვლით დაიწყო და 2003 წელს, ამერიკელთა მიერ მისი დამხობით მთავრდება. მაყურებელი შეიტყობს, თუ როგორ იქცა სადამი დიქტატორად და რატომ გაგრძელდა მისი მმართველობა მრავალი წლის განმავლობაში. ფილმში ჰუსეინის უახლოეს გარემოცვას მსახიობები განასახიერებენ. სურათის სცენარისტმა ალექს ჰოლმსმა განაცხადა, რომ ფილმი ერაყის ყოფილი დიქტატორის ცხოვრების „შინაგან ხედვას“ წარმოგვიდგენს. გადაღებები 9 თვის წინ დაიწყო. ამ ხნის განმავლობაში, ჯგუფმა იმ ხალხთან შეხვედრა შეძლო, რომელთაც ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებთან შეხება ჰქონდათ და კარგად იციან, თუ რა ხდებოდა იქ სადამის მმართველობის წლებში. „ის არაბთა გაერთიანებისა და ისტორიაში საკუთარი სახელის დატოვების იდეით იყო შეპყრობილი. სადამს სურდა, უდიდესი მმართველი გამხდარიყო, რომლის სახელი საუკუნეების შემდგომაც ემახსოვრებათ“, — ამბობს ალექს ჰოლმსი. კორპორაცია 60-წუთიანი სერიის გადაღების დასრულებას 2006 წლის ბოლოსთვის გეგმავს. ■



კორპორაციის — DaimlerChrysler — უმაღლეს ეშელონში დიდი ცვლილებები ხდება: ჯერ კიდევ გასულ ზაფხულს გამოცხადდა, რომ წლის ბოლოსთვის, თავის სავარძელს დატოვებს გამგეობის თავმჯდომარე იურგენ შრემპი და მას შეცვლის დიტერ ცეტშე, რომელიც ამჟამად, კომპანია „კრაისლერის“ თავკაცია.

ეს ცვლილება მთელი წლის მანძილზე მწიფდებოდა. ამ რამდენიმე ხნის წინ გაცხადდა, რომ შრემპის გადაყენების ინიციატივა „დაიმლერ კრაისლერის“ უმსხვილეს აქციონერს, ფინანსურ გიგანტს — Deutsche Bank-ს ეკუთვნოდა. ბუნებრივია, რომ გერმანიის წამყვანი ბანკისა და საავტომობილო კორპორაციის კაპიტალის 10,2%-ის მფლობელის შეხედულებას სხვა აქციონერები ყურს უგდებენ...

„მერსედესის“ მძიმე ღლეები რამ „გაიყიფა“ ამერიკული კორპორაცია

რამ დაღუპა კორპორაციის თავკაცი

პოსტიდან იურგენ შრემპის გადადგომა წარმოადგენს იმ მასშტაბური კრიზისის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაზას, რომლის ცენტრში „დაიმლერ კრაისლერის“ მთავარი მარკა — Mercedes დგას. მსოფლიო დიდი ხნის მანძილზე იმყოფებოდა საინტერესო სტერეოტიპის ტყვეობაში, რომლის მიხედვითაც: გერმანელები აწარმოებენ ყველაზე საიმედო, ფრანგები — ყველაზე მოსახერხებელ, იაპონელები — ყველაზე იაფფასიან (ოღონდ, ძვირად ღირებული სათადარიგო ნაწილების მქონე), ხოლო იტალიელები — ყველაზე ლამაზ, მაგრამ ტექნიკურად არცთუ ისე მოწინავე ავტომანქანებს. მაგრამ, როგორც ჩანს, ბევრი რამ შეიცვალა. უკანასკნელ წლებში, საიმედოობის რეიტინგში გერმანელებმა ლიდერობა დათმეს, „სამოსნებად“ იქცნენ და ეს ყველაზე მკაფიოდ „მერსედესის“ მაგალითზე გამოჩნდა. სახელგანთქმულ ბრენდს, რომელიც გერმანული ხარისხის სიმბოლოს წარმოადგენდა, არცთუ ისე სახარბიელო ხანა უდგას. ბოლოდროინდელი სოციოლოგიური გამოკვლევების შედეგები უჩვენებს, რომ ისეთი მნიშვნელოვანი პოზიციის თანახმად, როგორიცაა მომხმარებელთა ნდობა, „მერსედესს“ უკვე ტრადიციულად უსწრებს ისეთი მარკები, როგორიცაა: Fiat, Land Rover და Chrysler. სამარკეტინგო ინსტიტუტის — Puls — გამოკითხვის მიხედვით კი, რომელმაც ახალი ავტომობილების 2 ათასი პოტენციური გერმანელი მყიდველი მოიცვა, „მერსედესი“ პირველ ათეულშიც კი ვერ მოხვდა. ამგვარად, ამ მარკისთვის უმთავრეს პრობლემას დღეს, მის იმიჯში გაჩენილი ბზარი და პროდუქციის ხარისხის საკითხი წარმოადგენს: საქარხნო წუნის გამო მანქანების გამოწვევა და უვარგისი სათადარიგო ნაწილების გამოცვლა, უკანასკნელ წლებში, ჩვეულებრივ მოვლენად იქცა.

იურგენ შრემპი 1995 წლის 24 მაისს აირჩიეს იმ დროს კონცერნის — Daimler-Benz AG — გამგეობის თავმჯდომარედ. მაშინ კონცერნი დიდ სიძნელეებს განიცდიდა: ძველი ხელმძღვანელობა ახორციელებდა სტრატეგიას, რომელიც „მაღალი ტექნოლოგიების სამჭედლოდ“ მის გადაქცევას ისახავდა მიზნად. შრემპის წინამორბედი, ედცარდ როიტერი ყიდულობდა ყველაფერს, მათ შორის ისეთ საწარმოებსაც, რომლებსაც არაფერი ჰქონდა საერთო საავტომობილო მრეწველობასთან: აეროკოსმოსურ კომპანიებს — MTU, Dornier და MBB-ს ელექტროტექნიკურ ფირმას — AEG. ეს ექსპერიმენტები ფირმას მილიარდები დაუჯდა, რომლებიც ავტომრეწველობის სფეროს მოაკლდა, მაგრამ კონცერნისთვის წარმატება არ მოუტანია: ავტომანქანების, თვითმფრინავების, მაცივრებისა და სარეცხი მანქანების წარმოების ერთ ჭერქვეშ მოქცევამ, „დაიმლერ-ბენცს“ მრავალმილიარდიანი ზარალი მოუტანა. „ბატონო შრემპ, სასწრაფოდ გაყიდეთ მთელი ეს ხარახურა!“ — უთხრა ახალარჩეულ თავმჯდომარეს 1995 წლის მაისში გამართულ კრებაზე ერთ-ერთმა გამწარებულმა აქციონერმა. ახალმა თავკაცმა საზეიმოდ დადო პირობა, რომ მთელ ძალისხმევას ავტომანქანების წარმოებას მოახმარდა.

1998 წელს, კონცერნის ამერიკულ ავტოგიგანტ „კრაისლერთან“ შერწყმა მოხდა. გერმანულ-ამერიკულმა ტანდემმა ამბიციური ამოცანა — მსოფლიო ავტომრეწველობის ლიდერობა დაისახა მიზნად. მაგრამ კორპორაციის მესვეურთა იმედები არ გამართლდა: შერწყმიდან 3 წლის შემდეგ, „კრაისლერში“ შექმნილმა სიტუაციამ ე.წ. კრიზისული მენეჯერის იქ გაგზავნის აუცილებლობა მოითხოვა. არჩევანი შრემპის ახლანდელ მემკვიდრეზე — დიტერ ცეტშეზე შეჩერდა. სასურველი შედეგი არც იაპონურ კომპანია „მიცუბიშისა“ და კორეულ კონცერნ „ჰიუნდაისთან“ დადებულმა ერთობლივმა პროექტებმა მოიტანა. თუმცა, ერთი შეხედვით, მდგომარეობა არცთუ ისე კრიტიკული ჩანდა. 1995 წლიდან, კორპორაცია პუნქტუალურად უხდიდა დივიდენდებს თავის აქციონერებს, რომელთა ჯამურმა თანხამ 13 მლრდ ევრო შეადგინა, ბრუნვა კი, თითოეულ მუშაკზე, 169 ათასიდან 369 ათას ევრომდე გაიზარდა.

„ჭექა-ქუხილი“ ერთი წლის წინ გაისმა. თავდაპირველად, თავი იჩინა სერიოზულმა პრობლემებმა ხარისხთან დაკავშირებით — თან, რა უცნაურიც არ უნდა იყოს, არა „კრაისლერის“, არამედ — „მერსედესის“ მარკის მანქანებში. საქმე იქამდე მივიდა, რომ კომპანიას უპრეცედენტო აქციის ჩატარება მოუხდა —



DaimlerChrysler-ის შტაბბინა შტუტგარტში

ხარვეზების გამოსასწორებლად, მხოლოდ ერთ გაზაფხულზე, 1,3 მლნ მანქანა გამოითხოვეს. ამის მიზეზი არა მხოლოდ საკუთრივ „მერსედესის“, არამედ კონცერნ „ბოშის“ ნამუშევარი გახლდათ, რომელსაც უხარისხო საწვავის ტუმბო ეკუთვნოდა, მას კი, თავის მხრივ, ამერიკელმა პარტნიორებმა უმუხთლეს, რომლებმაც ამ კვანძის კომპონენტები

სახელგანთქმული მარკის იმიჯის დაქვეითების გამო, წლის ბოლოსთვის, იურგენ შრემპს გამგეობის თავმჯდომარის სავარძლის გათავისუფლება მოუწევს

მიაწოდეს. მაგრამ მომხმარებლებისთვის ეს ვერაფერი ნუგეში იყო და ბუნებრივია, ამ რაოდენობის მანქანების დაბრუნებამ ნამდვილი სკანდალი გამოიწვია.

უკვე დიდი ხანია, ოპონენტები შრემპს რეალობის შეგრძნების დაკარგვაში ადანაშაულებდნენ. მაგრამ თავმჯდომარეს შეშფოთება არ ეტყობოდა. ჯერ კიდევ წლევანდელ გაზაფხულზე, ერთ-ერთ ინტერვიუში მან განაცხადა, რომ მშვენივრად გრძნობს თავს და კონცერნის გაძღოლას მომავალშიც აპირებს. ერთხანს, ის შესაძლოა, მართლაც, რამდენადმე მოსწყდა რეალობას, რასაც ალბათ, იმანაც შეუწყო ხელი, რომ გერმანიის ბადენ-ვიურტემბერგის მიწის პრემიერ-მინისტრის ინიციატივით, მას უნივერსიტეტის პროფესორის წოდება მიანიჭეს. საინტერესოა, რომ იურგენ შრემპს უმაღლესი განათლება არ მიუღია და მხოლოდ ავტომექანიკოსის კურსები აქვს დამთავრებული. ამგვარად, ზოგიერთი მისი ოპონენტის თქმით, მის მიმართ გამოჩენილი დაუმსახურებელი პატივის გამო, თავმჯდომარეს გამორჩა, რომ მის მთავარ საზრუნავს, ხარისხიანი ავტომობილების გამოშვება წარმოადგენს.

ფრანკფურტელ საბირჟო ექსპერტს, მარტინ ზაქსენმაიერს მიაჩნია, რომ პოსტიდან შრემპის წასვლის შემდეგ, კორპორაციის აქციონერები შვებით ამოისუნთქავენ, რადგან ყველაფერი უარყოფითი, რაც „მერსედესს“ „სჭირდა“, სწორედ ამ კაცის სახელთანაა დაკავშირებული. ზაქსენმაიერს მხარს უბამს ბრიტანელი ანალიტიკოსი, სტივენ პოპი: „შრემპის ხელმძღვანელობის დროს, „მერსედესის“ მარკა ძლიერ გაუფასურდა. კონცერნში, რომელმაც უზარმაზარი თანხები შეისრუტა „კრაისლერისგან“, სრულიად მოიშალა ფინანსური დისციპლინა. საერთოდ, ამერიკულ კორპორაციასთან შერწყმას, წარმატებულ პროექტად ვერ მივიჩნევ“.

წლევანდელი წლის მეორე კვარტალში სულ 97500 „მერსედესის“ მარკის მანქანა გაიყიდა. უკანასკნელ ათწლეულში პირველად, მას მთავარმა კონკურენტმა — „ბეემვემ“ გაუსწრო, რომელმაც იმავე პერიოდში, 109600 მანქანის რეალიზაცია მოახერხა. „მერსედესის“ ქარხნებში 160 ათასი ადამიანი მუშაობს და კორპორაციის მესვეურები, ზინდელფინგენში (შტუტგარტის გარეუბანი) მდებარე სათავო საწარმოში 5 ათასი კაცის შემცირების საკითხს განიხილავენ. მაგრამ ეს ძალზე პრობლემატური იქნება, რადგან კონცერნის ხელმძღვანელობას პროფკავშირებთან დადებული აქვს პაქტი დასაქმების შესახებ, რომელიც მუშაკთა შემცირებას კრძალავს.

რეფორმატორის მტკიცე ხელი

როგორც სპეციალისტები ვარაუდობენ, „დაიმლერ კრაისლერის“ გამგეობის მომავალ თავმჯდომარეს, დიტერ ცეტშეს აქვს შანსი, გამოასწოროს არსებული მდგომარეობა — მან ხომ „კრაისლერის“ გაჯანსაღება მოახერხა. დღეს „კრაისლერი“ ხარისხით არ ჩამოუვარდება „მერსედესს“, ზოგიერთი პარამეტრით, სჯაბნის კიდეც მას.

ცეტშემ ხარისხის საინჟინრო ცენტრი ჩამოაყალიბა. წარმოებაში მოდელის ჩაშვებამდე, იქ ყველა მაკომპლექტებელი საფუძვლიან გამოცდას გადის; იქვე იყრის თავს ინფორმაცია ე.წ. ავტორიზებული სერვისის ყველა საწარმოდან, საგარანტიო რემონტების შესახებ. შემოღებულია საშემსრულებლო დისციპლინის უმკაცრესი სისტემა: თუ პრობლემა 7 დღეში არ გადაიჭრება, თითოეული კონკრეტული შემთხვევა ვიცე-პრეზიდენტ ტომ ლასორდას (სხვათა შორის, სწორედ ის შეცვლის „კრაისლერის“ თავკაცის პოსტზე დიტერ ცეტშეს) დონეზე მსჯელობის საგნად იქცევა, ხოლო თუ საკითხი 2 კვირით გამოეკიდება ჰაერში, მის გადაწყვეტას პირადად ცეტშე ჰკიდებს ხელს: ამისთვის პასუხისმგებელ პირებს, თავმჯდომარის კაბინეტში გამოცხადება უწევთ. ასეთი „საუბრები“ კომპანიაში ცნობილია, როგორც უმკაცრესი აღმზრდელობითი ღონისძიებები, რომელთა ვაჟკაცურად გაძლება ყველა მუშაკს როდი შეუძლია...

ცეტშემ წარმატებულად დანერგა ერთიანი პლატფორმის პრინციპი: ერთსა და იმავე კონვეიერზე ხდება ისეთი განსხვავებული მოდელების აწყობა, როგორებიცაა: Dodge Dakota, Dodge Ram და Mitsubishi Raider. საიდუმლო იმაში მდგომარეობს, რომ მათ იდენტური ტექნიკური „საკაზმი“ აქვთ. შედეგმაც არ დააყოვნა: თუ 2000 წელს, ერთი მანქანის წარმოებას 48 საათს ანდომებდნენ, 2004 წლის ბოლოსთვის ეს მაჩვენებელი 35,8 საათამდე შემცირდა. თუმცა, „ტოიოტისა“ და „ნისანის“ რეკორდამდე — 32 სთ — ჯერ კიდევ შორსაა, შედეგი მაინც შთამბეჭდავია.

„მერსედესის“ გარდა, კორპორაციაში სხვა პრობლემებიც არსებობს. პირველ რიგში, ეს მარკა Smart გახლავთ. ეს მინიატიურული საქალაქო მანქანები კი ბევრს ძლიერ მოსწონს რევოლუციური დიზაინით, მაგრამ რეალიზაციის მოცულობით ვერა და ვერ მიაღწია რენტაბელობის დონეს. მხოლოდ შარშან, ზარალმა 600 მლნ ევროს მიაღწია. უკვე ცნობილია, რომ უახლოეს მომავალში, ამ ქვედანაყოფში შემცირდება 700 სამუშაო ადგილი, წარმოებიდან მოიხსნება როდსტერი, ხოლო კომპაქტური ყველგანმავალი, რომელიც თითქმის მზადაა, უკვე ამოღებულია საწარმოო გეგმიდან.

არცთუ ისე სახარბიელო მდგომარეობაშია „დაიმლერ კრაისლერის“ ყველაზე პრესტიჟული მარკა — Maybach. 2003 წელს, როცა 400 ათას ევროდ ღირებული ლიმუზინის სერიული წარმოება დაიწყო, 600 მანქანა გაიყიდა. ერთი წლის შემდეგ, ეს ციფრი 500-მდე შემცირდა. არადა, რენტაბელობის მიღწევა მხოლოდ იმ შემთხვევაში გახდება შესაძლებელი, თუ წელიწადში 1000 მანქანა გაიყიდება. ამიტომაცაა, რომ „მაიბახის“ საწარმოო უბანი 1500 ავტომობილის გამოშვებას ითვალისწინებს.

ასე და ამგვარად, კორპორაციის ახალი ხელმძღვანელობის წინაშე საკმაოდ რთული პრობლემები დგას, მით უფრო რთული, რომ მათი გადაჭრა მკაცრი ცაიტნოტის პირობებში მოუწევს: სანამ ცნობილი მარკის იმიჯის გამოსწორება არ დაიწყება, მანამდე გაგრძელდება თვით კორპორაციის აქციების გაიაფება საფონდო ბაზარზე. დღეს DaimlerChrysler 40 მლრდ ევრო ღირს — მაშინ, როდესაც ორი კომპანიის შერწყმის მომენტში, მისი ფასი 100 მლრდ-ს უტოლდებოდა!..

■

„ცისფერთვალება ქალბატონი“, „ჩკინის ღედი“, „პირველი“...

ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში, უფრო სწორად — უნივერსიტეტში ჩარიცხვიდან ცოტა ხანში, მომავალი პრემიერ-მინისტრი, კონსერვატორთა ასოციაციის პრეზიდენტად აირჩიეს, რაც მანამდე არასდროს მომხდარა. ამგვარად, მარგარეტ რობერტსი პირველი ქალი გახდა, რომელსაც ოქსფორდის უნივერსიტეტის მთელი ისტორიის მანძილზე, ასეთი პატივი ერგო წილად. იმ დროიდან მოყოლებული, სიტყვა „პირველი“ მისი პოლიტიკური ცხოვრების თანამდევი გახდა.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, მარგარეტმა მუშაობა დაიწყო ესექსის ქიმიურ ლაბორატორიაში. მართალია, სამუშაო დიდად არ მოსწონდა, მაგრამ მონდომებით მუშაობდა. მას ძალიან უჭირდა საერთო ენის გამონახვა უბრალო მუშებთან, რომლებსაც აღიზიანებდათ მისი უაპელაციო, ოფიციალური ტონი. რომ არა საქმიანობა კონსერვატიულ პარტიაში, ქალიშვილის ცხოვრება მეტისმეტად მოსაწყენი იქნებოდა. ენერგიული მარგარეტი, 1948 წლის კონფერენციაზე შენიშნეს კოლეგებმა და კანდიდატად წამოაყენეს პარტიისთვის ერთ-ერთ უპერსპექტივო ოლქში. ის მონდომებით შეუდგა საქმეს. მის რობერტსს არც მანქანა ჰყავდა და არც ფული ჰქონდა, ტაქსით რომ ესარგებლა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ოლქის ყოველი კუთხე-კუნჭული მოიარა. მან წესად დაიდო, ამდგარიყო დილის 6 საათზე და მაშინ დაწოლილიყო, როცა შუაღამეს კარგა გვარიანად გადასცდებოდა. სხვათა შორის, ეს წესი მას მთელი ცხოვრება შემორჩა. მისი შრომისუნარიანობა ყველას აოცებდა. ნახევრად მშიერი, გათოშილი, უძილო, ის არც ერთ, ყველაზე ხანმოკლე შეხვედრაზეც კი არ ამბობდა უარს.

არა, სასწაული არ მომხდარა, მაგრამ ასეთი არაადამიანური დაძაბულობის შედეგი მაინც მალე გამოჩნდა: კონსერვატორებმა არჩევნებზე იმ ოლქში, სადაც კანდიდატად მარგარეტი იყო დასახელებული, რამდენიმე ათასი ხმით მეტი მიიღეს, ვიდრე ჩვეულებრივ იღებდნენ. ერთ-ერთ პარტიულ კრებაზე, რომელიც გვიან დამთავრდა, ქალიშვილს ახალგაზრდა კაცი მიუახლოვდა და თავისი „იაგუარით“ შინ მიყვანა შესთავაზა. ასე გაიცნო მარგარეტმა თავისი მომავალი მეუღლე.

შედარებით მდიდარი ბიზნესმენი დენის ტეტჩერი 10 წლით უფროსი იყო თავის რჩეულზე, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია მარგარეტისთვის, ქორწინებაში სრულიად დამოუკიდებელი და თავისუფალი ყოფილიყო. ზოგიერთს შეიძლება ეს ოჯახი რამდენადმე ფორმალურადაც კი სჩვენებოდა: მათი სამკვირიანი საქორწინო მოგზაურობა ერთადერთი ერთობლივი დროს ტარება აღმოჩნდა — შემდგომში თითოეული მათგანი მხოლოდ საკუთარი პრობლემებით გახლდათ დაკავებული და სავსებით კმაყოფილი იყო იმით, რომ პარტნიორი მის საქმეებში არ ერეოდა. იყო თუ არა ეს სიყვარული? შეიძლება, იყო კიდეც, მაგრამ ამაზე მარგარეტ ტეტჩერს არასოდეს ულაპარაკია და თემას არც მისი ბიოგრაფები შეხებიან. მაგრამ ისიც ცნობილია, რომ ცოლ-ქმარს ბევრი რამ ჰქონდა საერთო: დენის ტეტჩერი ადგილობრივი კონსერვატიული პარტიის აქტიური თანამშრომელი იყო, მათ ერთნაირი შეხედულებები ჰქონდათ ბევრ საკითხზე. გარდა ამისა, მარგარეტისთვის ეს ალბათ, ერთადერთი შესაძლებლობა გახლდათ, რომ გაუთხოვარი არ დარჩენილიყო. იქნებ, სწორედ ამიტომ მიიღო მან ტეტჩერის წინადადება მაშინვე. ის ვერც მისმა ასაკმა შეაჩერა და ვერც იმან, რომ დენის ტეტჩერი პირველ ცოლთან გაყრილი იყო და ანგლიკანურ ეკლესიას ეკუთვნოდა, მარგარეტი კი — მეთოდური ეკლესიის მრევლი გახლდათ, რომელიც მკაცრად კიცხავს განქორწინებას...

დენის ტეტჩერის დედასა და დას მიაჩნდათ, რომ დენისს შეეძლო, უფრო ლამაზი და მდიდარი ქალიშვილის პოვნა, მაგრამ ტეტჩერმა მშვენივრად იცოდა, ვინ „იყიდა“ თავისი ფულით. სიამოვნების მოყვარულ და ცოტა თავქარიან დენისს, რომლისთვისაც არც პრეტენზიულობა იყო უცხო, ძალაუფლებისმოყვარე, უდრეკი ქალი ალბათ, საკუთარი პატივმოყვარეობის გამოც იზიდავდა.

რაც შეეხება მარგარეტს, ფული მას ნამდვილად სჭირდებოდა. ამიერიდან, ის აღარ იყო შეზღუდული სახსრებში და შეეძლო, მთლიანად მიეძღვნა თავი იმისთვის, რისკენაც ასე ისწრაფოდა — პოლიტიკისთვის. დენის ტეტჩერი დიდად არ უღრმავდებოდა პოლიტიკას. მას თავის მოვალეობად, ოჯახის ღირსეული ცხოვრების უზრუნველყოფა მიაჩნდა.

1951 წელს, მარგარეტ რობერტსი ცოლად გაჰყვა დენის ტეტჩერს და მას შემდეგ, ქვეყნისა და მთელი მსოფლიოსთვის, მარგარეტ ტეტჩერად იქცა.

რაკი შესაძლებლობა მიეცა, არ ემუშავა, მარგარეტ ტეტჩერმა თავისი დიდი ხნის ოცნება აისრულა და იურისპრუდენციის შესწავლას მიჰყო ხელი. თუმცა, მისი მიზანი უცვლელი რჩებოდა: „უნდა შევისწავლო სამართალი. ეს ჩემი პოლიტიკური საქმიანობისთვის მჭირდება“, — ამბობდა იგი. 1953 წლის მაისში, მან იურისპრუდენციაში პირველი გამოცდა ჩააბარა. მაშინ ის 5 თვის ფეხმძიმე იყო. მარგარეტ ტეტჩერი დედა უფრო ადრე გახდა, ვიდრე ელოდა. აგვისტოში, ვადამდე შვიდი კვირით ადრე, მას ტყუპი ქალ-ვაჟი შეეძინა, დედამ თვითონ შეურჩია მათ სახელები: ბიჭს მარკი დაარქვეს, გოგონას კი — კეროლი. „ჩვენ მხოლოდ ის გვინდოდა, რომ მათ მარტივი სახელები რქმეოდათ, რომელთა შემოკლებაც შეუძლებელი იქნებოდა. ჩვენ არ მოგვწონდა კნინობითი მეტსახელები“.

1953 წლის მაისში, მან იურისპრუდენციაში პირველი გამოცდა ჩააბარა. მაშინ ის 5 თვის ფეხმძიმე იყო...

მარგარეტ ტეტჩერმა პირდაპირ სამშობიაროში დაწერა განცხადება თხოვნით, დაეშვათ გამოსაშვებ გამოცდაზე და წლის ბოლოს, უკვე მზად იყო კარიერის გასაგრძელებლად. მაგრამ ის, რა თქმა უნდა, ცაიტნოტში აღმოჩნდა. შვილები მას დიდ ძალასა და ენერგიას ართმევდნენ. წინასაარჩევნო კამპანიის დროინდელი ღამისთევები არ ღლიდა მას ისე, როგორც შვილების კვება. „მეჩვენებოდა, რომ უკვე ველარასოდეს გამოვიძინებდი“, — ამბობდა შემდგომ იგი, მაგრამ ბევრი ქალისგან განსხვავებით, ტეტჩერს ერთი სული ჰქონდა, როდის დაუბრუნდებოდა სამუშაოს.

შვილებს ჯერ წელიც არ შესრულებოდათ, როცა ტეტჩერმა თავისი კანდიდატურა წამოაყენა არჩევნებზე, მაგრამ მოულოდნელად, პარტიამ უარი თქვა მის კანდიდატურაზე. თუმცა, ეს სულაც არ ყოფილა მარგარეტ ტეტჩერის ბრალი — უბრალოდ, პოლიტიკა მაშინ, მამაკაცთა პრივილეგიად მიიჩნეოდა, განსაკუთრებით — კონსერვატორებისთვის. პარტიის წევრთა აზრით, ტეტჩერს ოჯახისთვის უნდა მიეხედა, შვილები აღეზარდა და პოლიტიკაში არ უნდა ჩაეყო ცხვირი.

მაგრამ ტეტჩერი, ბუნებრივია, დანებებას არ აპირებდა. მისი მსვლელობა ხელისუფლების სათავისკენ არც სწრაფი ყოფილა და არც უღრუბლო, თუმცა ძალზე ხშირად უმართლებდა. პარლამენტში გატარებულმა პირველმა ორმა წელმა მარგარეტ ტეტჩერი სხვადასხვა გაქანებისა და დონის პოლიტიკოსებს შეახვედრა. მერე, მოულოდნელად, ახალგაზრდა ქალი მიიწვიეს სამინისტროში პენსიებისა და დაზღვევის საკითხებზე სამუშაოდ. ორი შვილის დედა ქალაქგარეთ ცხოვრობდა, ქმარი მუდამ მივლინებაში იყო. ამიტომ ბევრს ეგონა, რომ ის ვერაფრით გაუმკლავდებოდა ახალ მოვალეობებს, მაგრამ მალე ყველამ დაინახა, თუ როგორი შრომისმოყვარეობით გამოირჩეოდა იგი. მანამდე არავინ იცოდა მისი ჩვეულებრივი დღის რეჟიმი: მხოლოდ 4 საათი — ძილისთვის, დანარჩენი 20 საათი დღე-ღამეში — მუშაობის წილ...

შემდეგ, მარგარეტ ტეტჩერი საპარლამენტო ოპოზიციის სკამზე გადაჯდა და ე.წ. „ჩრდილოვან კაბინეტში“ დაინიშნა მინისტრად საბინაო მშენებლობის საკითხებში. 1965-დან 1969 წლამდე, ის ყოველ წელს ერთი პოსტიდან მეორეზე გადადიოდა. სწორედ 60-იანი წლების დამლევი, კონსერვატორების ოპოზიციაში ყოფნის დრო, აღინიშნა ტეტჩერისთვის მნიშვნელოვანი მოვლენით — მისი პირველი მცდელობით, საჯაროდ ჩამოეყალიბებინა თავისი პოლიტიკური და ეკონომიკური პროგრამა, რაც შემდგომში, „ტეტჩერიზმის“ სახელწოდებით შევიდა ისტორიაში.

1975 წელს, მარგარეტ ტეტჩერმა განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პოსტი დაიკავა. სამინისტროში თავისი მოღვაწეობა ტეტჩერმა დაწყებითი კლასების მოსწავლეების რძით უფასოდ კვების გაუქმებით დაიწყო. ამით მან 19 მილიონი დოლარის ეკონომია გააკეთა. მხოლოდ ძალზე ღარიბთათვის იყო დასაშვები გამონაკლისი, დანარჩენებს კი, მარგარეტ ტეტჩერის აზრით, თვითონ უნდა ეშოვათ ფული თავიანთი შვილების რძისთვის და სახელმწიფოს კისერზე არ უნდა მსხდარიყვნენ.

ამ აქციამ, რა თქმა უნდა, საშინელი უკმაყოფილება გამოიწვია ხალხში. იმართებოდა დემონსტრაციები ტეტჩერის გადაყენების მოთხოვნით, პარლამენტსა და პრესაში მას იხსენიებდნენ დედად, რომელმაც ჩვილ ბავშვებს რძე წაართვა. ის ფაქტი, რომ ეს პოლიტიკური აქცია ქალმა განახორციელა, კიდევ უფრო ძაბავდა სიტუაციას. მიუხედავად ამისა, ტეტჩერს არ შეეშინდა, გაეძვირებინა სასკოლო საუზმე, რომლის ფასიც წლების განმავლობაში არ იცვლებოდა. გარდა ამისა, მან ბრძოლა გამოუცხადა სასკოლო რეფორმას, რომელიც ლეიბორისტებს ჰქონდათ დაწყებული. ახლა, როცა მარგარეტ ტეტჩერი სიტყვით გამოდიოდა პარლამენტში, ლეიბორისტები, რომლებიც უკანა სკამებზე სხდებოდნენ, მისი შეურაცხმყოფელი სიტყვების სკანდირებას იწყებდნენ. პრესა თავს ესხმოდა მას, მშობლები მის სასასტიკეზე ლაპარაკობდნენ, უდიდესმა ინგლისურმა გაზეთმა ტეტჩერს „ინგლისში ყველაზე არაპოპულარული ქალი“ უწოდა. ტეტჩერმა მთელი თავისი ნებისყოფა მოიკრიბა, რომ გრძნობები მოეთოკა...

მართალია, ტეტჩერი უპირველესად პოლიტიკოსი იყო, მაგრამ ის ცოლიც იყო და დედაც. მიაჩნდა, რომ ქმარს კარგად ექმოლა მისი და მუდამ მაგრში ედგა

განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პოსტზე ტეტჩერის მოღვაწეობამ მინისტრთა კაბინეტი და თვითონ პრემიერ-მინისტრიც გააღიზიანა. მთავრობაში ის იზოლაციაში აღმოჩნდა. ის არც მინისტრთა ცოლებს ეხატებოდათ გულზე. ჰყვებიან, რომ ერთ-ერთმა მათგანმა პრემიერ-მინისტრთან გამართულ საუზმეზე დემონსტრაციულად ჰკითხა მეორეს ისე, რომ ტეტჩერს გაეგონა: „მართალია, რომ ამბობენ — ქალბატონი ტეტჩერი ქალიაო?..“ მას მინისტრი ქალბატონის მკაცრი ხასიათი ჰქონდა მხედველობაში. ტეტჩერმა ისე დაიჭირა თავი, თითქოს მისი ნათქვამი ვერ გაიგონა.

მორიგ საპარლამენტო არჩევნებზე კონსერვატორები დამარცხდნენ და ოპოზიციაში გადავიდნენ. მარგარეტ ტეტჩერმაც მინისტრის პოსტი დატოვა. სამაგიეროდ, ის ახლა უფრო პერსპექტიულ ბრძოლაში ჩაება — ის კონსერვატორთა ლიდერობის მოპოვებას ლამობდა. მისი მდგომარეობა თითქმის უიმედო იყო. ისტორიულად ვითარება ისე ჩამოყალიბდა, რომ მანამდე, პარტიის ლიდერად მხოლოდ ისინი განიხილებოდნენ, ვისაც საგარეო საქმეთა, ფინანსთა ან შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობები ეკავათ. ეს იმით იყო გამოწვეული, რომ პარტიის ხელმძღვანელს ისე ირჩევდნენ, როგორც ქვეყნის პოტენციურ პრემიერ-მინისტრს. ადმინისტრაციულ თანამდებობაზე ტეტჩერის ხანმოკლე მოღვაწეობა კი დიდად წარმატებული არ ყოფილა. ამიტომ მისთვის ძნელი იყო, გაეძლო კონკურენციისთვის კანდიდატებს შორის. თუმცა, მარგარეტ ტეტჩერს, მათთან შედარებით ერთი სერიოზული უპირატესობაც ჰქონდა — საკუთარი თავის რწმენა. ჰოდა, გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებმაც ირწმუნეს მისი. სწორედ იმ პერიოდში, როცა ის პარტიის ლიდერობისთვის იბრძოდა, პრესამ პირველად უწოდა მარგარეტ ტეტჩერს „რკინის ლედი“.

1975 წელს, მარგარეტ ტეტჩერმა დაიკავა ინგლისის ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული პოლიტიკური პოსტი — ის დიდი ბრიტანეთის ყველაზე გავლენიანი — კონსერვატიული პარტიის პირველ პირად იქცა. ტეტჩერი კიდევ უფრო მკაცრი გახდა და ამავე დროს, კიდევ უფრო საქმიანი. ის გამარჯვებას კი არ ზეიმობდა, არამედ მაშინვე შეუდგა ე.წ. „ჩრდილოვანი მინისტრთა კაბინეტის“ შექმნას. ამასთან, მას წინასწარ ჰქონდა გათვლილი თითოეული ნაბიჯი. პირველი თვეები ახალ პოსტზე რთული იყო, ტეტჩერს ერთმანეთის მიყოლებით, უამრავი დაბრკოლების გადალახვა უწევდა. მის პირველ გამოსვლებს დიდი მოწონება როდი ხვდა წილად. ბევრს მიაჩნდა, რომ ამის მიზეზი მისი მჭახე ხმა იყო, რომელსაც ლანკაშირული აქცენტი კიდევ უფრო ამახინჯებდა. ტეტჩერი მთელი ძალით ცდილობდა ამ აქცენტისგან გათავისუფლებას. ის ნაბიჯ-ნაბიჯ იმყარებდა პოლიტიკურ პოზიციას. 50 წლის ასაკში მშვენივრად გამოიყურებოდა. თუმცა, არა იმიტომ, რომ რაღაც განსაკუთრებული მეთოდით ზრუნავდა საკუთარ გარეგნობაზე — უბრალოდ, „რკინის ლედი“ შინაგანად იყო გასხივოსნებული თავისი ძალით და თავდაჯერებულობით: არავითარი დაძაბულობა არ ეტყობოდა, თვალები უბრწყინავდა, ენერგიულად მოძრაობდა... მოკლედ, წარმატების მწვერვალზე მყოფი ქალის განსახიერებას წარმოადგენდა. 4 წლის გან-

მავლობაში, მან შეძლო გაეძლიერებინა პარტია და ეჩვენებინა ქვეყნისთვის, რომ შეეძლო წარმატებით გასძღოლოდა ბრიტანეთის მთავრობას.

1979 წლის გაზაფხულზე, ინგლისში ხელისუფლების კრიზისი მწიფდებოდა. ლეიბორისტებს უკვე აღარ ჰქონდათ უმრავლესობა და ლიბერალური პარტია დაუინებით მოითხოვდა არჩევნების ჩატარებას. ტეტჩერმა წარმატებით გამოიყენა ეს ვითარება. არჩევნების წინ, მან თვითონ დაწერა პარტიის მანიფესტი, სადაც საპროგრამო დებულებები იყო ჩამოყალიბებული. თავის წინასაარჩევო სიტყვას კი, მომავალი პრემიერ-მინისტრი ასე ასრულებდა: „დაე, ჩვენმა ქვეყანამ, რომელიც ასე ძლიერ გვიყვარს, კვლავ დაიბრუნოს ღირსება, დიდება და მშვიდობა!“

1979 წლის არჩევნებმა დიდი წარმატება მოუტანა კონსერვატიულ პარტიას და პირადად ტეტჩერს. 4 მაისის ის გაემართა პარტიის შტაბბინისაკენ, სადაც ელოდა საგანგებოდ გამომცხვარი ტორტი, რომელსაც პრემიერ-მინისტრის რეზიდენციის შესასვლელის ფორმა ჰქონდა; მეორე დღეს, ტეტჩერი ამ რეზიდენციის დიასახლისად მოევლინა ქვეყანას...

როცა არჩევნების შედეგები ცნობილი გახდა, ტეტჩერი ბუკინგემის სასახლისკენ გაემართა ტრადიციულ ცერემონიაზე დასასწრებად. ეს უძველესი რიტუალი დღესდღეობით, დედოფლის ერთადერთი შეკითხვით შემოიფარგლება — მზად არის თუ არა ახალი პრემიერ-მინისტრი მთავრობის ჩამოსაყალიბებლად? მას შემდეგ, რაც ტეტჩერმა დედოფლის ამ შეკითხვას დადებითად უპასუხა, 53 წლის დედოფალმა თავაზიანი ჟესტით მიიწვია ჩაიზე მებაყლის 53 წლის ქალიშვილი. საუბარი ჩაის სმისას 45 წუთი გაგრძელდა. აღელვებულმა მარგარეტმა ჟურნალისტებს პირველ ინტერვიუში უთხრა: „ყველაფერს, დიახ, ყველაფერს მამაჩემს უნდა ვუმადლოდე...“ და ეს მართლაც ასე იყო. მართალია, უკვე 9 წელი იყო გასული, რაც ალფრედ რობერტსი ცოცხალი აღარ გახლდათ, მაგრამ სწორედ მის მიერ ჩანერგილი იდეალების ერთგულება დაეხმარა მარგარეტს გამარჯვებაში.

გაზეთ „ინდიფერენტის“ რედაქტორი აღნიშნავდა: „როცა ტეტჩერი დაუნინგ სტრიტის 10 ნომერში კიბეს აუყვა, მან უკვე იცოდა, რომ ისტორიას ქმნიდა... ის იყო ქალი, რომელსაც უნდა შეესრულებინა კეთილშობილური მისია — შეეჩერებინა ქვეყნის უცილობელი დაცემა და ეხსნა ის სიკვდილზე უარესი ხვედრისაგან — სოციალიზმისაგან“.

პრემიერ-მინისტრის პოსტზე ყოფნისას, ტეტჩერი სწავლობდა იმას, თუ როგორ გამხდარიყო უფრო მოქნილი. თუმცა მთავარი მისთვის მუდამ ერთი რამ გახლდათ: მას სურდა, ინგლისისთვის პრესტიჟი და სიძლიერე დაებრუნებინა. ამისკენ გზას კი, იმაში ხედავდა, რომ ქვეყნის თითოეული მოქალაქე იძულებული გაეხადა, ეშრომა. მას სასტიკად სძულდა უსაქმურობა და სისუსტე, უარყოფდა სოციალიზმს, ყოველგვარ სუბსიდიას და დახმარებას ღარიბთათვის. ტეტჩერის პირველმა კანონპროექტმა საზოგადოების საშინელი უკმაყოფილება გამოიწვია.

ყველა მთავრობა იმით იწყებდა, რომ გადასახადებს ზრდიდა მეწარმეთათვის და ამის ხარჯზე უბრალო ხალხს „ნასუფრალს“ სთავაზობდა. მარგარეტ ტეტჩერმა მტკიცედ გადაწყვიტა, რომ არც ერთ უსაქმურს სახელმწიფოსგან აღარაფერი მიეღო. თვითონ ძლიერი, შრომისმოყვარე პიროვნება იყო და სურდა, ყველა ინგლისელი ასეთად ექცია. როგორც ანგარიშიანმა, მომჭირნე დიასახლისმა, ტეტჩერმა აღმოფხვრა სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი და მთელი ქვეყანა აიძულა, ყაირათიანობა გამოეჩინა. რა თქმა უნდა, არავის მოსწონდა მისი ზედმეტი სიმკაცრე, მაგრამ ბოლოს, მარგარეტ ტეტჩერმა გაიმარჯვა. მან იხსნა ქვეყანა ეკონომიკური კატასტროფისგან. ჩერჩილის შემდეგ, დიდი ბრიტანეთი პირველად თამაშობდა მნიშვნელოვან როლს მსოფლიო ასპარეზზე. მარგარეტ ტეტჩერმა ხელისუფლების საჭესთან სამი ვადა — 12 წელი გაძლო, რაც ძალზე ძნელია პოლიტიკოსისთვის და განსაკუთრებით ქალისთვის. მისმა პოლიტიკამ ხელი შეუწყო ბრიტანეთის განვითარებასა და აღორძინებას. ერთ-ერთმა კონსერვატორმა ასე ახსნა ქვეყნის მიერ 80-იან წლებში მიღწეული წარმატება: „ინგლისს ორი განძი აქვს: ერთ-ერთი მათგანი ნავთობია, მეორე კი — მარგარეტ ტეტჩერი“.

ერთხელ შეკითხვაზე — თუ რა არის მისი ჰობი? — ტეტჩერმა ერთი სიტყვით უპასუხა — „პოლიტიკა“.

მისთვის ცხოვრებაში არაფერი ყოფილა პოლიტიკაზე, მის სამუშაოზე მნიშვნელოვანი და საინტერესო. „მე არასოდეს დავიღლები პრემიერ-მინისტრობით“, — გულწრფელად თქვა მან ერთ-ერთ ინტერვიუში. მას ცოტა მეგობარი ჰყავს, დროც მუდამ ცოტა ჰქონდა მათთვის. ვერც წიგნების კითხვას ასწრებდა. ტეტჩერი დღე-ღამეში 20 საათს მუშაობდა. ძილისთვის მხოლოდ 4 საათს იმეტებდა. დასვენების უფლებას თავს მხოლოდ კვირაობით აძლევდა. ზაფხულობით შვებულების აღებაზე კი მას დიდი გაჭირვებით ითანხმებდნენ ხოლმე. ტეტჩერს თავისი „თეორიაც“ კი აქვს, რომელიც დასვენების წინააღმდეგაა მიმართული...

ქალისთვის ძალზე ძნელია, მამაკაცთა სამყაროში, განსაკუთრებით კი, პოლიტიკის სამყაროში წარმატების მიღწევა. თვითონ ტეტჩერი ამჯობინებდა, რომ მასში უპირველესად პოლიტიკოსი დაენახათ და არა ქალი. სურდა, რომ მასში ლამაზი ქალიც დაენახათ, მუდამ სიამოვნებდა მოხდენილად ჩაცმა, რადგან მშვენივრად ესმოდა, რომ ხელმძღვანელი ქალისთვის ტანსაცმელი მეტს ნიშნავს, ვიდრე მამაკაცისთვის. რა თქმა უნდა, ის მოდის კანონმდებელი არ უნდა იყოს, მაგრამ დაუშვებელია, ანგარიში არ გაუწიოს მოდას. ტეტჩერს უყვარდა სამკაულები, მაგრამ ძალზე ფრთხილად ირჩევდა მათ. ვარცხნილობა კი მუდამ აკურატული, ელეგანტური უნდა ჰქონოდა.

მართალია, ტეტჩერი უპირველესად პოლიტიკოსი იყო, მაგრამ ის ცოლიც იყო და დედაც. ოჯახისთვის, რა თქმა უნდა, ცოტა დრო რჩებოდა, მაგრამ არასოდეს იღლებოდა იმის გამეორებით, რომ მისი ქორწინება დენის ტეტჩერთან ძალზე იღბლიანი გახლდათ. მიაჩნდა, რომ ქმარს კარგად ესმოდა მისი და მუდამ მხარში ედგა „შინ ბრუნდები და იცი, რომ რაც არ უნდა მოხდეს იმ დღეს, შინ სიყვარული და ერთგულება გელოდება. აი, ის, რასაც დენისი მაძლევს და რის მიცემასაც მე ვცდილობ მისთვის“, — ამბობდა ტეტჩერი.

მათი შვილები — მარკი და კეროლი — ინგლისში არ ცხოვრობენ. შეკითხვაზე — რატომ? — დენის ტეტჩერმა უპასუხა: „მათთვის უბრალოდ შეუძლებელია ბრიტანეთში ცხოვრება. პრესა და ტელევიზია მათ თავისუფლად ნაბიჯის გადადგმის საშუალებასაც კი არ მისცემენ, მათი ყოველი დღე პრესაში გაშუქდება. არა, ეს შეუძლებელია“. ამ საკითხზე მარგარეტ ტეტჩერიც ზუსტად ამავე აზრისაა.

მათი ქალიშვილი ჟურნალისტია. ვაჟიშვილი, ყოფილი ავტომრბოლელი, ახლა ბიზნესმენია. 1989 წელს ის დაქორწინდა და მარგარეტ ტეტჩერს შვილიშვილი აჩუქა.

თუ შესაძლებელია, რაიმე ხინჯის მოძებნა მარგარეტ ტეტჩერის ვარსკვლავურ ბედში, ეს ალბათ, მისი შვილებია. მათი ცხოვრება ისეთივე იღბლიანი ვერ აღმოჩნდა, როგორიც დედის და ბევრჯერ დასწყვიტეს გული იღბლიან პოლიტიკოს დედას. მარკი განებივრებული იყო და მუდამ ბოროტად სარგებლობდა დედის მდგომარეობით. კეროლი პირიქით, გამუდმებით ცდილობდა, თავი დაეღწია ცნობილი დედის ჩრდილისთვის და საკმაოდ მოწიფული, შტატგარეშე ჟურნალისტის მოკრძალებული ბედით კმაყოფილდებოდა. რა თქმა უნდა, ამაში მარგარეტ ტეტჩერიცაა დამნაშავე. ერთ-ერთმა მისმა მეგობარმა ერთხელ სინანულით აღნიშნა: „მან უდიდეს წარმატებას მიაღწია, როგორც პოლიტიკოსმა, მაგრამ მარცხი განიცადა, როგორც დედამ და მან ეს სხვაზე უკეთ იცის“.

ტეტჩერის სახელი მის სიცოცხლეშივე ისტორიაში შევიდა. მართალია, ის ყველას არ უყვარდა, მაგრამ ბრიტანელები მისით ამაყობენ. ■

რატომ არის ორშაბათი მძიმე დღე?

(კვირის დღეების ეზოტერიკული განხილვა)

უძველეს წარსულში სხვადასხვა ხალხს (ეთნოსს) სამყაროს საიდუმლოებებზე განსხვავებული წარმოდგენები ჰქონდა და ბუნებრივია, ეს აისახებოდა მათ ყოფა-ცხოვრებაზეც. მაგალითად, ზოგიერთი ქვეყნის კალენდარში ერთ კვირაში 7 დღე იყო, ზოგში — 8, ზოგიერთ ქვეყანაში კი — 10. ეს ძირითადად, დამოკიდებული იყო ერის წარმოდგენებზე (მათი რელიგიური მრწამსიდან გამომდინარე), კლიმატზე (საყოფაცხოვრებო-სამეურნეო საქმიანობიდან გამომდინარე), ადგილობრივ ქურუმებსა და ვარსკვლავთმრიცხველებზე (როცა კვირის დღეები პლანეტებს შეესაბამებოდა). ჩვენში პოპულარულია ანდაზა: ორშაბათი — მძიმე დღეა. ძველ სამეგრელოში ორშაბათობით ერიდებოდნენ სახლიდან რაიმის გატანას, ხორცის ჭამას, სადმე გამგზავრებასა და მგზავრობისას წყლის დალევას...

რა ენერგეტიკას ატარებს კვირის ესა თუ ის დღე? რატომ არის ორშაბათი „მძიმე“ და კვირის რომელი დღე რა საქმისთვის არის რეკომენდებული? ამის გასარკვევად, გერმანელი ალქიმიკოსის, ჰაინრიხ კორნელიუს აგრიპას ტრაქტატს — „ოკულტური ფილოსოფია“ — და რელიგიურ-ასტროლოგიურ წიგნს — „ეფრემ-ვერდი“ — დავესესხებით.

კვირა

ძველად ამ დღეს, „მზის დღეს“ („მზისას“) უწოდებდნენ (ინგლისურადაც, „სანდეი“ — მზის დღეს ნიშნავს). მზე სულის სიმბოლოდ („მანდალად“) ითვლება, ამიტომ მიჩნეულია, რომ ამ დღეს წარმოთქმული ლოცვა (ასევე — წყევლა) სწრაფად ასრულდება. კვირადღეს ადამიანებში ძლიერდება შემოქმედებითი ენერგია, ინდივიდუალიზმი, სიამაყის შეგრძნება. ამ დღეს მოფიქრებული იდეა და დაწყებული საქმე, უმეტეს შემთხვევაში, წარმატებით გვირგვინდება (ამ იდეის არსი მზიური ენერგიით იმუხტება და აძლიერებს მას). კარგია მკურნალობისა და გამაჯანსაღებელი პროცედურების დაწყება. ასევე წარმატებული იქნება ნებისმიერი შოუსა და გასართობი სანახაობის მოწყობა. რაც შეეხება ნეგატიურ ფაქტორებს — ძლიერდება ეგოცენტრიზმი, ავტოკრატიზმი, ამპარტავნება. ამ დღეს ადამიანები მხიარულები არიან, ისინი რეალურად აფასებენ საკუთარ შესაძლებლობებს და სწორად ადგენენ მომავალი კვირის გრაფიკს, რაც შემდგომი გამარჯვებების საწინდარი ხდება. კვირას დაბადებული ადამიანი გამოირჩევა ლიდერის თვისებებით, მას არ უჭირს პასუხისმგებლობისა და ინიციატივის საკუთარ თავზე აღება, არ უშინდება ცხოვრებისეულ სიძნელეებს. შეუძლია გაბრაზებაც, მაგრამ მიტევების უნარითაც გამოირჩევა.

„ეფრემ-ვერდი“ კვირადღის შესახებ იუწყება: *„დაბადებული ყმაწვილი მზის ეტლის ქვეშა, ესე იგი კვირა დღითა იქნება მხნე, ბედნიერი, სწავლის მოყვარე, ჭკვიანი, კადნიერი, ლამაზი შესახედი, მაღალი ტანისა, განიერი შუბლისა, მეტყველი, პატივცემული, ხელღია, გულუხვი, მოწითური, თხელი წარბებისა, შუალა ტუჩებისა, თვალღია, მოხდენილი ცხვირისა, ხორციანი, წყნარი, ტკბილი მოლაპარაკე და კეთილი გულისა“.*

ორშაბათი

ორშაბათს მთვარე მფარველობს და ეს დღე ამ მნათობის ენერგიით არის გაჯერებული (ლათინურად ამ დღეს „მუნ დიეს“, ანუ მთვარის დღე ჰქვია). მთვარე ადამიანში ემოციასა და ფსიქიკას განკარგავს. სწორედ ამიტომ ითვლება ორშაბათი „მძიმე“, უფრო სწორად ემოციურ დღედ. იქიდან გამომდინარე, რომ კვირა ორშაბათით იწყება, ახალი კვირის დაწყება ემოციურ პლანში გვიწევს. ამიტომ, ორშაბათს დასაწყები საქმე კვირადღეს უნდა დავგეგმოთ და გავიაზროთ, რათა ეს საქმე მზის ენერგიით აღივსოს. ადამიანები ამ დღეს ემოციურად დაძაბულები არიან და გუნება-განწყობილება სწრაფად ეცვლებათ, ნებისმიერი წვრილმანი მათ ფსიქიკაზე დიდ გავლენას ახდენს და ეს ქვეცნობიერში ილექება. ამ დღეს ძლიერდება ოჯახური გარემოს შეგრძნება, ეს განსაკუთრებით საგრძნობი ხდება ყოფითი პრობლემების დროს. ამ დღეს განსაკუთრებით სასიკეთოა პრობლემის „ცივი გონებით“ განსჯა, ეს ემოციურ მუხტს რამდენადმე შეამცირებს. ამ დღეს საკითხის გადაჭრისას, ლოგიკურ გადაწყვეტას ინტუიციური მიდგომა სჯობს. ორშაბათს დაბადებული ადამიანი გამოირჩევა ზემაღალი ემოციურობით, ცვალებადი ხასიათით, მას უჭირს ადაპტაცია და ნებისმიერი ცვლილება მას პრობლემებს უქმნის.

„დაბადებული ყმაწვილი მთვარის ეტლის ქვეშა, ესე იგი ორშაბათ დღესა, იყოს თეთრი ხორცის პატრონი, ჰქონდეს მოკლე კისერი, ბადრი სახისა, მოხდენილი კბილებისა, შუალა თვალებისას, მძინარე, პატარა პირისა, სხვილ ბეჭებიანი, გრძელ მკლავა, ზანტი, თეთრ თმიანი, განიერ შუბლისა, დაბალი ცხვირისა, პირში მთქმელი, დაუფერებელი, ცვლილებითი ხასიათის, სუსტი აგებულებისა, მოყვარე მიწის მუშაობისა, წყლის მოყვარე, ქალის მოყვარე, მასიამოვნებელი და კეთილი გულის პატრონი“.

სამშაბათი

სამშაბათი ძალიან აქტიური დღეა, რადგან ეს დღე პლანეტა მარსის დღედ მიიჩნევა. მარსი კი ენერგიის, ხიფათის, ბრძოლისა და ნგრევის სიმბოლოდ ითვლება. 'მარტის თვის სახელი სწორედ მარსიდან მოდის (მარტი ვერძის ზოდიაქოა, ვერძს კი მარსი მართავს). ამ ყველაფრიდან გამომდინარე, სამშაბათი ძალზე აქტიური დღეა, თუმცა, ამავე დროს სახიფათოც (კვირის დღეებიდან ყველაზე ნეგატიურად სამშაბათი და შაბათი მიიჩნევა). ამ დღეს მარსის ენერგია ადამიანებს ძალისმიერი და რისკიანი მოქმედებებისკენ უბიძგებს. ადამიანები ენერგიულები და შემტევები ხდებიან, ეს ყველაფერი კი წინასწარ დასახული გეგმებისა და წინდახედული მოქმედებებისას, პოზიტიურ შედეგს იძლევა. შესამჩნევად ძლიერდება ვნებიანობა და სექსუალურობა, რაც შესაბამის გარემოში ინტიმური ურთიერთობების დაწყების საშუალებას იძლევა. ნეგატიური თვისებებიდან

ძლიერდება ჟინიანობა, იმპულსურობა, ავანტიურიზმი, აგრესიულობა. საგრძნობლად იმატებს ხიფათისა და ტრავმების ალბათობა. იზრდება ავტოკატასტროფების რიცხვი. არ არის რეკომენდებული ალკოჰოლის მიღება, რადგან ეს ხელს უწყობს შეცდომების დაშვების ალბათობა. კარგი დღეა სამხედრო საქმეში წინსვლისთვის და სპორტული მიღწევების გასაუმჯობესებლად. სამშაბათს დაბადებული ადამიანი საკმაოდ აქტიური და მოძრავია, ერთ ადგილზე ვერ ჩერდება და ამის გამო საკუთარი ცხოვრების გზაზე ბევრ ხიფათს აწყდება. არა აქვს მოთმინება და არც ეკონომიურობით გამოირჩევა.

„დაბადებული ყმაწვილი მარიხის ეტლის ქვეშა, ესე იგი სამშაბათ დღესა, იქნება შავგვრემანი, თვალღია, ხუჭუჭი და მოკლე თმიანი, მსხვილ ტუჩებიანი, თხელ წვერიანი, უშნო კბილებიანი, გულდახურული, ცუდი ენისა, ნებიერი, ურწმუნო, მოსისხლე, თავმოყვარე, ქალების მიმდევარი, მატყუარა, შეუბრალებელი, მტერი მშვიდობისა“.

oTxSabaTi

ეს დღე პლანეტა მერკურს „განეკუთვნება“ — კომუნიკაციების, ურთიერთობების, აზროვნებისა და მწერლობის პლანეტას. მერკური დაკავშირებულია ძველეგვიპტურ ჰერმეს ტრისმეგისტთან და ბერძნულ ჰერმესთან („ღმერთების შიკრიკი“). ამ დღეს ყველაზე წარმატებულია შეხვედრები, მოლაპარაკებები, კონტრაქტების გაფორმება, ხელშეკრულებების დადება; უმრავლეს შემთხვევაში ეს ყველაფერი წარმატებით მთავრდება. მერკური განაგებს ინფორმაციასაც, ამიტომ, ნებისმიერი განცხადება (დავუშვათ კონფერენციაზე) სასურველია, რომ ამ დღეს გაჟღერდეს. ასევე წარმატებული იქნება წიგნის გამოცემა და მისი პრეზენტაცია, ორატორული გამოსვლები და ნებისმიერი მოქმედება, რომელიც საუბართან და სიტყვასთან იქნება დაკავშირებული, ასევე ვაჭრობა და კომერციული წამოწყება. ოთხშაბათს ადამიანები უფრო მეტად კომუნიკაბელურები და ლოგიკურები ხდებიან, რაც ურთიერთობების დასტაბილურებას უწყობს ხელს. ნეგატიური ტენდენციებიდან შეიძლება გამოვყოთ — ცბიერება, ეშმაკობა, თაღლითობა, იზრდება მოტყუებისა და გაქურდვის ალბათობა. ამ დღეს დაბადებული ადამიანი გამოირჩევა ლოგიკური აზროვნებით, შეუძლია მრავალი იდეის ერთმანეთთან დაკავშირება და მომგებიანი პროექტის შექმნა. მშვენივრად ახერხებს ოპონენტებთან საერთო ენის გამონახვას.

„დაბადებული ყმაწვილი ოტარიდის ეტლის ქვეშა, ესე იგი ოთხშაბათ დღესა, ჭირვეული, მძიმე და რბილი ხორცისა, უსარგებლო ფიქრისა, მიწის მოყვარე, ფათერაკიანი, ტკბილად მოლაპარაკე, პირმომცინარე, კაცის მომზიდავი, დიდგული, ცრუ მოლაპარაკე, გრძნეული, ვიწრო შუბლისა, გრძელ წარბა, შავთვალა, საამური შესახედაობისა, ვიწრო ცხვირა, მსხვილტუჩა, მოხდენილი კისერისა და მოყვარე შავტანსაცმლისა“.

xuTSabaTi

ხუთშაბათი იუპიტერის დღეა. ეს დღე სამართლიანობისა და წესრიგის დაცვას ქადაგებს, ამიტომ, ნებისმიერი არასამართლიანი მოქმედება მომენტალურად მძაფრ რეაქციებს იწვევს. რეკომენდებულია სასამართლო პროცესის დაწყება, საქმის კასაცია ან აპელაცია, მაღალი თანამდებობისა თუ ავტორიტეტულ პირებთან შეხვედრა, არეული საქმის თუ პროექტის მოწესრიგება-რეორგანიზაცია, უმაღლეს ინსტანციებში საჩივრის და თხოვნის შეტანა, პრობლემის იურიდიულ ფორმებში გადაწყვეტა. ამ დღეს ადამიანები ხდებიან ამბიციურები, უძლიერდებათ ორგანიზატორული შესაძლებლობები და ადვილად ახერხებენ მასებზე ზემოქმედებას. ნეგატიური ტენდენციებიდან ძლიერდება ამპარტავნობა, სიხარბე, გადაჭარბებული ამბიცია, მოთხოვნები და სურვილები, რაც შემდგომში პრობლემებს წარმოშობს. ამ დღეს დაბადებული ადამიანი გამოირჩევა სამართლიანობის გრძნობით, უყვარს მოგზაურობა და მზად არის, ნებისმიერ დროს გზას დაადგეს, ადვილად ერკვევა ფილოსოფიურ და თეოლოგიურ ტრაქტატებში, ქადაგებს წესრიგს და თანასწორობას, თუმცა, ამის პარალელურად ხელმძღვანელობა და სხვების მართვაც იზიდავს; მიდრეკილება აქვს სიმსუქნისადმი.

„დაბადებული ყმაწვილი მუშთარის მფარველობის ქვეშა, ესე იგი ხუთშაბათ დღესა, იყოს საამური ტანისა, მოწითალო რბილი ხორცისა, მსხვილძარღვა, კარგი აგებულებისა, შუათანა თითებისა, ფართო შუბლისა, დიდპირა, დიდყელა, მსხვილცხვირა, შავთვალა, მჭიდრო კბილებისა, განიერი მკერდისა და განიერ ბეჭებიანი, ქცევით ძალიან წყნარი, მშვიდად მყოფელი, კეთილის მოსურნე, მოკრძალული, ერთგული, მორჩილი და მიმდევი ყოველი კეთილისა და პატიოსნებისა“.

paraskevi

ეს დღე პლანეტა ვენერას ენერგიით არის „დამუხტული“, იქიდან გამომდინარე, რომ ასტროლოგიაში სილამაზეს, სიყვარულს, კომფორტსა და ხელოვნებას მართავს, პარასკევს ყველაფერი ამასთან დაკავშირებული მოქმედებები წარმატებული იქნება. ამ დღეს ყველაფერი ჰარმონიულად ვითარდება, თუ რასაკვირველია, ვინმემ არ დაარღვია ამ დღის ჰარმონიზაცია. პარასკევს წარმატებულია ნებისმიერი სახის მოქმედება, რომელიც ხელოვნებასთან არის დაკავშირებული, განსაკუთრებით ფერწერული ნამუშევრების გამოფენა, თეატრალური შოუ, დიზაინი და სამოდელო საქმე. კვირის დღეებიდან ყველაზე პოზიტიური ქორწინებისთვის სწორედ პარასკევია (თუნდაც, მხოლოდ ქორწინების გაფორმება). ამ დღეს ადამიანები მშვიდები და მომთმენები ხდებიან, იშვიათად გამოდიან წყობიდან, უჭნდებათ პარტნიორობის სურვილი, პრობლემების მოგვარებისას მშვიდობიან გზებს ეძებენ და ძალის გამოყენებაზე უარს ამბობენ. თუმცა, ამ დღეს ნეგატიური შტრიხებიც გააჩნია, ეს არის სიზარმაცე, კომფორტისკენ (უფრო სწორად, ფუფუნებისკენ) მიდრეკილება, მფლანგველობა, სიამოვნების გადაჭარბებული მიღების სურვილი. ძნელდება წონასწორობის დაცვა, ამის გამო იმატებს ტენდენციურობის ალბათობა. ამ დღეს დაბადებული ადამიანი გამოირჩევა მშვიდი და მომთმენი ხასიათით, ხშირ შემთხვევაში დაჯილდოებულია რაიმე ნიჭით ხელოვნების სფეროში. ამავე დროს აქვს „ფინანსისტის“ ალღო, განსაკუთრებით თუ ეს ხელოვნებასთან არის კავშირში.

„დაბადებული ყმაწვილი ზოჰრეს ვარსკვლავის ეტლის ქვეშა, ესე იგი პარასკევ დღესა, იყოს მაღალი ტანისა, მხიარული, თვალღია, მოცინარე, გრძელთმიანი, არწივის ცხვირიანი, კარგი და მეტყველი, მოლაპარაკე, შვიდი, გულჩვილი, შესაყვარი, წყლიანი სიტყვა-პასუხისა, ლხინის მოყვარე და ქალების მიმყოლი“.

SabaTi

კვირის დღეებიდან შაბათი ყველაზე „მძიმე“ და „პრობლემატური“ დღეა, ეს იმიტომ, რომ ამ დღეს პლანეტა სატურნი მართავს — პრობლემების, წინაღობებისა და კრისტალიზაციის პლანეტა. სატურნი პლანეტა იუპიტერის ანტიპოდია და თუ იუპიტერი სიკეთისა და წარმატების პლანეტაა, სატურნს პირიქით, უბედობასა და უიღბლობას მიაწერენ. ეს კარგად იცოდნენ ძველმა ცივილიზაციებმა და ამ დღეს არაფერს გეგმავდნენ (ებრაელებისთვის შაბათი საერთოდ დასვენების დღეა, ქართველები კი ამ დღეს ქორწილებს ნიშნავდნენ, რადგან შაბათს მუშაობა „არ შეიძლებოდა“). ამ დღეს ძლიერდება მელანქოლიური შეგრძნებები, განმარტოების სურვილი, იმატებს დეპრესიულობის ალბათობა, რაც არასასიამოვნო გარემოში ნეგატიურ შედეგს იძლევა. ყველაზე ხშირად მჟღავნდება საიდუმლოებები, ამიტომ, ადამიანებმა ენას კბილი უნდა დააჭირონ. ამ დღეს განმარტოება შინაგანი ტრანსფორმაციისა და გარეგნული კრისტალიზაციის საშუალებას იძლევა. არ შეიძლება ახალი საქმის დაწყება, მოგზაურობა (განსაკუთრებით შორეული) რადგან მათი უმეტესობა მარცხისთვის არის განწირული. ამ დღეს ჯობს ბევრის მოსმენა და ცოტა საუბარი. ამ დღეს დაბადებული ადამიანი გამოირჩევა თავშეკავებით, მოთმინებით, ორგანიზებულობით, შრომისმოყვარეობითა და მიზანსწრაფვით, თუმცა, ეს მიზანსწარფვა შინაგანია.

„დაბადებული ყმაწვილი ზოჰარის ეტლის ქვეშა, ანუ შაბათ დღესა, იქნება შავთმიანი, შავგვრემანი, ბალნიანი, დიდკისერა, ძარღვიანი და ვიწრომკერდა, სიკეთით გაუმაძღარი, ღრმა ფიქრისა, მძიმე ქცევისას, ქალის მოყვარე, ცალკე მყოფელი, მოყვარე შავტანსაცმლისა“. ■

რუბრიკა მოამზადა რამაზ ბიბაშვილმა

1 ველური ვაზი
2 ბერძნული ანბანის მეორე ასო
3 შურისძიების ქალღმერთი ბერძნ. მით.
4 სახლის მიშენებული, გადახურული ივანი
5 მხარე გერმანიაში
6 ალგებრული ორწევრი
7 ზამთის დედაქალაქი
8 გამოშწვარი ოიხის ნაკეთობანი
9 ბუნებრივი მრავლიარუსანი საკლტო კოქი
10 უდაბნოს ძაღლი
11 მუსლიმანთა ლოცვა
12 ველორიქშა ინდოეთში
13 ქალთევზა
14 გარეული ღორი
15 მეფის მიერ ბოძებული საბუთი
16 ინგრის ძველი ქართული სახელწოდება
17 ბაბუა
18 იტალიელი ფერმწერი
19 ჭამის სურვილი
20 თაქთაქიშვილის ოპერა
21 ქრისტეს ჯვარცმის ადგილი
22 მოჩვენება უდაბნოში
23 ინგლისური ანაკი
24 კონკოლა
25 ქალაქი იტალიაში
26 ნართების სასმელი
27 საკინიბო
28 აფრიკული ზანკალი
29 კეიპრთსის დედაქალაქი
30 ძვირფასი ლითონი
31 ძველი ლითონის ნივთები
32 კოლუმბის ერთი ერთი ხომალდი

კომპანიამ — British Airways — ფრენისას თავსატეხების ამოხსნა აკრძალა

ავიაკომპანიის ხელმძღვანელობამ აუკრძალა თავის თანამშრომლებს ბორტზე ყოფნისას, იაპონური თავსატეხების ამოხსნა. საგანგებო განკარგულების გამოცემა იმან გამოიწვია, რომ ამ გართობის გამო, თვითმფრინავის ეკიპაჟს საკუთარი ფუნქციების სათანადოდ შესრულებაში ეშლება ხელი. „ჩვენ შევიტყვეთ, რომ არა მარტო ფრენისას, არამედ თვითმფრინავის აფრენისა და დაჯდომის დროს, ეკიპაჟის წევრები ხშირად, თავსატეხის ამოხსნით ან გაზეთის კითხვით ირთობენ თავს, — ნათქვამია წერილში, რომელიც კომპანიის 13 ათას თანამშრომელს გაეგზავნა. — უნდა შეგახსენოთ, რომ აფრენა და დაჯდომა რეისის გადამწყვეტ მომენტებს წარმოადგენს, ამიტომ მსგავსი თავშესაქცევი სრულიად დაუშვებელია. ამ დროს, დიდი ყურადღება და სიფრთხილე გმართებთ“. ■





მე-18 გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ბ; 2-ა; 3-ბ.

ანეკდოტები

***

— ერთდროულად ათ საგანზე შემიძლია ფიქრი.
— თუ ნასვამი ხარ?
— მაშვინ ცხრაზე.
— ეგ როგორ.
— აბა, სასმელზე ფიქრს რაღა აზრი აქვს.

***

სიდედრი სიძეს:
— შვილო, რაღაც ცუდად ვარ, ვგრძნობ, ზაფხულში უნდა მოვკვდე. არადა, არ მინდა, შვებულება ჩაგიმწარო.
— დედიკო, ნუ ნერვიულობ... არ ღირს ჩემ გამო გეგმების შეცვლა!..

***

— კარგი ლუდია?
— არ ვიცი, ჯერ ქაფს ვსვამ...

***

— ნაზიკია რატომ მიგაქვს ზღვაზე შავი კაბა?
— ქმარმა ცურვა არ იცის და... მისგან ყოლიფერია მოსალოდნელი.

***

შეფი ხელქვეითს:
— აი, თქვენი ახალი თანამშრომელი. აბა, აჩვენეთ, რას აკეთებთ ხოლმე, როცა ფიქრობთ, რომ მე გითვალთვალებთ.

***

— რა გაწუხებთ ბიძია?
— რა ვიცი, ექიმო, ზოგიერთი ფულს აგროვებს და ოქროს. მე კი კენჭებისა და მარილების მეტი არაფერი მიგროვდება!..

***

— თქვენ ისევ დააგვიანეთ ლექციაზე!
— უკაცრავად, ჩამეძინა.
— ღმერთო ჩემო! თქვენ სახლშიც გძინავთ?

***

— ციმბირული წყლულის არ მეშინია, იმუნიტეტი მაქვს.
— უკვე მოიხადე?
— არა, ცოლი მყავს ციმბირელი.

***

გურული სვანს ეუბნება:
— მაიზერ, ძამა, აი ბაღანა მომინათლე.
— მე როგორ უნდა მოგინათლო, ჩემიც სხვას მოვანათვლინე!

***

— ექიმო, ვკვდები!
— ახლავე მოგეხმარებით.

***

სამი კაცი ერთმანეთს ელაპარაკება.
— კაცო, შემჭამა ამ წნევამ. გუშინ ცოტა დავლიე და დღეს პახმელიაზე 150 მქონდა, კინაღამ სული დავლიე.
— აბა, მეც მაგ დღეში ვარ, ამ ბოლო დროს 160-ზე ნაკლები არ მქონია.
მესამე გურულია და ეკითხებიან:
— შენ როგორა გაქვს წნევის საქმე — გააქვს?
— კი, რავა არა.
— რამდენი?
— ორაასი, სამაასი.
— მართლა?
— აპა... მაი ახლა, თვარა ისე ექვსაასი, შვიდაასი, რვაასი...

***

— რა მოგივიდა, კაკოია, რა მოწყენილი ხარ?
— ცოლი გემექცა გუშინ!
— კაი ერთი, ბუჯო... ვისი?

***

ოთხი ვაჟის მამას ეჭვები აწუხებს:
— მაროო, დედაკაცო, ერთი რამ არ მასვენებს, ჩვენი შაქრუა ჩემი შვილია?!
— იი, მეხი კი დაგაყარე მაგ უტვინო თავზედა, — აღშფოთდა მარო, — ჩვენი შაქრო კაკ რაზ შენია!

***

მიხოს ცოლი აღვიძებს და ეუბნება:
— მიხო, სიზმარში გნახე და 10 ლარი მაჩუქე.
— ჰოდა, ცოტაც წაუძინა, ეგ 10 ლარიც სიზმარში ისევ ნახე, მერე წადი და რაც გაგიხარდება, იყიდე და იყიდე.

***

— ჭიჭიკია, რა გჭირს ბიჭო, რას გავხარ?!
— გუშვინ ნაზიკიასთან ერთად პარკში ვიყავი და მანიაკი დეგვესხა თავს.
— სექსუალური?!
— არა... ბისექსუალური.

***

ნაწყვეტი საჩივრიდან:
„ვგრძნობდი, რომ ჩემს ცოლს ბავშვები სხვისგან უჩნდებოდა, მაგრამ ოფიციალურად ვერაფრით ვამტკიცებდი, რამდენჯერაც არ უნდა მეცემა“.

***

— სახლში რომ მივედი, „შიფანერკაში“ უცხო ყაძახი დამხვთა.
— აუუუ, გიღალატა ცოლმა?!
— სა მყავს ცოლი, შე აბდალა.

***

მარხავენ პროფესორს, რომელიც სექსუალური აქტის დროს გარდაიცვალა. მოსწავლე სიტყვას ამბობს:
— პატივცემულო პროფესორო, იძინე მშვიდად, შენ დაწყებულ საქმეს ჩვენ განვაგრძობთ...

***

— ჰა-ჰა-ჰა — გადაიხარხარა გველმა, როცა სპილო დაინახა, — სახეზე სასქესო ორგანო გაქვს.
— ჰა-ჰა-ჰა — შენ კიდევ სასქესო ორგანოზე სახე — უპასუხა სპილომ.

***

ერთი წურბელა მეორეს ურეკავს:
— უკაცრავად, საქმეს მოგწყვიტე...

***

ქუთაისის საავადმყოფოში მედდა ექიმს ეუბნება:
— ემზარი ექიმო, მესამე პალატაში სიმულანტი რომ იყო, მომკვტარა.

***

— ექიმო, წელი მტკივა.
— გადაიზნიქე... ახლა, გადმოიზნიქე... ახლა წეიკუნცხე...
— მოიცა კაცო, მაგდენი რომ შემეძლოს, შენთან მევიდოდი?

***

ერთი გურული ეუბნება მეორეს:
— შენზე გევიგე, ინტრიგანიაო.
— ეჰ, ძამა, ჯერჯერობით არავინ მიფასებს და...

***

— უკაცრავად, უკვე ნახევარი საათია, ყურმილი გიჭირავთ და არ საუბრობთ. იქნებ დამარეკვინოთ.
— ხელს ნუ მიშლით... ცოლს ვუსმენ.

ვინ ხართ თქვენ მისთვის?

ვინ ხართ მამაკაცისთვის — დედა, შვილი თუ თანასწორუფლებიანი მოკავშირე? უცნაურად მოგეჩვენებათ, მაგრამ ქალების უმეტესობის დამოკიდებულება საპირისპირო სქესის წარმომადგენლებთან, თურმე დედობრივი ან შვილური გრძნობით გამოიხატება. არსებობს მესამე ვარიანტიც — უფრო ჰარმონიული, ჭეშმარიტად ქალური ქალი. რომელ ტიპს განეკუთვნებით თქვენ, ამას ტესტის შევსების შემდეგ შეიტყობთ.

1. როგორ ცდილობთ მამაკაცთან ახალდაწყებული ურთიერთობის განმტკიცებას?

ა) ცდილობთ გააგებინოთ, რომ შესანიშნავი დიასახლისი ხართ — 2;

ბ) კეკლუცობთ და უშუალოდ იქცევით — 1;

გ) მაშინვე არ იხსნებით, ცდილობთ, მისთვის გამოცანად დარჩეთ — 0.

2. ზოგჯერ ვფიქრობ, რომ მამაკაცები არიან...

ა) დიდი ბავშვები, რომლებიც გამუდმებით მზრუნველობას საჭიროებენ — 2;

ბ) ძლიერები და ისინი ქალის დაცვასა და უზრუნველყოფაზე ზრუნავენ — 1;

გ) ჩვეულებრივი ადამიანები, რომლებსაც თავიანთი სუსტი და ძლიერი მხარეები აქვთ — 0.

3. თქვენი ქმარი/მეგობარი მივლინებაში აპირებს წასვლას. ჩვეულებრივ, თქვენ წინა საღამოს...

ა) ძირითადად, მის მომზადებას უნდებით და თვალყურს ადევნებთ, რომ არაფერი დარჩეს — 2;

ბ) განსაკუთრებულ სინაზეს ავლენთ და უფრო მეტ დროს მის მოფერებას უთმობთ — 1;

4. შესაკეთებლად წაღებული მტვერსასრუტი ხელოსნისგან წამოსაღები გაქვთ. მას კი არ სცალია. თქვენ...

ა) მოთმინების ფიალა გევსებათ და თავად მიდიხართ მტვერსასრუტის წამოსაღებად. რადგან ხვეწნასა და ლოდინს გირჩევნიათ, ასე მოიქცეთ — 2;

ბ) მოუწყობთ სკანდალს: რათა იმავე საღამოს მოიტანოს მტვერსასრუტი! — 1;

გ) ძალას არ დაატანთ, მაგრამ ტკბილი სიტყვით შეეცდებით მიახვედროთ, რომ მტვერსასრუტი თავად მოიტანოს — 0.

5. მაღაზიაში რაღაც ნივთი მოგივიდათ თვალში და გსურთ, რომ საღღესასწაულოდ სწორედ ეს ნივთი მიიღოთ საჩუქრად. როგორ სთხოვთ ამის თაობაზე თქვენს ქმარს/სატრფოს?

ა) მოგერიდებათ თხოვნა, ვიდრე თავად არ წამოიწყებს ამაზე საუბარს — 2;

ბ) შემოვლით ეტყვით, რომ ეს ნივთი გჭირდებათ და ძალიან გაგიხარდებათ, თუ საჩუქრად სწორედ მას მიიღებთ — 1;

გ) ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე, პირდაპირ მოსთხოვთ, რომ ეს ნივთი მოგართვათ საჩუქრად — 0.

6. როგორი დამოკიდებულება გაქვთ ფლირტის მიმართ?

ა) ვიდრე მამაკაცისგან არ ვიგრძნობ ინიციატივას, ფლირტს არ დავიწყებ — 2;

ბ) მამაკაცებს ყოველთვის ვეკეკლუცები — 1;

გ) ფლირტზე არასოდეს ვამბობ უარს, თუკი მამაკაცის მიმართ ინტერესი მაქვს — 0.

7. ჩვეულებრივ, ვინ იღებს გადაწყვეტილებას — თქვენ თუ ის?

ა) უფრო ხშრად მე — 2;

ბ) უფრო ხშირად ის — 1;

გ) როცა რაღაც საკითხში უფრო კომპეტენტური მე ვარ, გადაწყვეტილებას მე ვიღებ, ხოლო როცა ის უფრო კომპეტენტურია — ის — 0.

8. რომელ პერსონაჟს უფრო ჰგავხართ ხასიათით?

ა) მელანის — „ქარწაღებულნი“ — 2;

ბ) ჯულია რობერტსის გმირს — „ლამაზმანი“ — 1;

გ) მილედის — „სამი მუშკეტერი“ — 0.

9. როგორი ტიპის მამაკაცებთან უფრო გიიოლდებათ ურთიერთობა? ან როგორ მამაკაცებს უფრო მოსწონხართ?

ა) ჟენიასნაირთან — „ბედის ირონია ანუ აბანო გაამოთ“ — 2;

ბ) გოშასნაირთან — „მოსკოვს ცრემლების არ სჯერა“ — 1;

გ) რეტ ბატლერისნაირთან — „ქარწაღებულნი“ — 0.

ტესტის შედეგები

12-18 ქულა. „ქალი-დედა“: ის თავად უნდა აკონტროლებდეს ყველაფერს. გადაჭარბებულად ზრუნავს მის გვერდით მყოფ მამაკაცზე და შვილივით მეურვეობს მას. ყოველთვის თავად იღებს გადაწყვეტილებას, არც პასუხისმგებლობას გაურბის. „ქალი-დედების“ ერთი ნაწილი იმორჩილებს ქმარს და ისე მართავს, როგორ თავად სურს. მეორე ნაწილი კი, მსხვერპლად ეწირება მეუღლეს და მთელი ცხოვრება ხელით დაათრევს მას. მამაკაცები, რომლებიც ამ ტიპის ქალებს ირჩევენ პარტნიორებად, არ არიან დამოუკიდებლები. მტკიცე ნებისყოფის ქალი მათ იმისთვის სჭირდებათ, რომ ამ ცხოვრებაში მიმართულება მისცეს.

6-11 ქულა. „ქალი-გოგონა“: პირველი ტიპისგან განსხვავებით, გამუდმებულ ყურადღებასა და ზრუნვას ის თავად საჭიროებს. ეძებს მამაკაცს, რომელიც მის ცხოვრებაზე მთელ პასუხისმგებლობას იტვირთებს და გაანებივრებს მას. ამ ტიპის ქალი ან მოხერხებულად ნიღბავს იმას, რომ არაფრის კეთება არ სურს, ან მართლაც, უსასოდ გრძნობს თავს მამაკაცის გარეშე. მისი აზრით, მამაკაცები იმიტომ არსებობენ, რომ იზრუნონ და დაიცვან ქალი. ხშირ შემთხვევაში, ამ ტიპის ქალის თანაცხოვრება მამაკაცთან „მამაშვილური“ დამოკიდებულების მკაფიო მოდელს წარმოადგენს. შესაბამისად, სიყვარულშიც არათანასწორი მდგომარეობაა — ქალი ყველაფერს იღებს, თავად კი, ბევრს არაფერს გასცემს. „ქალი-გოგონები“ უშუალოები, კეკლუცები და კაპრიზები არიან, ხანდახან — ინფანტილურებიც. იმისათვის რომ „ქალმა-გოგონამ“ წარმატებას მიაღწიოს, ის აუცილებლად უნდა გაიზარდოს და დამოუკიდებელი გახდეს.

0-5 ქულა. „ქალური-ქალი“: ის თავისუფლად ახერხებს მამაკაცთან ადეკვატურ ურთიერთობას და არც შვილში ურევს პარტნიორს და არც მამაში. მოქნილობა მისი უმთავრესი თვისებაა. მას შეუძლია თავადაც მიხედოს საკუთარ თავს და სიამოვნებით მიიღოს მამაკაცის მიერ გამოვლენილი ყურადღება თუ მზრუნველობა. დარწმუნებულია საკუთარ თავსა და შესაძლებლობებში. ქალი არ აღიქვამს მამაკაცს როგორც ცხოვრების საყრდენს და არა აქვს იმის მოთხოვნილება, რომ პარტნიორი გამუდმებით მის გვერდით იმყოფებოდეს. არ ცდილობს, თავბრუ დაახვიოს და მოხიბლოს ყველა მამაკაცი, რათა შემდგომ მათ დახმარება გაუწიონ მას. ის ისევე დარწმუნებულია ცხოვრების თანამგზავრში, როგორც საკუთარ თავში, ამიტომ ის ყოველთვის მზადაა თავისუფალი არჩევანის საშუალება მისცეს პარტნიორს. თანასწორი ურთიერთობა აქვს მამაკაცთან. ეს არის ორი ზრდასრული, დამოუკიდებელი პიროვნების კავშირი, რომელსაც გადაწყვეტილების მიღება ძალუძს.

გენიოსების ცხოვრებიდან

კრეისლერი ანტიკვარულ მაღაზიაში შევიდა და მის მეპატრონეს ხუმრობით შესთავაზა საკუთარი ვიოლინოს ყიდვა. კაცმა ყურადღებით დაათვალიერა ინსტრუმენტი და მიუგო — არც ისეთი შეძლებული ვარ, რომ ასეთი ვიოლინო ვიყიდო, — შემდეგ გარეთ გავიდა, ორიოდე წუთში პოლიციელთან ერთად დაბრუნდა და კლიენტზე მიუთითა:

— დააპატიმრეთ ეს კაცი — მას კრეისლერის ვიოლინო მუპარავს!

ოსტატს თან არ ჰქონდა მისი პირადობის დამადასტურებელი საბუთი და ერთადერთი, რაც დარჩენოდა, ეს ვიოლინოზე დაკვრა იყო... მაღაზიის მეპატრონე უმალვე მიხვდა, სინამდვილეში, ვისთან ჰქონია საქმე...

გამოჩენილმა ამერიკელმა მწერალმა მარკ ტვენმა, გაზეთის რედაქტორად მუშაობის დროს, გამანადგურებელი წერილი გამოაქვეყნა იმდროინდელი წარჩინებული საზოგადოების ერთ-ერთ წარმომადგენელზე და, ბოლოს, აღნიშნა: ბატონი X ფურთხის ღირსიც კი არ არისო. სტატიის ობიექტმა გაზეთსა და მის რედაქტორს უჩივლა სასამართლოში, რომელმაც მათ გამოთქმული პოზიციის უარყოფა დააკისრა. მარკ ტვენმა, როგორც კანონმორჩილ მოქალაქეს შეეფერება, თავისი გაზეთის მორიგ ნომერში გამოაქვეყნა გამოხმაურება, რომლის ბოლოს, დასძინა: „ბატონი X ფურთხის ღისრია“.

ახალგაზრდა ბრამსს მისმა გამომცემელმა უსაყვედურა:

— ვერ გამიგია, რატომაა ყველა თქვენი ნაწარმოები ესოდენ სევდიანი. ნუთუ არ გესმით — მსმენელები კონცერტზე იმისთვის მოდიან, რომ გაერთონ, იმხიარულონ, დაისვენონ... მოდი, სცადეთ, დაწეროთ რაიმე მხიარული, ხალისიანი...

— კარგი, ვცდი, — უპასუხა დაბღვერილმა კომპოზიტორმა.

რამდენიმე დღეში, მან მართლაც, მიუტანა გამომცემელს ახალი ნაწარმოები.

— რა ქენით? გამოგივიდათ? — ჰკითხა გახარებულმა მასპინძელმა.

— მთლად დარწმუნებული არ ვარ, მაგრამ ძალიან მოვინდომე, — მიუგო ბრამსმა.

გამომცემელმა სასწრაფოდ გადაშალა ნოტები. ბრამსის ახალ ნაწარმოებს წამძღვარებული ჰქონდა სათაური: „ხალისიანად ჩავდივარ სამარეში“...

პრუსიის მეფემ ნავით სასეიროდ მიიწვია ვოლტერი. მალე მწერალმა შეამჩნია, რომ ნავს ფსკერზე ნახვრეტი ჰქონდა, საიდანაც წყალმა შიგ შეაღწია. ვოლტერი წამოხტა და ნაპირზე დაბრუნება ითხოვა.

— თურმე, რაოდენ ძლიერ გეშინიათ სიკვდილის! — გაიოცა მეფემ და ნიშნის მოგებით დასძინა: — აი, მე კი არ მეშინია.

ვოლტერმა მშიდად უპასუხა:

— მე მგონი, ამაში გასაკვირი არაფერია: ქვეყანაზე უამრავი მეფეა, ვოლტერი კი, ერთადერთი გახლავართ.

ჯვარედინი

■	32	■	27	■	25	5	2	28	8	■	5	■	8	■
29	15	2	5	4	8	■	8	■	18	12	27	5	9	8
■	26	■	31	■	6	8	4	22	8	■	19	■	33	■
7	8	14	8	21	8	■	1	■	5	26	5	16	8	5
12	■	12	■	5	■	17	8	5	■	5	■	8	■	11
2	15	17	2	8	26	5	■	18	5	19	17	5	9	8
10	■	2	■	1	■	3	5	23	■	12	■	18	■	33
8	19	5	19	5	21	8	■	12	11	5	21	5	30	8
■	24	■	10	■	2	■	29	■	5	■	15	■	5	■
18	5	13	8	10	12	■	7	■	21	5	2	5	4	8
■	2	■	19	■	26	2	5	3	8	■	4	■	1	■
20	12	2	12	28	8	■	2	■	23	31	12	18	8	5
23	■	23	■	23	■	1	12	5	■	5	■	12	■	14
18	8	19	23	4	8	■	18	■	31	2	23	4	21	8
8	■	8	■	12	■	32	8	5	■	8	■	5	■	5

ა5	ბ	გ	დ	ე	ვ	ზ	თ	ი8	კ	ლ
მ	ნ4	ო	პ	ჟ	რ2	ს	ტ	უ15	ფ	ქ
ღ	ყ29	შ	ჩ	ც	ძ	წ	ჭ	ხ	ჯ	ჰ

ჩეკოჩდსშენები

● ამერიკელები — ჯონ და გრეგ რაისები, რომელთა სიმაღლე 86 სმ-ს არ აღემატება, ყველაზე მომცრო ტანის და შესაძლოა, ყველაზე მდიდარი ტყუპისცალები არიან. ფირმას, რომელსაც ისინი ფლობენ, უძრავი ქონებით ვაჭრობასა და ტელეპროდიუსირებას მისდევს, მრავალმილიონიანი ბრუნვა აქვს.

● ჩიხუახუას ჯიშის „ამერიკელი“ ძაღლი, რომელსაც „სამმაგი“ სახელი — Heaven Sent Brandy ჰქვია — 15,2 სმ სიგრძისაა, მსოფლიოში ყველაზე პატარა ძაღლადაა აღიარებული.

● ყველაზე ხანგრძლივი კოცნა, რომელიც გინესის რეკორდების წიგნშია შეტანილი, 19 წლის ამერიკელ ლუიზა ალმედოვარსა და მის ბოიფრენდს, რიჩ ლენგლის ეკუთვნით: მათი ამბორი, შეუჩერებლივ, 30 სთ-ს, 59 წთ-სა და 27 წმ-ს გრძელდებოდა.

● ყველაზე მეტი ძვლის მოტეხილობის მქონე ადამიანად ცნობილია ამერიკელი მოტოკასკადიორი რობერტ კრეგ კნიველი: მის მიერ მიღებული ტრავმების რაოდენობა 435-ს აღწევს.

● მსოფლიოში ყველაზე ძვირად ღირებული ომლეტი ნიუ-იორკის რესტორანში — Norma's. ამ კერძს ეწოდება — Zillio Dollar Lobster Frittata — და 770,47 ევრო ღირს.

● ინდიელ ტრიბხუვან იადავსა და მის ძმას, ტრილოკის, ხელებზეც და ფეხებზეც 6-6 თითი აქვთ. მათ ტანჯავს დაავადება, რომელსაც პოლიდაქტილია ეწოდება. ■

ფოტოკუჩიოზები



№23(109) 10.XI–23.XI.05

ოჯახის მეუნიალი

საშვილიშვილო ჟურნალი

ფასი 70 თეთრი

ცხვირის პლასტიკა

როგორ მოვუაროთ ხელებს სიცივეში

ცოფი

ცხელ-ცხელი ამბები შაკიკის შესახებ

მგზავნის თანდაყოლილი პათოლოგიები

მთავარი თემა: შარდის ბუშტის პათოლოგიები

გრიპი

ლორმუცელობა ავადმყოფობაა

თქვენი და თქვენი ოჯახის ჯანმრთელობისთვის